ღვთან ბერძენიშვილი

ჰო და არა

არტანუჯი

ლევან ბერძენიშვილი

ჰო და არა

შემდგენელ-რედაქტორი
გიორგი ჰეიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი
ნატო გორგელაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ცულუში

გარეკანი დიზაინერი
თეონა ჰანიშვილი

წიგნი მომზადებულია ლევან ბერძენიშვილის საავტორო გადაცემა „წიგნების“ (რადიო „შოკოლადი“) აუდიომასალის საფუძველზე

ISBN 978-9941-487-34-7

© ლევან ბერძენიშვილი, 2019
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019

ჰო და არა

ქართული ზღაპრის პრეამბულაში გადმოცემული მთავარი პოეტური ფორმულა – „იყო და არა იყო რა“, მართლაცდა, ზღაპრულად გადმოსცემს მხატვრული სიტყვის სამყაროს: ყველაფერი, რაც ხდება წიგნში, ერთდროულად კიდეც **იყო** და **არც ყოფილა**, მაგრამ, რაც მთავარია, ახლა **არის**, რადგან ის, რაც ან ყოფილა, ან – არა, რაზედაც წერს მწერალი, ის ახლა, ამწუთას, **არის** მკითხველის წარმოსახვაში. მკითხველი ხილვად, სმენად და ხელშესახებ კონსტრუქციებად გარდაქმნის მწერლის სიტყვებს. ეს რომ იცის, ამიტომ გვეთამაშება ფოლკნერი „ხმაურსა და მძვინვარებაში“ ოთხი უმოკლესი ლათინური წინადადებით: Non fui. Sum. Fui. Non sum! არ ვყოფილვარ. ვარ. ვიყავი. არ ვარ! კვენტინ კომფსონი არ ყოფილა, იგი ფოლკნერმა გამოიგონა და ასევე გამოგონილ ადგილას, იოკნატოფაში, დაასახლა, მაგრამ იგი არის **ახლა,** როცა მის ურთულეს ცნობიერების ნაკადს დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიჰყვება ერთგული მკითხველი; ამავე დროს, ეს კაცი

მაინც იყო, სხვა სახელი ერქვა, სხვანაირად გამოიყურებოდა, მაგრამ **იყო** და ახლა ისეთი **აღარ არის** მკითხველის ცნობიერებაში.

იყო თუ არა ვასიკო კეჟერაძე, საერთოდ, იყვნენ კი კეჟერაძეები? სამი ასეთი ძმა?! კი, იყვნენ და არა, არ ყოფილან, ისინი თავისი თავიდან და კიდევ არაფრიდან გამოძერწა გურამ დოჩანაშვილმა, მაგრამ ახლა ვასიკო **არის** და ამის შემდეგ სულ **იქნება.**

რა ღარიბი იყო სამყარო მანამ, სანამ ტარიელი არ იყო, საერთოდ არავინ არ იყო, ვისაც ვეფხის ტყავის სამოსი ეცვა! იყო და არ იყო სამყარო. მართლა გადაყლაპა თუ არა მთვარე გველეშაპმა? წარმოუდგენელია, **დაუჯერებელია,** მაგრამ რომ დააბრუნა მთვარე მზესთან შესაყრელად, ეს, რატომღაც, გასაოცრად **დამაჯერებელია.** სწორედ ესაა სიტყვის მაგიის ძალა: ყველაზე დიდ სიმართლეს რუსთაველი აფორმებს სიტყვით „ნახეს". ამით თითქოს გვეუბნება, რასაც ვიტყვი, ნამდვილიაო, დაინახა ხალხმაო: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა". არ შეგვიძლია, არ დავიჯეროთ, იმიტომ, რომ „ვხედავთ"; მართლაც რომ Credo, quia absurdum – მჯერა, რადგან უაზროა, როგორც დიდმა ბერბერმა ტერტულიანუსმა თქვა.

ერთხელ თომას მანმა მიანიშნა, რომ არსებობს ორნაირი მწერლობა: ჰომეროსული, ანუ „ნათელი" და ბიბლიური, ანუ „ბნელი" ლიტერატურა. ქართველმა მწერალმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ამ მწერლებს ჰოს-მთქმელები და არას-მთქმელები უწოდა. ჰოს ლიტერატურა ნათელია და მასში თომას მანი საკუთარი ავტობიოგრაფიული არისტოკრატიზმისა და კულტურული სიდიადის დამამკვიდრებელ გოეთესა და „რუსული მიწის უდიდეს მწერალს", „ტიტანური პირველადი

სიახლის", „ეპიკური დათვის ძალის" მქონე, ლევ ტოლსტოის მოიაზრებდა (თავის ამ ორ მასწავლებელზე თომას მანი მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი ხალისით სულ წერდა და წერდა). რაც შეეხება „ბნელ", ბიბლიურ, „არას" ლიტერატურას, თომას მანი მათში თავის ორ სხვა უდიდეს მასწავლებელს, ფრიდრიხ ნიცშესა და ფიოდორ დოსტოევსკის, გულისხმობდა, რომელთაც ოსტატურად უკავშირებდა მათი ბიოგრაფიის მძიმე ნაწილს, ადრევე გამოვლენილ ავადმყოფობას, რომელსაც სექსუალურ ხასიათს მიაწერდა: ეპილეფსიას დოსტოევსკის შემთხვევაში და სულიერ აშლილობას ნიცშეს შემთხვევაში (ამ მასწავლებლებზე თომას მანი ცოტას წერდა და რასაც წერდა, იმასაც უხალისოდ, თითქოს თავის თავს უკრძალავდა წერას). ცნობილ სტატიაში, რომელიც მან ამერიკაში გამოცემულ დოსტოევსკის წიგნს წინასიტყვაობად წარუმძღვარა, „დოსტოევსკი, ოღონდ ზომიერად", ჩანს, რომ „ბნელი" მწერლების შემოქმედებაში თომას მანი ხედავს გარკვეული „დანაშაულის" ნიშნებს და იმ სინანულის გრძნობას, რომელსაც დაავადების შემოტევის შემდეგ განიცდიდნენ მისი რჩეული არასმთქმელი გენიოსები. თავად გერმანელი ტიტანის შემოქმედებაშიც იოლად შეიძლება გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, ტოლსტოი-ჰომეროსისეული „ბუდენბროკები", „ჯადოსნური მთა" და „ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება" და, მეორე მხრივ, ბიბლიურ-დოსტოევსკისეული უზარმაზარი საგა „იოსები და ძმანი მისნი" და, განსაკუთრებით, „დოქტორი ფაუსტუსი".

რა თქმა უნდა, ეს დაყოფა პირობითია. ის ამბავი, რომ თომას მანმა დოსტოევსკის „ღრმა, დამნაშავე და წმინდანი" უწოდა, არ აუქმებს დანაშაულის გრძნობას ტოლსტოისთან და ის, რომ ჰომეროსი და ვერგილიუსი „ნათელი" მწერლები

არიან, არ უარყოფს იმას, რომ ერთის ოდისევსმა გრძნეული ქართველი დედოფლის, კირკეს, მითითებითა და ბრმა მისან ტირესიასის შემწეობით ბნელი ჰადესი მოინახულა, ხოლო მეორის „ღვთისმოსავმა ენეასმა" კუმის სიბილას დახმარებით საიქიო ისე ღრმად მიმოიხილა, რომ მისი ამ მოგზაურობიდან მისივე შორეული შთამომავალი, სხვათა შორის, „ბნელი" და ბიბლიური ავტორი დანტე ალიგიერი მთელ სამყაროს შექმნის, რომელსაც „ჯოჯოხეთს" უწოდებს. დღეს საკმაოდ გავრცელებულია ე. წ. „შავი ფენტეზის", „შავი იუმორის" ლიტერატურა, რომელიც მოიცავს გოთიკისა და ჰორორის ელემენტებს, ასე რომ, მწერლობის თომას მანისეული დიქოტომია ჯერაც აქტუალურია.

ამ კრებულში შესული ავტორებიცა და მათი ნაწარმოებებიც შესანიშნავად ჯდება ამ „შავ-თეთრ" დაყოფაში. ჩვენი „ბნელები" არიან: დოსტოევსკი, ბუკოვსკი, ნიცშე, დანტე, კონან დოილი, ბეკეტი, ფოლკნერი, ჯავახიშვილი (უპირველეს ყოვლისა, „ჯაყოს ხიზნების" გამო), ალექსიევიჩი (განსაკუთრებით „ცინკის ბიჭებით") და „ნათლები": ილია, აკაკი, ვაჟა, ტოლსტოი, გამსახურდია, დოჩანაშვილი, მარკესი, ლიოსა... რა თქმა უნდა, ისეთი ავტორიც არსებობს, რომელიც ერთდროულად ჰოსმთქმელიცაა და არასმთქმელიც, თუნდაც დიდი ბარდი შექსპირი რომ ავიღოთ, რომელსაც ტრაგედიებიც „ეხერხებოდა", კომედიებიც, სონეტებიცა და ეპიტაფიებიც.

ამას გარდა, ეს ორი სიტყვა, ჰო და არა, მშვენივრად გამოხატავს ლიტერატურის არსს, რომელიც შეიძლება ასეთი ფორმულით ჩამოყალიბდეს: მხატვრული ლიტერატურა არის ავტორის მიერ კონსტრუირებული ტყუილი, გამოგონილი სამყარო („არას" სფერო), რომელიც მკითხველის გონებაში

იქცევა დამაჯერებელ სიმართლედ („ჰოს“ სფერო); უფრო მოკლედ: მწერლის „არას“ „ჰოდ“ აქცევს მკითხველის წარმოსახვა და ეს ბედნიერებაა, რომელიც ასე ხატოვნად აღწერა პოლ ვალერიმ: ნამდვილი ლიტერატურა (ვალერის სიტყვით, „ლექსი“) გონების დღესასწაული უნდა იყოს.

კაცი, რომელიც საქართველო იყო

მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ერის მამა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, წმინდანი და, ამავე დროს, ყველა ქართველისთვის ძალიან კარგად ნაცნობი კაცი, მთავარი ქართველი – ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოებრიობის არმქონე საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ის შეგვიძლია, განვიხილოთ საქართველოს მეფეების, პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების გვერდით და მათზე მაღლაც კი, რადგან თუ მეფეებს მემკვიდრეობით ერგებათ ტახტი, პრეზიდენტს კი მოსახლეობა ირჩევს, ილია თავად იქცა კაცად, რომელიც საქართველო იყო.

ამ ადამიანის უკან რთული და საბედისწერო ბიოგრაფია დგას, რადგან ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ათი წლისა, როცა დედა გარდაეცვალა, 15 წლისამ კი, თბილისში სწავლის პერიოდში, მამაც დაკარგა. გრიგოლ ჭავჭავაძის ხუთი ობლის აღზრდა-განათლება მამიდა მაკრინემ ითავა. მამის გარდაცვალება

ილიასთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, თანაც იმდენად, რომ სწავლა ვეღარ შეძლო და კლასში ჩარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო, 1853 წელს ნიშნები გამოასწორა, როგორც ირკვევა, ილია მაინცდამაინც პერსპექტიულ მოსწავლედ არ მიიჩნეოდა.

არსებობს კიდევ ერთი ასეთი მაგალითი, როდესაც მასწავლებლებმა გენიოსი ვერ იცნეს – მას შემდეგ, რაც ალბერტ აინშტაინი მსოფლიო მნიშვნელობის ფიზიკოსი გახდა, მისი ყოფილი მასწავლებელი თავად გაემგზავრა მასთან იმაში დასარწმუნებლად, მართლა მისი მოსწავლე აინშტაინი იყო თუ არა ის გენიოსი, რომელზედაც მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა, მაშინ, როდესაც სკოლაში სწავლისას სწორედ ფიზიკაში იყო სუსტი.

ცნობების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მასწავლებლებიც ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა ილია არ იყო მათი საუკეთესო მოსწავლე, თუმცა, დღეს ამ მასწავლებლების ფასი ისტორიაში მხოლოდ ისაა, რომ თავის დროზე ილიას გვერდით აღმოჩნდნენ და მას ასწავლიდნენ.

1857 წელს ილია ჭავჭავაძე გაემგზავრა სასწავლებლად პეტერბურგში, სადაც აღიარებული იყო, როგორც სტუდენტების ლიდერი; განსაკუთრებით აინტერესებდა ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხები, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საქართველოში მოუხდა დაბრუნება.

ილია დაბრუნდა ღრმა ეროვნული პესიმიზმის ეპოქაში, მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი, ჩემი აზრით, გაქრობის პირას იყო (მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ უნდა გავრუსდეთ, ქართულად ლაპარაკი უხერხულია და ა. შ.). დაბრუნდა და დანერგა ეროვნული აღორძინების იდეა, რითაც

საქართველო და ქართველი ხალხი ფაქტობრივად გადაარჩინა დავიწყებას, ისტორიაში ჩაკარგვას; აღადგინა ხალხი, რომელსაც არ ჰქონდა სახელმწიფო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორი საწყენია, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ მოესწრო... დარწმუნებული ვარ, ასაკის მიუხედავად, მაინც მიაღწევდა ამ ბედნიერ დღემდე, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხდება ხოლმე საბედისწერო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, იგი საკუთარი ხალხის ხელით გამოეთხოვა სიცოცხლეს. აღსრულდა ძველი მუქარა, ჩვენი, ქართველების, მუქარა, რომ ვერ ავიტანთ ასეთ კაცს ჩვენ გვერდით, კაცს, რომელიც მთვლემარე, მძინარე, მკვდარ ნაციას აღვიძებდა, ნერვებს უშლიდა, აიძულებდა ეცოცხლა და, ბოლოს და ბოლოს, იქცეოდა, როგორც ჭეშმარიტი ევროპელი! როგორც ჩანს, საქართველოსთვის ასეთი ადამიანი მძიმე ასატანი აღმოჩნდა...

მანამდე ილია ჭავჭავაძეს რამდენჯერმე დაემუქრა სიკვდილი. დღეს ეს ამბავი შესაძლოა გვიკვირდეს კიდეც, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ილია წმინდანადაა შერაცხული, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო სიცოცხლით სავსე ადამიანი, აზარტული, ბანქოს მოთამაშე, ამქვეყნიური კაცი, ამავდროულად კი უაღრესად ევროპელი, რომელსაც შეეძლო მატარებლის გასვლა მხოლოდ რამდენიმე კაპიკის გამო შეეყოვნებინა, რადგან მიაჩნდა, რომ სჯობს მატარებელმა დაიგვიანოს, ვიდრე მოლარე გათახსირდეს და ხურდა არ დააბრუნოს.

არაერთი მითია შექმნილი ილია ჭავჭავაძის ევროპულ ხასიათზე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მან ბანკი დააფუძნა. ეკონომიკის სფეროში ილია ჭავჭავაძის შესვლა ნაციონალური გადარჩენის პროგრამის ნაწილი იყო, ვინაიდან

სწორედ იქ, ფინანსებში, იყო ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და ილიამ ეს შესანიშნავად დაინახა.

როგორც ბანკირი, საკმაოდ მკაცრი იყო, განსხვავებით სხვა ქართველებისგან, მის გვერდით, იმავე ბანკში რომ მოღვაწეობდნენ. საბანკო საქმე იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც კონფლიქტი მოუვიდა თავის საუკეთესო ახალგაზრდა მეგობართან, ივანე მაჩაბელთან, ალბათ, ერთადერთ ადამიანთან, რომელთანაც შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდა. მტყუან-მართლის გარჩევას ახლა დიდი აზრი არ აქვს, მაგრამ ფაქტია, ისტორია ამტკიცებს, რომ ილიასთან დაკავშირებულ კონფლიქტში შეუძლებელია მეორე მხარე იყოს მართალი, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, რაღაც სიმართლე ამ უკანასკნელის მხარესაც იყოს.

ასეთი უცნაურობაა ილიასა და ივანე მაჩაბლის დაპირისპირების ამბავიც; შესაძლოა ივანეს უფრო თანამედროვე და ქმედითი პროგრამა ჰქონოდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მარტივი და ნათელი პრინციპით ხელმძღვანელობდა – თუ ვალს იღებ, უნდა გადაიხადო კიდეც! საკუთარი მკაცრი მიდგომით მან ქართველების დიდი ნაწილი გაანაწყენა. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ თავად ილია გაუბრაზდა მშობელ ხალხს!

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები არაერთხელ „ვუგინებივართ“ სხვებს, ეს მაინც მტრული დამოკიდებულების ნიშანი იყო, აი, ილიას კრიტიკა, რითაც, ბუნებრივია, საკუთარ თავსაც აკრიტიკებდა, ყველაზე მძიმე მოსასმენი და მისაღები იყო:

> ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
> ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
> ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
> ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ძალიან ძნელია ამ სიძულვილში არსებული „რაოდენი სიყვარულის" დანახვა. ჩვენ, შთამომავლებმა, კი შევაფასეთ და ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძე ყველაზე დიდი ქართველია, მაგრამ თანამედროვეებმა ეს ვერ დაინახეს, საერთოდაც, ისინი ვერ ამჩნევდნენ ამ ბუმბერაზი კაცის სიმაღლეს, აკი გალანძღეს კიდეც ქართული არისტოკრატიისთვის სალანძღავი სიტყვებით – „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი".

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც ილია განარისხა, ქართველი თავადაზნაურობის „უცნაური" გადაწყვეტილება იყო. ვითარება ამგვარი იყო – საქართველოში ჩამოდის რუსეთის იმპერატორი და ქართველებს შორის არსებობს წინასწარი შეთანხმება, რომ მას უნივერსიტეტის გახსნა სთხოვონ.

ილიასგან ასეთი სურვილი, გნებავთ – ოცნება არც არის გასაკვირი, რადგან ის განათლების კაცია, კულტურტრეგერია, არა მარტო როგორც პოეტი ან პროზაიკოსი, არამედ როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფაქტობრივი სულისჩამდგმელი, ქართული თეატრის დიდი მოამაგე და, რაც მთავარია, კაცი, რომელსაც ბოლომდე მიჰყავს დიდი, მათ შორის სხვების წამოწყებული საქმეები, რაც ქართულ, მით უმეტეს – მაშინდელ რეალობაში იშვიათობაა.

ილია ჭავჭავაძემ გაცილებით ადრე წარმოიდგინა ის, რაც 1918 წელს რეალობად იქცა. ყველამ ვიცით, თუ რამოდენა დადებითი ეფექტი მოჰყვა საქართველოში უნივერსიტეტის დაფუძნებას და უბრალოდ წარმოიდგინეთ, ეს რომ ათეულობით წლით ადრე მომხდარიყო, რამდენად ადრე დაიწყებოდა საქართველოს აღორძინება, როგორი მომზადებული კადრებით შევხვდებოდით დამოუკიდებლობას!

რუსეთის იმპერატორს, ცხადია, დიდად არ ესიამოვნებოდა ქართველების თხოვნა უნივერსიტეტის დაარსებასთან

დაკავშირებით, თუმცა, დიდი ალბათობით, „სტუმრად“ ჩამოსული კაცი, ქართველი თავადაზნაურობის თხოვნას შეასრულებდა, მაგრამ... ქართველმა თავად-აზნაურებმა თავიანთ სიტყვას უღალატეს და მისთვის საამებლად, სთხოვეს ის, რაც საქართველოს კი არა, მეფის რუსეთს სჭირდებოდა – საარტილერიო სასწავლებელი. აბა, ასეთ თხოვნას რომელი დამპყრობელი არ შეასრულებდა სიამოვნებით?!

ამ ამბავს უკვალოდ არ ჩაუვლია და იმედგაცრუებულმა და თანამემამულეებზე გაბრაზებულმა ილიამ ანონიმური გამოცანების წერა დაიწყო, თუმცა ეს გამოცანები დაახლოებით ისევე იყო ანონიმური, როგორც საბჭოთა პერიოდის ცნობილი ფრაზა – „გვარს არ დავასახელებ, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე“. ილიას გარდა, სხვა ვინ გაბედავდა ამდენი ჯანდიერის, ორბელიანის, ბაგრატიონის გინებასა და გაკილვას! საქართველოში მხოლოდ ერთი კაცი იყო ასეთი გამბედავი.

დაწერა და თან ძალიან მძიმედ! ცნობილი ამბავია, ილია „საშინელი“ ენის პატრონი იყო, წერდა ისე, როგორც ფიქრობდა – მოურიდებლად. შესაძლოა, ასეთი გამბედაობა და პირდაპირობა, რითაც გრიგოლ ორბელიანსაც გაჰკრა კბილი – „მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“, ვინმემ ილიას სუბეთნიკურობას – კახელობას – დააბრალოს, მაგრამ ამ პირდაპირობაში, კახელობაზე მეტად, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა და მის მომავალზე ღრმა ფიქრი დგას.

ესეც კიდევ ერთი მიზეზი ილიას მკვლელობისა, თანაც მას შემდეგ, რაც თავდაპირველად მას „კაცია-ადამიანის?!“ გამო კლავდნენ!

ამ ნაწარმოებზე საუბრისას, უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძემ უამრავი ნაწარმოები შექმნა, „კაცია-ადამიანი?!“ მისი ოპუს მაგნუმი,

მისი მთავარი ტექსტია. გენიოსის ხელის მოსმა ყველაზე უკეთ სწორედ ამ ნაწარმოებში გამოუვიდა.

ილიამ პირდაპირ თქვა – ლუარსაბ თათქარიძის ეზო ასეთი იმიტომაა, რომ ის ქართველიაო. ილია ჭავჭავაძე იყო კიდეც საქართველო, ამიტომ, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს აკრიტიკებდა. შესაძლოა ბევრს არც უფიქრია, რომ „კაცია-ადამიანი?!", კაცმა რომ თქვას, ძალიან ჰგავს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს; ლუარსაბი – ილიას, დარეჯანი – ოლღას. რა თქმა უნდა, არც ილია იყო ლუარსაბი და არც ოლღა – დარეჯანი, მაგრამ მსგავსება აშკარაა: ფიზიკური მსგავსება, ხუმრობები, უშვილობა და მასთან დაკავშირებული სიმწარე, ლუარსაბის დადებითი თვისებები და ა. შ.

ამავდროულად, ილია ჭავჭავაძე, ქართველი ხალხის სიბრძნიდან იღებს იდეას, რაც ყველაზე უტყუარად მიაჩნია – „მოყვარეს პირში უძრახე"; ამიტომაც, ლუარსაბ თათქარიძე პირდაპირ ატარებს ქართველი ხალხის თვისებებს. ეს კაცი საქართველოს სახეა; წარმოუდგენელია ქართველი, რომელშიც არ იჯდეს პატარა ლუარსაბი და რა არის ლუარსაბ თათქარიძეობა?! უპირველეს ყოვლისა, ეს არის აქტიურობა, ქართული ამბავი, როდესაც ამ მოძრაობის, აქტიურობის უკან არაფერი, უფრო სწორად კი ქვეყანა, განვითარება და განათლება კი არა, ჭამა-სმა, ფიზიოლოგია, ცხოველი დგას.

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში სცადეს წარმოეჩინათ, თითქოს ამ ნაწარმოებით ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობის კლასს დასცინის, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება; „კაცია-ადამიანი?!"-ს კითხვისას გრძნობ, რომ ეს საყვედური წარსულს კი არა, აწმყოსა და მომავალს ეკუთვნის.

მხოლოდ ამაზე რომ შეჩერებულიყო ილია, უკვე „სასიკვდილო იქნებოდა“, მაგრამ, მოგეხსენებათ, მან დაწერა ქართული ლიტერატურის ყველაზე სასტიკი ტექსტი, ტექსტი, რადგან ენა არ მომიბრუნდება, რომ „ბედნიერ ერს“ ლექსი ვუწოდო. ეს ტექსტი მას შემდეგაა დაწერილი, როცა გაირკვა, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ უნივერსიტეტს მორჩილება არჩია. ამ ფაქტში, თავად ჩვენშიც, ილიამ ეროვნული უბედურების დასაწყისი დაინახა; შეიძლება ქართველები გადავიღალეთ, გადავგვარდით, დავბერდით და სწორედ ამიტომ მივედით იქამდე, რაც ილიამ აღწერა, ანუ ის ე. წ. ნულოვანი დონე, რომლის შემდეგ ქართველი ერი მხოლოდ და მხოლოდ თუ აღორძინდება, თორემ ამაზე დაბლა, რაზედაც ტექსტშია საუბარი, შეუძლებელია, ქართველი ხალხი დაეშვას:

ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი –
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

თუმცა, რასაკვირველია, ამ ტექსტში ყველაზე გულისმომკვლელი და მტკივნეული პასაჟია „მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“.

რა თქმა უნდა, ეს საშინელი სიტყვებია. უცხოს რომ ეთქვა, კიდევ ავიტანდით, ვიტყოდით – მტერია და ვიცით, რატომაც ამბობს ამას; მაგრამ ილიაზე რა ვთქვათ?! ამიტომაც ყველაზე უფრო „სწორი“ გზა ავარჩიეთ – „მოდი ვთქვათ, რომ არაფერი ვთქვათ“; „მოდი ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე კარგი პოეტია, მაგრამ ეს ლექსი არ დაუწერია“.

არადა, საკუთარი საქმიანობით, მათ შორის ამ ლექსით, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვით, ილია ჭავჭავაძემ ახალი ერი შექმნა. ფსიქოლოგებმა იციან, რომ ხალხის გაერთიანება ან სიყვარულით ხდება, რაც ძალიან კარგია, ან ვინმეს წინააღმდეგ. ილიამ სწორედ ამ „ვინმეს“ როლი შეასრულა, როდესაც სოციუმის შიშის, სიძულვილის საკუთარი თავისკენ მიმართვით, ერი გააერთიანა. რა თქმა უნდა, ასეთი ერთობა სიყვარულით გაერთიანებასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ მასაც აქვს თავისი ძალა, ძალა, რომელმაც მომავალში ერთიანობა შესაძლოა ხალხისავე სასიკეთოდ გარდაქმნას.

ამ ყველაფერთან ერთად, საკუთარი საქმიანობით ილიამ იმასაც „მიაღწია“, რომ წარმოუდგენელი რამ შეძლო და ქართველი კომუნისტების ორივე ფლანგი საერთო საქმისთვის – მისი მოკვლისთვის გააერთიანა!

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია, თუმცა, როგორც ჩანს, ისტორიკოსებს არ შესწევთ უნარი, დაინახონ მთავარი წერტილები. ისტორიკოსებმა ვერა, მაგრამ გალაკტიონმა კი შეძლო და წარმოუდგენელი მნიშვნელობის სიტყვა თქვა – „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“. ეს არის ის დიდი წერტილი, ანუ, XX საუკუნე საქართველოში დადგა არა 1901, არამედ – 1907 წელს, რადგან იმდენად დიდი ფიგურა იყო ილია, ახალი საუკუნე მისი სიკვდილის გარეშე ვერ დაიწყებოდა; სანამ ცოცხალი იყო, მანამდე მისი საუკუნე იდგა.

ილიას მკვლელობის შემდეგ ჩვენ ვივარჯიშეთ მენშევიზმში, კომუნიზმში, ნაციონალიზმში, სანამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ არ დავუბრუნდით ილია ჭავჭავაძის, ანუ ლიბერალიზმის, თავისუფლების იდეას. მიუხედავად ამისა, სამწუხა-

როდ, ილიას გაკვეთილები ჯერ კიდევ არ გვაქვს ბოლომდე გათავისებული.

ილია ჭავჭავაძე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია საქართველოს პირქუშ და ბნელ ისტორიაში, მისი სიკვდილი კი სწორედ ის წერტილია, რომელმაც ერი გააერთიანა და აღიარებინა, რომ შეცდომა დავუშვით. მართალია, პირადად მე და თქვენ არ მოგვიკლავს ილია, მაგრამ უჩვენოდ ეგ ამბავი არ მომხდარა, რადგან სანამ ჩვენში ერთი მისხალი მაინც არის ცრუ, ფლიდი, მანკიერი, გარეთ მხდალი, შინ – ძლიერი, მანამდე ჩვენ ილია ჭავჭავაძეს ვკლავთ. ხოლო, პირუკუ, სანამ ქართველი ხალხი ამ ნაკლის აღმოფხვრას ცდილობს, ილია ცოცხალი და თანაც მთავარი ქართველია! როდესაც მრავალ ჩვენს ნაკლს დავძლევთ, მაშინ შევძლებთ რომ ეს ეტაპი გავიაროთ და ილიას გაკვეთილებიც ბოლომდე გვექნება გათავისებული, მაგრამ მეეჭვება ოდესმე დადგეს დრო, როდესაც ილია ჭავჭავაძე აღარ იქნება ყველაზე აქტუალური ქართული საკითხი, რადგან ესაა ფიგურათა ფიგურა ჩვენს ისტორიაში, ვისგანაც მომდინარეობს კიდეც ქართველობა!

დასასრულ, დაუშვებელია არ ვთქვათ ისიც, რომ ყველაფერთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ორი დიდი ქართველი გენიოსის აღმომჩენია, რომლებიც უიმისოდ, უბრალოდ, არ გვეყოლებოდა. ქართველი ხალხი ვერ დაიჯერებდა, რომ ასეთი გენიოსი გვყავდა და დაიკარგებოდა, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი; ასევე, რომ არა ილია, წარმოდგენაც კი არ მინდა, როგორ მოვექცეოდით ვაჟას... მთლიანობაში, ეს კაცი არა მხოლოდ თავისი თავის შემოქმედი ან ბარათაშვილისა და ვაჟასი, არამედ ქართული სიტყვის, ენის, თავად საქართველოს ხელახლა აღმომჩენი და გადამრჩენელია!

დიდი დიღემების კაცი

მტკიცება არ სჭირდება – აკაკი წერეთელი ჩვენს ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელი და ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ილია ჭავჭავაძესთან და ვაჟა-ფშაველასთან ერთად, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ამ კაცის გარეშე ძნელი წარმოსადგენია საქართველო, რადგან ქართულმა პოეზიამ სწორედ მის ხელში მიიღო ის სიმსუბუქე, ჰაეროვნება, ოსტატობა და არტისტიზმი, რაც მანამდე ნაკლებად ახასიათებდა. რა თქმა უნდა, ენის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი არტისტი – შოთა რუსთაველი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, შოთა იმდენად იყო დატვირთული მსოფლიო იდეებით, რომ ამქვეყნიური ხმებისთვის არ ეცალა; მართალია, ლირიკა რუსთაველს დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ თავად ამ დარგში არ უღვაწია ან, უბრალოდ, ჩვენ არ ვიცით ამის შესახებ.

ჩვენი სხვა ლირიკოსები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ღრმა, თუმცა, ამავდროულად, მძიმე პოეტები იყვნენ. უპირ-

ველეს ყოვლისა, ბარათაშვილს ვგულისხმობ, რომელიც ძალიან დიდია, უბრალოდ, მის ლექსს ერთგვარი ტონალური სიმძიმე ახასიათებს, რაც ბევრისთვის ძნელად აღსაქმელია; ამიტომაცაა, რომ ყველაფერთან ერთად, მისი ფილოსოფიური სიღრმის გამო დღემდე არ ჰყავს იმდენი მკითხველი, რამდენიც ეკუთვნის.

აკაკის კი არც მკითხველი აკლდა არასდროს და არც წარმატება; როგორც პოეტი, უბედნიერესი კაცი იყო, ვინაიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფედ მიიჩნევდნენ. ამან ჩამოუყალიბა წარმოდგენა საკუთარ თავზე, ბევრი დიდი საქმეც გააკეთებინა და რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომაც დააშვებინა, რაც ჩვეულებრივი ამბავია ამოდენა გაქანების ადამიანისთვის.

აკაკი როსტომის ძე წერეთელი 1840 წელს, სოფელ სხვიტორში, თავადის ოჯახში დაიბადა. ზოგადად, დიდი ქართველი მწერლები, ძირითადად, არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ (ამ ტრადიციას პირველი ვაჟა-ფშაველა დაარღვევს და ეს არ იქნება მარტივი).

აკაკიმ ბავშვობა სავანეში, გლეხის ოჯახში, ძიძასთან გაატარა, რაც კარგად აისახა მთელ მის შემდგომ შემოქმედებაში; ის შესანიშნავად იცნობდა არა მარტო იმ წრეს, რომელშიც დაიბადა, არამედ იმ წრესაც, რომელშიც გაიზარდა. ბრწყინვალედ იცნობდა საქართველოს ისტორიას, ქართველ ხალხს, მის ხასიათს, მისწრაფებებს. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში (აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე), რომელიც 1863 წელს კანდიდატის ხარისხით დაასრულა. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ამ პერიოდში უმაღლესი განათლება სრულად იშვიათად რომ ვინმეს მიეღო, მით უმეტეს

პოეტებს. მიუხედავად ამისა, აკაკი, ალბათ, ერთადერთი მწერალია საქართველოს ისტორიაში, რომელსაც არასდროს, არც ერთ სამსახურში არ უმუშავია (ამ თვალსაზრისით, აკაკის ბედი ნაწილობრივ გალაკტიონმაც გაიზიარა, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ მან ერთი-ორჯერ სადღაც წაიმუშავა).

ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო; 1860 წელს გამოქვეყნებულმა ლექსმა „საიდუმლო ბარათი“, რომელიც ხალხში იმთავითვე სიმღერის სახით გავრცელდა, ახალგაზრდა ავტორს წარმოუდგენელი პოპულარობა მოუტანა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჯგუფ „ბითლზს“ ჰქონდა ინგლისში.

აკაკი მალევე იქცა მთელი საქართველოს საყვარელ პიროვნებად, რომელიც განთქმული იყო შესანიშნავი იუმორის გრძნობით, მახვილგონიერებით, გარკვეული მოვლენების ცინიკური შეფასებით; სულით-ხორცამდე ქართველი, რუსეთის იმპერიის მოძულე (მიუხედავად იმისა, რომ აკაკის რუსი მეუღლე ჰყავდა, ის ყოველთვის ეროვნულ ნიადაგზე რჩებოდა და შესანიშნავად ესმოდა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთმიმართება).

წარმომავლობის მიუხედავად, მატერიალურად ხელმოკლედ ცხოვრობდა – ოჯახიდან მიღებული ქონება მალევე დაიხარჯა, პოეზიით თავის რჩენა კი როგორც მაშინდელ, ისე დღევანდელ საქართველოში, სრულიად წარმოუდგენელი ამბავი იყო და არის. მუშაობით, როგორც აღვნიშნეთ, არასდროს უმუშავია. მიუხედავად ამისა, ზეაქტიური კაცი იყო. მას უზარმაზარი დამსახურება აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და მის ფუნქციობაში; ასევე, ქართული დრამატული საზოგადოების შექმნის სერიოზული მოამაგე იყო; თავადაც შესანიშნავი პუბლიცისტი, რამდენიმე ჟურნალის გამოცემაშიც კი

მონაწილეობდა; რედაქტორობდა ეროვნული მიმართულების იუმორისტულ-სატირულ ჟურნალ „ხუმარას"; ამ ანტირუსული, ანტიცარისტული გამოცემის გამო 1907 წელს დააპატიმრეს კიდეც.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში – როგორც სიტყვით, ისე საქმით და ამისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა; ამ საკითხზე წერდა ლექსებს, პროზას, პუბლიცისტიკას. საერთოდ, ასეთი გულმხურვალე და უყოყმანო პატრიოტი რთული წარმოსადგენია. სწორედ აკაკი წერეთელი გახდა მთავარი პოეტი ეროვნული მოტივისა, იმიტომ, რომ როგორც პოეტს, ნაკლებად ვინმე გასჯიბრებოდა; ფორმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა ყველა თანამედროვე პოეტთან შედარებით, სანამ, რა თქმა უნდა, პოეზიაში არ გამოჩნდა ახალი ხალხი, უპირველეს ყოვლისა კი, ვაჟა; ვაჟასა და აკაკის ურთიერთობაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

აკაკის შემოქმედებაში სრულიად წარუშლელი კვალი დატოვა სულიერი კულტურისადმი მისმა მიდრეკილებამ. იგი ისტორიას ხედავდა აბსოლუტურად თანამედროვე თვალით, ამიტომ, მის ისტორიულ პოემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აკაკიმ მნიშვნელოვნად წაწია წინ ქართული ლექსი და იმდენად პოპულარული იყო, რომ მისი 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, ასევე, 1912 წელს, მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, გრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლებში, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძესთან ერთად, შეიძლება ითქვას, აკაკისაც განსაკუთრებული როლი აქვს,

ვინაიდან ქართულ ლირიკაში სწორედ მან დაუდო სათავე იმ არტისტიზმს, რომელიც მანამდე წარმოუდგენელი ჩანდა. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ბესიკი შესანიშნავად ფლობდა ენას, ფორმას და ა. შ. მაგრამ აკაკი სულ სხვა ხაზია. ნათლად ჩანს, რომ მის შემოქმედებაში სპარსულ პოეზიასთან არანაირი კავშირი არ არსებობს. ის არის პირველი ქართველი, ევროპული ტიპის პოეტი, რომელმაც ფორმა და შინაარსი მთლიანად ქართული გახადა. მართალია, გაცილებით უფრო რთული, ფილოსოფიური პოეზია გვქონდა მანამდე, მაგრამ ის არ იყო მისაწვდომი ხალხისთვის; ვერავინ იტყვის, რომ ბარათაშვილი სახალხო პოეტი იყო, აკაკი კი გახდა! ბედის ირონია!!!

ახლა შეიძლება ღიმილისმომგვრელია, მაგრამ, ფაქტია, მთელი ცხოვრების განმავლობაში, გალაკტიონი ხშირად იღებდა აკაკისთვის დამახასიათებელ პოზებს, ვინაიდან აღფრთოვანებული იყო მისით და სვამდა კითხვას – ვის ვგავარ მე? რა თქმა უნდა, მისთვის მისაღები ერთადერთი პასუხი იყო – აკაკის! არც ის არის შემთხვევითი, გალაკტიონი ხშირად რომ ახსენებდა ბარათაშვილსა და აკაკის, თუმცა, მათი მოსწავლე, ფორმის თვალსაზრისით, ყველაზე წინ წავიდა...

აკაკის ლექსი ქართული პოეზიის სიმაღლეა, მისი ერთერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინაიდან ამ პოეზიაში გამოიკვეთა არა მარტო აკაკის პატრიოტიზმი, არამედ უმსუბუქესი ფორმის შეგრძნება. საერთოდაც, აკაკი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ყველაფერზე შეეძლო ლექსის წერა. ამ ფონზე, ბევრი ფიქრობდა, თითქოს ის უბედნიერესი, პრობლემების არმქონე ადამიანი იყო, მაშინ, როცა, რეალურად, საკმაოდ რთული ცხოვრება ჰქონდა.

აკაკი წერეთელს არ ჰქონია ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. მისი მეუღლე – ნატალია წერეთლისა, ქალიშვილობის გვარით – ბაზილევსკაია, რუსეთის ოქროს მადნების მაგნატის ქალიშვილი იყო; მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება ნატალიას მამინაცვალს ჩაუვარდა ხელში და ქალმა პრაქტიკულად ვერაფერი მიიღო; ამიტომაც, ყოველგვარ აზრსაა მოკლებული იმაზე საუბარი, თითქოს აკაკიმ ეს ქალი ანგარებით შეირთო ცოლად. რეალურად, ნატალიას გათხოვებას სულ სხვა ადამიანზე აპირებდნენ, რის გამოც ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალი თავის მოკვლასაც კი აპირებდა. სწორედ ამ დროს გაიცნო აკაკიმ, შეუყვარდა და შეირთო კიდეც ცოლად.

სხვათა შორის, უსაფუძვლოა ის მითქმა-მოთქმაც, თითქოს აკაკის ცოლი არ უყვარდა. ამ აზრის აბსურდულობაში მარტივად დარწმუნდებით, თუკი ნატალიასადმი აკაკის მიწერილ წერილებს წაიკითხავთ. საქმე სხვაგვარადაა; ნატალია საქართველოში ცხოვრებისთვის არ იყო მზად, შესაბამისად, მთელი ცხოვრება შვილთან ერთად უცხოეთში გაატარა და თანაც აკაკის ხარჯზე – მუდმივად ფულს სთხოვდა და, ალბათ, ამითაც იყო გამოწვეული, რომ აკაკის გამუდმებით აწუხებდა უსახსრობა; რასაც შოულობდა, უცხოეთში მცხოვრებ ცოლ-შვილთან აგზავნიდა.

ამავდროულად, ასეთი გარეგნობის, წარმომავლობისა და პოპულარობის კაცი, ბუნებრივია, მარტო ვერ დარჩებოდა – აკაკის უამრავი შემთხვევითი კავშირი ჰქონდა, ამას მოწმობს მისი მსახურების მოგონებებიც. სამწუხაროდ, ზოგჯერ ლიტერატურათმცოდნეები ცდილობენ, რომ ასეთი ამბები მიჩქმალონ, არ დაინახონ და ა. შ. ეს არ არის საჭირო. დღეს არ უნდა ვღელავდეთ იმაზე, როგორი მეოჯახე იყო აკაკი, საერთოდაც, თუკი რამე კარგი ხდებოდა მის ცხოვრებაში,

პოეზიაში, ხდებოდა იმიტომ, რომ შეყვარებული იყო. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ზეპირად" შეყვარებული პოეტები იშვიათობაა ბუნებაში და ამ, და არა მარტო ამ, თვალსაზრისით, ყველა გალაკტიონი ვერ იქნება, სწორად არ მიმაჩნია ამ კუთხით აკაკის მისამართით რამე პრეტენზიის გამოთქმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკის ხშირად ჰქონდა შემთხვევითი კავშირები, ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ფაქტობრივად, რჩებოდა ნატალიას ქმრად, იგი ცოლს მუდმივად უგზავნიდა თანხას. სხვა მხრივ, ნატალიას საქართველოში არ უცხოვრია და, შესაბამისად, აკაკი თავისუფალი კაცი იყო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთი შემთხვევა სერიოზული მითქმა-მოთქმის საბაბად იქცა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აკაკის უმძიმეს დანაშაულში სდებდნენ ბრალს, რადგან უგვირგვინო მეფედ შერაცხულ კაცს 30 წლით უმცროსი ქალი, ტასო მაჩაბელი, საკუთარი მეგობრის, ივანე მაჩაბლის, მეუღლე შეუყვარდა...

ქალბატონი ტასო მაჩაბლისა, ქალიშვილობაში ბაგრატიონი, დედით წერეთელი, იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქალი იყო და არაფერია გასაკვირი, რომ აკაკის გულმა მისკენ გაუწია. რა თქმა უნდა, მეგობრის ცოლის შეყვარება უდიდესი მორალური დილემაა, თუმცა, როგორც ამბობენ, ვანო მაჩაბლის სიცოცხლეში აკაკის ტასოსადმი საკუთარი გრძნობები არ გაუმჟღავნებია. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ არ მომხდარა ეს ამბავი, თორემ დამალვით, ალბათ, ვერ დამალავდა.

და აი, 1898 წლის 26 ივნისს, ივანე მაჩაბელი უკვალოდ დაიკარგა. არავინ იცის, რა მოხდა. დაიკითხა ტასო და დაი-

კითხა აკაკიც, როგორც უახლოესი მეგობარი. გავრცელდა ბინძური ჭორები, რომ აკაკის პირდაპირი კავშირი ჰქონდა ივანეს გაქრობასთან, თუმცა დოკუმენტურად ასეთი რამ არ დასტურდება.

ტასო მაჩაბლის სასახელოდ კი უნდა ვთქვათ, რომ ის კვლავაც რჩებოდა აკაკის მეგობრად, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უგვირგვინო მეფედ შერაცხული კაცის სურვილი, ჰყოლოდა ასეთი შეყვარებული, გნებავთ – საყვარელი, არ აღსრულდა, ეს ციხესიმაგრე აკაკისთვის აუღებელი დარჩა.

საერთოდაც, აკაკის სერიოზული კონფლიქტები ჰქონდა იმ ეპოქის გიგანტებთან: ილიასთან, მაჩაბელთან, ვაჟასთან... და როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ასეთ დროს, მივჩქმალოთ? დავკმაყოფილდეთ ძეგლით, სადაც ერთად დგანან აკაკი და ილია? თუ ვთქვათ სიმართლე, რომ მათ შორის დიდი წინააღმდეგობა იყო, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში?

საინტერესოა, რომ ილიასა და აკაკის შორის კონფლიქტი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსთაველის გამო წარმოიშვა; მოგეხსენებათ, აკაკი პოეტების მეფედ იყო შერაცხული და მას, როგორც ასეთ მნიშვნელოვან ფიგურას, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლექციების წაკითხვა შესთავაზეს.

მან სამი ლექცია წაიკითხა ამ თემაზე, თუმცა, საკმაოდ ზედაპირულად. აკაკი პოეტი იყო, ამ სიტყვის ყველაზე უკეთესი გაგებით, ამიტომაც ამ ლექციებში გულწრფელად გადმოშალა თავისი მოსაზრებები, რაც საკმაოდ უცნაური აღმოჩნდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ასპარეზი საქართველოა, ხოლო გმირების ხასიათებში გადმოცემულია საქართველოს მრავალფეროვნება, კერძოდ, ამ გმირების სუბეთნიკური კუთვნილება; მან თქვა, რომ ტარიელის კახელობა ეჭვს

არ იწვევს, ავთანდილი, რომელიც უფრო მოსწონდა, იმერელი იყო, ფრიდონი კი შავი – ზღვისპირელი.

აკაკის ამ კონცეფციამ ააღელვა ილია ჭავჭავაძე და საკმაოდ მწვავედ გამოეხმაურა – აკაკიმ „ვეფხისტყაოსანს“ „ჯუჯრუტანიდან“ შეხედაო. ბუნებრივია, ეს ამბავი არ მოეწონა აკაკის და ამ თემაზე სერიოზულად იკამათეს.

თუმცა, ეს კონფლიქტი არაფერია იმასთან შედარებით, რაც აკაკისა და ვაჟას შორის მოხდა. როდესაც ვაჟას გამოჩენის შემდეგ, ილიამ თქვა, ჩვენ, ძველებმა, კალამი გვერდზე უნდა გადავდოთო, ეს არ მოეწონა აკაკის. იმ დროისთვის ილია ისედაც აღარ წერდა მხატვრულ ტექსტებს, ძირითადად პუბლიცისტიკაში მოღვაწეობდა და გასაგები იყო, ვის გასაგონადაც თქვა ზემოხსენებული სიტყვები. აკაკი უზარმაზარი ფიგურა იყო და, როგორც ჩანს, ამ ფრაზამ სერიოზულად გააღიზიანა. მას არ მოსწონდა ვაჟა-ფშაველა, თანაც იმდენად, რომ 1913 წელს ლექსად მისწერა, „ენას გიწუნებო“. ამას გარდა, აკაკი ჟურნალ „კვალის“, იმ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, რომელიც ვაჟას ლექსებს არ უბეჭდავდა. და კიდევ ერთი – იუბილეებით განებივრებული აკაკის მიერ ვაჟასთვის „ენის დაწუნება“ იმის საბაბადაც კი იქცა, რომ ჩაიშალა ვაჟა-ფშაველას იუბილე, რომელიც იმ დროისთვის მზადდებოდა.

რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას ეს ამბავი განსაკუთრებით ეწყინა და აკაკის ლექსი ძალიან მტკივნეულად აღიქვა. „ენას გიწუნებ ფშაველო“-ში ვაჟამ ენის დაწუნებაზე ბევრად მძიმე „ბრალდება“, კაცის ფშავლობის, წარმომავლობის გამო დაწუნება დაინახა, რაც კარგად ჩანს მის მიერ აკაკისთვის მიწერილ საპასუხო ლექსში.

შესაძლოა, აკაკის არ ეკუთვნოდა ასეთი პასუხი, ისე როგორც ვაჟას – აკაკისგან ენის დაწუნება, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი ამბები ხდებოდა და, ზოგადად, რა დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ საზოგადოებას ორ ამოდენა კაცთან, იმითაც კარგად ჩანს, რომ 1915 წელს, გარდაცვალების შემდეგ, აკაკი მთაწმინდაზე დაკრძალეს, ვაჟა კი არა...

დასასრულ, დავუბრუნდეთ აკაკის ბიოგრაფიის ყველაზე საჩოთირო ამბავს. ცნობილია, რომ სიკვდილის პირას მყოფ მგოსანზე, რომელსაც მისივე შემოქმედებას უკითხავდნენ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება „გამზრდელმა“ მოახდინა. აკაკიმ შესანიშნავად იცოდა საკუთარი ხასიათის დადებითი და უარყოფითი მხარეები და დარწმუნებული ვარ, „გამზრდელში“ მხოლოდ იმ ამბავს კი არ ხედავდა, რომ მოსწავლეთა ამორალური საქმეების გამო მასწავლებლები აგებენ პასუხს და ამიტომ კი არ თქვა თვალზეცრემლმომდგარმა – „კარგად დამიწერიაო“, არამედ მას საოცრად ცოცხლად გამოუვიდა დანაშაული, რომლის გამოც კაცმა კაცი არ მოკლა, დანაშაული, რასაც მასაც აბრალებდნენ, დანაშაული სიყვარულის გამო. აკაკი ხომ პირადად იცნობდა ამ საკითხს, ამიტომაც, სწორედ ამ თვალსაზრისით, „გამზრდელი“ განსაკუთრებული მნიშვნელობის პოემაა.

რა თქმა უნდა, ამ კუთხით, აკაკი მორალურად სხვაზე უკეთ არ გამოიყურება, მაგრამ ეს მაინც პოეზიის ამბავია; მსურს ყველას შევახსენო, რომ 73 წლის გოეთემ სრულიად სერიოზულად ითხოვა 19 წლის გოგონას ხელი და მშობლებისგან უარის მიღების შემდეგ, დაწერა ლექსი – „მარიენბადის ელეგია“, რომლის წაკითხვისას ისე გეწვის გული, თითქოს გოგონას მშობლებმა 20 წლის შეყვარებულ ბიჭს უთხრეს უარი.

ასე რომ, აკაკისთან დაკავშირებითაც, ბუნებრივია, არსებობს პრეტენზიები, მაგრამ, როგორც წესი, მათი უმეტესობა არ ეკუთვნის კაცს, რომელმაც სამშობლოს მხოლოდ ერთი რამ სთხოვა:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..

ბუნებრივია, სანამ იარსებებს საქართველო, სანამ არსებობს ქართული ენა, მანამდე იქნება აკაკი წერეთელი, ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოსტატი ამ ენისა.

თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ კატეგორიულად მიუღებელია, ვინმემ ამ ჩვენი დიდი გენიოსების, მათი ურთიერთობების, კონფლიქტების ნიუანსების დამალვა სცადოს! ეს ამბები თითოეული ჩვენგანისათვის უნდა იყოს ცნობილი, ეს ეხება როგორც აკაკისა და ვაჟას, აკაკის, ილიას, ივანე მაჩაბლის, ილიასა და ნიკო ნიკოლაძის კონფლიქტებს, მათს დუელს, იმას, თუ რატომ უწოდა ილიამ ნიკოლაძეს ცუდი კაცი, რატომ მოიხსენია ცინიკურად აკაკიმ ილიაცა და ნიკოლაძეც და ა. შ. არა მარტო მათი მეგობრობა, მათი დაპირისპირებაც ხომ ჩვენი ისტორიაა?!

ღირი გულგრილად მისტოვებული

ივანე მაჩაბელი ალბათ ერთადერთი ადამიანია XIX საუკუნეში, რომელმაც შეძლო საქართველო ევროპასთან რუსეთის გზის გავლის გარეშე დაეახლოვებინა. ამ ადამიანმა მოახერხა და ჩამოაყალიბა ახალი ევროპა საქართველოში.

მანამდე, საქართველოს ევროპასთან რუსეთის გავლით კავშირი ერეკლე მეორის გადაწყვეტილებით იწყება; აღმოსავლეთთან დაპირისპირების ფონზე ჩვენ მაშინდელ რუსეთთან, როგორც უახლოეს ევროპასთან, ისე მივედით.

ზოგადად, ქართველებს ყოველთვის მიგვიწევდა ევროპისკენ გული, თუმცა ერეკლეს მიერ ევროპასთან მისასვლელი ამ გზის არჩევას თავისი მიზეზები აქვს; მათ შორის ერთერთი, ალბათ, ისიცაა, რომ თავის დროზე დასავლეთ ევროპის გზა ჩვენთვის დახურული აღმოჩნდა; სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან საქართველო ევროპას ისეთ რამეს სთხოვდა, რაც მას (ევროპას) ხელს არ აძლევდა; აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩვენი და

ევროპის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც განწირულები ვიყავით და ესეც ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია იმისა, რომ ევროპასთან ასე უცნაურად, არცთუ ევროპული ქვეყნის გავლით მივსულიყავით.

აი, ივანე მაჩაბელი კი არის კაცი, რომელმაც თავადაც რუსეთის გზა გაიარა, მაგრამ ევროპაში საქართველო რუსეთის გვერდის ავლით წაიყვანა! მისი ეს ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ისევე როგორც მისი დამსახურება ქართული კულტურის, ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინაშე, რომელიც მან ხელახლა შექმნა.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ მთარგმნელობითი კულტურა გვაქვს მას შემდეგ, რაც ვარსებობთ; ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ მაინც, რაც დამწერლობა გვაქვს. ჩვენ ყოველთვის ვიყავით აღმოსავლეთის მთარგმნელები; შესანიშნავად ვიცნობდით აღმოსავლურ, ბერძნულ, ქრისტიანულ ლიტერატურას. შემდეგ ეს კავშირი გაწყდა, თუმცა არც ახალი კავშირები გაგვიბამს, რადგან XVII საუკუნე უმძიმესი დრო იყო საქართველოსთვის, XVIII საუკუნეში კი ვეღარ ვიხედებოდით ევროპისკენ, ამიტომაც, წავიდეთ იქ, სადაც მიგვესვლებოდა, მაშინ, ჯერ კიდევ შედარებით ევროპულად განწყობილი მეზობლისაკენ...

არ ვაპირებ ამ ტექსტში ერეკლე მეორის ნაბიჯებზე ვისაუბრო, თუმცა, ფაქტია, რომ XIX საუკუნეში ევროპა, ევროპული სახელები ბაირონისა, გოეთესი და ა. შ. საქართველოში რუსეთის გავლით შემოდის; ქართველები, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ, განათლებას რუსეთში იღებენ, ხოლო ვისაც განსაკუთრებულად გაუმართლა, სწავლას, ძირითადად, გერმანიაში ან საფრანგეთში აგრძელებენ.

ანალოგიური გზა გაიარა ივანე მაჩაბელმაც, რომელსაც ხშირად ახსენებენ თერგდალეულებთან ერთად, თუმცა 1860-იანი წლებისთვის ის საკმაოდ ახალგაზრდა იყო და 60-იანელთა რიგებში ბუნებრივად ვერ ჩაეწერება, თუმცა, მაჩაბელი ძალიან ახლო მეგობარი და თანამებრძოლი გახდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჩვენ თერგდალეულების სახელით ვიცნობთ.

საინტერესოა, რომ როგორც ყველა დიდ ადამიანს საქართველოში, ივანე მაჩაბელსაც, როგორც კი სიდიადის ნიშანი დააჩნდა, საქართველომ ტრაგედიის ნიშნებიც დაატყო. ეს დაუწერელი კანონია, ასე იყო რუსთაველის, ბარათაშვილის, გალაკტიონის და არაერთი ჩვენი განწირული თანამემამულის შემთხვევაში. ასე აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის შემთხვევაშიც. გენიასთან ერთად, მაჩაბელს ტრაგედიაც დაებედა – მისი ცხოვრება უცნაურად დასრულდა და დღესაც კი, ამდენი წლის გასვლის შემდეგ, ჩვენ კვლავ მსჯელობთ, როგორ დასრულდა მისი სიცოცხლე.

მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველი თერგდალეულების საქმის გამგრძელებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე და ახალი სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი. მაჩაბლის როლი განსაკუთრებულია იმითაც, რომ მან ეს ენა შეამოწმა მომავალ მსოფლიო ენასთან შედარებით.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მაჩაბელი თავანკარა ქართულს ფლობდა. ის ხომ სამაჩაბლოში, სოფელ თამარაშენში, დაიბადა 1854 წელს. ქართულ სინამდვილეს ბავშვობიდანვე გაეცნო, ბრწყინვალედ ისწავლა ქართული ფოლკლორიც, რაშიც კიდევ ერთი უნიკალური ქართველი ფიგურა

– პეტრე უმიკაშვილი ეხმარებოდა. პეტრე მოსწავლეებს ქართული კულტურის სიყვარულს უღვივებდა, აგროვებინებდა ქართული ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ავარჯიშებდა მხატვრულ თარგმანში; სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეულია მაჩაბლის პირველი თარგმანიც; არაა გასაკვირი, რომ მასაც, ტრადიციულად, როგორც მთარგმნელებს ახასიათებთ, ანტიკური ლიტერატურის თარგმნით დაუწყია.

გიმნაზია 1870 წელს დაასრულა და შემდეგ, 1871-1874 წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო საგნებს ეუფლებოდა; თუმცა, მალევე იურიდიული მიმართულებით განაგრძო სწავლა. მის გადაწყვეტილებაზე შესაძლოა იმანაც იმოქმედა, რომ პეტერბურგში ბანკის საქმეების გამო ჩასული ილია ჭავჭავაძე გაიცნო. ყველანაირი თვალსაზრისით, ეს საბედისწერო კავშირი იყო; მათ ჯერ ერთად დაიწყეს თარგმნა, შემდგომ ერთად მუშაობდნენ ბანკში, ბოლოს კი შვიდი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც ხდება ხოლმე დიდ ადამიანებს შორის.

საქართველოს ისტორია სავსეა დიდი ადამიანების ურთიერთდაპირისპირებით, ვანო მაჩაბელს ასეთი ბრძოლა ჰქონდა ილიასთან; ეს არც არის გასაკვირი, იმიტომ, რომ ასეთი დაპირისპირება იყო ნიკო ნიკოლაძესა და ილია ჭავჭავაძეს შორის; ილიასა და აკაკი წერეთელს შორის; ვანო მაჩაბელსა და აკაკის შორის საერთოდ განსაკუთრებული ამბები მოხდა, იმიტომ, რომ იქ კიდევ სხვა, პირადი მოტივები დაემატა, მოგეხსენებათ, აკაკის ვანო მაჩაბლის მეუღლე უყვარდა...

მიუხედავად იმისა, რომ ილიასა და აკაკის დიდი სახელი ჰქონდათ, ამ კონფლიქტებში მაჩაბელი უმცროსი მხარე არასდროს ყოფილა, ვინაიდან მაჩაბელიც მათი დარი სახელია, მით უმეტეს, რომ ეს იყო კაცი, რომელსაც დარგში, რომელშიც

მოლვაწეობდა, არც მეგობარი ჰყოლია, არც მეტოქე და არც კონკურენტი; ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე, ივანე მაჩაბელი ნომერ პირველი მთარგმნელია ჩვენს ისტორიაში.

თანამედროვეებისგან მას ერთი განსაკუთრებული ამბავიც განასხვავებდა. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული კულტურის უმაღლესი წარმომადგენლები, პრაქტიკულად, ორენოვნები არიან, თავისუფლად საუბრობენ როგორც ქართულად, ისე რუსულად. ვანო მაჩაბელი არის პრაქტიკულად ერთადერთი ადამიანი ამ თაობაში და ამ თაობის შემდგომ თაობაში, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა არა მხოლოდ ქართულსა და რუსულს, არამედ ინგლისურს, გერმანულსა და ფრანგულს.

საქმე ის გახლავთ, რომ მაჩაბელი ორი წელი ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც არავინ იყო ისეთი, ვისაც მისთვის ნაცნობ ენაზე დაელაპარაკებოდა, ამიტომაც, ძალიან სწრაფად ალაპარაკდა „ნემენცურად“. და მაშინ, როდესაც გერმანულ ენაში ღრმად გაერკვა, მისი გერმანული ეპოპეა დასრულდა. პარიზში გაემგზავრა და შეძლო პრაქტიკულად შეუძლებელი – ცდუნებათა გარეშე იცხოვრა იმდროინდელი მსოფლიოს დედაქალაქში! წარმოიდგინეთ, გერმანიაში ყოფნისას, მაჩაბელი შეეჩვია გარემოს, სადაც იყო მეცნიერება, ლაბორატორია, სწავლა, შრომა და მეტი არაფერი და ამის შემდეგ პარიზი, სადაც ყველაფერია, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მეცნიერება, ლაბორატორია, სწავლა და შრომა. თუმცა მან გაუძლო ცდუნებებს და საერთოდაც, თუკი მის წერილებს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ეს კაცი განსაკუთრებული სისუფთავით გამოირჩეოდა, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით.

მაჩაბელი პატიოსანი იყო როგორც საკუთარ თავთან, ისე სხვებთან და, რაც მთავარია, უკიდურესად მოწესრიგებული სასიყვარულო საქმეებში, იმდენად, რომ ზოგჯერ სხვებს დონჟუანობას უსაყვედურებდა. ის სხვა პრიზმიდან უყურებდა ევროპას, ევროპა მისთვის დასაპყრობი ადგილი არ იყო, ის იქ სასწავლებლად ჩავიდა, რაც წარმატებით შეძლო კიდეც.

სწორედ ევროპაში ცხოვრებისას დაინახა მან კაცობრიობის მომავალი, თუ საით, რომელი ენის პრიმატისკენ მიდიოდა მსოფლიო და რომელი კულტურა და მწერალი ხდებოდა სამყაროს სულთამპყრობელი.

აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ილია ჭავჭავაძე, ჩვენი გენიოსი, რომელმაც საქართველო ევროპეიზმს აზიარა; თუმცა, ილიასთან აშკარად ჩანს, რომ ღერძი, ცენტრი – გერმანული სამყაროა, რაც იყო კიდეც ასე, მაგრამ, მაჩაბელმა მომავალი ცენტრი დაინახა. მან შეამჩნია ის ფიგურა, ურომლისოდაც არ არსებობს მსოფლიო კულტურა, ურომლისოდაც არ უნდა არსებობდეს არც ქართული კულტურა.

ისღა გვეთქმის, რომ ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ, რადგან უკვე XIX საუკუნიდან გვაქვს შექსპირის ბრწყინვალე ქართული თარგმანები. ეს არ არის უბრალო ამბავი, რადგან, რომ არა მაჩაბელი, შეიძლება გვქონოდა ნომინალური შექსპირი, თუმცა დაახლოებით ისეთი, როგორიც გვქონდა ემილ ზოლა და სხვები, ანუ ისეთი თარგმანები, რომლებიც ხელახლა გაგვიხდებოდა სათარგმნი.

და აი, როდესაც დღეს საუბარია, თითქოსდა მაჩაბლის თარგმანები მოძველდა, რატომ არ ითარგმნება შექსპირი?! საქმე ისაა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო შექსპირის თარგმნა ურთულესია.

უპირველეს ყოვლისა, ეს არ არის ის ინგლისური, რომელიც ვიცით ჩვენ, ე. წ. გლობიში; შექსპირის თარგმნისათვის 1500 კი არა, 30-ათასსიტყვიანი ინგლისურია საჭირო; ამასთანავე, საჭიროა ვაჟკაცობა, რომ შექსპირს თავი გაუტოლო. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან ჰქონდა ვანო მაჩაბელს ამოდენა ამბიცია და ვაჟკაცობა – მესმის, რატომ თარგმნა ვანო მაჩაბელმა „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“, მაგრამ, ვერც კი ვვარაუდობ, როგორ ეყო იმის სიმამაცე, „კორიოლანუსი“ ეთარგმნა. ასეთი კაცი იყო, ურთულეს თემებს მოჰკიდებდა ხელს და გააკეთებდა კიდეც.

და კიდევ ერთი, მთავარი სირთულე – მაჩაბელმა, შექსპირს რომ თარგმნიდა, კარგად იცოდა, რამოდენა მნიშვნელობა ჰქონდა ტექსტში გარკვევას, რათა თარგმანი ყოფილიყო ზუსტი. არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ფაქტია, შექსპირის ნაწარმოებები შემდგომშიც ითარგმნებოდა, საკმაოდ კარგად და ხარისხიანად, თუმცა ყოველთვის დგებოდა სიზუსტის პრობლემა; პირდაპირ რომ ვთქვათ, სხვა პერიოდის თარგმანში არის შეცდომები! მაჩაბელთან კი ეს შეცდომები არ გვხვდება, მისი თარგმანები უზუსტესია!

თუკი მის თარგმანებში რამე პრობლემაა, ეს პირველ თარგმანში, „მეფე ლირში“ გვხვდება. არც ილიას მინდა დავაბრალო და არც ვანოს, ეს ერთობლივი შრომის პრობლემა უფრო მგონია – თარგმანი ორი კაცის ერთად საკეთებელი საქმე არ არის. სხვათა შორის, „მეფე ლირი“ ორივესთვის ტრაგედიად იქცა; ცხოვრებაში ილიამაცა და ვანომაც ლირის ბედი გაიზიარეს. ლირის მსგავსად მოექცა ქართველი ხალხი ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც საკუთარ გამოცემაში წერილებსაც აღარ უქვეყნებდნენ და ბოლოს მოკლეს კიდეც, თუმცა

ილია 70 წლის მაინც იყო, მაჩაბელს სრულიად ახალგაზრდას ეწვია ლირის ტრაგედია...

მაჩაბლის თარგმანებს რომ დავუბრუნდეთ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენ გავასწარით მთელ მსოფლიოს ხარისხიანი შექსპირით, იმიტომ, რომ ვანო მაჩაბელი გვყავდა! ეს ჩვენი გენიოსი, თარგმანის მამა, წარმოუდგენლად ძლიერია შექსპირის ყველაზე რთულ ნაწილში – სიტყვებთან თამაშში!

არცთუ იშვიათად, მთარგმნელები გაურბიან სიტყვათა თამაშის თარგმნას, ისე იქცევიან, თითქოს ვერც ამჩნევენ და, რაც ყველაზე ტრაგიკულია, ხშირად მართლა ვერ ხედავენ მას. სიტყვათა თამაშის გადმოუცემლობა დაახლოებით ისეთი რამ არის, მრავალფეროვანი სამყარო მხოლოდ შავ ან თეთრ ფერში რომ დავხატოთ. სიტყვათა თამაშის არდანახვა არ შეიძლება, მაგრამ როცა ხედავ, გადმოცემა ძნელია. მაჩაბელი ამის დიდოსტატია!

მაგალითად, „ჰამლეტის" ერთ-ერთ ეპიზოდში, პოლონიუსი ამბობს, რომ ახალგაზრდობაში კეისრის როლს ასრულებდა და ბრუტუსმა მოკლა და აი, ნახეთ, რა საოცარია მაჩაბლის ენობრივი სიმაღლე?! მან ეს პასაჟი ასე თარგმნა – მაშ, ის ბრუტი, ბრუტიანი ყოფილა!

ვანო მაჩაბლის თარგმანის კითხვისას ჩვენ ვგრძნობთ, რომ დრო გავიდა, სალიტერატურო ენა შეიცვალა და ამ თვალსაზრისით XIX საუკუნის ენას გარკვეული სიმძიმე ახლავს თან, მაგრამ მაჩაბელი ისე თარგმნის, ისეთ ილეთებს იყენებს, ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ჩვენ წინაშე ფიგურული მოსრიალეა, რომელიც აფრინდება და, ვითომც არაფერი, ისე შეასრულებს ოთხმაგ ბრუნს.

მისი თარგმანებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ჰამლეტის“ ფინალური პასაჟი, სადაც ინგლისურად ნათქვამია – დაე, ჰამლეტი, როგორც სამხედრო, აწიოს ცაში ოთხმა კაპიტანმა. ეს უბრწყინვალესი ფრაზა კიდევ უფრო ბრწყინვალე გახდა მაჩაბლის თარგმანში, რადგან, კაპიტნის ნაცვლად, მან გამოიყენა უძველესი ქართული სიტყვა!

მოგეხსენებათ, საქართველოში სამხედრო ტერმინოლოგია გაჯერებული იყო აღმოსავლური სიტყვებით: ლაშქარი, ამირსპასალარი და ა. შ. მაჩაბელი, რომელიც გაურბის აღმოსავლურ ტერმინოლოგიას, ევროპულ სიტყვას – კაპიტანი, ცვლის სხვა ევროპული, ოღონდ ქართული ტერმინით:

> უბრძანეთ, ოთხმა ასისთავმა ჰამლეტის გვამი
> მაღლა საკაცეს აასვენონ, როგორც სარდალი.

ამ კაცმა პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო და ღრმად ევროპული შექსპირი – ღრმად ევროპული ქართულით თარგმნა!

რა თქმა უნდა, მაჩაბელი არ არის მარტო შექსპირი, არაერთი ამბის გახსენება შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დიდი შრომა გასწია სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისთვის, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მას და ილია ჭავჭავაძეს, როგორ მიმდინარეობდა მათ შორის შვიდწლიანი ომი და ა. შ.

დღეს ჩვენ ვიცით, ვინ არის ერის მამა და, ბუნებრივია, გვეჩნდება წინასწარი განწყობა, რომ ამ ორი ტიტანის დაპირისპირებაში ილია უფრო მართალი იყო, რომ ილია უფრო ევროპელი იყო, მაჩაბელი კი უფრო ქართულად იქცეოდა, მაგრამ, თუკი საქმეში კარგად ჩავიხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ მათი დაპირისპირება ორი ევროპელის შეჯახე-

ბაა. ეს ჩვენთვის, ქართველებისთვის, დიდი ბედნიერებაა, რომ ილიასა და ივანეს კონფლიქტი არა ევროპასა და აზიას, ქართველობასა და ევროპულობას, შრომასა და სიზარმაცეს, არამედ ორ ევროპულ თვალსაზრის შორის იყო! რაც მთავარია, ივანე მაჩაბელი ამ კამათში მტყუანი არ არის! რეალურად, ვანო მაჩაბელი ახალი სიტყვა იყო! ხოლო უკვე ასაკოვანი ილია ჭავჭავაძე, ცოტა უფრო ტრადიციულ ევროპულ, ძველ საბანკო გამოცდილებას ეყრდნობოდა.

ამ ორი ადამიანის ბრძოლაში გამოყენებული იყო ყველაფერი: ახალი ტექნიკა და ტაქტიკა, მათმა დაპირისპირებამ შექმნა კიდეც ქართული პოლიტიკა! დღეს არის მცდელობა, რომ ეს დიდი ადამიანები წარსულში შევარიგოთ, რაც, ბუნებრივია, არც სწორია და არც შესაძლებელი, თუმცა, აუცილებელია, რომ ამ ამბებში საფუძვლიანად ვიყოთ გარკვეული.

დაბოლოს, ის უბედურება, რომელიც ამდენი ხანია კითხვის ნიშნად დაგვრჩა. 1898 წლის 26 ივნისს ვანო მაჩაბელი უკვალოდ გაქრა. მოგეხსენებათ, იგი ძალიან მძიმედ იყო ავად, ამიტომაც, არ არის გამორიცხული, რომ ამ ცხოვრებიდან წასასვლელად გამქრალიყო. როგორც უნდა იყოს, ამოდენა კაცი ასე უცნაურად რომ გაქრა, ეს ვერ დარჩებოდა ჩვეულებრივ ამბად, ამიტომაც ამ თემის ირგვლივ გაჩნდა ბევრი მითი, რომელთაგან ორს შევეხებით:

I. მაჩაბლის გაქრობაში დამნაშავედ გამოცხადდნენ მისი კონკურენტები, მასთან მებრძოლი ადამიანები და, პირველ ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე; ჩვენ კარგად ვიცით, ვინ იყო ილია, ვინ იყო მაჩაბელი და როგორი იყო მათ შორის დაპირისპირება; ამიტომაც, ილიას მიმართ ბრალდებები სწრაფად მოიხსნა.

II. ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ამ საქმეში აკაკის ხელი ურევია; მოტივი ბანალურია – აკაკი ფანატიკურად იყო

შეყვარებული ვანო მაჩაბლის მეუღლეზე. ამ ვერსიას ამყარებდა ისიც, რომ აკაკის „გამზრდელი“ სწორედ იმ წელსაა დაწერილი, როდესაც მაჩაბელი დაიკარგა; ცალკე ამბავია ამ პოემის შინაარსიც და მასში წამოწეული მეგობრის ცოლის თემა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი სერიოზული ეჭვების საფუძვლად იქცა, თუმცა, მაჩაბლის გაქრობაში აკაკის დადანაშაულება წარმოუდგენელია, რადგან აკაკის მაჩაბლების ოჯახში ივანეს დაკარგვის შემდეგაც მიესვლებოდა! დარწმუნებული ვარ, ტასო მაჩაბელთან ოჯახში მეგობრად და ახლობლად ვერ შევიდოდა კაცი, რომელის მიმართაც რამე რეალური პრეტენზია იარსებებდა! ესეც აკაკის კიდევ ერთი ალიბი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აკაკის მთავარი ალიბი მისი პოეზიაა, პოეტები სულ სხვა ხალხია, გულუბრყვილობაა და არასწორია ბარათაშვილისთვის, აკაკისა და გალაკტიონისთვის ასეთი რამის დაბრალება.

არსებობს კიდევ რამდენიმე ვერსია, რომ მაჩაბელი დუხობორებს წაჰყვა მთარგმნელად; რომ ვალების გამო გაქრა და ა. შ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მის გაუჩინარებაში ერთერთი მთავარი ფაქტორი მძიმე ავადმყოფობა იყო. მაჩაბელს, როგორც საოცრად თავმოყვარე კაცს, მჯერა, არ სურდა გალმერთებული მეუღლისთვის საკუთარი სისუსტე ეჩვენებინა. ამიტომაც, გაქრა, გაქრა ზუსტად ისე, როგორც შეიძლება გაქრეს გენიოსი და ეს არის მისი კიდევ ერთი, გენიალური, ამჯერად – საავტორო ნაწარმოები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, რა დროც უნდა გავიდეს, მაჩაბელი ცოცხალი იქნება, ცოცხალი იქნება მანამ, სანამ იარსებებს შექსპირი, სანამ იარსებებს სალიტერატურო ქართული ენა, ამაში ხომ არაერთხელ დაგვარწმუნა, როცა უკვე წლებია უძლებს ჩვენს გულგრილობასაც კი!

„ამხანაგები“ ქართული გენიის წინააღმდეგ

1950-იანი წლების საქართველოში ერთი უცნაური ამბავი მოხდა, რომელიც ვაჟა-ფშაველას, სტალინს, კანდიდ ჩარკვიანსა და გერონტი ქიქოძეს უკავშირდება, ისტორია, რომელმაც შეძრა იმ პერიოდის საქართველო. ეს ქართული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი განსაკუთრებული მომენტი იყო, ურთულესი მოსახვევი, როდესაც საქართველოს მოუწია იმის აღიარება, რომ ბელადის გემოვნება გადამწყვეტია ბევრ საკითხში, განსაკუთრებით კი ვაჟა-ფშაველასთან მიმართებით.

ჩვენ წინაშეა ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა მნიშვნელოვანი ისტორია ოჯახშივე ჩაიწეროს. საქმე ეხება გელა ჩარკვიანის „ინტერვიუს მამასთან“, რომელშიც ვხვდებით ერთ ფრიად საჩოთირო ამბავს. კერძოდ, კანდიდ ჩარკვიანის მიერ ვაჟა-ფშაველას, როგორც ჩამორჩენილ, გაუნათლებელ, სოციალურ საკითხებში გაურკვეველ კაცად „მხილებას“. რა თქმა უნდა, ამან გააოგნა საზოგადოება, ვინაიდან მთელი საქართველო მიხვდა იმასაც, რასაც უნდა მიმხვდარიყვნენ – კანდიდ ჩარკ-

ვიანი ამას საკუთარი ნებით არ გააკეთებდა. ნამდვილად არ ვარ ისე განწყობილი, რომ ეს ამბავი კანდიდ ჩარკვიანს ავკიდოთ, მაგრამ ფაქტია – ასეთი იყო ის სისტემა და ფაქტია ისიც, რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება.

კანდიდ ჩარკვიანის წიგნში – „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები", ვკითხულობთ:

„1950 წლის ოქტომბერში სტალინთან, ცივ წყაროზე, ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ლიტერატურის შესახებ. შევეხეთ ვაჟა-ფშაველასაც, რომლის პოეზიას მე ძალიან მაღალი შეფასება მივეცი. სტალინს თავისი აზრი ვაჟაზე მაშინ არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ ის მთხოვა, რომ მისთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებები გამეგზავნა. სამი დღის შემდეგ ვაჟას ოთხ თუ ხუთტომიანი გამოცემა სტალინის მაგიდაზე იდო".

როგორც გაირკვა, ვაჟას თხზულებების გაგზავნით კანდიდ ჩარკვიანმა დაღუპა ვაჟა-ფშაველაც, საკუთარი თავიცა და გერონტი ქიქოძეც, რომლის წინასიტყვაობაც ახლდა ამ გამოცემას...

„გავიდა თითქმის თვე-ნახევარი და 1950 წლის 30 ნოემბერს, გვიან ღამით, სტალინმა გაგრიდან დამირეკა. შედგა საკმაოდ გრძელი საუბარი ვაჟას პოეზიისა და მსოფლმხედველობის შესახებ..."

საუბრის დროს სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდ ჩარკვიანს ვაჟა გენიოსად მიაჩნდა, ის გენიოსი არა, მაგრამ დიდი ტალანტი იყო, ჩამორჩენილი მსოფლმხედველობის მქონე; ავტორი, რომელიც არც ერთ მასშტაბურ პრობლემას არ სვამს და ფშავლების, ხევსურებისა და ქისტებს უმნიშვნელო დაპირისპირებების გარდა, არაფერს აღწერს:

„საქართველოს არც ეკონომიკურ და არც კულტურ განვითარებას არ ამჩნევს. ასეთი საკითხები მის ყურადღებას არ იქცევს. ვაჟა-ფშაველას ენა – პროვინციულია, არაპოეტური. [...] აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, მართალი იყო, როცა მას ენას უწუნებდა“.

სტალინი ახსენებს გერონტი ქიქოძესაც, რომელიც აღნიშნული ტომეულების წინასიტყვაობაში აქებს და ადიდებს ავტორს, აღნიშნავს, რომ ქიქოძე არ სვამს სწორ იდეოლოგიურ ნიშნებს. მთავარი ამხანაგი სვამს ერთ საინტერესო კითხვასაც – მარქსისტია თუ არა გერონტი ქიქოძე. ამასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად, ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ.

კანდიდ ჩარკვიანი გამოცდილი კაცი იყო და ეს ყველაფერი გაიგო, როგორც პირდაპირ ბრძანება; კარგად მიუხვდა უკვე მოხუცებულ ბელადს სურვილს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვაჟას გენია უნდა ჩამოქვეითდეს.

ეს თითქოს გაუგებარი ამბავია, რადგან 1935 წელს, სწორედ სტალინის ვიზიტის დროს თბილისში, ვაჟა-ფშაველას ნეშტი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. მე არ მჯერა და არც ის მგონია ვინმეს სჯეროდეს, რომ ვინმეს, მით უმეტეს ვაჟა-ფშაველას მთაწმინდაზე გადასვენება ამხანაგ სტალინის ან ლავრენტი ბერიას ნებართვის გარეშე მოხდებოდა.

ამით დასტურდება, რომ ამ პერიოდში სტალინი მაღალი აზრისა იყო ვაჟაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე 50-იან წლებში მსოფლიოს მბრძანებელმა, ომში გამარჯვებულმა, საკუთარი გენიით დამძიმებულმა მოხუცმა ბელადმა, მკვეთრად შეიცვალა აზრი.

ეს ის პერიოდია, როდესაც ამხანაგ სტალინს პატრიოტიზმის ტალღამ შემოუტია, როდესაც კვლავ შეუყვარდა ილია ჭავჭავაძე, დაფიქრდა თურქეთის შემადგენლობაში შემავალ

ქართულ მიწებზე და ა. შ. ერთი სიტყვით, ის აშკარად ფიქრობს, რომ რამენაირად ვალი მოიხადოს საქართველოს წინაშე, მაგრამ ამ ვალის მოხდაში იგულისხმება ისიც, რომ ერთხელ და სამუდამოდ გააგებინოს ქართველებს, რომ ილია და აკაკი დიდები არიან, ვაჟა-ფშაველა კი ვერ ავიდა სიმაღლეზე!

და აი, აქ იჩენს თავს ამხანაგი სტალინის გაკვირვება გერონტი ქიქოძესთან მიმართებით და სვამს კითხვას – მარქსისტია თუ არა ქიქოძე? საქმე ისაა, რომ სტალინს საშინლად კარგი მეხსიერება ჰქონდა და ახსოვდა ის სიტყვებიც, რომლებიც გერონტი ქიქოძემ 1915 წელს თქვა ვაჟას შესახებ.

საერთოდ, გერონტი ქიქოძეს ურთიერთგამომრიცხავი აზრები ჰქონდა ვაჟა-ფშაველაზე; სტალინისათვის კანდიდ ჩარკვიანის მიერ გაგზავნილი ვაჟას თხზულებათა ტომების შესავალში გერონტი ქიქოძე აღფრთოვანებულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით და დასძენს, რომ ის არის სრულიად ცალკე მდგომი, აბსოლუტური გენია, რომელიც ვერ ეტევა ვერც სიმბოლიზმში, ვერც ვერანაირ მოძღვრებაში; ქართული ლიტერატურის სრულიად გამორჩეული ავტორია, ობოლი მარგალიტი, რომელიც არც არავის აგრძელებს და არც არავის აფუძნებს.

ამავე დროს, იგივე გერონტი ქიქოძე, 1915 წელს წერდა, რომ ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო; ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგა. მისი მგრძნობელობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია – ველური, მისი მორალი – შუასაუკუნეობრივი...

სულ ფორმულებია და, რა თქმა უნდა, ვიღაცა იტყვის, რომ ასეა, სწორია, ოღონდ აქ გამოითქმება სერიოზული შენიშვნა, დიახ, ვაჟა-ფშაველა ასეთი იყო, როგორიც არის აღწერილი, უბრალოდ, სიტყვა – ჩამორჩენილი ვაჟას კი არა, იმ ადამიანს მიემართება, რომელიც მას ასე ხედავს.

დიახ, გერონტი ქიქოძე, რომლის მსგავსი ინტელექტუალიც რთული საპოვნელია საქართველოს ისტორიაში, ჩამორჩენილი იყო 1915 წელს, როდესაც ვაჟას შესახებ ასეთ სიტყვებს წერდა. საბოლოოდ გაერკვა და აღფრთოვანდა კიდეც ვაჟათი, თუმცა 1915 წელს გერონტი ქიქოძეც სოციალ-დემოკრატების ნააზრევს იყო აყოლილი, ის ვერ მიხვდა, რომ იმ თავისი დახეული ჩოხით ვაჟა ჯერ კიდევ მაშინ იყო ათასგზის უფრო ევროპელი, ვიდრე შვიდასი ენის მცოდნე გერონტი ქიქოძე.

არავინ იცის, ზუსტად საიდან მოდიოდა ან რით იყო განპირობებული ამხანაგ სტალინის მიერ ვაჟა-ფშაველაზე მიტანილი ამ იერიშისა და მისი ამოთხრის სურვილის მიზეზი, მაგრამ სტალინის ბოლმა გასაგებია, მან თავად თქვა, რომ დიდი მოძრაობის დროს ვაჟა-ფშაველა განზე იდგაო... ამ ფრაზით რეალურად გამოვიდა, რომ ვაჟა გაუნათლებელი კი არა, ზედმეტად განათლებული იყო. ანუ, როდესაც დაიწყო დიდი მოძრაობა, როცა აკაკიმ თქვა – „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე!..“ სოციალ-დემოკრატებმა იგრძნეს, რომ აკაკი, უნდა თუ არა, მათ გვერდითაა, ისე, როგორც ილია (შემდეგ რაც დამართეს, კი ვიცით და ეს ცალკე საუბრის თემაა), მაგრამ გვერდით ვერ იგულეს ვაჟა-ფშაველა!

კომუნისტები მას ვერც ერთი კუთხით ვერ მიუდგნენ, ვერანაირ ჩარჩოში ვერ ჩასვეს, შესაბამისად, როგორც თავის დროზე განზე მდგომი ვაჟა-ფშაველა, მისი გენია საშიში აღმოჩნდა 50 წლის შემდეგაც კი!

საშიშია, საშიში ფენომენია ვაჟა-ფშაველა, გენია, რომელსაც შეუძლია ნულიდან ააშენოს ქართული ლიტერატურაც, ქართული აზროვნება! ესაა მისი საიდუმლო! ვაჟა ისე წერს,

თითქოს ბირთვულმა კატასტროფამ გაანადგურა სამყარო და თავიდან იწყებს ყველაფერს – აი ია, იას უთხარით ტურფასა... ვაჟა მოდის საკუთარი პრობლემებით, ალუდა ქეთელაურის პრობლემით, სვამს კითხვას, შესაძლოა თუ არა არსებობდეს ორი ჭეშმარიტება, ეს კი სტალინს სასაცილოდაც არ ჰყოფნის, რადგან მარქსიზმით გაფუჭებული გონება ამას ჩამორჩენილობად მიიჩნევს.

არადა, ამ დროს პირიქით, ვაჟა ბევრად წინ უსწრებს თავის ეპრქასაც და შეიძლება ითქვას დღევანდელობასაც, სამყაროს ისტორიას. ქრისტემ თქვა – გიყვარდეს მტერი შენი, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელი რამაა რეალურ ცხოვრებაში; აი, ვაჟა-ფშაველას კი აღმოაჩნდა საშინელი ძალა, გაენგრია ეს ჩაკეტილი სივრცე და შეუძლებელი შესაძლებლად ექცია, მან საერთოდ მოსპო მტერი, თქვა, რომ მტერი არ არსებობს! ეს ხომ წარმოუდგენელი იდეაა!

და აი, ამ ვაჟა-ფშაველას გენია საშიშია გარდაცვალების, წლების გასვლის შემდეგაც, ამიტომაც, ამხანაგმა სტალინმა მისი „ამოთხრა" გადაწყვიტა! ჭკვიანი კაცი იყო სტალინი, როგორც წესი, ლუკა რაზიკაშვილად მოიხსენიებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ როდესაც ახსენებ ვაჟა-ფშაველას, მას ალუდა ქეთელაური მოჰყვება თან, ხოლო ლუკა რაზიკაშვილის სახელის გაგონებისას, პირველი, დახეული ჩოხა, დაზიანებული თვალი და მისი გაჭირვება გახსენდება, თითქოს, ეს ვაჟას პრობლემა იყო და არა ჩვენი საზოგადოების!

ფაქტი ერთია, კანდიდ ჩარკვიანს, გერონტი ქიქოძესა და ამხანაგ სტალინს არასდროს ეპატიებათ, რომ საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს გენიოსზე ასეთი სიტყვები თქვეს. არ იციან, რას იქმან! ამხანაგმა სტალინმა არ იცოდა, რას აკეთებდა, როგორ შეიძლებოდა ვაჟასთვის ხელის ხლება!

მათ დაავიწყდათ, რომ საქართველოში ბევრი რამ შეიძლება, ბარათაშვილისთვის ხელის ხლება შეიძლება, ამ კუთხით წარმატებით გარჯილან და ქართველ ხალხს უპატიებია; საქართველოში შეიძლება ხელი ახლო რუსთაველს და ქართველი ხალხი ამასაც გაპატიებს, მაგრამ ვაჟა-ფშაველასთვის ხელის ხლება არ შეიძლება, რადგან ქართველი ხალხი ცხოვრობს მიამიტური წარმოდგენით, რომ თავად არის ვაჟა-ფშაველა და ამას არ გაპატიებს!

არ იფიქროთ, თითქოს ამას იმიტომ ვამბობდე, რომ ჩვენ, ქართველები, ღრმად და სერიოზულად ვიცნობთ მის შემოქმედებას. რა თქმა უნდა, არა, ელიტური პოეტია და ელიტური მკითხველიც ჰყავს, თუმცა, მასობრივ წარმოდგენაში ვაჟა დაახლოებით ისეა წარმოდგენილი, როგორც ფიროსმანი!

და აი, როგორც კი სტალინიზმი წამოყოფს თავს საქართველოში, იმწუთას გაუხსენებენ, რომ სწორედ ის ებრძოდა ყველაზე უფრო ქართულ, ხალხურ მოვლენას. არავინ არასდროს ყოფილა საქართველოში ხალხთან, ხალხურ პოეზიასთან, ხალხის ფიქრებთან ისე ახლოს, როგორც ვაჟა-ფშაველა, არავინ ყოფილა ხალხის წრიდან! ვაჟა გამონაკლისია, ვინც მას ვერ გაიგებს, ის საერთოდ ვერაფერს გაიგებს საქართველოში!

ესაა ვაჟას თავისებურება, უბრალო სიტყვით, უბრალო ამბით გაცნობს ყველაზე ღრმა აზრებს, იმიტომ, რომ გენიოსია, ასეთი რამის მოხერხება მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ! ამიტომ იყო, აკაკი წერეთელს რომ შეშურდა მისი, სხვაგვარად ვერავინ ახსნის ვაჟაზე მის თავდასხმას.

ვაჟა-ფშაველას გენია მის პასუხშიც კარგად ჩანს, საჯაროდ მხოლოდ ის თქვა, ნუ შეგაშინებთ მთიდან ბღავილი

ხარისაო, კერძო საუბრებში გულნატკენს უთქვამს შვილთან – თვითონ რას ფხაჭნიან, ჩემზე რა უნდა ილაპარაკონო.

არც არის გასაკვირი, გენიას კამათი ახლავს თან, ამიტომაც იყო მუდმივი განსჯის ობიექტი ვაჟა-ფშაველა, ამიტომაც იყო ქართველი მხატვრებისთვის სადავო – ფიროსმანი, არ იყო პროფესიონალიო...

ყველაფერთან ერთად, გასაგებია, რატომაც გააღიზიანა ვაჟამ ყველა, მას ხომ არ ეცვა, როგორც პოეტს! ის ხომ არ იქცეოდა, არ ცხოვრობდა, როგორც პოეტი! ჩვეულებრივი, ფშაველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იყო კიდეც ჩვეულებრივი ფშაველი კაცი, რომელსაც ლუკა რაზიკაშვილი ერქვა, უბრალოდ, მასში სრულიად აუხსნელი ფენომენი – ვაჟა-ფშაველა იღვიძებდა!

და ვინ დაინახა ლუკა რაზიკაშვილში ვაჟა-ფშაველა? ბარათაშვილისა და ვაჟას დასანახად, ჩვენს გადასარჩენად, სტალინის სამსხვერპლოდ ხომ ერთი კაცი გვყავდა საქართველოში – ილია ჭავჭავაძე, რომელმაც აკაკისაც გასაგებად უთხრა, კალამი გვერდით უნდა გადადოო...

ის საყვედური, რომელიც ვაჟა-ფშაველამ აკაკისგან მიიღო, ვაჟას გაუნათლებლობის, კლასთა ბრძოლის სიმაღლემდე ვერამაღლების სიმღერა, სიმღერა რომელიც სტალინმა დაიწყო და ბევრმა იმღერა, არაფერია იმ სიყვარულთან შედარებით, რაც ვაჟა-ფშაველამ საქართველოსგან მიიღო!

ვაჟა-ფშაველა თანამედროვე, მომავლის ავტორია, ამხანაგმა სტალინმა კი ვაჟასადმი თავისი დამოკიდებულებით თქვა, რომ ოცი ათასი წიგნი კი წავიკითხე, მაგრამ გაუნათლებელი დავრჩიო. მან ვერ გაიგო ვაჟა-ფშაველა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისეთი გარყვნილი და სულიერებისგან დაცლილი არსებისთვის, როგორიც ამხანაგი სტალინი იყო, ვაჟა-ფშაველა ზედმეტი ფუფუნებაა!

მთავარი კარამაზოვი – ფიოდორ დოსტოევსკი

XIX საუკუნის უდიდეს მწერალს, ფიოდორ დოსტოევსკის და ამ საუკუნის ერთ-ერთი უმთავრეს ნაწარმოებს „ძმები კარამაზოვები" დიდი შესავალი არ სჭირდება. „ძმები კარამაზოვები" დოსტოევსკის ბოლო რომანი და, ამავდროულად, მისი შემოქმედებისა და მხატვრული, ფილოსოფიური ძიებების კვინტესენციაა, სინთეზი იმ ყველაფრისა, რაზედაც ავტორი XIX საუკუნის 70-იან წლებში ფიქრობდა.

„ძმები კარამაზოვების" მოქმედება ღრმა პროვინციაში ხდება; საგანგებოდ არის შერჩეული ერთი უცნაური ქალაქი – სკოტოპრიგონიევსკი, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ამ ქალაქის პროტოტიპად დოსტოევსკიმ ქალაქი სტარაია რუსა აიღო, სადაც, სხვათა შორის, მომავალში რამდენჯერმე გადაიღეს ამ რომანის ეკრანიზაცია.

ნაწარმოების მოქმედების ადგილად სკოტოპრიგონიევსკის, პროვინციის შერჩევა არ არის შემთხვევითი. ზოგადად, რუსულ ლიტერატურაში ცდილობენ, აჩვენონ, რომ ეს პეტერ-

ბურგი და მოსკოვია გარყვნილი, თორემ პროვინცია ღრმა, საფუძვლიანი და ისეთივე სუფთაა, როგორიც, მაგალითად, ფოლკნერის რომანების დასაწყისშია – სამხრეთი, რომლის სულიერებასაც შემდგომში სერიოზული კრიზისები მოელის. სკოტოპრიგონიევსკიში კრიზისი უკვე ჩავლილია, ეს არის რუსეთის ისეთი საშინელი ჭაობი, რომელსაც მოსკოვი და პეტერბურგიც კი ვეღარ გაეჯიბრება.

საშინელი ურთიერთობები სისხლით მონათესავე ადამიანებს შორის, გაწყვეტილი კავშირები, ადამიანების, ძმების, მამა-შვილის სურვილი იმისა, რომ ერთმანეთი დახოცონ; ფიქრი იმაზე, ვინ როდის მოკვდება, ვინ დაასწრებს მოკვლას და ა. შ. ეს არის საშინელი ფიქრების წყება, რომლითაც სავსეა დოსტოევსკის 12-წიგნიანი რომანი.

შემთხვევითი არ არის, რომ „ძმები კარამაზოვები“ 12 წიგნად იყოფა. ამ თვალსაზრისით, ეს რომანი იზიარებს ისეთი ეპიკური ნაწარმოებების ბედს, როგორებიც არის ჰომეროსის პოემები, რომლებიც 24 სიმღერისგან შედგება და ვერგილიუსის „ენეიდა“, რომელიც ასევე 12 წიგნისგან შედგება. ეს არ არის უბრალო სიმბოლო, ყველაფერთან ერთად, „ძმები კარამაზოვები“ ქრისტიანობით გაჟღენთილი წიგნია და გასაგებია, თუ რომელ შეკრებაზე მიუთითებს რიცხვი – 12.

ნაწარმოების მოქმედება ორი კვირის განმავლობაში, ორ დიდ სასამართლოს შორის ხდება. აქ გვაქვს ორი დიდი მწვერვალი, ისე, როგორც უძველეს ნაწარმოებში, ესქილეს „ორესტეაში“, სადაც შურისძიების ქალღმერთებს, ერინიებს, აწყნარებს ქალღმერთი ათენა და ჰპირდება, რომ ამ ქალაქში ორი დიდი ბორცვია, ერთზე დგას ჩემი ტაძარი (იგულისხმება აკროპოლისი) და მეორეზე ეს სასამართლო (არეოპაგი იგულისხმება) და თუკი კარგად მოიქცევიან, ამ ორ ბორცვს

შორის ტაძარს დაუდგამს. ზუსტად ასეა აგებული ეს რომანი და არც არის გასაკვირი, რადგან ვიცით, რომ „ძმებ კარამაზოვებზე“ მუშაობისას დოსტოევსკი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ესქილეთი და კონკრეტულად ამ ნაწარმოებით, რადგან მასში გვხვდება: მამის გამო შურისძიების, დედის მკვლელობის, სისხლით მონათესავე ადამიანებს შორის სისხლის აღების, მამის მკვლელობის თემები და ა. შ.

ეს ყველაფერი გვხვდება დოსტოევსკისთანაც, ორი მწვერვალი, ორი სასამართლო, ოღონდ სხვადასხვა ხასიათის. ერთი, ეს არის სასამართლო, სადაც ასამართლებენ დამნაშავეს, მამის მკვლელს, სხვათა შორის ყალბად, რადგან ნამდვილად არ მოუკლავს იმ კაცს, რომელიც გაასამართლეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სასჯელი მას არ დაუმსახურებია; ხოლო მანამდე არის გაცილებით უფრო სხვა ტიპის, ღვთაებრივი სასამართლო, სადაც მამა ზოსიმე იმ ადამიანების ბედს განაგებს, რომლებსაც პირველად ხედავს და რომლებიც გააოგნებენ მას თავიანთი სიძულვილით.

აქ გვხვდება საშინელი პორტრეტები, რომლებსაც დოსტოევსკი უცნაური ხერხით გვიხატავს. დოსტოევსკი ის მწერალია, რომელმაც ავტორი მოკლა; ის არ წერს, როგორც ღმერთი, არ წერს, როგორც ბალზაკი, არც ისე, როგორც მისი თანამედროვე და კონკურენტი მსოფლიო ლიტერატურაში – ლევ ტოლსტოი; ანუ ის არ წერს ღვთაებრივი სიმაღლიდან, ისეთი კაცის სახით, რომელმაც ყველაფერი იცის თავისი პერსონაჟების შესახებ. საერთოდაც, თუკი დოსტოევსკის დავუჯერებთ, „ძმები კარამაზოვები“ მან კი არ დაწერა, არამედ ვიღაც კაცმა, რომელიც საკმაოდ უბირია და არც საქმეში ჩახედული ჩანს კარგად; ამიტომაცაა, რომ ამ წიგნში არასდროს შეგხვდება პასაჟი იმის შესახებ, თუ რა გაიფიქრა

ამა თუ იმ პერსონაჟმა, რა ჰქონდა გულში და ა. შ. მწერალი კი არ გადაგვიხსნის პერსონაჟების სულიერ სამყაროს, არამედ თავად პერსონაჟების მოქმედებიდან, მათი დიალოგებიდან ვხვდებით, რას წარმოადგენენ ისინი. სხვათა შორის, სწორედ ამ დიალოგების გამო, სომერსეტ მოემს საშინლად აღიზიანებდა დოსტოევსკი, ამბობდა, ბევრს ლაპარაკობსო...

მოემისა არ იყოს, დოსტოევსკის ნაკლებად უმართლებდა მშობლიურ, რუსულ ლიტერატურაში, რადგან ის ამ ლიტერატურის ორმა გიგანტმა უარყო. ამ ორს შორის ერთი ნობელის პრემიის პირველი რუსი ლაურეატი, ივან ბუნინი იყო, რომელმაც თქვა – „უნდა მოვიცილოთ დოსტოევსკი". მეორე კი ვლადიმირ ნაბოკოვი, რომელიც ასევე ცდილობდა პიედესტალიდან დოსტოევსკის ჩამოგდებას. სამაგიეროდ, ძალიან ბევრმა მსოფლიო მწერალმა მისი, განსაკუთრებით კი „ძმები კარამაზოვების" უზარმაზარი გავლენა განიცადა.

დოსტოევსკის პორტრეტებს რომ დავუბრუნდეთ, მწერალი არ ამბობს, რომ ფიოდორ კარამაზოვი ასეთი და ასეთი კაცი იყო, შეხედეთ, რა ცუდად იქცევა და ა. შ. ის ვიღაც კაცის სახელით ჰყვება, რომელმაც ეს ამბავი გაიგონა სკოტოპრიგონიევსკში, რომ ფიოდორ კარამაზოვი მდიდარი მემამულე და საშინელი კაცი ყოფილა. მარტივად რომ ვთქვათ, მთხრობელი ჰყვება ამბავს ისე, როგორც მეზობელი მოჰყვებოდა და რა თქმა უნდა, არანაირი აუცილებლობა არ არსებობს იმისა, რომ ეს მეზობელი მჭევრმეტყველი იყოს. მთელი ტექსტი არამჭევრმეტყველურად, არამწერლურად, ოსტატობის, მეტაფორების, შედარებების გარეშეა დაწერილი. რაც მთავარია, დოსტოევსკი, მთხრობელის პირით გვაძლევს პერსონაჟის კონტურს, ხოლო ეს კონტური სიღრმესა და ფერადოვნებას თავად პერსონაჟის ენით იძენს.

ფიოდორ კარამაზოვი მსოფლიო ლიტერატურის ამაზრზენ პერსონაჟთა იმ წყებაში დგას, რომლის ჩემპიონი, ჩემი აზრით, ისევ დოსტოევსკის პერსონაჟია, ამჯერად „ეშმაკნის“ ერთ-ერთ მთავარი, საშინელი გმირი – პიოტრ ვერხოვენსკი. ამ სიაში არიან: უმბერტო ეკოს – სიმონე სიმონინი, „პრაღის სასაფლაოდან“, უილიამ ფოლკნერის – სნოუპსები და ა. შ.

აი, ამ რიგში, საპატიო და სერიოზული ადგილი უჭირავს ცნობილ ლოთს, მრუშს, გაფუჭებულ და გათახსირებულ კაცს – ფიოდორ კარამაზოვს. ეს არის ტაკიმასხარა, კლოუნი, რომლისთვისაც სკანდალი სიცოცხლის წყაროა და რომელმაც აუცილებლად უნდა აურიოს რაღაც. მას პირველი ცოლისგან შეძენილ უფროს შვილთან, დიმიტრი კარამაზოვთან აქვს ქონებრივი დავა. საქმე ის გახლავთ, რომ დიმიტრის დედის ცოლად შერთვით ფიოდორ კარამაზოვი უმდიდრესი მემამულე გახდა, თუმცა კი მაინც მუდმივად უღირსად იქცეოდა. შვილი ედავება მამას თანხას, რომელიც, მისი აზრით, დედას ქონებიდან ეკუთვნის. მამა კი უმტკიცებს, რომ ჯერ სტუდენტობისას, შემდეგ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, არაერთხელ გაუგზავნა ფული, ასე რომ, მისი ვალი გასტუმრებული აქვს.

ერთი შეხედვით, მამა-შვილს შორის დავა მატერიალურ საკითხზე მიმდინარებს, რეალურად კი, როგორც ყოველთვის – დოსტოევსკისთან, ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. სინამდვილეში, მამა-შვილს შორის გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი დავაა – ორივეს ერთი და იგივე ქალი მოსწონს, თანაც ამაზრზენი გრუშენკა ის ქალი არ არის, ან მამამ, ან შვილმა სათავისოდ რომ დაიგულოს, მე ვუყვარვარ და სხვისკენ არ გაიხედავსო. აი, ამ ქალის საყიდლად სჭირდებათ ფული.

დაპირისპირებული მამა-შვილი ერთმანეთს მამა ზოსიმესთან ხვდებიან, რომელთანაც ფიოდორ კარამაზოვის უმცროსი შვილი – ალიოშა მსახურობს. ახალგაზრდა ბიჭი აღმერთებს მამა ზოსიმეს, რომელიც პრაქტიკულად ცოცხალი წმინდანია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს მანამ, სანამ სიკვდილის შემდეგ, მისი გვამი საშინელი სიმყრალით არ დაამტკიცებს, რომ ისიც ადამიანი ყოფილა და სანამ მასზე ბოროტად არ იტყვიან სხვა მღვდლები, კანფეტები უყვარდაო. წარმოიდგინეთ, რამხელა სიხარულია ამ გაკიცხვაში, ყალბი, არასწორი სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ ზოსიმე წმინდანი არ აღმოჩნდა. ეს რომანი სავსეა ასეთი ყალბი სიხარულებით.

ზოსიმე თანხმდება, გაარჩიოს მამა-შვილის საქმე და ეს ამბავი მონასტერში ხდება; იქ რამდენიმე ადამიანი იყრის თავს, მათ შორის შუათანა კარამაზოვი – ივანე. საუბარი სწორედ მის მიერ დაწერილი სტატიის შესახებ იწყება; ამ სტატიაში ივანე საეკლესიო სასამართლოს შესახებ მსჯელობს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო საკითხებში გულითადად ერევა, ის ათეისტია.

შეიძლება, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით არაფერს ამბობდეს, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, დოსტოევსკიმ მოახერხა და თითოეულ პერსონაჟს თავისი პირადი ბიოგრაფია აჩუქა. ამ რომანის ყველა პერსონაჟი დოსტოევსკია!

ათეისტი ივანე კარამაზოვი – დოსტოევსკია ამა და ამ წლებში...

მიუსოვი – პეტრაშეველი დოსტოევსკია; სანამ სიკვდილს მიუსჯიდნენ, დოსტოევსკიც ზუსტად ასეთი იყო, ლიბერალი, რომელიც სერიოზულ ნაშრომებს ეცნობოდა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს ამტკიცებდა, გულითა და სულით არ ვკითხულობდიო, ნათელია, რომ ცრუობს – ლამის სიცოცხლეს

საფრთხე შეუქმნა იმის გამო, რომ ერთი საეჭვო ნაშრომი წაეკითხა...

დიმიტრი კარამაზოვი – უზარმაზარი ენერგიით, ვნებით სავსე პიროვნება, რომლის სიტყვები და მოქმედებები აბსოლუტურად სცდება ერთმანეთს; ეს დოსტოევსკის ერთ-ერთი პორტრეტია, ეჭვიანი ქმრისა, რომელიც იმდენად იყო შეპყრობილი, რომ ახალგაზრდა ცოლს გადაცმული დაჰყვებოდა უკან.

რაც შეეხება ალიოშა კარამაზოვს, მასთან ყველაფერი უკუღმაა, ანუ, ახალგაზრდა და ნორჩი ალიოშა – მოხუცი დოსტოევსკია. საინტერესოა, რომ მწერალი ამ წიგნის მეორე ნაწილის დაწერასაც აპირებდა, სადაც ალიოშა კარამაზოვი, „ძმები კარამაზოვების" ერთადერთი ნათელი წერტილი, იმდენად უნდა გადაგვარებულიყო, რომ მამასა და ძმებზე უზნეო გამხდარიყო. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდები.

ამ სამი დოსტოევსკის გარდა: მოლაყბე, არც ურწმუნო და არც მორწმუნე დოსტოევსკი (დიმიტრი კარამაზოვი), ურწმუნო დოსტოევსკი (ივანე კარამაზოვი) და მორწმუნე დოსტოევსკი (ალიოშა კარამაზოვი) არის კიდევ ერთი – დოსტოევსკი მოქმედი, რევოლუციონერი, პეტრაშევსკის ჯგუფის მონაწილე დოსტოევსკი, რომელიც მწერალმა ფიოდორ კარამაზოვის უკანონო შვილის – სმერდიაკოვის სახით წარმოადგინა.

და, რაღა თქმა უნდა, ფიოდორ კარამაზოვი – სხვა ვინაა, თუ არა დოსტოევსკი, რომელსაც თავის არაერთ თვისებასთან ერთად, ყველაზე მთავარი – სახელიც კი აჩუქა!

მამა ზოსიმესთან საქმის გარჩევის დროს დიმიტრი კარამაზოვმა წარმოთქვა ემოციური სიტყვა და მამამისთან დაკავშირებით დასვა წარმოუდგენელი კითხვა – რატომ ცოცხლობს ასეთი კაცი, რატომაა ასეთი კაცი ცოცხალი?! ეს არის კითხ-

ვა, ცოდვა, რომელსაც დიმიტრი კარამაზოვი აუცილებლად ჩაიდენს და ცოდვისა და ტანჯვის ამ გზით ამაღლდება, ისე, როგორც ეს მოუვიდა ოიდიპოსს, როგორც ეს მოსდით დოსტოევსკის გმირებს.

ბოლოს და ბოლოს, ამ რომანში დაძაბულობა პიკს მიაღწევს. ფიოდორ კარამაზოვს კლავენ იმ დროს, როდესაც დიმიტრი კარამაზოვიც დაღვრის სისხლს, მაგრამ არა მამისას. უამრავი გარემოება მოიხარშა დოსტოევსკის ღვთაებრივ ტვინში იმგვარად, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ, ვინ არის რეალური მკვლელი, მაგრამ ამ საქმეს ვიძიებდეთ, 100%-ით დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ ფიოდორ კარამაზოვი დიმიტრიმ მოკლა, მით უმეტეს, რომ ის სულიერად მკვლელია.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვერკვევით მთავარ ამბავში – ფიოდორ კარამაზოვი მოკლა სმერდიაკოვმა, რომელსაც ეს შთააგონა ივანე კარამაზოვმა; ანუ, ივანე კარამაზოვმა მამა საკუთარი ნახევარძმის ხელით მოკლა, ოღონდ ისე, თითქოს არ იცოდა, როგორც ოიდიპოსმა არ იცოდა, ცოდვას რომ სჩადიოდა.

რეალურად, დოსტოევსკი გვიმტკიცებს, რომ ივანემ მშვენივრად იცოდა, რასაც სჩადიოდა, იმიტომ, რომ ივანე ურწმუნო კაცი იყო და თუ ურწმუნო ხარ, მაშინ ჩაიდენ კიდეც დანაშაულს! დოსტოევსკის მიაჩნია, რომ ამ ტიპის გადაგვარება სწორედ ურწმუნოებითაა გამოწვეული.

რომანის პირველი, სახარებისეული სიტყვები: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მიწაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება; ხოლო თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს“, გვიჩვენებს, თუ როგორ იბადება სიკვდილიდან სიცოცხლე, ცოდვიდან და

ტანჯვიდან სიხარული და ბედნიერება და როგორ უნდა გაიაროს ეს გზა.

დოსტოევსკი ყველაზე უფრო საშინელი ფორმით გვიჩვენებს იმას, რომ ამ ნაწარმოებში უდანაშაულო არავინაა, მკითხველიც კი! იმ სასამართლოში, სადაც დიმიტრი კარამაზოვის ბედი წყდება, ივანე კარამაზოვი დასვამს მთავარ შეკითხვას, „ვის არ უნდა მამის სიკვდილი, ბატონებო?!" ესაა კითხვა, რომელიც მთელ საზოგადოებას გააოგნებს, რადგან არავინ ელოდა, რომ მათი უღრმესი, არაცნობიერი ფიქრი, ვიღაცამ გააცნობიერა და გაახმოვანა. ეს ის დროა, როდესაც მთელი რუსეთი ფეხმძიმედაა რევოლუციით, მთელმა რუსეთმა უნდა მოკლას მამა, ანუ მეფე და მერე რა, რომ ცუდია, ფიოდორ კარამაზოვიც ხომ ცუდი მამა იყო...

საბოლოოდ, ჩვენ არ ვიცით, ვინ, რამდენად და რაზეა მორალური კუთხით პასუხისმგებელი, მაგრამ ერთადერთი პატიოსანი კაცი ამ რომანში ალიოშა კარამაზოვია. ალიოშა არის ნათელი, რომლისკენ ყველა მიილტვის, ისე როგორც სინათლისკენ მიილტვიან მწერები, მაგრამ ეს ლტოლვა დამღუპველია – როგორც სინათლე ღუპავს მწერებს, ზუსტად ისე, ალიოშას სინათლე დამღუპველია ყველასთვის, ვინც მასთან იხსნება.

ამასაც თავისი მიზეზი აქვს, ეს ადამიანები კარგს არაფერს ამბობენ და თითოეული სიტყვა მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, ისე როგორც წერილი, რომელიც ოდესღაც დიმიტრი კარამაზოვმა დაწერა, წერილი, რომელიც სავსეა მრისხანებითა და მამის მკვლელობის სურვილით.

ფსიქოლოგიის მამებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ერთადერთი მწერალი, რომლისგანაც ფსიქოლოგმა შეიძლება რამე ისწავლოს – დოსტოევსკია; და ეს იმ ფონზე, როდე-

საც, ალბათ, ერთი წამითაც კი არ ფიქრობდა ფსიქოლოგიის პრობლემებზე, ეს არ იყო მისი ამოცანა, ის არ სწავლობდა, არ ემზადებოდა თეორიაში; დოსტოევსკი არ წერდა ისე, როგორც დღეს წერენ განათლებული მწერლები ან თუნდაც მისი თანამედროვე ტოლსტოი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა სამეცნიერო სფეროს; დოსტოევსკი არ იყო ასეთი, მან გულწრფელად მოახერხა და აჩვენა ადამიანების ვნებების სამყარო, თანაც ისე, რომ როდესაც ნორვეგიაში 2002 წელს, 66 ქვეყნის 100 მწერალი შეიკრიბა, რათა ყველა დროის 100 საუკეთესო წიგნის სია შეედგინათ, დოსტოევსკი ერთადერთი მწერალი აღმოჩნდა, რომელიც ამ სიაში 4 ნაწარმოებით მოხვდა!

„ძმებ კარამაზოვებში“ მან ასახა სამი თაობა: მამების თაობა, რომელიც გადაგვარებულია; შვილების თაობა, რომელსაც რწმენა არ აქვს და ბავშვების თაობა, სადაც თითქოს იმედის სხივია. შემთხვევითი არ არის, რომ ახალგარდაცვლილი ბავშვის საფლავთან, ალიოშა კარამაზოვის მეთაურობით, სწორედ 12 ბავშვი შეიკრიბა და დადეს ფიცი, რომ მისი ხსოვნის ერთგულნი იქნებიან. რა მხატვრული სახეა და რასთან ავლებდა დოსტოევსკი ამ პასაჟით პარალელს, თავადაც ხვდებით...

დასასრულ, შევეხოთ დოსტოევსკის ერთ წარმოუდგენლად მასშტაბურ გეგმას; წარმოიდგინეთ, ამ წიგნს დახურავდა მკითხველი და ორ-სამ წელიწადში წაიკითხავდა „ძმები კარამაზოვების“ მეორე ნაწილს, სადაც გაიგებდა, რომ თურმე ეს გენიალური რომანი იმიტომ დაიწერა, რომ ეჩვენებინა ალიოშა კარამაზოვის გადაგვარების პროცესი, რომელიც მეორე ნაწილში გაგრძელდებოდა. ალიოშა იმდენად გადაგვარდებოდა, რომ ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

გახდებოდა და მეფეს მოკლავდა! აი, ეს იყო ჩაფიქრებული „ძმები კარამაზოვების“ მეორე წიგნში.

მჯერა, არის რაღაც სამართლიანობა იმაში, რომ კაცობრიობამ ვერ იხილა ეს მეორე წიგნი და მკითხველს ალიოშა კარამაზოვის სახით მაინც დარჩა ერთი ნათელი წერტილი ამ საშინელი და შავბნელი, მაგრამ უდიდესი წიგნიდან.

თავის დროზე თომას მანი ამბობდა, ტოლსტოის კითხვა კარგია, დოსტოევსკისაც, თუმცა ზომიერადო. ამ აზრს ვერ დავეთანხმები, ასე მგონია, „ძმები კარამაზოვების“ ზომიერად კითხვა შეუძლებელია. უზომო წიგნები უზომო ინტერესით იკითხება, მით უმეტეს, რომ შესაძლოა, ეს კაცობრიობის ყველაზე დიდი წიგნიც კი იყოს „დონ კიხოტესთან“ ერთად. სხვათა შორის, კითხვაზე, როგორ უნდა დავარწმუნოთ მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი, რომ ჩვენი სამყარო სიკვდილს არ იმსახურებს, სწორედ დოსტოევსკიმ თქვა – მივცეთ ხელში „დონ კიხოტე“ და ის მაშინვე მიხვდება, რომ კაცობრიობა არ უნდა გაქრეს. მე „ძმებ კარამაზოვებს“ ან „იდიოტს“ მივცემდი.

ომი და მშვიდობა – სამყარო მის ორ მთავარ ჰიპოსტასში

ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრებაა. საერთოდაც, დამწერლობა და ლიტერატურა, შესაძლოა, მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ ეს წიგნი დაწერილიყო, იმიტომ, რომ ამაზე დიდი წიგნის დაწერა, ჩემი აზრით, შეუძლებელია, რადგან ამ რომანის ოთხივე ტომი ერთი გრანდიოზული იდეითაა გაჯერებული.

როგორი პარადოქსიც უნდა იყოს, ლევ ტოლსტოიმ დაწერა ერთადერთი წიგნი, რომელშიც საკუთარ თავს არ ჰგავს და მთელ მსოფლიოში სწორედ ამ წიგნით არის ცნობილი! მართალია, რომანტიკული სამყარო „ანა კარენინას“ უფრო დიდ პატივს სცემს, მაგრამ რომანტიკული ისტორიების თვალსაზრისითაც, ფაქტია, „ომსა და მშვიდობას“ მეტოქე არ ჰყავს.

პრაქტიკულად, ეს არის იდეალური წიგნი, რომელიც 559, მათ შორის კი 200 ისტორიულ პერსონაჟს აერთიანებს და თანაც ისე, რომ არ არის დაშვებული არც ერთი სერიოზული შეცდომა! ეს წარმოუდგენელი რამ არის, მით უმეტეს

იმ ფონზე, რომ წიგნი იწერება ეპოქაში, როდესაც არანაირი ტექნიკური საშუალება არ არსებობს, რამე ფორმით ავტორი შეცდომისგან დაზღვეული იყოს. თანაც, ტოლსტოი თავის წიგნს მთლიანობაში ვერ ხედავდა, რადგან რომანი ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა. ასე გამოქვეყნებას თავისი უპირატესობაც აქვს – რომანის თავები თითქმის თანაბარია, იმხელაა, რამდენი გვერდიც ჟურნალმა შეიძლება აიტანოს; ამის გამო, ავტორის წინაშე დგება ამოცანა, რომ სიტყვათა კონკრეტულ, თითქმის ტოლ რაოდენობაში, დაატიოს დასრულებული აზრი. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი შეზღუდვა ხარისხს აუმჯობესებს.

მხოლოდ სათაურიც კმარა იმის მისახვედრად, თუ რა გაქანებისა და მასშტაბის ავტორია ის. ტოლსტოის აინტერესებდა ომი და მშვიდობა, ანუ მთლიანად სამყარო მის ორ ჰიპოსტასში. სხვა ჰიპოსტასი სამყაროს არ აქვს და „ომი და მშვიდობა" არის ნაწარმოები, რომელიც აღწერს მოძრაობას ომსა და მოძრაობას მშვიდობაში.

საინტერესო ამბავია, რომ თავის დროზე, როდესაც თომას მანი საკუთარ ლიტერატურულ წინაპრებში ერკვეოდა, მან თქვა – რა თქმა უნდა, გოეთე, მაგრამ ტოლსტოი და დოსტოევსკიც, ოღონდ, დოსტოევსკი – ზომიერად. ამით მან ფაქტობრივად აღიარა, რომ უზომო რაოდენობით მიიღო ტოლსტოი. მანვე განასხვავა ერთმანეთისგან ორი ტიპის ლიტერატურა, ე. წ. „ჰოს" მთქმელი ლიტერატურა, რომელსაც კლასიკური სახელი – ჰომეროსული ლიტერატურა უწოდა და „არას" მთქმელი, პესიმისტური ლიტერატურა, რომელსაც ბიბლიური უწოდა. მართალია, თავად თომას მანმა ორივე ტიპის ნაწარმოებები დაწერა, თუმცა, მისი საუკეთესო რომანი, დოსტოევსკის დიდი გავლენის მიუხედავად, მაინც „ჰოს"

მთქმელი, ანუ ტოლსტოური, შექსპირული, ჰომეროსული ლიტერატურის კვალს ატარებს.

უნდა ვთქვათ, რომ ლევ ტოლსტოი ღრმად პესიმისტი კაცი იყო. ეს იყო მწერალი, რომელსაც ეზიზღებოდა თავისი შემოქმედება, განსაკუთრებით აგდებულად კი „ომსა და მშვიდობასა“ და „ანა კარენინას“ უყურებდა. სხვათა შორის, როდესაც მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ვიღაცამ მის მიმართ აღფრთოვანება გამოხატა, თქვენ ხომ „ომისა და მშვიდობის“ ავტორი ხართო, დღიურში ჩაუწერია, ხომ წარმოგიდგენიათ, ამ სისულელეების ავტორი ვგონივარ, მაშინ, როცა მე სულ სხვა წიგნებით ვიწონებ თავსო! ამ შემთხვევაში ტოლსტოი იმ ნაწარმოებებს გულისხმობდა, რომლებიც დროის სვლასთან ერთად მოკვდა.

საბედნიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ ავტორებს არ უნდა ვენდოთ, რადგან მათი სიკვდილისწინა ფიქრები რომ გაგვეზიარებინა, არც ვერგილიუსის „ენეიდა“ გვექნებოდა, არც კაფკას შემოქმედება და არც „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინა“, რომელთა „მოშორებაც“ თავად ტოლსტოიმ ბრძანა. ერთია, რა სურდა ტოლსტოის და მეორეა ფაქტი, რომ „ომი და მშვიდობის“ ტირაჟებმა მხოლოდ რუსეთი კი არა, მთელი მსოფლიო გააოგნა.

მოდი ვთქვათ ისიც, თუ როგორ დაიბადა ტოლსტოის ეს უკიდურესად ოპტიმისტური რომანი. ტოლსტოი აპირებდა რომანის დაწერას დეკაბრისტებზე. ამ იდეამ იგი მიიყვანა აზრამდე, რომ ვიღაც უნდა დაბრუნდეს გადასახლებიდან და პირდაპირ დაინახა სახეები – მოხუცი ნატაშა როსტოვა და პიერ ბეზუხოვი 1895 წელს ბრუნდებიან გადასახლებიდან. თუმცა, მალევე მიხვდა, რომ საერთოდ არაა საინტერესო, როგორ ბრუნდებიან მოხუცი ადამიანები გადასახლებიდან,

ამიტომაც ორიენტირად 1825 წელი, დეკაბრისტთა აჯანყების პერიოდი, აიღო, ხოლო ამის აღსაწერად საჭირო იყო რუსეთის სამამულო ომის, ნაპოლეონის ლაშქრობის ამბების აღწერა; რის საილუსტრაციოდაც საუკეთესო საშუალებას მიაგნო და წერა 1805 წლის მოვლენებით დაიწყო, ანუ აჩვენა დასუსტებული რუსეთი, რომელიც ნელ-ნელა წელში იმართება და იმარჯვებს ომში, რომელიც, წააგო.

მას უნდა აეხსნა ეს ფენომენი, როგორ გაიმარჯვა რუსეთმა ომში, რომელიც წააგო?! საინტერესო ამბავია, რომ ნაპოლეონის საფლავზე გვხვდება წარწერები, რომლებიც მის გამარჯვებებს აღწერს. აქ წერია – მოსკოვიც, რადგან ნაპოლეონმა ბოროდინოს ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ ომი წააგო! და როგორ მოხდა ეს? ეს საკითხი ტოლსტოის საშინლად აღელვებს!

თქვენ წარმოიდგინეთ, ტოლსტოიმ დადებით პერსონაჟად გამოიყვანა კაცი, რომელმაც საომარი ხელოვნება არ იცის, მაგრამ მხედართმთავარია! და მაშინ, როდესაც ნამდვილი სამხედროები, მათ შორის ჩვენი თანამემამულე, ომის რეალური გმირი – პეტრე ბაგრატიონი, სერიოზულ სტრატეგიულ საკითხებს განიხილავენ, კუტუზოვს სძინავს... მიუხედავად ამისა, ეს კაცი მოიგებს ომს, იმიტომ, რომ იცნობს საკუთარ ხალხს და ამ კაცმა იცის, როგორ კვდება მითი – მოთმინებითა და ტერიტორიით! და როდესაც მოვა თომა და თითით შეამოწმებს ჭრილობას, მითი უკვე მკვდარია! ზუსტად ასე, ლევ ტოლსტოის სურს, აჩვენოს, როგორ იგებს რუსეთი, რუსეთი, რომელიც ნაპოლეონის მითს ანგრევს – დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მათ ნაპოლეონს გამარჯვება აჩუქეს, ნაპოლეონი ცარიელ ქალაქში შევიდა...

საინტერესოა, რომ ტოლსტოის ნაპოლეონი არ მოსწონდა და ეს არის, მგონი, ერთადერთი პერსონაჟი ამოდენა რომანში, რომელიც მას არ მოსწონს, ამიტომაც მან გამოიყენა საოცარი მეთოდი ნაპოლეონის დასამარცხებლად. ტოლსტოი ძალიან პატარა მწერალი იქნებოდა, თავიდანვე ნაპოლეონის ძაგება რომ დაეწყო, ამიტომაც, რომანს ნაპოლეონის აპოლოგიით იწყებს.

ლიტერატურაში არის ერთი წესი, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელემ აღმოაჩინა. ამ წესის მიხედვით, იმისთვის, რომ გმირს თანავუგრძნოთ, ის უნდა იყოს კარგი, მაგრამ ამ კარგმა უნდა დაუშვას შეცდომა, რაც მიიყვანს კიდეც მთავარ ცოდვამდე – ქედმაღლობამდე და ამ ქედმაღლობით, სიამაყით დაშვებულ მორიგ შეცდომამდე, მაგალითად: ოიდიპოსი ფიქრობს, რომ იცის, ვინ არიან მისი მშობლები, ამიტომაც იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც თავიდანვე მცდარია. ეს გადაწყვეტილება ოიდიპოსის ქედმაღლობისგან გამომდინარეობდა, რადგან, როგორ შეიძლება ადამიანმა რამე იცოდეს?! – ამბობს სოფოკლე.

მიუხედავად ამისა, ტოლსტოი ძალიან დიდი მწერალია საიმისოდ, რომ წესების მიხედვით იცხოვროს. ამიტომაც მან დახატა კარგი, მაგრამ ქედმაღალი კაცი, რომელიც დაუშვებს შეცდომას, თუმცა არა ქედმაღლობის გამო!

საერთოდაც, ტოლსტოი რომ წესების კაცი არ არის, იმითაც კარგად ჩანს, რომ მან მსოფლიო ლიტერატურას აჩუქა უნაკლო პერსონაჟი! ასეთი რამ წარმოუდგენელია, ეს აკრძალულია, როგორ შეიძლება პერსონაჟს ნაკლი არ ჰქონდეს! ჩვენ ხომ ვიცით, რომ ლიტერატურაში ასეთი გმირის გამოჩენა კატასტროფას იწვევს, რადგან ასეთები ბავშვების მიერ აღწერილი პრინცები არიან, მაღლები, ცისფერთვალებები,

ქერები... თუმცა, იმ ეპოქის მწერლების მსგავსად, ამ იდეალურ გმირს ტოლსტოიმ, რატომღაც, სიმაღლე წაართვა.

ანდრეი ბოლკონსკის ერთადერთი ნაკლი – თუ შეიძლება ამას ნაკლი ვუწოდოთ – მამამისია. გვარი ბოლკონსკი არ არსებობდა რუსეთში და ტოლსტოიმ ეს შესანიშნავად იცის, რადგან, რეალურად, ისინი ვოლკონსკები არიან, ეს საშინელი, გაუტანელი კაცი ბაბუამისია, თუმცა, მის მიმართ მაინც არ გვიჩნდება სიძულვილის გრძნობა, იმიტომ, რომ ძველი, ეკატერინეს დროინდელი ეპოქის ადამიანია.

ანდრეი ბოლკონსკის რომ დავუბრუნდეთ, უკვე მოგახსენეთ, რომ ამ პერსონაჟს ნაკლი არა აქვს და ნებისმიერ მწერალთან ეს კაცი წააგებდა, თავად ავტორს კი საფლავიდან ამოთხრიდნენ! ანდრეი ბოლკონსკი არის პერსონაჟი, რომელიც ღალატს გადაიტანს და, რაც მთავარია, აპატიებს; ეს არის გმირი, რომელიც სხვების გმირობას ხედავს და აღიზიანებს ფაქტი, რომ ვილაცას საკუთარი გმირობის წარმოჩენა არ შეუძლია, ამ დროს კი თავად საკუთარ გმირობაზე დუმს...

და აი, ტოლსტოის გენიალური სვლა – ამ იდეალურ პერსონაჟს ჰყავს კერპი, რომელსაც ჰქვია ნაპოლეონი, ნაპოლეონი, რომელიც სძულს ტოლსტოის! ასე იწყება ეს რომანი... საოცარია მიზეზი, რის გამოც ტოლსტოის ნაპოლეონი არ მოსწონს – განა მის სიდიადეს ვერ ხედება, არამედ სძულს იმის გამო, რომ ნაპოლეონს საკუთარ თავში ეჭვი არ ეპარება!

ამ დიდ რომანში ტოლსტოიმ გვაჩვენა ნამდვილი და ყალბი გმირობა. ყალბი გმირობის მაგალითად გვიჩვენებს კაცს, რომელმაც დაინახა მტერი და პირდაპირი მნიშვნელობით, პისტოლეტი ესროლა მას; პისტოლეტიდან კი არ გაისროლა – პისტოლეტი ესროლა, გამოიქცა და დაიჭრა. და ეს „გმირი" საკუთარ თავგადასავალს ჰყვება ისე, როგორც ჰყვებიან

ხოლმე ომის, ციხის, ნადირობისა და თევზაობის ამბებს. ნიკოლაი როსტოვი სწორედ ასე ჰყვება საკუთარ „გმირობას“, სანამ არ შერცხვება და მართლა გმირულ საქციელს არ ჩაიდენს.

რაც შეეხება ნამდვილ გმირობას; წარმოიდგინეთ, ანდრეი ბოლკონსკი, რომელიც არის ადიუტანტი და ომის დროს შტაბში მსახურობს; რა თქმა უნდა, ამაში გმირული არაფერია, რადგან ჯერ კიდევ ჰომეროსისგან ვიცით, რომ ნამდვილი გმირები წინა ხაზზე იბრძვიან! შტაბში მსახურობის გამო, ტოლსტოი აჩვენებს, როგორ უყურებენ ზემოდან ნამდვილი ოფიცრები თეთრებში ჩაცმულ შტაბის ოფიცერს, ვინმე ბოლკონსკის; და აი, ბრძოლის დროს, როდესაც ეს შტაბის ოფიცერი დაინახავს, როგორც ეცემა დროშა, ხელში იტაცებს მას და იმწუთას „კვდება“.

დროშით ხელში წევს ლამაზი კაცი, რომელიც, თურმე, ცოცხალია და საკუთარი ყურით გაიგონებს საკუთარი კერპის, ნაპოლეონის, მიერ მასზე ნათქვამ ბრწყინვალე სიტყვებს – „აი, შესანიშნავი სიკვდილი!“ ამ დროს კი კაცი ცოცხალია, ნაპოლეონს შეეშალა! და რადგან ყველა შეიძლება შეცდეს, ე. ი. ნაპოლეონიც – ყველაა! სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში შეეშალაო, ამბობს ტოლსტოი, ცოცხალ კაცზე თქვა, მკვდარიაო, ამას ვინ გაპატიებს?! ამ მომენტიდან ანდრეი ბოლკონსკის თვალში ნაპოლეონის დევალვაცია იწყება.

წარმოიდგინეთ, ყველაფერთან ერთად, ტოლსტოიმ დაისახა მისია – რომანის განმავლობაში გაანადგუროს ნაპოლეონი, მაგრამ კი არ ჩქარობს! დიდი მწერალია და ხვდება, როგორ შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა, დაე, მკითხველებმა გაანადგურონ ნაპოლეონი, დაე, ანდრეი ბოლკონსკის თვალშივე გაუფასურდეს მისი კერპი!

ანდრეი ბოლკონსკი მეორედაც ჩაიდენს ასეთ გმირობას, ბოროდინოს ბრძოლაში. საერთოდაც, ის გმირობების კაცია და ბრძოლების დროს ჩადენილი გმირობები ახლოსაც ვერ მივა იმ გმირობასთან, რასაც სიკვდილის წინ ჩაიდენს, როდესაც ნატაშა როსტოვას აპატიებს იმას, რისი პატიებაც არ შეიძლება; შეიძლება ნაპოლეონს აპატიო, შეიძლება სამშობლოს აპატიო, მაგრამ წარმოუდგენელია, ამ ეპოქაში საცოლეს გაქცევა აპატიო...

ნატაშა როსტოვას სახით ტოლსტოიმ გვაჩვენა ფიზიოლოგია ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც საქმრო მთელი წლით ტოვებს. სხვა, მათ შორის დიდი მწერლების მსგავსად, ტოლსტოი ზღაპრებს არ გვიყვება თავშეკავებაზე, ის სრულად აშიშვლებს ქალის ფიზიოლოგიას. იშვიათია მწერალი, რომელიც ასე კარგად ერკვევა ქალებში; ვფიქრობ, სულ ცოტა, სამნი მაინც არიან: ამ საქმის დიდოსტატი – რუსთაველი; ამ სამყაროს უზარმაზარი მცოდნე – ტოლსტოი და ბლუმის ოჯახის ხათრით – ჯოისი.

ფაქტია, ანდრეი ბოლკონსკის როგორც გმირობა, ისე სიკვდილი, ტოლსტოიმ ძალიან მარტივად აჩვენა. ამ მწერლის გენიალობა ისაა, რომ ოსტატობას მალავს. მას არ უყვარს ოსტატობით ჟონგლიორობა; ეს არ არის ჩიკაგოს არქიტექტურა, როცა დამჭერი ბაგირები ჩანს; მთელი მისი ხელოვნება ხელოვნების დამალვაა.

დასასრულ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ინგლისის პრიმასის სიტყვები დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელზე". მან თქვა, რომ დოსტოევსკის არწაკითხვა დანაშაულია, წაკითხვა კი – სასჯელიო. ტოლსტოის შემთხვევაში, მისი არწაკითხვა ბედნიერებაა და წაკითხვაც ბედნიერებაა. რატომ ვამბობ ამას?! იმიტომ, რომ „ომი და მშვიდობის" არწაკითხვა

ნიშნავს, რომ შეიძლება ავცდეთ იმ მძიმე კითხვებს, რომლებსაც ცხოვრება ან კი, ან არა, მაგრამ ტოლსტოი აუცილებლად სვამს! მაგრამ თუ მაინც წავიკითხავთ ამ რომანს, ეს მძიმე კითხვები აუცილებლად დაისმება, თუმცა, რაც მთავარია, მათ ნათელი, ოპტიმისტური პასუხები გაეცემა!

ტოლსტოის ოთხი ტომი არის უმძიმესი სასმელი, რომელიც შარბათივით ისმება და პირველივე სიტყვიდან გაბრუებს. ეს არის ნათელი, პატიოსანი რომანი, რომელიც არაფერს გატყუებს. „ომსა და მშვიდობაში“ ტოლსტოიმ არ განადიდა რუსი ხალხი, არ დაწერა ქება-დიდება, მან აჩვენა რუსი ხალხის ყველაზე ბნელი ნაწილი და ასევე გვითხრა, რომ ლევ ტოლსტოიზე მაგარი რუსიც არსებობს და ის უბრალო ჯარისკაცია. ფაქტობრივად, ჩვენ წინაშეა იდეალური მწერლის იდეალური რომანი, ვეებერთელა ნაწარმოები, რომლიდანაც ერთი ფრაზის ამოღებაც კი არ შეიძლება!

ლევ ტოლსტოიმ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე და ეს გავლენა იმდენად დიდია, რამდენადაც თავად ფაქტი, რომ მან პრაქტიკულად დაამთავრა ომისა და მშვიდობის თემა მწერლობაში. ამ კუთხით მეორე მსოფლიო ომმაც კი ვერაფერი შეცვალა, აღარ დაიწერა წიგნი, რომელსაც შეუძლია ცხოვრების მთელი პანორამა აჩვენოს. ბალზაკმა ბევრი რომანი დაწერა, რომ ეს შთაბეჭდილება შეექმნა, ჯოისმა უზარმაზარი წიგნი დაწერა, თუმცა, ტოლსტოის ვეღარავინ შეჰყვა ამ საშინელ მოგზაურობაში.

თავისუფლებამისჯილ ნობელიანტთა არმია

საფრანგეთი რომ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის ქვეყანაა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ, მეორე მხრივ, აღსანიშნავი ამბავია, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტი ნობელიატი ჰყავს ლიტერატურის დარგში ამ პრემიის ისტორიის განმავლობაში.

ნობელის პრემიისა და საფრანგეთის ანგარიში ამ პრემიის დაარსებისთანავე იხსნება, რადგან 1901 წელს, ლიტერატურის დარგში პირველი პრემია სწორედ ფრანგმა ავტორმა, სიული პრიუდომმა მიიღო. პრიუდომს, რომელიც თავისი დროის უზარმაზარი ფიგურაა, პოეტი, ესეისტი, წევრი ჯგუფისა, რომელსაც ერქვა „პარნასი“, ისტორიული მეხსიერება მკაცრად მოექცა, მასზე დაგვრჩა ხსოვნა იმისა, რომ პირველი ნობელიატია და, ამავე დროს, მისი შესანიშნავი ლექსია „გატეხილი ვაზა“.

მისი პოეზია მალარმეს ხაზის გაგრძელებაა და აბსოლუტურად გასაგებია, რომ სიული პრიუდომი არ ყოფილა სახალხო სიყვარულის პოეტი, მის შესახებ არ იქმნებოდა ლე-

გენდები. მასთან, როგორც მოქალაქესთან, გადაკვეთა შეუძლებელი იყო, ის არ ყოფილა გალაკტიონი, რომელსაც ნებისმიერი შეიძლება შეხვედროდა ქუჩაში და, ბოლოს და ბოლოს, გალაკტიონი, რომელთანაც ლამის ყველა სტუდენტს დაულევია. სიული პრიუდომი სრულიად სხვა, ჩაკეტილი მოვლენაა, კარგი პოეტი, რომელსაც ბედმა არ გაუღიმა, რადგან მისი პოეზია საფრანგეთისთვის ცენტრალური ხაზი არ აღმოჩნდა.

პრიუდომის შემდეგ არ გასულა სამი წელი და ნობელის კომიტეტი კვლავ ფრანგ პოეტს – ფრედერიკ მისტრალს მიადგა. ეს ერთობ უცნაური ამბავი იყო, რადგან მისტრალი, პროვანსელი პოეტი, ოქსიტანურ ენაზე წერდა, ენაზე, რომელსაც იმ დროისთვის, ალბათ, 500 კაცი თუ ფლობდა...

1915 წელს, ფრანგი ნობელიატების სიაში, პოეტები პროზაიკოსმა ჩაანაცვლა. რომენ როლანი ადამიანის სულში ჩაწვდომის დიდოსტატია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი რომანი ბეთჰოვენზე, მრავალ ათას საუკუნეს გაუძლებს, ისე როგორც თავად ბეთჰოვენი.

სწორედ რომენ როლანი მეთაურობს ფრანგი ნობელიატი პროზაიკოსების გუნდს, რომელიც ძალიან სწრაფად, 1921 წელს გაძლიერდა, როდესაც ნობელის პრემია ანატოლ ფრანსმა მიიღო.

რა შეგვიძლია ვთქვათ ანატოლ ფრანსზე? თუ შეიძლება ადამიანი იყოს საყვარელი ყველაფრით: ნაწერებით, ბიოგრაფიით, საქციელით, კულტურით, განათლებით, იმით, თუ ვისი მემკვიდრეა, ვისი წინაპარია, ასეთი სწორედ ანატოლ ფრანსია, ნაწარმოებების: „კრენკებილის“, „პინგვინთა კუნძულის“, „ღმერთებს სწრყურიათ“ – ავტორი. მგონია, რომ არც მისი გვარი – ფრანსია შემთხვევითი, რადგან ის არის კიდეც საფრანგეთის, მისი მწერლობის სიმბოლო.

ანატოლ ფრანსის შემდეგ, ნობელის პრემია არანაკლები მნიშვნელობის ფრანგ მოაზროვნეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირველ ფრანგ არამწერალს – ანრი ბერგსონს მიანიჭეს.

ანრი ბერგსონი – ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, რომელმაც გარკვეულწილად შეცვალა ზოგადი აზროვნება, რომელმაც ფსიქოლოგია შემოიტანა ცხოვრებაში. რომ არა ის, ფსიქოლოგები იმ თავის ჩაკეტილ სამყაროში დარჩებოდნენ, რომელშიც ცხოვრობდნენ. სწორედ ანრი ბერგსონი იყო პირველი, რომელმაც ფსიქოლოგების სამყაროდან ადამიანებისკენ გადადგა ნაბიჯი.

საგულისხმო ამბავია, რომ არათუ ფსიქოლოგი ბერგსონი, არამედ ფრანგი ქიმიკოსები, ბოტანიკოსები თავს ვალდებულად მიიჩნევენ წერდნენ, როგორც მწერლები. ანრი ბერგსონი ბრწყინვალე მწერალია და იკითხება, როგორც დეტექტივი, როგორც ნამდვილი, დრამატული მწერლობა. ამიტომაც, არავის გაჰკვირვებია მისი ნობელის პრემია.

ფრანგ ნობელიატთა სიაში ბერგსონს რომენ როლანის სულიერი ნათესავი მოჰყვა, მწერალი, რომლის მნიშვნელობასაც ფრანგები გაცილებით უკეთ გრძნობენ, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო. როჟე მარტინ დიუ გარიმ, „ტიბოს ოჯახის“ ავტორმა, პრემია 1937 წელს მიიღო. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მიუხედავად თომას მანის „ბუდენბროკებისა“, დიუ გარიმ ოჯახების ამბავი ლიტერატურაში – უმაღლეს წერტილზე აიყვანა.

ჩემი აზრით, ეს მწერალი ნამდვილად იმსახურებდა ხალხის სიყვარულს, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ ასეთი მწერალი საერთოდ არსებობდა. არადა, ეს კაცი ომისწინანდელი ფრანგული ლიტერატურის სიამაყე და სერიოზული მოაზროვნეა, რომელიც არ დაბნეულა მაშინ,

როდესაც მსოფლიო დაიბნა, არც მარცხნივ გადახრილა და არც მარჯვნივ, თანაც ეს იმ ფონზე, როცა ზოგიერთი ნობელიატი ფაშიზმს მიემხრო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურულ დიდოსტატს, მწერალს, რომელმაც ხალხის ცხოვრებაში სიხარული, მონატრებული ლიტერატურული ჟონგლიორობა დააბრუნა, ანუ ის, რითაც შემდეგში სამხრეთ ამერიკულმა მწერლობამ მთელი კაცობრიობა დაიპყრო.

ანდრე ჟიდი სიხარულის მწერალია, რომელიც კამათელივით აგორებს ლიტერატურას – პერსონაჟები და ამბები მის რომანებში ბრუნავენ, როგორც კამათელი. რომანი – „ყალბი ფულის მჭრელები“ ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებით, ოსტატობის თვალსაზრისით იყო, არის და დარჩება მიუღწეველ მწვერვალად ძალიან ბევრი მწერლისათვის.

ჟიდს მორიაკი მოჰყვა, 1952 წელს, მორალისტი მწერალი. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ზურგზე ძალიან ბევრი რამ დაწერილა, ვერსად ვხედავ ტრაგედიის თვალსაზრისით ისეთ ნაწარმოებს, სადაც პატარა მანძილზე შესაძლებელი აღმოჩნდა ამოდენა ჰუმანიზმის გამოვლენა, თანაც – არაფანტასტიკის სფეროში. წარმოუდგენელ ძალას მოითხოვს ჰუმანიზმის გამოვლენა იმ ბნელ სამყაროში, „ასპიტთა ბუდეში“, მისივე რომანის სათაური რომ მოვიშველიოთ, რომელიც დახვდა ფრანსუა მორიაკს, კათოლიკე მწერალს, რომლისთვისაც რწმენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი მოთხრობა – „პატარა მაიმუნი“, რომელმაც, მგონი, მთელი თაობა შექმნა, მათ შორის ქართველ მკითხველებში, თავის დროზე, როგორც ბომბი, ისე დაგვეცა თავზე ჟურნალ „ხომლის“ წყალობით, სადაც ის გამოქვეყნდა.

ამის შემდეგ, ნობელის პრემიის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან და ახალგაზრდა მწერალს მიანიჭეს პრემია, კაცს, რომელიც, სამწუხაროდ, ახალგაზრდავე წავიდა.

ევროპის სინდისის, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ტიტანის, ალბერ კამიუს გამარჯვება ნიშნავდა განსაკუთრებულ ცვლილებებს ნობელის კომიტეტში, რადგან, როგორც ჩანს, მის შემადგენლობაში აღმოჩნდა ხალხი, რომლებმაც დაინახეს ეს შესანიშნავი ავტორი, აბსურდის თეორიტიკოსი, რომელიც პრემიის მიღებიდან მალევე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, აბსურდულად დაიღუპა.

როგორც ვხედავთ, წლების განმავლობაში, ნობელიატთა სიაში, ფრანგი პროზაიკოსები პოეზიას არ უთმობდნენ ადგილს, თუმცა, სრულიად მოულოდნელად, 1960 წელს პრემია შესანიშნავი პოემის – „ანაბასისის" ავტორმა, სენ-ჟონ პერსიმ დაიმსახურა. პერსი არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ სერიოზული სახელმწიფო მოხელე იყო – ალექსის ლეჟე (სენ-ჟონ პერსი მისი ფსევდონიმია), რომელმაც საკუთარი ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა.

და აი, კამიუს შემდეგ, 1964 წელს დადგა კიდევ ერთი ტიტანის, მაშინდელი მსოფლიოს აზრთამპყრობელის, უდიდესი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის, ჟან-პოლ სარტრის დრო! ძალიან დიდ ჟან-პოლ სარტრს ანიჭებენ ნობელის პრემიას, ოღონდ არ იღებს მას! იგი უარს ამბობს პრემიაზე პოლიტიკური მოტივების გამო და აცხადებს, რომ ნობელის კომიტეტმა ფაქტობრივად სიკვდილამდე მიიყვანა დიდი პოეტი – ბორის პასტერნაკი.

„მდიდრული შემოქმედებითი იდეების, თავისუფლების სულისკვეთების, ჭეშმარიტების ძიებისათვის, რამაც უზარმა-

ზარი გავლენა მოახდინა მთელ ჩვენს თაობაზე" მიენიჭა კაცს პრემია, რომელმაც უარი თქვა მასზე...

ამ ამბიდან წლები გავიდა, სანამ ნობელის პრემია კლოდ სიმონმა არ დააბრუნა საფრანგეთში. აღიარებამ კლოდ სიმონი დიდ სახელად მსოფლიოში აქცია, თორემ ფრანგებმა ისედაც იცოდნენ, მისი სახით დიდი მწერალი რომ ჰყავდათ. პირდაპირ ვთქვათ – ეს არის ურთულესი მწერალი და მისი წაკითხვა ძნელია; არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავს არც იწუხებენ მისი კითხვით, რადგან მიაჩნიათ, რომ კლოდ სიმონის ხაზი – კლოდ სიმონთანვე დასრულდა.

1985 წლიდან მოყოლებული, ნობელის კომიტეტმა დიდხანს დატოვა საფრანგეთი უყურადღებოდ, რაც საკმაოდ უცნაურია, რადგან ფრანგებს ამ პერიოდში ბრწყინვალე მწერლების მთელი კოჰორტა ჰყავდათ!

სკანდინავიური დუმილი 2008 წელს დაირღვა, როდესაც ნობელის პრემია მთელ მსოფლიოში მოხეტიალე ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიომ მიიღო. ეს მწერალი საქართველოში ნაკლებად ცნობილი და პოპულარულია, რადგან ისეთ ქვეყნებს, ისეთ თემებს ეხება, რაც, როგორც ჩანს, ჩვენ ჯერჯერობით არ გვაინტერესებს.

სამაგიეროდ, 2014 წელს, ლამის მთელი ქართული მწერლობა სიცილით დაიხოცა, როდესაც ნობელის კომიტეტმა პრემია პატრიკ მოდიანოს, ებრაული წარმომავლობის ფრანგ მწერალს მიანიჭა. საბედნიეროდ, მე არც მაშინ გამცინებია და ახლაც მიმაჩნია, რომ ის საოცარი მწერალია, ლიტერატურაში პარიზის მთავარი მომღერალი და ვისაც ეს ქალაქი გვიყვარს, ვისაც პარიზში გვიხეტიალია, კორტასარის მსგავსად, მოდიანოს კითხვაც გვეყვარება.

ფრანგების მოსავალი რომ შევაჯამოთ, უნდა ვთქვათ, რომ ნობელიატების თვალსაზრისით მათ ზეშთამბეჭდავი პალიტრა წარმოადგინეს; მათ აჩვენეს კლასიკური რომანი, ჰუმანისტი ავტორები, აბსოლუტურად თანამედროვე ფილოსოფიური მოძღვრებები, ირონიული ავტორები, კათოლიკური რწმენის ბრწყინვალე შემოქმედები, ფრანგული ეგზისტენციალიზმის ათეისტური ფრთა, რომელმაც თქვა, რომ ცა ცარიელია და რადგან ღმერთი არ არსებობს, იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ნებადართულია, არამედ, რადგან ღმერთი არ არსებობს, ადამიანი უნდა იყოს უფრო მაღალი ღირსებისა და პასუხისმგებლობისა (კამიუს სიტყვებია). ბოლოს და ბოლოს, ნობელის პრემია დაიმსახურა კაცმა, რომელმაც ფრანგული ეგზისტენციალიზმისა და თავისუფლებისმოყვარეობის ყველა სიმაღლე აჩვენა, თქვა, რომ ადამიანს მისჯილი აქვს იყოს თავისუფალი!

ამ ხალხის სახით საფრანგეთს ჰყავს მწერლების ისეთი არმია, რომელსაც ვერავინ ვერასდროს ვერაფერს დაუპირისპირებს.

ფილოსოფიის მამა

შესაძლოა, ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ნიჭიერ ადამიანზე ვსაუბრობთ; საქმე ისაა, რომ გენიოსები ბლომად ჰყოლია სამყაროს, ჭკვიანი ხალხი – უფრო მეტი, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია სხვა ისეთი ელვარე და გამორჩეული ნიჭის ადამიანი, როგორიც პლატონი იყო.

ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ პლატონს არ ჰქონია არანაირი მტკიცე წინაპირობა, გნებავთ – „გვარიშვილობა“, რაც მიგვანიშნებდა, რომ სწორედ პლატონი გახდებოდა ყველა იდეოლოგიისა თუ სახელმწიფოებრივი მოწყობის მამა. პრაქტიკულად არ არსებობს აზრი, რომელიც პლატონისგან არ გამომდინარეობდეს. ყველაფერთან ერთად, საკუთარი მოსწავლისგან – არისტოტელესგან განსხვავებით, ის არ იყო სისტემატიზატორი, ცოდნის კაცი, პლატონი მაძიებელი კაცი იყო, შესაძლოა, სულაც პირველი და უკანასკნელი ფილოსოფოსი, ამ სიტყვის ბერძნული გაგებით, ანუ სიბრძნის მოყვარული.

ოცი წლის იყო, როდესაც ლექსებსაც წერდა და ოლიმპიური თამაშებიც ჰქონდა მოგებული, ჭიდაობაში, თუმცა

პლატონი პლატონად ერთმა განსაკუთრებულმა გარემოებამ, სოკრატეს გაცნობამ აქცია! აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ სოკრატე არის კაცი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რასაც პლატონი ამბობდა; წარმოუდგენლად რთულია იმის გარკვევა, სად იწყება პლატონი და სად მთავრდება სოკრატე, ამიტომაც, პლატონ-სოკრატე, პრაქტიკულად, ერთი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ადრეულ დიალოგებში მეტი სოკრატეა და გვიან დიალოგებში მეტი პლატონი. ეს გასაგებია, მაგრამ არ არსებობს დიალოგი სოკრატეს გარეშე და არ არსებობს პლატონი სოკრატეს გარეშე.

რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, რომ პლატონში არ ყოფილიყო უდიდესი პოტენციალი, თუმცა ის სწორედ მას შემდეგ გაიფურჩქნა, როცა თავის დიდ მასწავლებელს შეხვდა. და ვინ იყო სოკრატე? მავანი ამბობს, ეს იყო კაცი, რომელიც ქუჩაში ფეხშიშველი და პირდაუბანელი დაიარებოდა; მეორე მხრივ კი, არსებობს ცნობები, რომ სოკრატე მუდმივად ვარჯიშობდა და სულ ფორმაში იყო. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობრივი კაცი იყო, რომელიც შესაძლოა სულაც არ აქცევდა ჩაცმულობას დიდ ყურადღებას. ყველა ფილოსოფოსი ერთნაირად ხომ არ იქცევა?! მაგალითად, მერაბ მამარდაშვილი, კაცი, რომელსაც ქართველი სოკრატე უწოდეს, ყველაფერთან ერთად, დახვეწილი და გამორჩეული ჩაცმულობითაც იყო ცნობილი.

თუკი ქუჩაში სოკრატეს გადააწყდებოდი, შესაძლოა სრულიად მოულოდნელად ეკითხა – სად იყიდება თევზი? პასუხი მარტივი იყო, ათენში ყველაფერი აგორაზე, ბაზარში იყიდებოდა. შემდეგ სოკრატე მეორე კითხვას დასვამდა – და სად იშოვება სიქველე, ვაჟკაცობა, სათნოება? ამ კითხვაზე პასუხი არც მე ვიცი, მოდი და ერთად ვეძიოთო, იტყოდა სო-

კრატე; ასე შემოიკრიბა მოსწავლეები, რისთვისაც მომავალში სერიოზულად ზღო, რადგან ბრალი სწორედ ახალგაზრდობის გარყვნასა და ტრადიციული ღმერთების უარყოფაში დასდეს, რის გამოც სიკვდილი მიუსაჯეს. საყვარელმა ქალაქმა დემოკრატიული წესების, კანონის განუხრელი დაცვით მოკლა სოკრატე! ამით ათენელებმა სამუდამოდ შეირცხვინეს თავი და, მართალია, შემდეგ მოინანიეს, მაგრამ არც ეს მონანიება ყოფილა გულწრფელი, რადგან იმჟამად არისტოტელეს დაუპირეს მოკვლა. არისტოტელე ჭკვიანი კაცი იყო, გაიქცა და თან სიტყვა დატოვა, გავრბივარ, რადგან არ მინდა, ჩემმა ქალაქმა მეორედ ჭამოს სირცხვილიო.

ერთი სიტყვით, სოკრატეს სიკვდილმა თავზარი დასცა პლატონს და იმპულსი მისცა, გამხდარიყო ის, ვინც გახდა! მაგრამ, როგორც ჩანს, პლატონი იმდენად დავალებული იყო მასწავლებლისაგან, რომ სოკრატე თავის თავში შეუშვა და სწორედ მისი სახელით ილაპარაკა.

თამამად შეიძლება ითქვას, პლატონს არ დაუწერია არც ერთი სუსტი ნაწარმოები! მას არ შეეძლო ცუდად წერა. მისი შემოქმედება სავსეა უზარმაზარი ინფორმაციით, სიყვარულით და, რაც მთავარია, სოკრატეთი, ანუ კაცობრიობის ისტორიის იმ ნათელი ნაწილით, რომლის მიხედვითაც, აქვე, დედამიწაზე, შეიძლება დაიარებოდეს საინტერესო ადამიანი. თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებლის მხრებზე დაყრდნობით პლატონმა ბევრად წინ წაიწია და აღმოაჩინა ის, რაზედაც სოკრატეს არასდროს უფიქრია და არც სცოდნია. სოკრატეს არ აინტერესებდა სამყარო – ადამიანებს მიღმა, მაშინ, როდესაც ამ სამყაროზე საუბრით პლატონმა აღმოაჩინა უფრო ნამდვილი – იდეების სამყარო.

აქ სოკრატე აღარ არის, ეს საკუთრივ პლატონის აღმოჩენაა, რომელიც ყველაზე უკეთ მის საოცარ ნაწარმოებში „სახელმწიფო" აისახა. პლატონი ამოუწურავია, რადგან იგი აღმოჩნდა არა მარტო ახალი იდეების გენერატორი, არამედ თავად იდეათა სამყაროს აღმომჩენი, რომელიც სადღაც არსებობს. მაგალითად, არ არსებობს უნაკლო და იდეალური ადამიანი, მეტიც, უნაკლო და იდეალური უბრალო კვადრატიც კი ვერ იქნება, რადგან იდეალური კვადრატი მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს, რამდენიც უნდა ვხატოთ ან ვხაზოთ, სულ მცირე ცდომილება მაინც იქნება! ამიტომ, პლატონმა თქვა, რომ იდეალი, რომელიც წარმოსახვაში არსებობს, შეუძლებელია განმეორდეს, ამიტომაც ეს იდეალი მხოლოდ და მხოლოდ აისახება. ეს მარტივი იდეა მან შესანიშნავად გამოხატა გამოქვაბულის მითით ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „სახელმწიფო", რომელიც არა ფილოსოფოსებისთვის, არამედ ფილოს სოფოსებისთვის, სიბრძნის მოყვარულთათვის დაწერილი წიგნია.

გამოქვაბულის მითში ასახულია ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ამ გამოქვაბულში ისე არიან მიჯაჭვულნი, რომ უკან მობრუნება არ შეუძლიათ. იქვე ანთია ცეცხლი, რომელიც გარესამყაროს გამოქვაბულის კედელზე არეკლავს. იქ მიჯაჭვული ადამიანები ხედავენ მხოლოდ ანარეკლს და რადგან ამ ანარეკლის გარდა არასდროს სხვა არაფერი უნახავთ, როდესაც კედელზე ადამიანის ჩრდილს ხედავენ, ისინი მიიჩნევენ, რომ ხედავენ ადამიანს და ერთადერთი რეალობა სწორედ ეს არის. ირონია კი ის არის, რომ გამოქვაბულის კაცები ადამიანის ჩრდილსაც ვერ ხედავენ, მღვიმის მიღმა სხვა კაცები მათთვის თოჯინებს დაატარებენ...

ეს ფანტასტიკურად მხატვრულ-ფილოსოფიური მითი გრძელდება იმით, რომ ამ მიჯაჭვული ადამიანებიდან ერთი მაინც რომ გამოვიყვანოთ გამოქვაბულს გარეთ, როდესაც ის სხვა, ჩრდილების სამყაროზე მეტად რეალურ სამყაროს იხილავს, პირველი გრძნობა, რომელიც გაუჩნდება, არის ის, რომ მისმა თანამოძმეებმა ამ ფერადოვანი, სამგანზომილებიანი სამყაროს შესახებ არაფერი იციან და თუკი ის საკუთარ თანამოძმეებთან დაბრუნდება და მოუყვება, რაც ნახა, ისინი მას არ დაუჯერებენ, რადგან იციან, რომ ერთადერთი რეალური სამყარო – ჩრდილების სამყაროა!

ჩვენც ხომ ასე ვართ, ჩვენც ხომ გვგონია, რომ რეალობა ისაა, რასაც ჩვენ ვხედავთ! ამ სურათით პლატონმა აჩვენა, რომ რასაც ჩვენ ვხედავთ, არის ასახვის ასახვა, ჩვენ კი რეალობა გვგონია.

პლატონი იყო არა მხოლოდ აღმომჩენი, არამედ კონსტრუქტორიც, იგი მიხვდა, რომ მას შეუძლია უკეთესი ცხოვრება მოუწყოს სხვებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღრმად ადამიანური ფიქრი, რომელიც პლატონამდე არავის მოსვლია თავში, შესაბამისად, არც ის უფიქრიათ, რომ ეს ადამიანის გასაკეთებელია. არც არის გასაკვირი, მაშინ ხომ მიაჩნდათ, რომ სამყარო ღმერთებმა მოაწყვეს ასე, „შენ ასწავლი?“ და ა. შ.

პლატონთან ამ, უკეთესი ცხოვრების მოწყობის, თემაში არის ერთი საჩოთირო ასპექტი, რაზედაც ადამიანები ღელავენ. საუბარია მიზეზზე, რის გამოც პოეტებს განსაკუთრებით არ უყვართ პლატონი. მან თქვა – იდეალური სახელმწიფოდან უნდა გავაძევოთ პოეტები! რეალურად, ამას მიზეზები აქვს. პლატონმა თქვა, რომ ღმერთი არ შეიძლება იყოს ადამიანივით მზაკვარი, გარყვნილი და ა. შ. მაგალითად:

გარყვნილია ჰომეროსის ზევსი, რომელიც ქალებს გადაჰყვა და ჰერას აეჭვიანებს; სხვა ღმერთი – იპარავს, კიდევ სხვა – ტყუილზე იფიცებს; ერთი სიტყვით, ადამიანებს ჰგვანან; და ვინ დაამსგავსა ისინი ადამიანებს? რა თქმა უნდა, პოეტებმა! ამიტომაცაა, რომ, პლატონის აზრით, სახელმწიფოში არ არის პოეტების ადგილი და ვისია ადგილია სახელმწიფოში? იმათი, ვინც იცის, რომ ღმერთი სხვანაირია... აი, ასე, პლატონთან იბადება ქრისტიანობამდელი წარმოდგენა უხილავ, სხვა ღმერთზე.

და პლატონი, რომელმაც აღმოაჩინა იდეათა სამყარო და მიხვდა, რომ შეუძლია უკეთესი ცხოვრება მოუწყოს ადამიანებს, მიაგნებს კიდევ ერთ საინტერესო ფორმულას, რომ სახელმწიფო ზუსტად იმ წესრიგის მიხედვით უნდა მოეწყოს, როგორც ადამიანია მოწყობილი.

მან თქვა, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის სული, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება; პირველი – სული, რომელიც ჭვრეტს იდეებს, რომელიც ხედავს, ანუ ის, რასაც ჩვენ გონს ვუწოდებთ; მეორე – სული, დაახლოებით ის, რასაც ჩვენ ვაჟკაცობად, სიმამაცედ მოვიხსენიებთ; მესამე – სულის ამქვეყნიური ნაწილი, ანუ ადამიანის სურვილი. აქ მთავარია იერარქია; თავში იყოს გონება, შემდეგ მოდიოდეს ვაჟკაცობა და ამის შემდეგ მიწიერი სურვილები, ანუ ადამიანის ცხოველური ნაწილი.

რადგან ადამიანი ასეთია, თქვა პლატონმა, სახელმწიფოც ასეთი უნდა იყოს, იქ უნდა ცხოვრობდეს სამი ტიპის ადამიანი, ოღონდ არაა აუცილებელი, რომ ერთნაირი ოდენობით.

პირველი ტიპის ადამიანი არის პირველი კლასი, ასე ვთქვათ, უმაღლესი ფენა, ბრძენი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ყველა მოქალაქეს ცხოვრების სწორი წესი დაუმკვი-

დრონ. სწორედ ისინი დგანან სახელმწიფოს სათავეში, მმართველი ელიტა, ფილოსოფოსები, ანუ ადამიანები, რომელთაც სიბრძნე უყვართ და, მართალია, ყველა კითხვაზე არ აქვთ პასუხი, მაგრამ იცნობენ იდეებს და შეუძლიათ მათი გატარება პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მეორე ფენა – ეს არის მხედართა, გნებავთ – სახელმწიფოს მცველთა კლასი. სამხედროები, რომლებიც ღელავენ და პასუხს აგებენ უსაფრთხოებაზე.

მესამე ფენა – დანარჩენი მოქალაქეები, ე. წ. მწარმოებლები: მოხელეები, გლეხები, მიწათმოქმედები, ოსტატები და ა. შ. (სწორედ ამ ფენაში შეიძლება ყოფილიყვნენ პოეტებიც, ღმერთებთან დაკავშირებით „მიქარვები" რომ არ მოსვლოდათ).

საგულისხმოა, რომ ამ სამყაროში, რომელსაც პლატონი აშენებს, არ არის ადგილი ათეისტებისთვის, რადგან, თუკი ვინმეს ღმერთი არ სწამს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას იდეები არ სწამს, ანუ საერთოდ არაფერი ესმის და მავნებელია.

ამ ყველაფრის ფონზე, რა საინტერესოა თავად ის ამბავი, რომ პლატონმა, რომელიც ათენის დემოკრატიას პატივს სცემდა, საკმაოდ ტოტალიტარული სახელმწიფო დახატა და თან ეგონა, რომ იდეალური სახელმწიფოს შექმნა მართლაც შესაძლებელი იყო! სცადა კიდეც, როდესაც სიცილიის ტირანის მიწვევასა და საკუთარი იდეების რეალობად ქცევას შეეცადა, თუმცა ამაოდ. გაირკვა, რომ სიცილიის ტირანი საზიზღარი კაცია, რის შემდეგაც პლატონი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია პოლიტიკოსმა მართოს ქვეყანა – პოლიტიკოსი მომენტის კაცია, ის უნდა გრძნობდეს ამ მომენტს და, რაც მთავარია, პოლიტიკოსი არის კაცი, რომელიც წინ კი არ მიუძღვება ხალხს, არამედ უკან მიჰყვება მათ.

პლატონი დარწმუნდა, რომ პოლიტიკოსები არ არიან ისეთი, როგორიც წარმოგვიდგენია, ამიტომ სახელმწიფოს სათავეში უნდა იდგნენ ფილოსოფოსები. და როგორ უნდა მოხერხდეს ეს?! ამ მიზნის მისაღწევად ის ორ გზას სახავს – დავაჭკვიანოთ პოლიტიკოსები ან მმართველებად ავირჩიოთ ფილოსოფოსები. პირველი გზა თავად პლატონმა გამოსცადა სიცილიის ტირანთან ურთიერთობისას და დარწმუნდა, რომ პოლიტიკოსის გაფილოსოფოსება შეუძლებელია. ამდენად, საჭიროა ფილოსოფოსების დაინტერესება პოლიტიკით. მან დაიწყო კიდეც ხალხის გაზრდა ფილოსოფოსებად, რათა მომავალში მათ ხელში აეღოთ ძალაუფლება, თუმცა, ეს გეგმაც ჩავარდა. ამ ჩავარდნის მიზეზს პლატონმა თავად მიაგნო, ის მიხვდა, რომ ღირსეული ადამიანები ძალაუფლებისთვის კი არ დახოცავენ ერთმანეთს, არამედ იკამათებენ იმაზე – არა, მე არ მეკუთვნის ძალაუფლება, მე არ უნდა ვიყო მმართველიო. დიახ, რაც უფრო ღირსეულია ადამიანი, მით უფრო იტყვის ასეთ რამეს. ხოლო ის ადამიანი, რომელიც იტყვის, გინდა თუ არა, მე უნდა მქონდეს ძალაუფლებაო, ფილოსოფიით არ „გაიფუჭებს" თავს, არ წაიკითხავს წიგნს, რათა არ „შეირყვნას" და არ შესძულდეს ძალაუფლება.

საშიშია წიგნი, საშიში, შეიძლება გაგიტყუოს და უფროსობაზე უარი გათქმევინოს, წიგნს ეს შეუძლია!

ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ პლატონმა უამრავი რამ გვასწავლა, უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ ერთმანეთში ნუ ვეძებთ იდეალებს, რადგან ჩვენ, ყველანი, ასახვის ასახვები ვართ. ჩვენი სამყარო იდეალური ვერ იქნება, მაგრამ არსებობს იდეალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ გავიგებდით, რა ნაკლი გვაქვს. ეს ჩვენი დიდი მასწავლებლის, პლატონის დანატოვარია.

ერთხელ, პლატონის „თანამოგვარემ", ანდრეი პლატონოვმა თქვა – უჩემოდ ხალხი სრული არ არის; პლატონის გარეშე კი კაცობრიობაა ნაკლული, ის არის კაცობრიობის შეკვრის წესი! პლატონი მთავარი მწერალია, ავტორი მთავარი და გადამწყვეტი ნაწარმოებისა – „სახელმწიფოსი", რომელიც უტოპიად დარჩა და, ალბათ, ვერც ვერასდროს განხორციელდება, თუმცა, სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ არსებობს იდეალი, რომელზედაც პლატონი საუბრობდა და ის გაცილებით უფრო რეალისტურია, ვიდრე სამყარო, რომელსაც ჩვენ ვჭვრეტთ.

კაცი, რომელმაც ცა დაიცარიელა

ფრიდრიხ ნიცშე და მისი უდიდესი ნაწარმოები, რომელსაც ჰქვია „ასე იტყოდა ზარატუსტრა“, თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, ამავდროულად, ყველაზე საკამათო სახელებია.

კაცობრიობის გამორჩეული ფიგურა და ევროპული აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ადამიანი – ფრიდრიხ ნიცშე 1844 წელს, პასტორისა და პასტორის ქალიშვილის ოჯახში დაიბადა. მიუხედავად ამისა, ბავშვობიდანვე ქრისტიანობით გარშემორტყმული ბავშვი, მომავალში ქრისტიანობასთან, ზოგადად, რელიგიასთან მებრძოლი კაცის სიმბოლოდ იქცა.

რეალურად, ნიცშე ქრისტიანობას კი არა, ზოგადად, ანობას, იზმებს დაუპირისპირდა. მან თავად შექმნა მოძღვრება, ახალი რელიგია, რომელსაც არ ჰყავს არც ერთი ადეპტი, იმიტომ, რომ თავად იბრძოდა ამის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, ნიცშე არის კაცი, რომელიც დღემდე აღელვებს კაცობრიობას და დღემდე ინტელექტუალური სამყაროს დღის წესრიგს

სწორედ ის ადამიანი ადგენს, რომელიც 1888 წლის 2 იანვარს ფსიქიკურად შეიშალა და, როგორც ავტორმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიცშეს ჩამოწერა არაერთხელ სცადეს, მათ შორის, სცადა მისმა ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მოსწავლემ, თომას მანმა, რომელიც 1947 წელს წერდა, რომ ნიცშე ისტორიის საკუთრებაა. მანი აკრიტიკებდა დიდ მასწავლებელს, რადგან მასში აღმოჩნდა პოტენციალი, რომელიც ფაშისტებმა სათავისოდ გამოიყენეს.

ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, ნიცშე არ ყოფილა და ვერც იქნებოდა გერმანული ფაშიზმის გულშემატკივარი. ნიცშეს ისტორია იმ ადამიანის ისტორიაა, რომელმაც დაქუცმაცებული გერმანია შეიყვარა, ხოლო როდესაც პრუსიას გერმანიის გაერთიანების, იმპერიის შექმნის ენერგია აღმოაჩნდა, რომელმაც შვა კიდეც საკუთრი გიგანტი ბისმარკის სახით, ნიცშეს გერმანია შეუქცევადად შესძულდა.

სხვათა შორის, ნიცშეს ბოლო, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს, რომელსაც Ecce homo („აი ადამიანი") ჰქვია, ასეთი მიძღვნა აქვს – „ვუძღვნი ბისკმარს, ნიშნად ჩემი მისდამი უძლიერესი სიძულვილისა".

რა თქმა უნდა, ცენზურამ მაშინ ეს მიძღვნა დაბლოკა და ნაწარმოები უიმისოდ გამოიცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიცშეს ბისმარკისადმი სიძულვილი არსად გამქრალა. ეს არის სიძულვილი ყველანაირი გერმანული სახელმწიფოებრიობისადმი, სიძულვილი ანტისემიტიზმისა და გერმანელი, ე. წ. თეთრი, ქერათმიანი კაციჭამიებისა. ეს ნიცშეს ტერმინებია, ასე რომ, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ ნიცშე ფაშისტი იყო, ის საქმეში ჩაუხედავი ადამიანია.

უპირველეს ყოვლისა, იმის გაგება, თუ როგორია ნიცშე, მისი ორი, პირველი („ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“) და ერთ-ერთი უკანასკნელი („ასე იტყოდა ზარატუსტრა“) წიგნებით შეგვიძლია. ამ ორ ნაწარმოებს შორის ღრმა კავშირია. ამ ყველაფრის მიუხედავად, ნიცშეს თავიდან ბოლომდე, 100%-ით გაგება შეუძლებელია, ეს თავად მასაც არ შეეძლო, რადგან წინააღმდეგობრივი მოაზროვნეა.

ფრიდრიხ ნიცშემ ძალიან ადრე აღმოაჩინა სიკეთისა და ბოროტების რელევანტურობა და ის, რომ ადამიანი სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. ეს მისი ერთ-ერთი მთავარი იდეაა, რომ სიკეთესა და ბოროტებაზე საუბარი არასერიოზულია, რადგან ის, რაც ჩემთვის სიკეთეა, შენთვის შესაძლოა ბოროტება იყოს. შესაბამისად, ყველა რელიგია, რომელიც ამ ორ ცნებაზე საუბრობს, ნიცშემ სისულელედ გამოაცხადა. შესაბამისად, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ასეთი კაცის წიგნები სისულელედ შეირაცხა. მით უმეტეს, ამ და არაერთი სხვა მიზეზის გამო, ვერ იქნებოდა პოპულარული ნაწარმოები, რომელსაც ჰქვია „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“. ამის გასაგებად ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ თხრობა.

ნიცშემ სწავლა თეოლოგიის მიმართულებით დაიწყო, თუმცა მალე საწინააღმდეგო მხარეს – კლასიკური ფილოლოგიისკენ გადაიხარა. ის იმდენად ღრმად განისწავლა ამ საქმეში, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი, ისე, რომ სადოქტორო ნამუშევარი არ ჰქონდა დაცული, ბაზელის უნივერსიტიტეტის პროფესორად აირჩიეს, შემდეგ კი, გამოცდის ჩაუბარებლად, უკვე პროფესორ ფრიდრიხ ნიცშეს მიანიჭეს სამეცნიერო ხარისხი.

აი, ამ კაცმა დაწერა წიგნი, „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან", რომელსაც კლასიკურ ფილოლოგიაში, რამდენიმე „დამთხვეული" ფილოლოგის გარდა, არავინ აღიარებს. ამას თავისი მიზეზები აქვს; ჯერ ერთი, ეს არ არის კლასიკურ-ფილოლოგიურად დაწერილი წიგნი, მასში არ გვხვდება ციტირება, მინიშნება და ა. შ. რაც მთავარია, ნიცშე არ ამტკიცებს არანაირ თეზისს, ისე წერს, თითქოს თავად არის ბერძნული ტრაგედიის დედაცა და მამაც.

ნიცშემ თქვა, არსებობს წარმოდგენა, რომ საბერძნეთი კაცობრიობის გარიჟრაჟი, მისი ოპტიმისტური ხანაა. არადა, ამ დროს, ბერძნებს აქვთ დაწერილი ტრაგედიები... და რატომ წერდნენ ტრაგედიებს, თუკი ასეთი ოპტიმისტები იყვნენ, რატომ ლაპარაკობდნენ სიკვდილზე?

მან აღმოაჩინა, რომ ბერძნულ სამყაროში მხოლოდ ერთი კი არა, ორი მთავარი იდეაა; მან თქვა, რომ მართალია, ოპტიმიზმი, ჰარმონია, მშვენიერება და სილამაზე – აპოლონური იდეაა, მაგრამ, არსებობს მეორე, გაუწონასწორებელი, გადარეული, გიჟი საბერძნეთიც, რომელიც უპირისპირდება აპოლონურ იდეას და მას თავისი ღმერთი ჰყავს – გიჟი დიონისე, ტრაგედიის მამა.

ნიცშეს მიხედვით, ტრაგედია აპოლონისგან, ანუ ქნარისგან, ლირისგან, სიმებიანი საკრავისგან კი არ წამოიშვა, არამედ სასულე მუსიკისგან – როდესაც სასულე ინსტრუმენტზე უკრავ, ბუნებრივია, სიტყვას ვერ იტყვი და სამოქმედო ინსტრუმენტად მხოლოდ ტანის მოძრაობა გრჩება. ნიცშეს აზრით, ამ მოძრაობიდან, ქოროსიდან, როკვიდან დაიბადა ტრაგედია; ეს ექსტაზი არის კიდეც დიონისე და დიონისე გახდა მისი მთავარი ღმერთი!

სხვათა შორის, სანამ ის საბედისწერო დღე დადგებოდა, როდესაც ნიცშე ცხენის გამათრახების სცენას შეესწრო (ამ ამბისგან სრულიად დამოუკიდებლად, ასეთი სიზმარი უკვე იყო აღწერილი მსოფლიო ლიტერატურაში, დოსტოევსკის რომანში „დანაშაული და სასჯელი“) და საბოლოოდ შეიშალა, მანამდე თავს დიონისედ განიხილავდა, ხელსაც კი აწერდა წერილებს დიონისეს სახელით.

დიონისე, დიონისური საწყისი, ანუ სიშმაგე და გადარევა ნიცშემ თავის საფუძვლად გამოაცხადა. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, გერმანიაში, სადაც ჰარმონიის კანონები მეფობს, ვიღაც კაცი მოდის და წერს, საბერძნეთში, ანტიკურობაში მთავარი ის კი არ არის, თქვენ რაც გგონიათ, აპოლონური სამყარო, ნათელი მითები, არამედ ის, რაც მის წიაღშია, ანუ დიონისე, საფუძველი, რომელიც ბერძნულ წარმოდგენებში ყველაზე ახალგაზრდა ღმერთია, ნიცშეს აზრით კი, ყველაზე მოხუცი!

და თქვა ნიცშემ – ვინაიდან არ არსებობს არც სიკეთე და არც ბოროტება, ვინაიდან ყველა რელიგია, ყველა მოძღვრება სისულელეა, ღმერთი მოკვდა!

ეს არ არის ღმერთების სიკვდილი, როგორც ვაგნერთან, ეს ყველა, ერთად აღებული ღმერთის სიკვდილია, ნიცშეს აზრით, სწორედ ეს ღმერთი მოკვდა. ის არ არის ათეისტი, მას არ უთქვამს – ღმერთი არ არსებობს, ნიცშემ გარკვევით თქვა – ღმერთი იყო და მოკვდა! და აი, პესიმიზმის ნაცვლად, როგორც დოსტოევსკისთან, რადგან ღმერთი არ არის, მაშინ ყველაფერი ნებადართულია, ნიცშე ამბობს – ღმერთი მოკვდა, ამიტომ, ადამიანს აქვს პასუხისმგებლობა!

სწორედ ამ იდეას ეფუძნება მისი მეორე მთავარი წიგნი – „ასე იტყოდა ზარატუსტრა“, მოძღვრება ზეკაცის შესახებ.

ზეკაცი არ არის ახალი ბიოლოგიური მოდგმა, ის, რასაც ჰიტლერი ხედავდა... ნიცშემ თქვა, რომ რადგან ღმერთი მოკვდა – ცა ცარიელია, შესაბამისად, მოკვდა მარადიული სიცოცხლის ზეციური იდეები; ამიტომაც, გაუმარჯოს მიწას, მიწას, რომელმაც აღმოაცენა ადამიანი, მიწის კაცი, ზეკაცი, ვისაც არაფერი სწამს, მიწის გარდა!

თუ შენ გწამს მომავალი ცხოვრება, სულის უკვდავება და სხვა, შენ ზეკაცი კი არა, ქვეკაციც კი არა ხარ, ბიოლოგიურად არსებული რაღაც მცენარე ხარ, რომელიც სხვაზეა დამოკიდებული, ამიტომაც, ადამიანი ვალდებულია, იყოს ზეკაცი, რისთვისაც მან უნდა გაიაროს სამი: აქლემის, ლომისა და ბავშვის საფეხური.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვართ აქლემები, ანუ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აიტანენ, იმიტომ, რომ სიკვდილის მერე კარგი ცხოვრება ელით. ანუ, აქლემებმა ამ ცხოვრებაში ყველაფერი უნდა აიტანონ, მათ შორის ის, რომ ისინი ფეხით დადიან, სხვები კი – ავტომობილით.

მაგრამ გადის დრო და აქლემს უჩნდება წინააღმდეგობის გრძნობა, იმიტომ, რომ სხვები არათუ ავტომობილით დადიან, არამედ გადაუვლიან ან წყალს შეასხამენ და აქლემი ღიზიანდება; ადამიანში ჩნდება პროტესტის გრძნობა და ის ამბობს – შენ არ ხარ კარგი! ამ გზით ადამიანი აქლემის სტადიიდან ლომის სტადიაში გადადის.

ლომის სტადია – კარგი სტადიაა. ამწუთას, კაცობრიობა ძირითადად ლომებითაა დასახლებული, თუმცა ამბობენ, აქლემები ვართო; ეს არ არის მართალი, იმიტომ, რომ თვითგამოცხადებულ მორწმუნეთა რიცხვი არ ემთხვევა ჭეშმარიტ მორწმუნეთა რიცხვს, თანაც ამ რიცხვებს შორის დიდი აცდენაა. რა თქმა უნდა, ადამიანები დღეს ძირითადად ლომე-

ბი არიან: „მომეცი ჩემი!“, „ყველაფერს არ ავიტან!“, „შენ ავტომობილი გქონდეს, მე – არა? არ მომწონს!“ ეს ლომობაა, ეს ძალიან სერიოზული სტადიაა, მაგრამ მაინც გარდამავალი ფაზაა.

ბოლო ფაზა არის – ბავშვი. ანუ, მას შემდეგ, რაც ჯერ აქლემი იყავი, შემდეგ კი ლომი, ხდები ბავშვი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქრება ყველანაირი წარსული, ხსოვნა იმისა, რომ ოდესღაც არსებობდნენ ღმერთები, ვიღაცამ იცოდა ჭეშმარიტება, არსებობს სიკეთე და ბოროტება და შენ ხარ სუფთა, როგორც ბავშვი! აი, სწორედ ეს არის მიწიდან დაბადებული ზეკაცის იდეა.

ნიცშე მიიჩნევს, რომ ადამიანი ვალდებულია გახდეს უკეთესი, ეს არ არის მისი სურვილი, ეს ვალდებულებაა! ანუ, ადამიანობა ისაა, რომ შენ ხარ თავისუფალი! თუ აქლემი ხარ – არ ხარ ადამიანი! თუ შენ კრიტიკოსი ხარ, ლომი ხარ და არა ადამიანი! ადამიანი ხდები მაშინ, როდესაც გჯერა, რომ არ არსებობს არაფერი შენ ზემოთ, არ არსებობს სიკეთე და ბოროტება; ერთადერთი, რაც არსებობს, არის შენი თავისუფალი ნება და ამ თავისუფლებაში იქცევი ზნეობრივად!

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვიღაცები ფიქრობენ, ნიცშე უზნეო კაცია, რადგან ის რელიგიებს ერჩის. ნიცშეს სიტყვები არ არის უზნეო კაცის სიტყვები, პირიქით, ის ზნეობის მასწავლებელია, რადგან ამბობს, რომ შენ არ გყავს დირექტორი, შენ არ გყავს უფროსი, მაგრამ ვალდებული ხარ, თავად იყო ზნეობრივი ადამიანი!

შემდგომში, მისმა ერთ-ერთმა ადეპტმა, ეგზისტენციალიზმის მამამ თქვა, რომ ადამიანს მისჯილი აქვს იყოს თავისუფალი. ნიცშე სწორედ ამას ამბობდა, შენ თავისუფლებას

კი არ ირჩევ, თავისუფლებისკენ კი არ იხრები, არამედ თავისუფალი ხარ მარტო შენ!

ასეთი მასშტაბების მიუხედავად, ნიცშე იმდენად შეუმჩნეველი და არაპოპულარული იყო, რომ არსებობის სახსრებიც კი არ ჰქონდა. გარკვეული გაგებით, ნიცშე არ იყო ფილოსოფოსი – ფილოსოფოსთათვის, ფილოლოგი – ფილოლოგთათვის; ამიტომაცაა, რომ ამ წიგნს ასეთი ქვესათაური აქვს – „წიგნი ყველასათვის და არავისთვის". ყველა – ეს ჩვენ ვართ, მკითხველები, ხოლო ის ადამიანები, რომელსაც ნიცშე არ წაუკითხავთ და ისე კიცხავენ მას – არავინ და ასეთები ბევრნი არიან.

„ასე იტყოდა ზარატუსტრა" ეპოქალური წიგნია, რომელსაც კითხულობ და შინაარსის ნახევარი არ გესმის, რაც სრულიად ბუნებრივია. შემდეგ, თავიდან გადაიკითხავ და ახლა უკვე ის ნახევარი არ გესმის, რომელიც მანამდე გესმოდა და ა. შ. ფაქტობრივად, ამ წიგნის შინაარსის გადმოცემა შეუძლებელია.

ნახეთ, ავტორი იმდენად ერთგულია ანტიკურობის, რომ ზარატუსტრას მუდამ თან ახლავს ჰომეროსის „ილიადის" ორი მთავარი სიმბოლო: არწივი და გველი. ანტიკურობა, კლასიკური ფილოლოგია, ამ წიგნში ნიცშემ მოძღვრებათა წინააღმდეგ გამოიყენა.

და, რაც მთავარია, თუკი ვინმეს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ნატიფი, დახვეწილი აპოლონური ხილვები იმ ხილვებისგან, რომლებსაც დიონისური თრობა იწვევს და თუკი ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას, ნიცშე მას წაუკითხავად აქვს წაკითხული, ის ნიცშეანელია!

აი, ასეთი სიდიდის მოაზროვნე სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, სანამ არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი,

გეორგ ბრანდესი, რომელმაც თქვა, რომ ნიცშე გენიოსია! როგორც ჩანს, ყველას სჭირდება ერთი გეორგ ბრანდესი, რადგან ფაქტია, ედგარ ალან პო შეუმჩნეველი იყო, სანამ ბოდლერმა არ დაინახა და შემდეგ ამერიკელებმაც აღიარეს; ასე მოხდა შექსპირის შემთხვევაში, სანამ ფრანგებმა არ აღიარეს, ინგლისელები ისე იქცეოდნენ, თითქოს არც არსებობდა; იგივე განმეორდა გოეთესთან მიმართებითაც – გერმანელები ფიქრობდნენ, რომ შილერი სჯობდა, სანამ მთელმა მსოფლიომ არ დაანახვა მათ სიმართლე.

ზუსტად ასე იყო ნიცშეს შემთხვევაშიც, რაც არც არის გასაკვირი, რადგან არაფერი გერმანული არ მოსწონდა, იმდენად არაგერმანულად წერდა, რომ ლოგიკა გააძევა, ჰეგელის ქვეყანაში თქვა – ფილოსოფოსი ვარ, ლოგიკის გარეშეო! წარმოუდგენლად არაგერმანულ ნაბიჯებს დგამდა, თუმცა, როგორც კი ბრანდესმა აღიარა გენიოსად, ეს ყველამ დაიჯერა და გამომცემლობებმა მისი წიგნების მილიონიანი ტირაჟით გამოცემა დაიწყეს. საბედნიეროდ, ნიცშე მოესწრო დიდების ზენიტს, თუმცა, სამწუხაროდ, ცოტა ხნით, რადგან ავადმყოფობამ დარია ხელი.

დასასრულ, აუცილებლად უნდა შევეხოთ მის ორ მთავარ სიყვარულს. სიცოცხლეში სულ ორი ქალი უყვარდა, თან ორივე ტრაგიკულად. ნიცშეს, არც მეტი, არც ნაკლები, ვაგნერის ცოლი უყვარდა! ნიცშე ქალს არიადნედ მოიხსენიებდა, ვაგნერი კი თეზევსად გამოჰყავდა. ბერძნული მითის მიხედვით, თეზევსი მიატოვებს არიადნეს, რომელიც შემდეგ დიონისეს მეუღლე გახდება. ალბათ, ყველასთვის გასაგებია, რას გულისხმობდა ამით ნიცშე, კაცი, რომელიც წერილებს დიონისეს სახელით აწერდა ხელს...

ამ სერიოზულმა სასიყვარულო სამკუთხედმა შემდგომში სერიოზული განხეთქილება გამოიწვია და მიუხედავად იმისა, რომ ვაგნერი დიდი სახელია და ერთი პერიოდი ისიც კი მიიჩნეოდა, რომ უფრო დიდია, ვიდრე ნიცშე, ფაქტია, ვაგნერებიც კი, ამოდენა ადამიანები, მიდიან და მოდიან, ხოლო ნიცშე რჩება.

ასეა, ყოველი ახალი თაობა ემშვიდობება და მარხავს ნიცშეს – ნახვამდის ფრიდრიხ... და მიუხედავად ამისა, ყოველ ახალ მოსახვევში სწორედ ის გველოდება, რადგან ნიცშეს გარეშე წარმოუდგენელია განახლება!

მოქალაქე გასეტი

პირდაპირ ვთქვათ, რომ არა ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, ესპანეთი ესპანეთი არ იქნებოდა და არც პოლიტოლოგია თუ სოციოლოგია იქნებოდა ისეთი, როგორიც დღეს არის. გასეტი ესპანეთის სამოქალაქო ომის ერთადერთი რეალური გმირია, რომელმაც შეძლო და არც ერთი მხარე არ დაიჭირა, უშიშრად და სრულიად მოურიდებლად, კრიტიკით დამარხა როგორც ფაშიზმი, ისე კომუნიზმი.

ის, ალბათ, ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა მაშინდელ მსოფლიოში, რომელმაც თქვა: არც ერთი! თანაც იმ ფონზე, როდესაც არაერთი ადამიანი, განსაკუთრებით კი ინტელექტუალი, კომუნიზმის მხარეს იხრებოდა.

ვსაუბრობ თავისი ეპოქის უგანათლებულეს კაცზე, რომელმაც პირველივე წიგნით „განსჯანი დონ კიხოტეს შესახებ“ ისახელა თავი. არ მგონია, ოდესმე ვინმემ „დონ კიხოტეს“ შესახებ ამაზე სრულყოფილი წიგნი დაწეროს; წარმოუდგენელია, რომ სერვანტესის მოყვარულებმა რამენაირად ხოსე ორტეგა-ი-გასეტის გვერდი აუარონ. მიუხედავად ამისა, ორ-

ტეგა-ი-გასეტი საყოველთაოდ ცნობილია მისი ეპოქალური წიგნით – „მასების ამბოხით“, რომელიც ადამიანის, ინდივიდუუმის აზრს გამოხატავს იმ სამყაროში, სადაც ინდივიდუუმების ჩაგვრა ჩვეულ მოვლენად იქცა.

გასეტი ამბობს, რომ ადამიანი, ინდივიდუუმი, რომელიც არის კიდეც სამყარო, ყველაფრის საწყისი და საზომი, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა ხატად და მსგავსად თვისა, ჩაანაცვლა ბრბომ, რომელსაც მან დაარქვა მასა. ამ მასას ინდივიდისგან განსხვავებული უნარები აღმოაჩნდა; ინდივიდს აქვს სწრაფვა იდეალებისკენ, ცოდნისკენ; რაც უფრო განათლებულია ადამიანია, მეტად ხვდება, რომ რაღაცები არ იცის; რაც მეტს სწავლობს, რაც მეტს ეცნობა, ხვდება, თუ რა უზარმაზარია სამყარო და რა პატარაა თავად.

ამის საპირისპიროდ კი, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთ პატარა ორლობეში, თავიანთ სოფელში, საკუთარ პარტიაში ხედავენ სამყაროს და მიიჩნევენ, რომ მათ უკვე ყველაფერი იციან, ანუ, კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა:

ა) ადამიანები, რომლებმაც არაფერი იციან, იმიტომ, რომ ყველაფერი იციან და ხვდებიან, რომ ეს ძალიან ცოტაა.

ბ) ადამიანები, რომლებმაც არაფერი იციან, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული არიან, რომ ყველაფერი იციან.

კაცობრიობა მუდმივად ამ ორი ტიპის ადამიანებისგან შედგებოდა, უბრალოდ, ერთნი იყვნენ უმცირესობაში, მაგრამ წარმოადგენდნენ ელიტას, მათ შორის მმართველ ელიტას; ხოლო მეორენი იყვნენ უმრავლესობაში: გლეხები, მუშები, ვინც გნებავთ, და წარმოადგენდნენ ხალხს. თუკი მათს რიგებში ინტელექტუალი დაიბადებოდა, ის გადაინაცვლებდა ელიტაში; იმ შემთხვევაში კი, თუკი ელიტაში ვინმე ვერ ივარგებდა, ის ხალხში ვერ გადავიდოდა, უბრალოდ გაქრებოდა.

და აი, დგება XIX საუკუნე, სამყაროში მატულობს კეთილდღეობა; ხალხი შიმშილით აღარ იხოცება; ჯერ კიდევ არსებობენ გაჭირვებული ქვეყნები, მაგრამ ისე აღარ უჭირთ, როგორც უწინ, მაგრამ, ორტეგა-ი-გასეტი ხვდება, რომ ესპანეთი ჩამორჩა ევროპას და ცდილობს, რამენაირად მოახერხოს თავისი ქვეყნის ევროპეიზაცია. ეს ჩვენთვის სრულიად გასაგები ამბავია, ესპანეთს ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს ქვეყანა ევროპის ნაწილია, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, აზიურ წარმომავლობაზე ჩვენი ეჭვებისა არ იყოს, ესპანელებსაც ღრღნიდათ ეჭვი – მათი მთავარი პრობლემა ერთიანობის პრობლემა იყო.

ამ იდეების ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელიც ვერ იყო ღრმად დარწმუნებული, რომ ევროპულია, 1923 წელს, ორტეგა-ი-გასეტიმ დაარსა ჟურნალი, რომელსაც ერქვა „Revista de Occidente", რომელშიც ამტკიცებდა, რომ ესპანეთი არის ევროპის ნაწილი და უნდა შედიოდეს ევროპაში!

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა, რაც სრულიად არაევროპული იყო და ამ ესპანურ მასალაზე დაყრდნობით, ხოსე ორტეგა-ი-გასეტიმ დაწერა წიგნი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ევროპული წიგნია. იმ ეპოქაში გასეტი აღმოჩნდა ერთადერთი ბრძენი, რომელმაც დაინახა მასობრივი სახელმწიფოს საფრთხე! და რატომ ერთადერთი? იმიტომ, რომ სხვები უყურებდნენ ორი დიდი ძალის – ფაშიზმისა და კომუნიზმის დაპირისპირებას.

როგორი წარმოუდგენელიც უნდა იყოს, ფაშიზმსაცა და კომუნიზმსაც თავიანთი „გულშემატკივრები" ჰყავდა. მართალია, ფაშიზმი და გენია სრულიად შეუთავსებელია, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ფაშიზმი საშიში და ჩამთრევი იდეოლოგია აღმოჩნდა გაბრიელე დ'ანუნციოსა და ეზრა პაუნდისთვის.

ალბათ, ამიტომაც იყო, როცა თომას მანს დაუსვეს კითხვა, კომუნიზმი თუ ფაშიზმიო, მან თქვა, ორივე მძულს, მაგრამ ფაშიზმი კომუნიზმზე უფრო საშიშიაო.

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი კი იყო პირველი მოაზროვნე ევროპაში, რომელმაც იცოდა, რომ ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის ტოლობის ნიშანია! ეს არც არის გასაკვირი, რადგან ის, რაც ამ ავტორს უკვე ჰქონდა დაწერილი „მასების ამბოხში“, მოხდა კიდეც ესპანეთში!

უპირველეს ყოვლისა, მან არა მარტო განმარტა, არამედ განსაზღვრა კიდეც მასის ცნება. ის განსაზღვრებების დიდი ოსტატი იყო. მან თქვა, რომ მასა არის ერთობა, რომელსაც ადგენენ არაფრით გამორჩეული არსებები, ანუ, მასა კარგი ან ცუდი ადამიანებისგან კი არა, სრულიად უსახო ტიპაჟებისგან შემდგარი ერთობაა.

მახსოვს, ქართველმა ფილოსოფოსმა ერთხელ თქვა, რომ მიტინგი არ არის ადგილი, სადაც შეიძლება შედგეს აზროვნების აქტი. მამარდაშვილის სიტყვებია. ანუ, მიტინგზე ჩვენ, ყველანი, მასად ვიქცევით, სადაც მოქმედებს კიდეც მასობრივი კანონი. იქ უნდა ითქვას .– გაუმარჯოს! იქ მთავარია ენერგია, ტემბრი, ყვირილი და გამარჯვება! არავითარი აზროვნების აქტი, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია.

ეს ასეა, როდესაც ჩვენ შევდივართ სტადიონზე; სტადიონზე ჩვენ „ვიხდით“ პიროვნებას, ვინაიდან გოლი რომ გავა, ყველამ უნდა ვიყვიროთ და ამ დროს პიროვნულ განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

გასეტიმ შესანიშნავად დაინახა მასა, მან თქვა, რომ მასა უსახოა, არაფრით გამორჩეული. ადამიანები ასეთებად არ იბადებიან, მაგრამ ხდებიან გარკვეული როლის შესრულების დროს; მაგრამ, ამავე დროს, გასეტიმ აღმოაჩინა, რომ მასაში

არიან ისეთებიც, რომელთაც ყველაფერი იციან, რომელთაც სწავლა აღარაფრისა უნდათ. მასობრივი საუბარი მარტივი საცნობია, მაგალითად, „მე ორი დიპლომი მაქვს, აქ არ უნდა ვიჯდე, მე უნდა ვიყო პრეზიდენტი!“ ესაა მასის საუბარი. მასა არასოდესაა ცოდნის მოწადინე, მასას არასდროს მიაჩნია, რომ რამე აქვს მომავალში, მას ყველაფერი უკვე აქვს აწმყოში, ის უკვე არის დამსახურებული! წარმოიდგინეთ 16 წლის ბიჭი, რომელიც ფიქრობს, რომ უკვე იმდენი რამ გაუკეთა ოჯახსაცა და ქვეყანასაც, რომ პირამიდაში დაკრძალვას იმსახურებს. ასეთია, ორტეგა-ი-გასეტის წარმოდგენით, მასის ფსიქოლოგია.

ახლა ეს მასა ხედავს, რომ არსებობს უმცირესობა, ელიტა, რომელსაც აქვს განათლება და რაღაც ჭკვიანური სიტყვებით, იზმებით ლაპარაკობს; ეს მასას არ აინტერესებს, მასა ნელ-ნელა იზრდება...

მოგეხსენებათ, იყო დრო, როდესაც მართავდა ელიტა, უმცირესობა, ხოლო მასა მართული იყო. ახლა კი, ნელ-ნელა დგება დრო, როდესაც ელიტა ქრება და თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, თუ რა მართალი იყო ორტეგა-ი-გასეტი, თუკი უბრალოდ გადახედავთ თანამედროვე პოლიტიკურ სპექტრს მთელ მსოფლიოში. ისინი ერთი ან ორი თავით ჩამორჩებიან პოლიტიკურ წინაპრებს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ორტეგა-ი-გასეტის კიდევ ერთი აღმოჩენა, რომ მასა, რომელიც ზემოთ ამოდის და ნელ-ნელა აჩოჩებს გადაგვარებულ ელიტას, სულაც არაა აუცილებელი, ღარიბი იყოს. ამ მასაში შეიძლება იყვნენ მდიდარი ადამიანები, რომელთაც ეზიზღებათ ცოდნა, სწავლული ხალხი, ანუ, პირდაპირ ეწინააღმდეგებიან პლატონის იდეას, რომ სახელმწიფოს ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ. ისინი

იმეორებენ იმას, რასაც ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ამბობდა: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა...“ ესაა მასის ძირითადი იდეა, მან ისედაც ყველაფერი იცის, მას წიგნი არ სჭირდება!

მასა დარწმუნებულია, რომ რეალურად, სწორედ ის არის მთავარი ძალა! არადა, იყო დრო, როდესაც არსებობდა ორი ცნება: მოსახლე და მოქალაქე. მოვიდა მასა და თქვა, რა მოქალაქე? მოქალაქე არ არის, ვარ მე! დღეს ჩვენ არ ვიყენებთ სიტყვას მოქალაქე, დღეს ვამბობთ სიტყვას ამომრჩეველი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასების ამბოხი წარმატებით დასრულებულა. ორტეგა-ი-გასეტი აღმოჩნდა მართალი, იმიტომ, რომ მან თქვა, მოქალაქეები აღარ არიან ისტორიაში, ახლა არსებობენ ამომრჩევლები და ჩვენ მათგან გვინდა ხმა და არა ქვეყნის, ქალაქის სიყვარული და პასუხისმგებლობა.

ოდესღაც ისტორია მასებისგან შედგებოდა, იმ ეპოქის, წარსულის პირმშოა, როდესაც არ არსებობდა ქალაქი, ანუ ცივილიზაცია. გავიხსენოთ „გილგამეშიანი“ და ქალაქი ურუქი, რომელსაც ხუთი ზოლი ჰქონდა. პირველი ზოლი მოიცავდა საკუთრივ ქალაქს, სადაც მეფის სასახლე და ქალღმერთის ტაძარი იდგა და მას გალავანი ერტყა გარს; გალავანს მიღმა არის წრე, სადაც გლეხობა მიწათმოქმედებას მისდევს; მესამე წრე – საძოვრებია; მეოთხე წრე – სანადირო არე; მეხუთე კი – უდაბნო. ფილოგენეზი იწყება უდაბნოდან და მოდის ქალაქში (საწყენია, რომ გასეტის ენქიდუს სახე არ გაახსენდა; ამის შესახებ შემდგომში უნამუნომ მიანიშნა, კარგი იქნებოდა მისი გამოყენებაო).

როდესაც ქალაქი, პოლისი გაჩნდა, გაჩნდა მოქალაქეც; მოქალაქე არის ადამიანი, რომელიც მონაწილეობს საქმეში.

ჩვენთან ხშირად გაიგონებთ სიამაყით ნათქვამ ფრაზას, ორტეგა-ი-გასეტის თქმით, ამას ესპანეთშიც ამბობდნენ – მე არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ! აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველი ბერძნები ამბობდნენ, ვინც ქალაქელია, პარტიის წევრი, დაინტერესებულია ქალაქის ცხოვრებით, არის მოქალაქე – პოლიტეს! ხოლო ვინც არ არის ქალაქელი, ვისაც პოლიტიკა არ აინტერესებს, ის არის ცალკე პირი – იდიოტეს! ყველამ კარგად ვიცით, რა განვითარება ჰპოვა ამ ტერმინებმა...

ახლა კი წარმოიდგინეთ, ეს იდიოტესები ერთ მასად იკრიბებიან და აცხადებენ, რომ ჩვენ პოლიტესები, ანუ მოქალაქეები არ გვინდა, ჩვენ ელიტა არ გვაინტერესებს, თქვენ ჩამოდით პიედესტალიდან და წიგნები იკითხეთ, ჩვენ მოვედით!

ასე მოდის მასა, ასე მოდის ხელისუფლებაში სტალინი; მოდის, ფაქტობრივად, მასა, რომელიც ამბობს, ჰალსტუხიანი დაინახე? მოკალი! ებრაელი დაინახე? მოკალი! პრობლემა არ არის. აქ კომუნისტები, იქ ფაშისტები და ეს მოვლენა მასობრივია! რეალურად, სტალინი კი არ არის საბჭოთა კავშირის სახე, საბჭოთა კავშირის სახე მასაა, ის მასა, რომელიც ასე იოლად დამორჩილდა სტალინს.

ორტეგა-ი-გასეტი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის მთავარი მონაპოვარი ბუნებიდან ქალაქში გადმოსვლაა, ანუ დაპირისპირებაში ბუნება-კულტურის წინააღმდეგ, კულტურა იყო კაცობრიობის მონაპოვარი და არა ბუნება; გამრავლება კი არ არის მთავარი ადამიანური ფუნქცია, არამედ სიყვარული და ურთიერთობა, ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც ყველა თავის საქმეს გააკეთებს. ამისთვის საჭიროა ელიტა, მაგრამ ამ მარტივი იდეის გაგება არ სურს მასას.

ამიტომაც, გვარწმუნებს „მასების ამბოხი“, კაცობრიობამ უნდა იბრძოლოს იმ იდეის გადასარჩენად, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია – ინდივიდი უნდა გადარჩეს და ადამიანი არ უნდა წაშალოს ამორფულმა, უიდეო და უსახო მასამ!

ლორების დიქტატურა

თავის დროზე, იყო ერთი სახალისო წიგნი, რომელმაც საფუძველი დაუდო წიგნების მთელ სერიას, ანტისაბჭოურად განწყობილი ადამიანების საყვარელი წიგნების თაროს. „ცხოველების ფერმა" ერთ-ერთი პირველი, ანტისაბჭოთა, ანტისტალინური წიგნია, ერთგვარი შესავალი ჯორჯ ორუელის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწარმოებისა, რომელსაც ჰქვია – „1984".

დიდი ხნის განმავლობაში „ცხოველების ფერმა" იყო წიგნი, რომელიც ახალისებდა და იმედით ავსებდა ადამიანებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც კართაგენი, აუცილებლად დაინგრეოდა.

საინტერესო ამბავია, რომ წიგნი, რომელშიც მიწასთანაა გასწორებული რუსეთის რევოლუცია, ლენინი, სტალინი, ტროცკი და საბჭოთა ადამიანები, სოციალისტებისადმი დადებითად განწყობილმა კაცმა დაწერა. განსხვავებით ხოსე ორტეგა-ი-გასეტისგან, იმ იშვიათი მოაზროვნისგან, რომელმაც დაინახა, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომში სიკეთე და

ბოროტება კი არა, ორი ბოროტება: კომუნიზმი და ფაშიზმი უპირისპირდებოდა ერთმანეთს, იყვნენ ცნობილი ადამიანები – მათ შორის ჰემინგუეი და ერთი ინგლისელი ჟურნალისტი, ჯორჯ ორუელი (როგორც შემდგომში გაირკვა, ის რეალურად, დაზვერვაში მსახურობდა), რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმის, ანუ ნათელ მხარეზე იბრძოდნენ.

მიუხედავად იმისა, თუ ვის ემხრობოდა მანამდე, ამ ამბებიდან რამდენიმე წელიწადში, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ჯორჯ ორუელმა დაწერა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომლის გამოცემაც პრაქტიკულად არავის სურდა, რადგან იმ დროს, 1943-1944 წლებში, სტალინი მსოფლიოს ერთადერთი იმედი იყო, დიდი კაცი, რომელსაც ფაშიზმი უნდა დაემარცხებინა.

„ცხოველების ფერმა“ თავისებური წიგნია და მნიშვნელოვანია, რომ ვისაც შეუძლია, ამ ტექსტს ორიგინალში გაეცნოს, მით უმეტეს, რომ საკმაოდ მარტივი ინგლისურითაა დაწერილი. ნაწარმოების მთავარი სათქმელი შენიღბულია, ეს არის საშინელი ძალის სატირა, რომლის მოქმედი გმირები ცხოველები არიან. აქ გვხვდება ბებერი ღორი – მეიჯორი, რომლის სიკვდილის შემდეგ, მის თავის ქალას ამოთხრიან და სარზე წამოაცვამენ, დაუმარხავად შეინახავენ. ეს შესანიშნავი მინიშნებაა მავზოლეუმსა და ლამის საეკლესიო სიწმინდეებად ქცეულ ლენინზე, სტალინზე, კომუნისტურ პარტიაზე და ა. შ. სწორედ ამ ფიგურების ზეობის ეპოქაში დაწერა ორუელმა ასეთი საშინელი ძალის სატირა, სწორედ ამ დროს იპოვა თავის თავში ძალა, რომ ეთქვა სიმართლე სტალინიზმის შესახებ.

ამ პატარა რომანში მოქმედება მოქალაქე ჯოუნსის ფერმაში ვითარდება; ეს ჯოუნსი ლოთი კაცია, რომელიც საკუ-

თარ ქონებას ვერ პატრონობს. მის სახეში მეფის რუსეთის პორტრეტის ცნობა საკმაოდ მარტივია. ჯოუნსის უთავბოლობის, ალკოჰოლისადმი მიდრეკილებისა და ცხოველების უპატრონოდ მიგდების გამო მეიჯორმა, ბებერმა ღორმა, თქვა ძალზე მნიშვნელოვანი რამ – ჩვენ ოდესმე მივაღწევთ თავისუფლებას, ჩვენ ავჯანყდებით და მივაღწევთ იმ ღირსებას, რომელიც ჩვენ, ცხოველებს, გვეკუთვნის.

აბა, სხვაგვარად როგორ, როგორ შეიძლება ღორი ცუდად ცხოვრობდეს; როგორ შეიძლება ბოქსერი, ცხენი, პროლეტარიატის სახე, რომელიც ამდენს შრომობს – მონა იყოს; მით უმეტეს, მათ ხომ სამი დაკოდილი და ძალიან ჭკვიანი ღორი ჰყავთ: ნაპოლეონი, სნოუბოლი და სქუილერი.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონი შესანიშნავი სახელია, რათა მასში სტალინი ამოვიცნოთ, რადგან ორივე მათგანს რამდენიმე საერთო ნიშანი ჰქონდა:

ნაპოლეონის მსგავსად, რომელიც კორსიკიდან იყო, სტალინიც პროვინციიდან, უცხო თესლიდან აღზევდა რუსეთის მეფედ; ორივენი ტანმორჩილები იყვნენ, ორუელის რომანის მიხედვით – დაკოდილები, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ სამი დაკოდილი ღორის მთელი ენერგია, აგრესია და საშინელი ძალა, რომელიც სერიოზულ საქმეში უნდა დახარჯულიყო, ახლა პოლიტიკისკენ იქნება მიმართული.

ღორები აქ კომუნისტური პარტიის სახეები არიან. მეიჯორმა მათ ფიქრი ასწავლა, ფიქრი თავისუფლებაზე და ჰიმნი, რომელიც დავიწყებული იყო – მხეცნი ინგლისისა! წარმოიდგინეთ, ეს ისეთი სიმძლავრის ჰიმნი იყო რომ ცხოველებმა იმღერეს და აღელდნენ!

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ლოთმა და უბადრუკმა პატრონმა არ აჭამა ცხოველებს, რასაც მოჰყვა კიდეც აჯანყე-

ბა, რომელზედაც მეიჯორი საუბრობდა და მასში განსაკუთრებული როლი დაკოდილმა ღორებმა: ნაპოლეონმა, სნოუბოლმა და სქუილერმა შეასრულეს! მართალია, ამ საქმეში სნოუბოლის როლი გადამწყვეტი იყო, მაგრამ ნაპოლეონს კარგად ესმოდა, თუ როგორ კეთდება საქმეები, როდესაც პირველობის საკითხი დგება!

საქმე ის კი არ არის, რომ შენ გაიმარჯვო რომელიმე რევოლუციაში?! თუ სიმართლესა და 1917 წელს დავეყრდნობით, ამხანაგ სტალინს არ მოუგია 1917 წლის რევოლუცია, მაგრამ თუკი მის დროს გამოცემულ სახელმძღვანელოებს ჩავხედავთ, იქ ამოვიკითხავთ, რომ სწორედ ამხანაგმა სტალინმა, თანაც – ერთპიროვნულად, მოაწყო ყველაფერი! ამხანაგმა, რომელიც სასაცილო თანამდებობაზე – კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანად დაინიშნა („გენერალური" ლენინმა მოუფიქრა, რათა როგორმე დაეკმაყოფილებინა მისი პატივმოყვარეობა), შეძლო და გენერალური მდივანი აქცია კომუნისტური პარტიის მთავარ ტერმინად, მთავარ თანამდებობად!

ერთი სიტყვით, ამხანაგი სტალინის თვისება – მიიწეროს სხვისი დამსახურებები, აღმოაჩნდა ღორ ნაპოლეონს, რომელიც არის კიდეც მისი მთავარი ხატება „ცხოველების ფერმაში" და რომელმაც, სტალინის მსგავსად, იოლად მოიშორა სნოუბოლი.

სნოუბოლი, რა თქმა უნდა, ტროცკის სახეა, გამორჩეული ღორი, განათლებული, კარგი ორატორი, ღორი, რომელმაც უცხო ენაზე ღრუტუნიც იცის, შესანიშნავი სამხედრო სპეციალისტი, წითელი ტერორის ავტორი და ა. შ.

და აი, აჯანყების წარმატებით დასრულების შემდეგ, ამხანაგმა ნაპოლეონმა სნოუბოლს განსაკუთრებული როლი მოუ-

ფიქრა – სნოუბოლი იქნება მუდმივი ოპოზიცია, რომელთანაც გამუდმებით იქნება ომი, მომავალში კი, როდესაც მას გაქცევა მოუწევს ფერმიდან, იქცევა ვირტუალურ მტრად და ფერმის მკვიდრნი მთელ ცხოვრებას ამ ვირტუალური მტრის წინააღმდეგ ააწყობენ!

ცხოველების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი გახლავთ ბოქსერი, წარმოუდგენელი ძალისა და შემართების მქონე ცხენი, რომელიც რამდენიმე ცხენის საქმეს ასრულებს. ბოქსერის სახით ორუელს პროლეტარიატი ჰყავს გამოყვანილი, რომელიც, ამავდროს, გულუბრყვილოა, მოძღვრებაში ჩაუხედავი... სხვათა შორის, როგორც ამბობენ, „ცხოველების ფერმა“ სწორედ ბოქსერისგან დაიბადა – ერთხელ ორუელს პატარა ბავშვი დაუნახავს, რომელიც უზარმაზარ ცხენს მართავდა. ამასთან დაკავშირებით ორუელს ჩანაწერი გაუკეთებია, მიკვირს, ეს ცხოველი, რომელსაც ამხელა ძალა აქვს, ამ პატარა ბავშვს როგორ ემორჩილება, რადგან საკუთარი ძალის მცირედი შეგრძნება მაინც რომ ჰქონდეს, ასეთი მორჩილება წარმოუდგენელი იქნებოდაო.

საინტერესოა, რომ აჯანყების წარმატებით დასრულების შემდეგ, ცხოველებმა საკუთარი მოძღვრება შექმნეს, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი მტერია, ყველა ცხოველი – მეგობარი. არც ერთმა ცხოველმა არასდროს უნდა დაჩაგროს და არ უნდა მოკლას თავისივე მსგავსი. ყველა ცხოველი თანასწორია. აქ ჩნდება „ანიმალიზმის“ შვიდი მცნება: I. ორ ფეხზე მოსიარულე ყველა არსება მტერია. II. ყველა ოთხ ფეხზე მოსიარულე ან ფრთოსანი არსება მეგობარია. III. არც ერთი ცხოველი არ ჩაიცვამს ტანსაცმელს. IV. არც ერთი ცხოველი არ დაიძინებს საწოლში. V. არც ერთი ცხოველი არ დალევს ალკოჰოლს. VI. არც ერთი ცხოველი არ

მოკლავს სხვა ცხოველს. VII. ყველა ცხოველი თანასწორია. თუმცა, მოგვიანებით, ჩნდება შენიშვნა – „ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია“.

აქვე გვხვდება ორუელის კიდევ ერთი გენიალური გამოგონება – მწვანე დროშა, რომელზედაც ჩლიქი და რქაა გადაჯაჭვული, ისე როგორც ნამგალი და ურო საბჭოთა კავშირის დროშაზე.

ეს არის შესანიშნავი, მწარე იუმორი, სარკასტული სიტყვები, რომლებიც ასე კარგად ასახავს საბჭოთა ცხოვრებას, საბჭოთა მეტყველებას. აქ უკვე ჩანს ახალმეტყველება, ანუ ახალი ენა, რომელიც ორუელის მომავალ რომან „1984-ში“ გვხვდება და რომლის მიხედვითაც, ომი – მშვიდობაა...

მოკლედ, სანამ „1984“ და დიდი ძმა გამოჩნდებოდა, მანამდე გვქონდა ეს შესანიშნავი ცნებები, რომლებიც ნელ-ნელა გამარტივდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამხანაგ ნაპოლეონს ძალიანაც უყვარს ალკოჰოლი! აბა, ტყუილად ხომ არ ჰქვია ასეთი შესანიშნავი, ყველაზე ძვირფასი კონიაკის სახელი?! ამავდროულად, ის მშვენივრად იხდენს ტანსაცმელს, რაც სტალინის მუდმივი ფრენჩის დაცინვაა და, რაც მთავარია, ამხანაგი ნაპოლეონი დაუმეგობრდა ადამიანებს, ანუ მტრებს – მინიშნება სტალინისა და ჰიტლერის მეგობრობაზე.

ღორების გარდა, ამ რომანში არაერთი შესანიშნავი, შთამბეჭდავი სახეა, მათ შორის ბენჯამინი, სკეპტიკოსი ვირი, რომელიც პარტიის წევრი არ არის და როგორც ძველებს სჩვევიათ, ყველაფერს, მათ შორის რევოლუციასაც, სკეპტიკურად უყურებს. რუსული ინტელიგენციის მსგავსად, არც მას ახასიათებს საკუთარი მოსაზრებების პირდაპირ გამოთქმა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში, შესანიშნავად

თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რეალურ შეხედულებებს მაინც სამზარეულოებში აჟღერებდნენ.

როგორც ჩანს, და ეს არაერთხელ დამტკიცდა, ასეთი ადამიანები, ბენჯამინები, სკეპტიკური განწყობების მიუხედავად, მაინც ეწერებიან სისტემაში და მათ არ ეხებათ რეპრესიები. ამის საპირისპიროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც გულით ცდილობენ, ჩაეწერონ სისტემაში, მაგრამ მათ მიმართ რეპრესიები ტარდება. თუკი ვინმეს კონკრეტულად აინტერესებს, როგორ, რა მექანიზმით ხდება ეს, შეუძლია ორუელთან წაიკითხოს, იმიტომ, რომ მან პოსტსაბჭოთა ისტორიკოსებზე უკეთ ახსნა ეს სქემა.

განსაკუთრებული ამბავია, ცხოველების ფერმაში მუდმივად იმაზე საუბრობენ, რომ რევოლუციისა და ჯოუნსის გაგდების შემდეგ, ცხოვრება არ გაუმჯობესებულა, პირიქით, გაუარესდა კიდეც. და აი, ჩნდება მთავარი მექანიზმი, რითაც ტოტალიტარული სისტემები აბამენ ადამიანებს – სამაგიეროდ, ცხოველები ახლა თავისუფლები არიან! შენ თავისუფალი ხარ, რასაც გინდა, იმას გააკეთებ, ოღონდ, რეალურად, რა თქმა უნდა, იმას აკეთებ, რასაც პარტია გეტყვის, რის უფლებასაც პარტია მოგცემს, იმიტომ, რომ პარტიამ იცის, შენ რა გინდა!

რაღა თქმა უნდა, ამ პარტიას, რევოლუციას ჰყავს მცველები, რევოლუციის ქოფაკები და როგორც კი ვინმეს გაუჩნდება ოპოზიციური აზრი ან ამხანაგ ნაპოლეონის გენიალობაში შეიტანს ეჭვს, მას ეს ქოფაკები მიხედავენ. დამაფიქრებელი პასაჟია, რომ ნაპოლეონმა არა ძაღლები, არამედ ლეკვები აღზარდა რევოლუციის მცველებად! მას ესმოდა, რომ ძველი ძაღლები არ გამოადგებოდა, ნაპოლეონს სჭირდებოდა ახალი ქოფაკები, რომელთაც ადამიანის მორჩილება არ იცოდნენ და

შედეგად, სწორედ მათი დახმარებით ინარჩუნებდა კიდეც ხელისუფლებას!

და რაც საუკეთესოა ამ ნაწარმოებში – რევოლუციით განდევნილი ადამიანები ნელ-ნელა დაბრუნდებიან ცხოველების ფერმაში, ატყდება ღორებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობა, ბანქოს თამაში და სხვა გარყვნილებები. როგორც წესი, ასეთ ამბებს კრიზისი მოჰყვება ხოლმე და ღორების მართული ცხოველების ფერმაც დაემხობა. ამით ავტორმა გამოხატა ოპტიმიზმი, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაეცემა!

ამ წიგნით ორუელი გვაჩვენებს ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის საშინელ სახეს, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობდით, როგორც ცხვრები, პატარა გოჭები, ვირთხები... კომუნიზმი დაეცა, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ თუკი ვინმე სერიოზულად წაიკითხავს ამ წიგნს, შესანიშნავად დაინახავს, რომ ნაპოლეონი არსად გამქრალა, რადგან ჩვენ კვლავ ვეძებთ მტრებს საკუთარ რიგებში და კვლავაც ცოცხალია იდეა, რომ არა ადამიანურად, არამედ ღორულად მოვექცეთ ერთმანეთს.

დანტეს დანტე

დანტე ალიგიერი უდიდესი იტალიელი პოეტია, XIII-XIV საუკუნის დიდი მოაზროვნე, ღვთისმეტყველი, იტალიური ენის ფუძემდებელი, პოლიტიკური მოღვაწე, უპირველეს ყოვლისა კი, პოეტი და, ამავდროულად, პერსონაჟი მისივე ბრწყინვალე კომედიისა, რომელსაც შემდგომში, ბოკაჩოს საუცხოო განმარტებით, ღვთაებრივი ეწოდა.

„ღვთაებრივი" ოდესღაც დანტეს პოემის შეფასება იყო, ახლა კი სრული სახელია წარმოუდგენელი ძალისა და ფანტაზიის ნაწარმოებისა, რომელშიც ავტორმა მთავარ პერსონაჟად საკუთარი თავი გამოიყვანა.

მოგეხსენებათ, დურანტე დე ალიგიერი („დანტე" შემოკლებული ვერსიაა) ფლორენციაში დაიბადა. მას ბაბუას ბედი დაჰყვა – პოლიტიკური მოღვაწე გახდა, წააგო მთავარი პოლიტიკური ბრძოლა და გააძევეს საყვარელი, მშობლიური ქალაქიდან, სადაც ვერც ცოცხალი დაბრუნდა და ვეღარც მკვდარი.

ზუსტად არ ვიცით, თუ სად მიიღო დანტემ განათლება. არსებობს ვარაუდები, რომ ის ბოლონიის უნივერსიტეტში

სწავლობდა; მიუხედავად ამისა, ფაქტია, მას კარგი განათლება ჰქონდა, ერკვეოდა შუასაუკუნეობრივ ლიტერატურაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და საკმაოდ კარგად იცნობდა იმ პერიოდის ერეტიკულ მოძღვრებებსაც.

ცხოვრების განმავლობაში დანტემ მთელ მაშინდელ იტალიაში იხეტიალა, ბოლოს კი რავენაში დამკვიდრდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც მალარიით, 1321 წელს, სავარაუდოდ, 13-14 სექტემბერს, ვენეციიდან უკან დაბრუნების დროს.

საინტერესო ამბავია, რომ მისი საყოველთაოდ ცნობილი პორტრეტი, როგორც ჩანს, ნაკლებ დამაჯერებელია, ვინაიდან ბოკაჩო მას ყოველთვის წვერით გვიხატავდა; ასევე, წვერი ნახსენებია დანტესთან, ოღონდ როგორც პერსონაჟთან – „ღვთაებრივ კომედიაში“, როდესაც ბეატრიჩე მიმართავს მას – „ასწიე სახე, ასწიე წვერი“. პორტრეტებზე, როგორც წესი, დანტე ყოველთვის „სუფთადაა გაპარსული“. მისი არწივისებრი ცხვირი, დიდი თვალები, ფართო ყბები და გამოწეული ქვედა ტუჩი დანტეს მუდმივად მოწყენილ, მიზანმიმართულ, ჩაფიქრებულ მზერას სძენს.

რაც შეეხება დანტეს, როგორც პერსონაჟს; უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ „ღვთაებრივი კომედია“ პირველ პირშია დაწერილი და აღწერს პერსონაჟ დანტეს მოგზაურობას საიქიოში, კერძოდ: ჯოჯოხეთში, განსაწმენდელსა და სამოთხეში.

და აი, მისი ცხოვრების ნახევარგზაზე, დანტეს უსიერ ტყეში შემოაღამდა, გზა ვერ გაიკვლია და სამ მხეცს გადააწყდა, რომელთაც გზის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს. ეს მხეცები ლომი, მგელი, და ლეოპარდი არიან და თითოეული მათგანი სპეციფიკური ცოდვის გამოხატულებაა; ლეოპარდი ყველაზე მსუბუქი – ავხორცობის ცოდვისა;

ლომი – ერთ-ერთი უმძიმესი – მრისხანებისა და ქედმაღლობის ცოდვისა, მგელი კი – ანგარებისა. ამ ცოდვებმა, რომლებსაც დანტე აღიარებს, არ მისცეს საშუალება პირდაპირ სამოთხეში მოხვედრილიყო, თუმცა მას გამოეცხადა კაცი, რომელიც მეგზურობას შეჰპირდა.

მეგზური – არც მეტი, არც ნაკლები – პუბლიუს ვერგილიუს მარო, რომაული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი, „ენეიდის" ავტორი, ლათინურენოვანი ლიტერატურის მწვერვალი, გენიალური რომაელი პოეტია.

ეს განსაკუთრებული ამბავია, რომ ავტორმა პერსონაჟად გამოიყვანა კაცი, რომლის პოემას, უფრო კონკრეტულად კი ამ პოემის ერთ ფრაგმენტს, ეყრდნობა ყველაფერი, რაც „ღვთაებრივ კომედიაშია" აღწერილი. საქმე ისაა, რომ დანტე არ არის პირველი მოკვდავი, რომელმაც საიქიოში იმოგზაურა; მინიმუმ – მესამე პერსონაჟი მაინცაა. პირველი ასეთი მოგზაური ჰომეროსის ოდისევსი იყო, მეორე კი ვერგილიუსის – ენეასი, რომელმაც დიტეში იმოგზაურა.

სწორედ „ენეიდას" ეყრდნობა დანტეს მთელი ფანტაზია, როდესაც ის ჯოჯოხეთს აღწერს. მართალია, „ენეიდაში" დიტეში მოგზაურობის პასაჟი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ფრაგმენტია, მაგრამ „ღვთაებრივ კომედიაში" პერსონაჟმა დანტემ ჯერ ჯოჯოხეთის ცხრა წრე, შემდეგ სალხინებლის, ანუ განსაწმენდელის – შვიდი წრე, შემდეგ ცხრა ცა უნდა გადაიაროს, რის შემდეგაც მიაღწევს წერტილს, საიდანაც ჩანს უფალი, სამყარო, რომელსაც სიყვარული ატრიალებს.

ჯოჯოხეთის პირველ წრეში ადამიანები არ იტანჯებიან, უბრალოდ დრტვინავენ, რადგან ისინი კეთილი არაქრისტიანები, მოუნათლავი ჩვილები და ა. შ. არიან. სწორედ ამ წრეში მოულოდნელად გამოჩნდება სამი კაცი: ჰომეროსი,

ლუკანუსი და ჰორაციუსი, რომლებიც შეიერთებენ ვერგიულიუსს და შექმნიან ანტიკურობის უდიდეს პოეტთა ჯგუფს. რაც შეეხება პერსონაჟ დანტეს – ისინი მათ თავის წრეში მეხუთე გენიალურ პოეტად მიიღებენ. ამ პასაჟიდან კარგად ჩანს, რომ საკუთარ თავთან მიმართებით, ავტორი არცთუ მოკრძალებულია.

პერსონაჟი დანტე, სრულიად მოულოდნელად, სიყვარულსა და თანაგრძნობას გამოხატავს იმ სულების მიმართ, რომლებმაც ჯოჯოხეთი დაიმსახურეს. ერთადერთი, ვის მიმართაც დანტეს სიმპათია არ უჩნდება, არიან ადამიანები, რომლებმაც ვერც ჯოჯოხეთი დაიმსახურეს და ვერც სამოთხე, ამიტომაც, ჯოჯოხეთის კარის წინ ყრიან, რადგან ამ არარაობებს თვით ჯოჯოხეთმაც კი ბოროტი მზერით შეხედა. ამით დანტე აფიქსირებს, რომ ადამიანი ცხოვრებაში რამეს უნდა წარმოადგენდეს, თუნდაც ცუდს!

აქვე ვერკვევით იმ ამბავში, რომ თურმე ცოდვათა შორის არსებობს იერარქია და რაც უფრო ხორციელი, მატერიალურია ცოდვა, მით ნაკლებ მძიმეა, ხოლო რაც უფრო სულიერი ხასიათისაა, მით უფრო მძიმეა. ამიტომაც, პირველ წრეში, პრაქტიკულად, უცოდველი ხალხია, მათი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ქრისტეზე ადრე დაიბადნენ და ქრისტიანებად არ მონათლულან.

ამ კუთხით მსოფლიო ლიტერატურაში დანტეს პრაქტიკულად არ ჰყავს მეტოქე, რადგან არც ჰომეროსთან, არც ვერგილიუსთან არსად ჩნდება ჯოჯოხეთის იერარქია, მაშინ, როდესაც დანტესთან ჯოჯოხეთიც, განსაწმენდელიცა და სამოთხეც ღრმად არის სტრუქტურირებული და დეტალურადაა განმარტებული, თუ ვინ, სად, რომელი დანაშაულისთვის არის მოხვედრილი და რა ცოდვისთვის რა ტიპის ტანჯვა ერგება.

ჯოჯოხეთის მეორე წრიდან უკვე სხვა, ძირითადად, ხორციელი ცოდვები იწყება და სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, ავხორცობაში დანტეც შემჩნეულია, მან ხომ თავიდანვე მიგვანიშნა, რომ ერთ-ერთი მხეცი, გზა რომ ჩაუხერგა, ლეოპარდი იყო. ამასთანავე, ავხორცობის ცოდვის გამო, მიწიერ სამოთხეში მოხვედრის შემდეგ, ბეატრიჩემაც უსაყვედურა.

იმისთვის, რომ პერსონაჟი დანტე ჯოჯოხეთში მოხვდეს, საჭიროა, ის ქარონმა გადაიყვანოს. მაგრამ ქარონს აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ დანტე ცოცხალია, მას სიცოცხლის ნიშნები აქვს! ვერგილიუსის „მეცადინეობით“, ქარონს დაითანხმებენ და აი, ჯოჯოხეთის მეორე წრეში ხვდებათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, მინოსი, ჩვენი სიძე (ასე იმიტომ ვუწოდებ, რომ ის პასიფაეს, აეტისა და კირკეს დის, მედეას მამიდას მეუღლე იყო).

მინოსი უზენაესი მსაჯულია, რომელსაც გველეშაპის კუდი აქვს და იმის მიხედვით განისაზღვრება ცოდვილის ადგილი ჯოჯოხეთის ამა თუ იმ წრეში, რამდენჯერაც მინოსის კუდი შემოევლება ცოდვილს.

როგორც გითხარით, ჯოჯოხეთის ცხრა წრე მკაფიოდ იერარქირებულია და სულები ამა თუ იმ წრეში მათი ცოდვის სიმძიმის მიხედვით ხვდებიან. საინტერესოა, რომ ჯოჯოხეთში მოგზაურობისას, დანტეს თითოეული წრის გავლა უწევს, რადგან ჯოჯოხეთი ისეა მოწყობილი, რომ სხვაგვარად, ამა თუ იმ წრეში, პირდაპირ ვერ მოხვდება.

ჯოჯოხეთის მეცხრე წრეს თავად ლუციფერი, კოკიტოსის ტბაში (ბერძნები მდინარედ წარმოსახავენ) ჩაყინული სატანა ხელმძღვანელობს. დანტეს წარმოდგენით, დედამიწის ცენტრში, სადაც სატანაა, გვხვდება ყინული; აქ განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეები არიან თავმოყრილი. სულ ბოლო გარსში,

სადაც სატანა აწამებს ხალხს, დედამიწისა და ზეცის სიდიადეთა მოღალატენი არიან: იუდა ისკარიოტელი და იულის კეისრის მკვლელები – ბრუტუსი და კასიუსი.

ეს მოდელი, რომელიც დანტემ, როგორც პოეტმა და როგორც პერსონაჟმა წარმოადგინა – არისტოტელეს მიჰყვება, რომელიც „ეთიკის“ მეშვიდე წიგნის პირველ ნაწილში ცოდვების დიფერენცირებას ახდენს. ზუსტად ასეა დანტესთან.

ამის შემდეგ, დანტე, როგორც პერსონაჟი, ვერგილიუსს, როგორც პერსონაჟს, განსაწმენდელში გადაჰყავს. განსაწმენდელი არის მთა, რომელიც აერთიანებს შვიდ წრეს, სადაც ცოდვებს განკურნავენ. თითოეული სული, თუკი ადამიანმა გარდაცვალებამდე მოასწრო ცოდვების მონანიება, არა ჯოჯოხეთში, არამედ სწორედ განსაწმენდელში, შესაბამის ცოდვის წრეში ხვდება. თუმცა, ზოგიერთს შესაძლოა შვიდივე წრეში ყოფნა მოუწიოს, ისე, როგორც დანტეს, რომელსაც შუბლზე შვიდი P დააწერეს, P, როგორც ცოდვის – Peccatum-ის პირველი ასო.

განსაწმენდელის მთის შვიდი წრის შემდეგ, დანტემ, როგორც პერსონაჟმა უნდა გაიაროს სპეციფიკური ადგილი – ცეცხლის კედელი, სადაც ვეღარ მიჰყვება ვერგილიუსი, რადგან მას, როგორც ჯოჯოხეთის პირველი წრის ბინადარს, იქ გასვლა აკრძალული აქვს. ამ ცეცხლის კედლის მიღმა მინიერი სამოთხე იწყება.

და აი, დანტე ჩაისუნთქავს ღრმად, გაივლის ცეცხლის კედელს და აღმოჩნდება დედამიწის ზურგზე არსებულ ნაწილში, რომელსაც ჰქვია მიწიერი სამოთხე, საიდანაც ოდესღაც ჩვენი წინაპრები – ადამი და ევა გამოაძევეს. ეს არის განსაწმენდელის მთის ყველაზე მაღალი წერტილი, სადაც მოედინება ორი მდინარე: მდინარე ლეთე, დავიწყების მდინარე

და მდინარე ევნოე, დანტეს პირადი გამოგონება, გახსენების მდინარე, რომელიც შეგვახსენებს, თუკი ოდესმე რამე სიკეთე ჩაგვიდენია.

აი აქ, მიწიერ სამოთხეში, ძალიან მკაცრად დახვდება დანტეს ბეატრიჩე, ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდა, პოეტის მუზა, რომელიც ძალიან ახალგაზრდა, 24 წლისა გარდაიცვალა. ამ პოემიდან ირკვევა, რომ დანტე ავხორცობდა, ღალატობდა მას და სწორედ ამ მომენტში ეტყვის ბეატრიჩე – აწიე სახე, აწიე წვერი, შემომხედე თვალებში...

ამ მომენტიდან მალევე დანტე მდინარე ლეთეში აღმოჩნდება და დაავიწყდება მის მიერ ჩადენილი თითოეული ცოდვა. შემდეგ კი ჩვენი პერსონაჟი გადაინაცვლებს ევნოეში, კეთილი მეხსიერების მდინარეში და გაახსენდება ყველა სიკეთე, რაც კი ოდესმე გაუკეთებია. ასე და ამგვარად, დანტე განიწმინდება ცოდვებისაგან და იქცევა ადამიანად, რომელსაც მხოლოდ სიკეთე უთესია და თანაც თავადაც ახსოვს მისი კეთილი საქმეები. ეს არის მიწიერი სამოთხის ნეტარების ბოლო წერტილი, საიდანაც იწყება გაცილებით უფრო სერიოზული – ზეციური სამოთხე.

ზეციურ სამოთხე ათ ცას მოიცავს, რომელთაგან ცხრა დაახლოებით ისაა, რაც ჩვენს წარმოდგენაში სიხარულისგან „მეცხრე ცაზე" ყოფნას ნიშნავს. მეათე ცა კი აფეთქებული ვარდია, ცეცხლის მდინარე, ღვთაების უკანასკნელი სამყოფელი, საიდანაც ღმერთი მართავს სამყაროს. ბეატრიჩესთან ერთად დანტე გაივლის ამ გზას და ბრუნდება დედამიწაზე.

როგორც ვთქვით, საიქიოში მოგზაურები სხვებიც იყვნენ ლიტერატურაში (ოდისევსი, ენეასი), თუმცა დანტეს მოგზაურობა ჯოჯოხეთში, განსაწმენდელსა და სამოთხეში, შემდეგ კი უკან დაბრუნება ყველაზე რთული და მიმზიდველია.

უკან დაბრუნებულმა დანტემ ყველაზე მეტი იცის იმიერ, ანუ მილმური სამყაროს შესახებ. ჩვენ გვიჭირს მის სიბრძნესთან შეგუება, მაგრამ გვიხდება. როგორც ჩვენი პოეტი, ოთარ ჭილაძე ამბობდა გალაკტიონისადმი მიძღვნილ „რკინის საწოლში“:

მაინც ეტრფოდა პეპელა სანთელს,
მაინც ეძახდა სიკვდილი მოკვდავს
და ქვესკნელიდან ამოსულ დანტეს
შემკრთალი ხალხი სიმართლეს სთხოვდა.

სიმართლე იყო მკაცრი და ბასრი
და ხალხს, რომელსაც ცოტა ესმოდა,
ძლივს გამოჰქონდა სიტყვიდან აზრი,
როგორც ძვირფასი კუბო ეზოდან.

ასეთია დანტეს დანტე, პერსონაჟი, რომლის მეშვეობითაც ავტორმა გენიალური კალმით საკუთარ თავს მოუძებნა ადგილი სამყაროში და ცოცხალი დააბრუნა დედამიწაზე. ამ მოგზაურობის დროს დანტე 35 წლისა იყო...

სამყაროს მთავარი ჯენტლმენი

ინგლისური და მსოფლიო ლიტერატურის გიგანტი, თეატრის სიამაყე, ყველა დროის ყველაზე უფრო ხშირად გამოცემული ავტორი, დრამატურგი, პოეტი, მსახიობი, ჭეშმარიტად უნივერსალური გენიოსი – უილიამ შექსპირი 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა და 1616 წელს, ამავე დღეს – 23 აპრილს გარდაიცვალა. შექსპირზე საუბრის ამ თემით დაწყება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც 1616 წლის აპრილის დღეებში, მსოფლიომ ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დრამატურგთან ერთად, კაცობრიობის უდიდესი მწერალი – მიგელ დე სერვანტესიც დაკარგა. ორი გენიოსის გარდაცვალების თარიღი ერთი და იგივეა, 23 აპრილი, თუმცა ესპანურ და ინგლისურ 23 აპრილს შორის ათდღიანი სხვაობაა, რადგან ესპანეთი ახალ სტილზე უკვე გადავიდა და ინგლისი – ჯერ არა.

საინტერესო ამბავია, რომ შექსპირის ბიოგრაფიაში, როგორც ყველა დიდი ადამიანის შემთხვევაში, არსებობს გარკვეული კითხვები და ეჭვები. არსებობდა და არსებობს სერიო-

ზული თეორიები იმის შესახებ, ნამდვილად შექსპირია თუ არა იმ ნაწარმოებების ავტორი, რომელიც მას მიეწერება. მასთან ბრძოლაში შემჩნეულია რამდენიმე დიდი სახელიც, თუმცა, დღეს ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ სწორედ უილიამ შექსპირია ის კაცი, რომელმაც დაწერა 38 პიესა, 154 სონეტი, 4 პოემა, 3 ეპიტაფია.

მსოფლიოში ამხელა მონაგარი, პრაქტიკულად, არავის აქვს; მართალია, თავის დროზე სალიერიმ 40 ოპერა დაწერა, მაგრამ 38 პიესა, რომელთა შორისაა: „ჰამლეტი", „მეფე ლირი", „ოტელო", „მაკბეტი", „რიჩარდ მესამე" და ა. შ. მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ წინაშე განსაკუთრებული გენიოსია და თუ რუსთაველის შემთხვევაში ძნელია დაიჯერო, რომ მასზე არაფერი ვიცით, შექსპირის შემთხვევაში პირიქით, ძნელი დასაჯერებელია, რომ მასზე პრაქტიკულად ყველაფერი ვიცით.

საქმე ის გახლავთ, რომ შექსპირი დაიკარგა, ანუ შექსპირი არ არის პოპულარული დღიდან მისი დაბადებისა ან დღიდან მისი გარდაცვალებისა. ის პოპულარული ავტორი იყო XVII საუკუნეში, მაგრამ მთლიანად გაქრა XVIII-ში; ის XIX საუკუნეში ხელახლა აღმოჩენეს, განსაკუთრებული პოპულარობა კი ამ საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოიპოვა. დღეს შექსპირის დიდება ზენიტშია ასული! საოცარი ამბავია, რომ სანამ შექსპირი უცხოელებმა, კერძოდ კი ვიქტორ ჰიუგომ, არ აღიარეს, მანამდე ინგლისელები მას განსაკუთრებულად არ სცემდნენ პატივს. მისი დაფასება, ანუ შექსპირის პიესების დადგმა მასობრივად XIX საუკუნეში განახლდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ შექსპირს განსაკუთრებული განათლება არ მიუღია. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან,

რუსთაველის მსგავსად, მასაც ყველაფრის ცოდნას მიაწერენ, რადგან საკუთარ ნაწარმოებებში მართლაც ღრმა ცოდნას ავლენს. როგორც ჩვენ ვიცით, მან გაიარა ე. წ. გრამატიკის სკოლა, სადაც მოსწავლეებს ლათინურს, მათემატიკას, რელიგიას ასწავლიდნენ, კითხულობდნენ კლასიკურ ლიტერატურას და ა. შ.

ცოლად თავისზე გაცილებით უფროსი ქალი ჰყავდა, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა: ქალიშვილი – სუსანა და ტყუპები, ქალი და ვაჟი: ჯუდითი და ჰამნეტი. ჰამნეტი 11 წლისა გარდაიცვალა, თუმცა, მსოფლიო ლიტერატურაზე წარუშლელი გავლენა მოახდინა, რადგან შექსპირმა სწორედ საკუთარი შვილის სახელი მისცა ლიტერატურის ერთ-ერთ უმთავრეს პერსონაჟს.

როგორც ჩანს, მეუღლესთან საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდა, რადგან შექსპირის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით უამრავი მითქმა-მოთქმა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მისივე ნაწარმოებებში ჩანს, თუ რამდენად ვაჟკაცური ბუნების ადამიანია, არსებობს მისივე სონეტები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს.

მისი ბიოგრაფიიდან ასევე ვიცით ისიც, რომ გვარი – შექსპირი 80 სხვადასხვა ვარიაციით იწერებოდა. შემორჩენილია ცნობები იმის შესახებ, რომ შექსპირმა მიმართა ჰერალდების კომისიას, რათა საგვარეულო გერბის უფლება გამოეთხოვა. ამ საგვარეულო გერბის შუაგულში შუბი იყო გამოსახული. შესაბამისად, ვინაიდან და რადგანაც შექსპირს საგვარეულო გერბის ტარების უფლება ჰქონდა, ის ჯენტლმენად იწოდებოდა და ეს არ იყო უბრალო, პატივისცემის გამომხატველი მიმართვა, ეს მისი სოციალური სტატუსი იყო.

განსაკუთრებით პატივსაცემი ამბავია ის, რომ უილიამ შექსპირი მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხშირად თარგმნილი ავტორია, რომლის პიესებიც, ამავდროულად, ყველაზე ხშირად იდგმება თეატრების სცენაზე! მოგეხსენებათ, დღევანდელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია ე. წ. რეიტინგების სისტემა. წარმოიდგინეთ, შექსპირი, როგორც დრამატურგი, რომლის რეიტინგი დადგმების რაოდენობით იზომება, არანორმალური შედეგით უსწრებს იბსენსა და სოფოკლეს.

საოცარია ისიც, რომ შექსპირმა გაამართლა ის უცნაური მოთხოვნა, რომელიც თავის დროზე სოკრატემ წამოაყენა. მოგეხსენებათ, პლატონის დიალოგში, რომელსაც „ნადიმი" ეწოდება, არისტოფანე და აგათონი, კომიკოსი და ტრაგიკოსი, ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია ერთმა კაცმა დაწეროს ტრაგედიაცა და კომედიაც, ხოლო სოკრატეს კი მტკიცედ სწამდა, რომ ეს შესაძლებელია. ეს პრინციპული საკითხია, ვინაიდან ტრაგედია და კომედია აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურისაა, ამიტომაც, ძალიან იშვიათია ტრაგიკოსი, რომელიც იქნება კომიკოსი და მით უმეტეს კარგი. ამ შემთხვევაში შექსპირი გამონაკლისია, რადგან მსოფლიო მნიშვნელობის ტრაგედიებთან ერთად, იგი ბრწყინვალე კომედიების ავტორიცაა. გარდა ამისა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს მისი საოცარი სონეტები!

ვსაუბრობთ უზარმაზარ მემკვიდრეობაზე, რომელიც ერთმა კაცმა დაწერა და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იბეჭდებოდა. შექსპირის სიცოცხლეში მისი შემოქმედება ერთად არ გამოცემულა და, ალბათ, ჩვენამდე ვერც მოაღწევდა, მისი გარემოცვის ორ კაცს: ჯონ ჰემინგსსა და ჰენრი კონდელს შექსპირის 26 პიესა ერთ დიდ წიგნად რომ არ გამოეცათ.

„პირველი ფოლიო“ უზარმაზარი მოცულობის წიგნია. საინტერესო ფაქტია, რომ მსოფლიო ბიბლიოთეკები სულ რამდენიმე წიგნზე ნადირობენ განსაკუთრებული მონდომებით. ერთ-ერთი მათგანი გუტენბერგის მიერ გამოცემული ბიბლიაა, მეორე კი შექსპირის „პირველი ფოლიო“, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ გამოიცა და მაშინდელი საზომით ასტრონომიული თანხა – 1 ბრიტანული ფუნტი ღირდა, რაც დღეისათვის რამდენიმე ასეული აშშ დოლარი გამოდის.

კიდევ ერთი ასპექტი, რაშიც შექსპირი მსოფლიო ჩემპიონია, მის მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობაა. ზოგადად, ჩვეულებრივი მოქალაქეები, დაახლოებით 2000 სიტყვას იყენებენ, მაშინ, როდესაც საკუთარ ნაწარმოებებში შექსპირს 25 ათასი სიტყვა აქვს გამოყენებული! ამიტომაც ფიქრობენ ზოგიერთები, რომ ის, რასაც ჩვენ შექსპირის შემოქმედების სახელით ვიცნობთ, რამდენიმე ადამიანის მიერაა დაწერილი.

მართლა შექსპირმა დაწერა თუ არა შექსპირის პიესები? როგორც ჩანს, ამ თემაზე კამათი არასდროს შეწყდება, თანაც, ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი კანდიდატი მოიაზრება შექსპირის პიესების ავტორად – ფილოსოფოსებიდან კირითხუროებამდე, მათ შორის ქრისტოფერ მარლოუც. სასაცილოა, რომ კაცი, რომელიც საკუთარ პიესებს ვერ წერდა ხეირიანად, ზოგიერთებმა, რატომღაც, შექსპირის პიესების ავტორად მიიჩნიეს.

უილიამ შექსპირის, ამ გენიალური შემოქმედის, ცხოვრებაში გარდატეხა ადრეულ ასაკშივე მოხდა, როდესაც ის ლონდონის თეატრ „გლობუსის“ დამფუძნებლის დასში მოხვდა და მთელი შემდგომი მოღვაწეობა სწორედ ამ თეატრს დაუკავშირა. თავდაპირველად მცირე როლებს ასრულებდა, მსახიო-

ბი იყო; შემდგომში კი ძველი პიესების დამუშავება სთხოვეს, რადგან აღმოჩნდა, რომ მას ძველი, ნორმალური პიესისგან დიდი შედევრის შექმნა შეეძლო.

ამის საილუსტრაციოდ ბრწყინვალე მაგალითია „ჰამლეტი". „ჰამლეტი", კაცმა რომ თქვას, ცნობილია ლათინურ ენაზე დაწერილი, საქსონ გრამატიკოსის ტექსტიდან, რომელსაც ჰქვია „დანიელთა საქმეები". ამ ისტორიებში არის ერთი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოიგიჟიანა კაცმა თავი, რათა მამის მკვლელობის გამო შური ეძია, რის შემდეგაც მან მშვიდად განაგრძო მეფობა. ასეთია საქსონ გრამატიკოსის ამლედის, ამლედუსის ამბავი, რომლის სახელი ძალიან ჰგავდა შექსპირის შვილის, ჰამნეტის სახელს.

არ ვიცით, ჰქონდა თუ არა შექსპირს წვდომა საქსონ გრამატიკოსის ნაშრომზე, მაგრამ ვიცით ის, რომ ეს ნაწარმოები – „დანიელთა საქმეები" ითარგმნა ფრანგულად; შემდეგ კი ამ თარგმანის გავლენით, დაიწერა პიესა „ჰამლეტი". შექსპირმა აიღო ეს პიესა, ისე როგორც „მეფე ლირი", და შექმნა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია, მათ შორის, მოცულობითი თვალსაზრისითაც – შექსპირის შემოქმედების ყველაზე გრძელი ნაწარმოები, უზარმაზარი „ჰამლეტი", 3-ჯერ მოცულობითია, ვიდრე „ოიდიპოს მეფე".

სახალისოა, რომ სწორედ ამის გამო აკრიტიკებდა შექსპირს ლევ ტოლსტოი, რომელიც ამბობდა, რომ ძველი „მეფე ლირი", რომელსაც დაეყრდნო შექსპირი თავისი შედევრის შესაქმნელად, უკეთესიაო. დღეს კარგად ვიცით, რომ ეს არასერიოზული აზრია.

ფაქტია, სწორედ შექსპირმა შექმნა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო საინტერესო პერსონაჟი, კაცი, რომლმაც ვერა და ვერ წამოიწყო და აღასრულა შურისძიება;

თუმცა, როცა მისი წამოწყება სცადა, ჰამლეტის შურისძიება იმხელა მასშტაბისა აღმოჩნდა, რომ მთელი სამყარო ჩაითრია, თავადაც დაიღუპა, დაღუპა ის ხალხიც, ვისზედაც შურისძიება სურდა და ის ადამიანებიც, მაგალითად, ოფელია, რომლის სიკვდილსაც ჰამლეტს არასდროს ვაპატიებთ.

10 მიცვალებული – „ჰამლეტში“, 9 – „მეფე ლირში“, ეს წარმოუდგენელი რიცხვებია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ როდესაც ბერძნულ ტრაგედიაში ერთი ადამიანი კვდება ან სანახევროდ იღუპება, როგორც ოიდიპოსი, ეს ძალიან დიდი ამბავია; არადა, ამ დროს, შექსპირთან ცხედარი ცხედარს ეცემა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის ამაშიც გენიალური დრამატურგია. სიდიდის თვალსაზრისით ალბათ მხოლოდ ძველი ბერძნები: სოფოკლე, ესქილე და ევრიპიდე არიან მისი სწორები!

შექსპირის დიდებულების კიდევ ერთი არგუმენტი ის გახლავთ, რომ ტრაგედიებისა და კომედიების გარდა, ის უბრწყინვალესი პოეტია. საერთოდ, ასეთი მრავალმხრივი გენია დიდი იშვიათობაა. ერთხელ, დიდმა ფრანგმა პოეტმა, მოაზროვნემ, არქიტექტორმა, აკადემიკოსმა – პოლ ვალერიმ თქვა, რომ შეუძლებელია პოეტი ერთმანეთს უთანხმებდეს პოეზიასა და ფილოსოფიას, ეს ისეთივე უცნაური ამბავი იქნებოდა, ადამიანი ერთმანეთს უთავსებდეს გემის კაპიტნობასა და მხატვარ-მარინისტობას; მაგრამ მანვე თქვა, რომ არსებობენ გამონაკლისები.

რა თქმა უნდა, შექსპირი გამონაკლისია, შეუძლებელია ადამიანი ერთდროულად იყოს ტრაგიკოსი და კომიკოსი და, ამავე დროს, იყოს უბრწყინვალესი პოეტი. შექსპირის გარდა, ერთადერთი გოეთეა ასეთი ტიპის გენიოსი, რომელიც

ერთდროულად ბრწყინვალე პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი იყო.

რაც შეეხება პოეზიას, რომელიც შექსპირმა დაგვიტოვა; უპირველეს ყოვლისა, მისი პოეზია ერთგულია განსაკუთრებული ფორმისა, რომელსაც ჰქვია სონეტი. სონეტი, მოგეხსენებათ, 14-სტრიქონიანი ლექსია, რომელიც რითმების თანმიმდევრობით მიიღება. შექსპირის სონეტებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ სონეტი 66, რომელშიც კარგად ჩანს ავტორის ოსტატობა. ამ სონეტის თარგმანი რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის:

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

ასეთი დონის შედევრებითაა სავსე შექსპირის პოეზია, კაცის, რომლის სახელმაც არაერთი ქარტეხილი გამოიარა და დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. შექსპირის პოპულარულობაში მარტივად დარწმუნდებით, თუკი საძიებო სისტემა-

ში ჩაწერთ მის სახელს, ნახევარ წამში 250 მილიონ შედეგს წააწყდებით.

დასასრულ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ქართველი პოეტის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები:

> უნდა გითხრა, უილიამ,
> შენისთანა დრამატურგი...
> ტყუილია!

ეს ნამდვილად ასეა, უილიამ შექსპირი ის სახელია, რომლის 400 წლისთავი არის კაცობრიობის სიცოცხლის, სიხარულის ნიშანი; სანამ შექსპირი მოსწონს კაცობრიობას, მანამდე გადაგვარება არ გვიწერია.

ნობელი და პირქუში გერმანული გენია

ლიტერატურული ნობელიატების რიცხვით გერმანია ერთი შეხედვით წარმატებული ქვეყანაა – 8 ლაურეატი ჰყავს (თუ არ ჩავთვლით სხვა ქვეყნების წარმომადგენელ, გერმანულენოვან მწერლებს), თუმცა შესაძლოა ეს რიცხვი სასაცილოდაც მოგვეჩვენოს როგორც სხვა ქვეყნების მაჩვენებლების, ისე დიდ გერმანულ ლიტერატურასთან შედარებით. ამას თავისი ახსნა აქვს, რაზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

პირველი გერმანელი მწერალი ნობელის პრემიით ამ პრემიის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 1902 წელს დაჯილდოვდა. საინტერესოა, რომ თეოდორ მომზენი ფრიად უჩვეულო ლაურეატი გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ ის ისტორიკოსი, ისტორიის ფილოსოფოსი, ისტორიული მწერლობის წარმომადგენელი უფრო იყო, ვიდრე მწერალი მხატვრული ნაწარმოებებით.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, თეოდორ მომზენი უზარმაზარი ფიგურაა, კაცი, რომელმაც პრაქტიკულად მეცნიერულად შექმნა რომის ისტორია, ოღონდ ისე, როგორც ამას დიდი

მწერლები და მხატვრები აკეთებენ. მისი ისტორია შესანიშნავად იკითხება და მასში ჩადებულია ის, რაც, ზოგადად, ნაკლებად გვხვდება ხოლმე ისტორიაში – მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მის მიერ აღწერილი რომის ისტორია – რომის რომანია, მონუმენტური ნაშრომი, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა განსაკუთრებულ აღნიშვნას.

თეოდორ მომზენი პრემიის მიღებიდან 1 წლის შემდეგ, 1903 წელს გარდაიცვალა, თუმცა, დღემდე არ კარგავს სპეციფიკურ აქტუალობას – ვისაც რომი და მისი ისტორია აინტერესებს, ამ უზარმაზარ ფიგურას გვერდს ვერაფრით აუვლის.

მომზენის შემდეგ, მალევე, 1908 წელს, ნობელის პრემიის ლაურეატი რუდოლფ ქრისტოფ ეიკენი გახდა – „ჭეშმარიტების სერიოზულ ძიებათათვის, აზრის ყოვლისგამმსჭვალავი ძალისათვის, ფართო თვალსაწიერის, ცხოველმყოფელობისა და დამაჯერებლობისათვის, რითაც იგი იცავდა და ავითარებდა იდეალისტურ ფილოსოფიას“.

ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც უცნაური იყო, რადგან პრემიის ლაურეატი არა მწერალი, ან თუნდაც ისტორიკოსი, არამედ ფილოსოფოსი გახდა. ეიკენი ქადაგებდა ფილოსოფიას, რომელსაც ახლა ეთიკურ აქტივიზმს უწოდებენ. ფანტასტიკური ფილოსოფიაა, უბრალოდ, მომავლის ფილოსოფოსებმა ის ჩრდილში მოაქციეს, ვინაიდან XX საუკუნისთვის სულ სხვა ტიპის ფილოსოფია გახდა მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური აქტივიზმი სულაც არ აწყენდა სწორედ რომ გერმანიას, არც იმ და არც შემდგომ წლებში...

ზუსტად ორ წელიწადში, მომდევნო გერმანელი, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო, პაულ ფონ ჰაიზე იყო, შესანიშნავი დრამატურგი, რომანისტი, 177 მოთხრობის ავტორი და

რაც მთავარია, პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც მთავარი სწორედ პოეზია და მის მიერ დაწერილი 60 დრამა იყო. ეს ავტორი გარკვეული პოპულარობით დღესაც სარგებლობს გერმანიაში და მისი პიესებიც იდგმება.

გამოხდა კიდევ ორი წელი და ნობელის პრემიის ლაურეატად დასახელდა დიდი გერმანელი დრამატურგი – გერჰარტ ჰაუპტმანი, რომელიც ცნობილია ლიტერატურული ნატურალიზმით. მისი შესანიშნავი პიესა „მზის ამოსვლის წინ", თავისი სიმართლით შოკში აგდებდა გერმანულ საზოგადოებას. საკუთარ ნატურალისტურ პიესებში, ჰაუპტმანმა ერთ-ერთმა პირველმა აჩვენა სულიერი და მორალური გადაგვარების მაგალითები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისში, პირველ მსოფლიო ომამდე, 1901-1912 წლებში, გერმანული ლიტერატურის სერიოზული აქტივობა დაფიქსირდა, რაც აისახა კიდეც ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებებში. ამ აქტიური პერიოდის შემდეგ, კარგა ხანი გავიდა, სანამ 1929 წელს, ერთ-ერთ მთავარ გერმანელ და მსოფლიო მწერალს – თომას მანს მიანიჭებდნენ ნობელის პრემიას.

„უწინარეს ყოვლისა მისი რომანისათვის „ბუდენბროკები", რომელიც დროთა განმავლობაში აღიარებული იქნა თანამედროვე ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშად", თუმცა, ამ დროისთვის, თომას მანს უკვე დაწერილი ჰქონდა „ჯადოსნური მთა", მოთხრობები: „სიკვდილი ვენეციაში", „ტონიო კრიოგერი" და ა. შ.

როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, თომას მანისთვის ნობელის პრემია აღმოჩნდა ძალიან სერიოზული დარტყმაც, რამაც კინაღამ შეაფერხა მისი მწერლობა, მაგრამ „დიდებით

გამოცდა" ჩვენმა მწერალმა წარმატებით გადაიტანა და შემდეგ კიდევ არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა, მათ შორის „იოსები და ძმანი მისნი", „დოქტორი ფაუსტუსი", ასევე რომანი, რომელსაც თომას მანი მთელი ცხოვრების განმავლობაში წერდა და მაინც დაუსრულებელი დარჩა – „ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება", პიკარესკული რომანი, სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელი ამ ტიპის მწერლისაგან.

მოგეხსენებათ, თომას მანი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელია, რომელმაც სერიოზული წვლილი შეიტანა კლასიკური მოდერნიზმის განვითარებაში; მანი მშვენივრად იცნობდა თანამედროვე მეთოდებს, მაგრამ კლასიკურად წერდა, ყოველ შემთხვევაში იმ დროისთვის, როდესაც მას ნობელის პრემია მიენიჭა. ის არ ყოფილა, ასე ვთქვათ, პოსტმოდერნისტული და უაღრესად რთული მოდერნისტული ფორმების მომხრე, თუმცა, მიუხედავად ამისა, საკმაოდ რთული ავტორია, ზეგანათლებული მწერალი, რომლის ნაწარმოებებიდანაც მოდის ზღვა ნაკადი ინფორმაციისა, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია – ერთი კაცის თავში ეტევა.

თომას მანისთვის ნობელის პრემიის მინიჭება გერმანული ლიტერატურის დიდი გამარჯვება იყო. ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, რომლის განმავლობაშიც გერმანულენოვანი მწერლები იღებენ პრემიას, გერმანელები – არა, მანამ, სანამ 1972 წელს, იმ ეპოქაში, რომელიც ჩემს თაობას კარგად ახსოვს, ნობელის პრემია მიიღო ჰაინრიხ ბიოლმა, დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელმა – „მისი ეპოქის ფართოდ აღქმისა და ოსტატური დახასიათებისთვის, რითაც

გერმანული ლიტერატურის აღორძინებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა".

ჰაინრიხ ბიოლი საოცრად საინტერესო მწერალია – საინტერესო ბიოგრაფიით. თავის დროზე მან უარი თქვა „ჰიტლერიუგენდში" გაწევრიანებაზე, მაგრამ იყო ჯარისკაცი, რომელიც 4-ჯერ დაიჭრა, 1945 წელს კი ამერიკელებს ჩაუვარდათ ტყვედ. იყო „პენ ცენტრის" დამაარსებელი, ადამიანი, რომელმაც საკუთარ სახლში შეიფარა ალექსანდრ სოლჟენიცინი. ავტორია უბრწყინვალესი რომანებისა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, გამორჩეულია „ჯგუფური პორტრეტი ქალთან ერთად", „ბილიარდი ათის ნახევარზე" და, რაც მთავარია, „კლოუნის თვალთახედვა".

ბრწყინვალე მწერალი, „კატარინა ბლუმის შელახული ღირსების", ავტორი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ღრმად ანტისაბჭოთა ადამიანი იყო, როგორც ჩანს, ამ მოგზაურობების დროს საკუთარ დამოკიდებულებას ნაკლებად გამოხატავდა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მისი თარჯიმანი, ნელი ამაშუკელი მაქსიმალურად ცდილობდა, მისი მწვავე გამოთქმები რამენაირად შეერბილებინა, რათა როგორმე გაენელებინა საბჭოთა უშიშროების ინტერესი მის მიმართ.

ბიოლი ძალიან ცნობილი ფიგურაა არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ სხვა მიმართულებითაც; მისი ფონდი, რომელიც დღესაც მოქმედებს, ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანისტური და საყურადღებო ფონდია მთელ მსოფლიოში.

ჰაინრიხ ბიოლი განსაკუთრებული მწერალია, განსაკუთრებულად ნიჭიერი, ძალიან თავისებური, რომელიც არავის ჰგავს. იმისთვის, რომ გაიგოთ რა კაცია, საკმარისია მოისმინოთ ან წაიკითხოთ მისი გამოსვლა ნობელის კომიტეტის

წინაშე და იმწუთას მიხვდებით, თუ რა უცნაური და გამორჩეული მოვლენაა.

ჰაინრიხ ბიოლის შემდეგ, კიდევ ერთი გერმანელი მწერალი, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო, გიუნტერ გრასია, რომელიც ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრიზით 1999 წელს დააჯილდოვეს – „აზრით დატვირთული მაღალმხატვრული პროზაული ნაწარმოებებისა და შავი იუმორით განმსჭვალული იგავებისათვის, რომელთა მეშვეობით თვალწინ წარმოგვიდგება მივიწყებული ისტორია“.

გიუნტერ ვილჰელმ გრასი, დიდი გერმანელი რომანისტი, დრამატურგი, ამავდროულად კი ილუსტრატორი, გრაფიკოსი და მოქანდაკე ერთობ უჩვეულო მოვლენის – ევროპული მაგიური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

მისი რომანი „თუნუქის დოლი“, გარკვეული გაგებით, რომანთა რომანია, რადგან აქ ისეთ რამეებზეა ლაპარაკი, რაც მხოლოდ მაგიური რეალიზმის ლიტერატურაში შეიძლება მოხდეს. ეს განსაკუთრებული ამბავია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ გერმანელები ყველაზე ნაკლებად არიან ხოლმე ლიტერატურაში ფორმის ცვლილებების მომხრე.

გიუნტერ გრასის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით, გერმანიას ახლაც ჰყავს მწერლები, რომლებიც დაუფიქრებლად იმსახურებენ ნობელის პრემიას, მაგალითად – მარტინ ვალზერი, ათი წელი გავიდა, სანამ კიდევ ერთი გერმანელი მიიღებდა მთავარ ლიტერატურულ პრემიას.

გერმანელი ჰერტა მიულერი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა რუმინეთში, დაინტერესებული იყო ამ ქვეყნის ბედით, რუმინეთით – ჩაუშესკუს ეპოქაში; კომუნიზმი და ანტიკომუნიზმი არის კიდეც მისი შემოქმედების განსაკუთრებული საფუძველი, თუმცა სრულიად მცდარია წარმოდგენა იმის

შესახებ, რომ ნობელის პრემია სწორედ ანტიკომუნისტობის გამო მიანიჭეს.

ჰერტა მიულერის, ლიტერატურაში ნობელის პრემიის მფლობელი მე-14 ქალის მსგავსი მწერალი მსოფლიოს ბევრი არ ჰყოლია. ის წარმოუდგენელი ძალის ავტორი, ღრმა და ჩაფიქრებული ადამიანია, რომელმაც შეძლო და სიხარულის, სიყვარულის წვეთები მოაპკურა იმ ტრაგედიას, რასაც მისი ეპოქის რუმინეთი, ჩაუშესკუს რეჟიმი და ზოგადად, კომუნიზმი წარმოადგენდა...

ჰერტა მიულერი ჯერჯერობით ბოლო გერმანელი ნობელიატია, გამორჩეული წარმომადგენელი მეცნიერებატევადი გერმანული ლიტერატურისა, რომელიც ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს, დრამატურგებს და მსოფლიო სახელის მწერლებს აერთიანებს.

ზოგადად, გერმანულ ლიტერატურაზე საუბრისას, შეუძლებელია, ცალკე არ ვისაუბროთ თომას მანზე, მწერალზე, ურომლისოდაც, ზოგადად, ლიტერატურაა წარმოუდგენელი. ბუნებრივია, ყველა გერმანელი ნობელიატი თანაბარი ძალის არ არის. მეეჭვება, რომ სპეციალისტების გარდა, დღეს ვინმე კითხულობდეს მომზენს; ასევე, ძირითადად სპეციალისტები კითხულობენ ეიკენს; მართალია, ჰაიზე დღესაც პოპულარულია გერმანიაში, თუმცა არა – მსოფლიოში; ჰაუპტმანიც სულ უფრო და უფრო იშვიათად იდგმება, მაგრამ თომას მანიდან მოყოლებული, ყველა გერმანელი მწერალი, რამელმაც ნობელის პრემია მიიღო, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მაღალი მწვერვალია.

ვფიქრობ, განსაკუთრებით დასაფასებელია ის ფაქტი, რომ ნობელის კომიტეტმა თავის დროზე შეამჩნია თომას მანი და არა მას შემდეგ, რაც ის მთელმა მსოფლიომ ეპო-

ქის ნომერ პირველ მწერლად დაასახელა. სწორედ ამ დროს სჭირდებოდა თომას მანს გამხნევება, პრემია, როდესაც მასში დიდი გარდაქმნა ხდებოდა – გერმანელობიდან მსოფლიო მოქალაქეობამდე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არაფერია გასაკვირი, რომ თომას მანის შემდეგ, გერმანელ მწერლებზე ნობელის პრემია დიდი ხნის განმავლობაში არ გაიცემოდა, რადგან როგორც კი თომას მანი, ეს უზარმაზარი ლოდი ჩავარდა მსოფლიო ლიტერატურის ოკეანეში, იმხელა ტალღები წარმოქმნა, სხვა გერმანელი მწერალი ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო, ამ ტალღებს რომ არ წაელეკა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, გერმანული ლიტერატურა, გერმანული აზროვნება გაცილებით უფრო ფართოდ იქნებოდა წარმოდგენილი ნობელის პრემიის ლაურეატთა სიაში, რომ არა თავად გერმანია, პირველი და მეორე მსოფლიო ომი, საკმაოდ უცნაური და სამწუხარო დამოკიდებულება არაერთი გერმანელი მწერლისა, რომლებიც თანამშრომლობდნენ რეჟიმთან და კაციჭამიობას ამართლებდნენ. სამწუხაროდ, გერმანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მოიძებნა ასეთი ხალხი და რა გასაკვირია, რომ მთავარ ჰუმანისტურ ლიტერატურულ პრემიას ვერ დაიმსახურებდნენ. ყველა როდი მოიქცა თომას მანივით, რომელმაც თქვა – „სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არის!“

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, ნობელის პრემიის კომიტეტი მაინც ვალშია გერმანულ ლიტერატურასთან...

ევროპა ჩოხაში

კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნება, მისი შემოქმედება, მისი პერსონალური, ეროვნული პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამბავია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ზოგადად, მისი შემოქმედებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს, უპირველეს ყოვლისა კი იმის გამო, რომ მეტადაა აღიარებული, ხოლო ყოველთვის, როდესაც გეუბნებიან, რომ ეს არის მეტრი, შენ შეიძლება გაგიჩნდეს წინააღმდეგობის გრძნობა. ეს სრულიად ბუნებრივი რამ გახლავთ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მწერალია და XX საუკუნეში იშვიათადაა დაწერილი ისეთი რომანები, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას გამოუვიდა. უპირველესად აქ ვგულისხმობ „მთვარის მოტაცებას", მის მთავარ წიგნს, რომელიც ჩვენი რომანისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, საუკეთესო თუ არა!

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ „მთვარის მოტაცება" მეოცე საუკუნის საქართველოში დაწერილი მთავარი

წიგნია, რომანი, რომლის შემდეგაც კონსტანტინე გამსახურდიამ ისტორიულ რომანებს შეაფარა თავი. მჯერა, მისი ცხოვრება სრულიად სხვაგვარად წარიმართებოდა, საქართველოს ბედი რომ ყოფილიყო სხვაგვარი...

აუცილებლად უნდა ვთქვათ, რუსთაველს თუ არ ჩავთვლით, კონსტანტინე გამსახურდია ქართულ ლიტერატურაში ყველაზე განათლებული ფიგურა იყო. ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უცხოეთში გაემგზავრა, სწავლობდა ლაიფციგის, კენიგსბერგის, მიუნხენის უნივერსიტეტებში, თუმცა მისი დიპლომი და სადოქტორო დისერტაცია დაკავშირებულია ბერლინის უნივერსიტეტთან. ერთი სიტყვით, მან მიიღო ბრწყინვალე განათლება და სერიოზულად გამოირჩეოდა არა მხოლოდ უცხო ენების ცოდნით, არამედ განათლების სიფაქიზითა და მასშტაბებით.

მართალია, ჩვენ ბევრი კარგი მწერალი გვყოლია, მაგრამ იშვიათად ისეთი გამოხატული პატრიოტი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია იყო. მას არასდროს დაუმალავს საკუთარი დამოკიდებულება საქართველოსადმი და მაშინ, როდესაც მისი, ისევე როგორც უამრავი ქართველის ოცნება ასრულდა, 1918-1921 წლებში, კონსტანტინე გამსახურდია დამოუკიდებელი საქართველოს ატაშე გახდა ბერლინში. ამ პერიოდში დიდი საქმეები გააკეთა, საქართველოში დააბრუნა სამი ათასი ქართველი ტყვე. ძალიან აქტიური და სერიოზული ფიგურა იყო და დარწმუნებული ვარ, პოლიტიკაშიც უფრო სერიოზულად ჩაერთვებოდა, ბოლშევიკები რომ არ შემოჭრილიყვნენ და საქართველო არ დაქცეულიყო.

ამის შემდეგ, მოგეხსენებათ, კატასტროფული ეპოქა დადგა საქართველოში, რა დროსაც კონსტანტინე გამსახურდია ცდილობდა მწერლად დარჩენილიყო. მისი პირველი დიდი

რომანი „დიონისოს ღიმილი“ მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, ევროპაში განათლებამიღებული კაცის, კონსტანტინე სავარსამიძის ტრაგედიაა. კონსტანტინე გამსახურდია პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელმაც ძალიან ევროპული – გაუცხოების თემა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. ზოგადად, ტექნიკის თვალსაზრისით, წერის მანერით, ის ევროპულ რომანებს წერდა.

და აი, დგება 1931 წელი და პირდაპირ შეიძლება ვთქვათ – ქართულ მწერლობაში ყველაფერი დასრულდა...

მიუხედავად ამისა, კონსტანტინე გამსახურდია არ შეეგუა საბჭოთა სინამდვილეს, თამამი კაცი იყო და დაწერა მთავარი წიგნი, ტრილოგია, რომელსაც ჰქვია „მთვარის მოტაცება“ და საბჭოთა დროს შექმნა სახე ადამიანისა, რომელმაც არ მიიღო საბჭოთა ხელისუფლება!

ეს წარმოუდგენელი სითამამეა! კონსტანტინე გამსახურდია ამ რომანს წერს ზუსტად მაშინ, როდესაც ხდება ე. წ. კოლექტივიზაცია, როდესაც მოდის ახალი ძალა, ახალი მოდგმის ხალხი, რომელიც ანაცვლებს ძველ არისტოკრატიას. აუცილებლად უნდა წავიკითხოთ „მთვარის მოტაცება“, რათა ვნახოთ ტრაგედია კაც ზვამბაიასი, ტრაგედია ძველი სამყაროსი, რომელსაც ასეთი განათლებული, დახვეწილი, ნატიფი ლიდერი ჰყავს და მას სულში ჩაფურთხებული, სისხლიანი, მოზღვავებული ძალა დაახრჩობს!

წარმოუდგენელია საბჭოთა ეპოქაზე ამაზე უფრო სერიოზული ძალის ნაწარმოები! ანტისაბჭოთა ლიტერატურაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ესენი ცუდები არიან“, ეს არ არის მსოფლიო ლიტერატურის დონე, თუმცა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა მაშინ, როდესაც ბოლშევიკები წაიკითხავდნენ რომანს, რომელშიც ნაჩვენებია რეალობა, სადაც

აფაქიძე კამათელს აგორებს და ამბობს – „რიცკის ხალხია ბალშევიკები“...

ერთი სიტყვით, კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა ფაქტობრივად უნაკლო ნაწარმოები იმის შესახებ, თუ როგორ მოვიდა ტალღა სიბნელის, სიბინძურის, გათახსირებისა და როგორ წალეკა ყველაფერი სუფთა და წმინდა. და რა მოხდა შემდეგ?! სამწუხაროდ, ძალიან კარგად ვიცნობ ამ ისტორიას, რადგან პრაქტიკულად სრულად მაქვს წაკითხული 30-იანი წლების ქართული პრესის არქივი – „მთვარის მოტაცების“ გამო ყველა ქართველი მწერალი და პოეტი აძაგებს კონსტანტინე გამსახურდიას, ყველა მის თავს ითხოვს! ფაქტობრივად, მწერალთა მასობრივი გამოსვლაა, რომელიც სვამს კითხვას – რატომაა კონსტანტინე გამსახურდია ჯერ კიდევ ცოცხალი! ოო, და ნეტა იცოდეთ, რა ხალხზე მაქვს საუბარი, ჩვენთვის ძალიან, ძალიან საყვარელი ხალხი აწერს ასეთ მიმართვებს ხელს... ამ ჟურნალ-გაზეთების მიხედვით, მთელი ქართველი ხალხი აღდგა „მთვარის მოტაცების“ წინააღმდეგ.

კონსტანტინე გამსახურდია, ფაქტობრივად, დახვრიტეს როგორც მწერალი! ამის შემდეგ, თუკი იგი მიდის და წერს „გოეტეს ცხოვრების რომანს“ და თარგმნის დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ (სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ეს უკვე დიდი საქმეა) გასაკვირია?! წარმოიდგინეთ, ამ თარგმანებში მიდის ის ენერგია, რომლითაც მას ახალი რომანები უნდა შეექმნა! ვის რაში სჭირდებოდა „გოეტეს ცხოვრების რომანი“? არც არაფერში, ჩვენ „მთვარის მოტაცების“ დონის რომანები გვჭირდებოდა, იმ ეპოქაზე, იმ დროზე, კომუნისტების მიერ თავსმოხვეულ უბედურებაზე! მაგრამ, როგორ?! გამსახურდიას ხომ პრაქტიკულად აუკრძალეს წერა!

ამ ნიჭიერ კაცს მოაფიქრდა, მისი აზრით, ალბათ ერთადერთი გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში – ოღონდ შარი არ მოედოთ და ისეთი ტექსტების თარგმნა დაიწყო, რაც მას არ მოსწონდა, მის ესთეტიკაში არ იჯდა. არადა, ხომ ვიცით, რომ გამსახურდია ნიცშეანელია, თავისსავე ნაწარმოებში („ლანდებთან ლაციცი") ტრაბახობდა – თომას და ჰაინრიხ მანები ჩემი მეგობრები არიანო. თქმა რად უნდა იმას, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სწორედ ამ ავტორებს თარგმნიდა და არა ერიხ მარია რემარკს, მაგრამ მანების თარგმნა როგორ შეიძლებოდა მაშინ... არ იყო კონსტანტინე გამსახურდიას ტალანტი ასეთი წიგნების თარგმნაზე დასახარჯი, საერთოდ, თარგმანებზე მწერლის მოცდენა დიდი საცოდაობაა.

ამასთანავე, საინტერესო ამბავია ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდიასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა არსებობს, იმიტომ, რომ იმ ეპოქაში გაცილებით ნაკლები პატრიოტიზმისთვის სჯიდნენ ხალხს, კონსტანტინე გამსახურდია კი გადარჩა. გადარჩა იმიტომ, რომ ჭკვიანი კაცი იყო, სწორი, ცბიერი ტაქტიკა აარჩია მაშინ! ეს არ ნიშნავს, რომ სხვებზე მეტი დააშავა! საერთოდ, ისეთი ეპოქა შექმნა ამხანაგმა სტალინმა, ვინც გადარჩა და ვინც ვერ გადარჩა, ვერავინ დარჩა უდანაშაულო.

რაც მართალია – მართალია, კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც პრაქტიკულად სასიკვდილოდ გაწირეს, თავად ცდილობდა, რომ სხვები არ ეგინებინა, ასეთ საქმეებში არ გარეულიყო; ზოგჯერ ახერხებდა კიდეც.

ვფიქრობ, ეს ადამიანი გადაარჩინა არა იმან, რომ სტალინზე დაწერა რომანი. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ამ რომანის პირველი ტომი თავად ამხანაგმა სტალინმაც წაიკითხა და შემოუთვალა, მეტი აღარ დაწეროსო. მოკალითო, არ

უთქვამს, აღარ დაწეროსო! არამედ იმან, რომ ამ გამოწვევას, გამსახურდიამ, ლიტერატურიდან მარჯვნივ გადახვევით, ისტორიულ რომანებში გადანაცვლებით უპასუხა. არ ვიცი როგორ გამოიცნო, რომ ამხანაგი სტალინი ისტორიული რომანების ფანატიკოსი იყო, მაგრამ ფაქტია, ამ გზამ გაამართლა. ფაქტია ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული ისტორიული რომანი სხვა სიმაღლეზე აიყვანა, დაწერა შედევრი ისტორიული რომანისტიკისა – „დიდოსტატის მარჯვენა". მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებში ყველაზე არასერიოზული სწორედ რომანის ისტორიული ნაწილი მგონია, მაშინ, როდესაც „დიდოსტატის მარჯვენაში" უამრავი რამ არის კარგი, განსაკუთრებით კი ხელოვანი – კონსტანტინეს, ანუ კონსტანტინე გამსახურდიას და მეფე გიორგის, ანუ ტირანი ხელმძღვანელის – ამხანაგი სტალინის დაპირისპირების ამბავი.

და აი, ვენაცვალე ჩვენ ხალხს, როდის იყო, რომ ისინი უპირატესობას ხელოვანს ანიჭებდნენ – რა თქმა უნდა, ამ რომანიდან ყველამ მეფე გიორგის სიყვარული გამოიტანა.

ამიტომაც არ მჯერა ისტორიული რომანებისა, როგორ შეიძლება კონსტანტინე გამსახურდია მეფის გულშემატკივარი ყოფილიყო, ხელოვანის წინააღმდეგ?! ვერ იქნებოდა, ვერა, მაგრამ თავადაც ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა, რომ თუ ისტორიას წერ, ე. ი. მეფეებზე წერ.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ თქვა საყვედური, ჩვენი ქვეყნის ისტორია მეფეების ისტორია, ხალხი არსად ჩანსო. დიახ, ასეა, საქართველოში მთავარი ფიგურა შოთა რუსთაველია და არა დავით აღმაშენებელი, მაგრამ ამის დაჯერება რთულია.

პირდაპირ უნდა ვთქვათ – კონსტანტინე გამსახურდია ისტორიულ რომანებში კუბური ფესვია იმ ტალანტიდან, რომე-

ლიც მას ჰქონდა ჭეშმარიტ, ნამდვილ რომანში და რომელიც ასევე ჩანს მის ესეებში. მან ვერც ესეებში დამალა საკუთარი გაქანება. აქედანაც კარგად გამოჩნდა, რა მასშტაბის კაცი იყო – ისტორიულ რომანებში მისი დონე იჩქმალებოდა, ისე როგორც ჩოხაში იმალებოდა კაცი, რომელსაც პიჯაკი უფრო უხდებოდა...

ღირსეული კაცი იყო, რომელიც საკუთარ თავს ოლიმპოსზე სახავდა; ამბობენ, გალაკტიონისთვის უთქვამს ერთხელ, სხვა რომ არა, მე და შენ ვეყოფით XX საუკუნესო! ნამდვილად არ ვიცით ასეა თუ არა, მაგრამ კაცი, რომლის დევიზადაც მისივე ფრაზა გამოდგება – მე ჩემი თავი ქუჩაში არ მიპოვიაო, დიდი ალბათობით, იტყოდა კიდეც ამას.

საგულისხმო ფაქტია, რომ საზოგადოებას კონსტანტინე გამსახურდია უყვარდა და ეს სიყვარული განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაიწერა მისი „ლანდებთან ლაციცი“. აქ ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ხალხმა არ დაიჯერა; მაგალითად, მეგობრობა მანების ოჯახთან, ბავარიის მეფის მონაწილეობა მის ბედში და ა. შ. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ კონსტანტინე გამსახურდია აჭარბებდა; მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთი ქართულ რომანში ის ტრაბახა, მონადირეების ენაზე მოლაპარაკე პერსონაჟად არის გამოყვანილი, თუმცა, არ მგონია, ეს ამბავი მაინცდამაინც სამართლიანი იყოს. შეიძლება აჭარბებდეს კიდეც, მაგრამ მერე რა მოხდა, მწერალია ბოლოს და ბოლოს, მწერლობა თავისთავად მოითხოვს რაღაცის შელამაზებას.

„ლანდებთან ლაციცის“ შემდეგ კარგად გამოჩნდა საზოგადოების დამოკიდებულება მის მიმართ – არ მჯერა, მაგრამ მიყვარხარ!

მთლიანობაში კონსტანტინე გამსახურდია განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც როგორც ძველი საქართველოს

ნაშთი, ევროპის დესპანი საკუთარ სამშობლოში, ყოველთვის უცხო სხეულად იყო შეჭრილი საბჭოთა საქართველოში. ეს, უბრალოდ, მისი არსებობითაც კი იყო გამოხატული.

ამიტომაც, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიაზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ, რომ მას შეიძლება ჰყავდეს მაქებრები და კრიტიკოსები, შეიძლება ვიღაცები აჭარბებდნენ მის როლს, მაგალითად მაშინ, როდესაც ქართულის მასწავლებელი ამბობს, ვინაა დოსტოევსკი, აგერ გვყავს გამსახურდიაო; ასეა არაა საქმე, თუმცა, მისი შეუფასებლობა ჩვენი გაუნათლებლობის მეორე უბედურება მგონია. უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს ნამდვილი და ყალბი სიდიდეები; ახლა არ ჩამოვთვლი ერთ-ორ დიდ, ქართველ, ყალბ მწერალს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია რომ ნამდვილი იყო, ამას რა დიდი მტკიცება სჭირდება, მან ხომ გაუძლო ისტორიულ ძნელბედობას, უძლებს და მომავალშიც გაუძლებს. რაც მას არ სჭირდება, ეს გაფეტიშებაა, მით უმეტეს, არა „მთვარის მოტაცების“, არამედ „დიდოსტატის მარჯვენასი“, რადგან სწორედ „მთვარის მოტაცებაა“ ყველაფერი!

ძალიან სამწუხაროა, რომ კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცების“, ამ ზექართული წიგნის ავტორი ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, იმას, რაც მას ნამდვილად ეკუთვნოდა! ამავდროულად, ღრმად სიმბოლური და სამართლიანია, რომ სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას შვილმა, მისმა სისხლმა და გენმა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, მთვარის გათავისუფლება ადიდებული ენგურისაგან!

მეფე შიშველია

მართალია, ზოგიერთ მწერალს ისეთი ჩანაწერები აქვს, ხშირად მათივე რომანებს რომ არ ჩამოუვარდება, სხვების ნაწარმოებებს კი ბევრად აღემატება. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობ ისეთ მწერლების, როგორებიც არიან: ტურგენევი, ბორხესი, დოსტოევსკი, კამიუ...

თუმცა, მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან" არასდროს ყოფილა გათვლილი ჩვენი, მკითხველისთვის თვალისთვის, ჯავახიშვილი არ ფიქრობდა შთამომავლობაზე, ამ წიგნაკებში ის ინიშნავდა იმას, რაც მას, როგორც მწერალს სჭირდებოდა.

მიუხედავად ამისა, ეს, ერთი შეხედვით, ტექნიკური მასალა თანამედროვე რომანივით იკითხება. წარმოიდგინეთ თანამედროვე მწერალი, რომელიც წერს უბის წიგნაკებს, სადაც არის ფაბულა, შინაარსი, გვხვდებიან მოქმედი გმირები და მკითხველს სერიოზული ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ რომანი თავად ააწყოს.

გარკვეული გაგებით, ეს წიგნი ხულიო კორტასარის „კლასობანას" ჰგავს, რომანს, რომლის წაკითხვაც, მინიმუმ ორგ-

ვარად შეიძლება – მიყოლებით და იმ სქემის მიხედვით, რომელიც თავად ავტორმა შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, მიყოლებით წაკითხვა დიდი უპირატესობაა, რადგან მთავარი ამბები სწორედ იმ დეტალებში იმალება, რომლებსაც, თითქოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. ასეა ჯავახიშვილის ჩანაწერების შემთხვევაშიც.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებში ზღვა მასალაა ფილოლოგებისათვის, ნამდვილი ოქროს საბადო, სადაც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ინფორმაციასაც კი ვხვდებით, თუმცა დღიურები სავსეა იმ ტიპის ცნობებით, რაც როგორც თავად ავტორზე, ისე მის შემოქმედებაზე განსაკუთრებული ხასიათის ცოდნას გვაწვდის.

ეს ჩანაწერები მოწმობს იმასაც, თუ რა ფრთხილად ეკიდება ნაციონალური რომანის – „ჯაყოს ხიზნების" ავტორი ქართველობის იდეას. მის უბის წიგნაკებში გვხვდება ჩანაწერი, რომელიც სულ ცოტა მილიონი ქართველისთვის გულსატკენია.

„ილია ჭავჭავაძე, ილია წინამძღვარი, კოხტა ამირეჯიბი, იოსებ იმედაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ივ. როსტომაშვილი და სხ. – ასეთი ფუტკრები იმერეთში შეუძლებელია", – ჯავახიშვილი ჩამოთვლის საქართველოს მოამაგეებს და ამბობს, რომ ლიხს აქეთ ადამიანები ფუტკრობენ, ბევრს შრომობენ, თუმცა ლიხს იქით, აკაკი, გალაკტიონი, ლამის საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, ნიჭიერია, თუმცა ზარმაცი. საინტერესო დაკვირვებაა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ შეუძლებელია კვაჭი კვაჭანტირაძე კახელი ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ამ დაკვირვებას თან არ ახლავს სუბეთნიკური სიამაყე რომელიმე კუთხის გამო.

რაც ყველაზე საინტერესოა „უბის წიგნაკების ჩანაწერებში", ის არ არის გათვლილი უცხო თვალზე, შესაბამისად, ამ ტექსტს აქვს მთავარი თვისება, ეს არის ჯავახიშვილის ერთადერთი ნაწარმოები, სადაც არც ერთი ტყუილი არ წერია, რადგან მხატვრული ლიტერატურა გამონაგონის გარეშე არ არსებობს!

აქ ვხვდებით იმ წიგნების ჩამონათვალსაც, რომელიც ავტორმა საკუთარი შემოქმედებისთვის უნდა გამოიყენოს. ზოგადად, ასეთი გულწრფელობა მწერლებს არ ახასიათებთ. უპირველეს ყოვლისა, ჯავახიშვილი ასახელებს ფრანგებს და ამ ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ავტორს, ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსს, აკადემიკოსს, ანატოლ ფრანსს, უბრწყინვალეს მწერალს, რომლის შემოქმედებას თურმე ღრმა კვალი დაუმჩნევია ჩვენს მთავარ რომანისტზე.

შეიძლება ლიტერატურათმცოდნეები არ იზიარებდნენ ამ აზრს, რადგან ჯავახიშვილი ძალიან ორიგინალური მწერალია, არავის ჰგავს, ყველაზე მეტად კი – ანატოლ ფრანსს, დახვეწილი ფრანსი ასე ნატურალისტურად როგორ აღწერდა „ჯაყოს ხიზნებს" თავსგადამხდარ ამბებს, მაგრამ ფაქტია, ანატოლ ფრანსიც დაუნდობელი მწერალი იყო და ამაში ნამდვილად ჰგავს ჯავახიშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანები რომც არ გვქონდეს წაკითხული, ამ ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ის ჰუმანისტი კაცია, არც მორწმუნეებს ერჩის და არც ურწმუნოებს, უბრალოდ ამტკიცებს, რომ სწორედ დედამიწაა ის ადგილი, სადაც ყველაფერი წყდება. კამიუმ თქვა – „ცა ცარიელია" და როგორც ჩანს, ეს არის ჯავახიშვილის აზრიც – ბედისწერა არაფერ შუაშია იმასთან, რომ ჯაყო, მარგო, თეიმურაზი ცუდი ადამიანები არიან:

„ფროიდი და აგვისტო – აი ჯაყო“;

„მარგომ მრავალჯერ დააპირა ჯაყოსგან წასვლა, მაგრამ სქესით და მუქარით იყო დაბმული“;

„მომეცით ჯაყო და, თუ ყოველივე ვიკადრე, მალე თეიმურაზად გადავაქცევ“;

„ჯაყოს“ 1924 წ. სექტ.-ოქტომბერში ვწერდი. ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემ გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის“.

ცალკე ამბავია, რომ „უბის წიგნაკების ჩანაწარების“ გამო კომუნისტებს ჯავახიშვილის დახვრეტა რამდენჯერმე შეეძლოთ, თუნდაც მხოლოდ ამ აზრის გამო – „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“.

მაგრამ, გარდა ამისა, მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ჯავახიშვილი აპირებდა წიგნი დაეწერა ერთ-ერთ მთავარ ქართულ ტიპაჟზე. მოგეხსენებათ, პირველი – ტარიელ-ავთანდილის ტიპაჟია, რომელზეც ისეთი ნაწარმოებია დაწერილი, ახალს ვერავინ ვერაფერს იტყვის; მეორე ტიპაჟი ალუდა ქეთელაურია, მასზე აქ არ ვისაუბრებ; ხოლო მესამე მთავარ ქართულ ტიპაჟში იგულისხმება: გიორგი სააკაძის, სტალინის და უამრავი ქართველის ტიპაჟი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ უფრო დიდები იყვნენ, ვიდრე საქართველო!

ამ ჩანაწერებით ვიგებთ, რომ ჯავახიშვილი აქტიურად აგროვებდა მასალას და სწორედ გიორგი სააკაძეზე აპირებ-

და რომანის დაწერას. ალბათ გასაგებია, რომ მისგან აქტიურ თეიმურაზ ხევისთავს შექმნიდა და თანაც ისეთი პერსონაჟი გამოუვიდოდა, ნამდვილი თეიმურაზი მის გვერდით წმინდანად გამოჩნდებოდა.

„გ. სააკაძე იერიშის დროს თავისი რაზმით ფრთაგაშლილ გრიგალს ჰგავდა, რომელიც თავდაღმა დაეშვა. ხოლო თვითონ თავი იყო ამ საზარელ ფრინველისა“;

„შეუპოვრობა სჯობია ენერგიას. შეუპოვარი იყო დავით აღმაშენებელი, ენერგიული იყო გიორგი სააკაძე, ერეკლე II“.

ეს რომანი უნდა ყოფილიყო გენიოსის შეხვედრა ერთერთ მთავარ ქართულ თემასთან, თუმცა, სამწუხაროდ, ეს შეხვედრა არ შედგა...

ჯავახიშვილის ჩანაწერებში კარგად ჩანს ისიც, თუ როგორ ემზადებოდა „არსენა მარაბდელის“ დასაწერად და რატომ შეიძლებოდა, რომ ქართველებს ბანდიტი, ყაჩაღი ჰყვარებოდათ. აქ ერთი ძალიან საინტერესო ჩანაწერია ქართველ თავადზე, რომელსაც „საუცხოვო მუხის და კაკლის ტყე ჰქონდა. ხის მოჭრა ღირდა 5 კ. თვითონვე დასჭრა. ჰაერზე დასტოვა, ამიტომ მუხა ლპებოდა. აძლიეს 100 000. აიჟინა იმდენი, სანამ სულ არ დაულპა“.

და რატომ მოიქცა ასე ქართველი თავადი? იმიტომ, რომ ქართველია... ეს კიდევ ერთი, სერიოზული თავისებურებაა, რომელსაც ამ ავტორთან ვხვდებით, ამიტომაცაა, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე ევროპაში პასპორტს „ქართულად“, ანუ უკანონო გზით მიიღებს; ასევე, გიორგი სააკაძის თავისებურება ის კი არ არის, რომ სხვის არმიაში საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის, მისი თავისებურება ისაა, რომ ყოველთვის ქართველად რჩება! ეს ხნის იმასაც, რომ ამხანაგი სტალინი, რუსე-

თის იმპერიის ყველაზე დიდი იმპერატორი, ნაპოლეონისგან განსხვავებით, რომელიც ფრანგია, ქართველად დარჩა!

ჯავახიშვილის აზრით, შეიძლება საქართველოში გრცხვენოდეს იმის, რომ თავადური წარმომავლობის არ ხარ, საქართველოში შეიძლება შეგრცხვეს იმისა, რომ პროვინციიდან ხარ, მაგრამ არასდროს, არც ერთ გარემოებაში არ იტყვი, რომ ქართველი არა ხარ! ჯავახიშვილი ამას 20-იან წლებში, მიხვდა, ამხანაგი სტალინი კი 50-იანებში, როდესაც ქართველი მეცნიერები დაიბარა და დასვა კითხვა, რითაც დაადასტურა, რომ ყოველთვის ქართველად რჩებოდა – მე უფრო დიდი ვარ, თუ ილია ჭავჭავაძე?..

„უბის წიგნაკების ჩანაწერებიდან“ ჩანს ისიც, რომ ჯავახიშვილი გამორჩეულად სექსისტი მწერალია. რა თქმა უნდა, ამ მხრივ იგი ჩამორჩებოდა დროს, მაგრამ ჩანს მისი საშინელი სექსუალური სახეები და ფანტაზია, რომელიც თითქოსდა სრულიად წარმოუდგენელია ქართველ მწერალთან:

„მოვალეობა: ცოლი გამომძიებელთან (ათ-ან) მივიდა და ქმრისთვის სთხოვა, ჩამოხრჩობა მოელოდა. თვისი თავი შესთავაზა. წაიკუზა, კაბა აუწია და უკნიდან დამბაჩა დაახალა“.

წარმოიდგინეთ, მწერლის გარდა ვის შეიძლება თავში მოუვიდეს ასეთი საშინელი ხატი, რომელიც მოუვიდა ჯავახიშვილს, რომელმაც, ქალობა, ქმრისთვის თავდადება არაფრად ჩააგდო მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ღალატი ურევია.

ან, თუნდაც:

„პოლიტიკა და პარტიობა ქალისთვის? პოლიტლოზუნგებს და პარტიულ ბილეთს ქალი ჰკარგავს პირველივე ღამეს, ოდეს... იგემებს“.

ერთი სიტყვით, მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკების ჩანაწერებში“ გამოჩნდა ბევრი რამ, მათ შორის ყველაზე და-

ფარული, ყველაზე ინტიმური და პირადული ამბები, რაზეც მანამდე წარმოდგენაც კი არ გვქონდა და რამაც სრულად გააშიშვლა ყველაზე დიდი ქართველი პროზაიკოსი. აქაა ყველაფერი ის, რასაც სავარაუდოდ, საგულდაგულოდ მალავდა ჯავახიშვილი... მართალია, უბის წიგნაკებში ჩაწერილი აზრები და მოვლენები შესაძლოა აღმაშფოთებელიც კი იყოს, მაგრამ რეალურად, აქ ჩანს საგნისადმი სრული გაუცხოება, ანუ თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ მთავარი ტენდენცია – ლიტერატურისთვის ყველაფერი მასალაა, მასალა, რომლისგანაც დგება მოზაიკა, რომანი...

„მისალოცების“ ბიბლია

გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ქართული ლიტერატურის ღვიძლი შვილია, მოთხრობა, რომელიც არაერთი თვალსაზრისითაა განსაკუთრებული. „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ძმებ კეჟერაძეების შესახებ დაწერილი მოთხრობების ციკლიდანაა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია უცნაურ კაცზე, ფოტოგრაფ ვასიკო კეჟერაძეზე, რომელიც საკუთარი საქმის პროფესიონალია, მაგრამ, რეალურად, სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს.

ყველაფერთან ერთად, განათლებულმა მწერალმა – გურამ დოჩანაშვილი შეძლო და ენციკლოპედიური ხასიათის მოთხრობა დაწერა მაშინ, როდესაც არ არსებობდა გუგლი და ვიკიპედია, როდესაც განათლებულობის ილუზიის შექმნა გაუნათლებელ ადამიანებს არ შეეძლოთ.

რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ეს მოთხრობა ლიტერატურაზეა, თუმცა ამავე დროს, ის სატირული ნაწარმოებია იმაზე, თუ როგორ ტარდება კვლევები საბჭოთა საქარ-

თველოში, როგორ უყურებენ წვრილი, საშუალო და მაღალი რანგის ჩინოვნიკები ისეთ სერიოზულ თემას, როგორიც არის თავისუფალი დრო, მისი განაწილება და, საერთოდ, რა ენით მეტყველებენ ისინი.

მწერლის ოსტატობა დასაწყისშივე ჩანს – მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი და როგორც წესი, ასეთ დროს, მთხრობელი ხშირად განგვაწყობს ხოლმე მისდამი სიმპათიით, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირიქით ხდება.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მთხრობელი არ იწვევს სიმპათიას თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მისალოცი კაცია. ეს გურამ დოჩანაშვილის ტერმინია, რომელიც ამ მოთხრობის შემდეგ საყოველთაო გახდა. მოგეხსენებათ, „მისალოცი“ ეწოდება ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს ესა თუ ის ნაწარმოები და ნამდვილად მისალოცი აქვს, რომ წინ ელის პირველად წაკითხვის ბედნიერება!

სამწუხაროდ, როგორც წესი, „მისალოცები“ არ აღმოჩნდებიან ხოლმე მისალოცები, რადგან არც პირველად და არც არასდროს აპირებენ წაკითხვას, ზოგჯერ უცნაურადაც გვეჩვენება, რომ საერთოდ წერა-კითხვა იციან. ეს ძალიან ჰგავს წიგნიერების ამბავს საქართველოში, სადაც წერა-კითხვა ქართულენოვანი მოსახლეობის თითქმის 100%-მა იცის, თუმცა, საკმაოდ ბუნდოვანია, საერთოდ რამდენი პროცენტი იყენებს მას ამ 100%-დან და რა მიზნებით. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე გამოცემული წიგნების რაოდენობით მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების სიაშია, მოსახლეობის არცთუ დიდი რაოდენობა კითხულობს.

მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ბრწყინვალედაა წარმოჩენილი, თუ რა უცნაური შე-

დეგები მოაქვს უწიგნურობასა და სულიერებისგან დაცლას. ასეთები ვასიკო კეჟერაძის მსგავს ადამიანს აღიქვამენ, როგორც არანორმალურს. რეალურად კი სწორედ სულიერებისგან დაცლილი სტრატაა არანორმალური, რომელიც ხელისუფლებას კომუნისტების დროს მოერგო და მას შემდეგ, პრაქტიკულად, არსად წასულა.

არ ვიცი, ალბათ იყო პერიოდები, როცა რომელიღაც განათლებულ საუკუნეში, პოლიტიკური ელიტა განათლებისა და წიგნიერების ნიშნებს ატარებდა, მაგრამ შემდეგში, მაგალითად, კომუნისტურ ეპოქაში და მომდევნო პერიოდებშიც, გამოჩნდნენ ჩინოვნიკები, რომელთათვისაც ადამიანი სულ სხვა კრიტერიუმებით იზომება.

ამ მოთხრობაში ჩვენ ვხედავთ ერთ-ერთ ასეთ პატარა ჩინოვნიკს, მთხრობელს, კაცს, რომელიც პირველ პირში გველაპარაკება; ეს ის კაცია, რომელიც უფრო დიდ ჩინოვნიკს ექვემდებარება და მთელი მოთხრობა სავსეა უფროსისადმი მისი აღფრთოვანებით. ეს აღფრთოვანება ზოგიერთ ადგილას ისეა გამოხატული, რომ ქართულად კარგად არ გამოითქმება, რადგან ჩვენ ენაში არ გვაქვს პირმოთნეობის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვა, როგორიც რუსული **подхалимаж**-ია.

განსაკუთრებული მოვლენაა თავად ამ უფროსი ჩინოვნიკის ლექსიკა. მოგეხსენებათ, გურამ დოჩანაშვილი ენის დიდოსტატია და მან მოახერხა, რომ სწორედ ენობრივი ფორმებით გადმოეცა უშინაარსობა და უსულობა იმ ადამიანებისა, რომელთაც უნდა შეისწავლონ ვასიკო კეჟერაძის უცნაური და მოულოდნელი ფენომენი.

„თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზო-

მიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი..."

ასეთ დავალებას აძლევს დიდი ჩინოვნიკი თავის ხელქვეითს, ჩვენს მთხრობელს და ჩვენ ხომ ვიცით, ვინ მეტყველებს ასე, ჩვენ ხომ მილიონჯერ გვაქვს მოსმენილი ეს ენა, რომელსაც აბსოლუტურად არაფრის გამოთქმა არ სურს, ენა, რომელსაც შეუძლია წიგნები დაწეროს... ასეა დაწერილი, მაგალითად, სახელმძღვანელოები: „მეცნიერული კომუნიზმი", „პოლიტიკური ეკონომია", „მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლები", „დიალექტიკური მატერიალიზმი" და ა. შ. კითხულობ, ყველაფერი გესმის, მაგრამ ვერაფერს იმახსოვრებ, რადგან მათში რეალურად არაფერი წერია. იქ წერია, რომ „ნაშრომში უნდა აისახოს რაღაცის ასახვა..." და რაც მთავარია, უნდა ითქვას, რომ აქ ადამიანებზე, ინდივიდებზე კი არა, მუშა-მოსამსახურეებზეა საუბარი.

აი, ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები იკვლევენ საზოგადოებას, ვინ, როგორ ატარებს თავისუფალ დროს, ვინ რას მიმართავს. ამისათვის უნდა ჩატარდეს ინტერვიუები და ეს პატარა ჩინოვნიკი, მისი მოპასუხეები, ყველანი ერთად, იდეალურად თავსდებიან დიდ, საბჭოთა ქართულენოვან სისტემაში. ეს სისტემა შესანიშნავი საშუალებაა ხანგრძლივად ილაპარაკო და არაფერი თქვა. ზუსტად ამ ტიპის კითხვა-პასუხი ჰქონდა ამ ახალგაზრდა კაცს რესპოდენტებთან, სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, ამ აწყობილ საქმეში არ გაეჩხირა ფოტოგრაფი, რომელმაც მოულოდნელი პასუხების გაცემა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ატარებს თავისუფალ დროს.

ამ უცნაურმა კაცმა, ინტერვიუერთან საუბარი დაიწყო იმით, რომ ეს პატარა ჩინოვნიკი ვიღაცას აგონებს. საერ-

თოდ, ეს ფრაზა – როგორ მაგონებთ ვიღაცას, საკმაოდ მოულოდნელია და როგორც წესი, ორდინალური ადამიანებისგან არ მომდინარეობს ხოლმე. „ვიღაცას მაგონებ“ – უმეტეს შემთხვევებში იგულისხმება, რომ მე, ჩემს წარმოსახვაში მყავს რომელიღაც პერსონაჟი, რომელსაც შენ მაგონებ. ეს უკვე თავისთავად მაგარი ამბავია, მეც უნდა მქონდეს წაკითხული და შენც იმისთვის, რომ გაიგო რას გეუბნები, თუ არადა, ვერაფერს გაიგებ, ისე როგორც ჩვენმა ინტერვიუერმა ვერ გაიგო, ფოტოგრაფ ვასიკო კეჟერაძეს რატომ აგონებს აურელიანო სქელს, სანამ გასუქდებოდა.

ფოტოგრაფი ვასიკო კეჟერაძე თავის სამყაროში ცხოვრობს; დაინახავს კაცს და ვიღაცას აგონებს; ვიღაცაზე იტყვიან – კარგად დაიწყოო და ესეც იმას ახსენებს, რომ „მარშალმა ედმონდო ბეტანკურმაც ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე როგორც დაამთავრა, მშვენივრად ვიცით...“

აი, აქ იწყება ტრაგედია, ტრაგედია იმიტომ, რომ ეს უცხო ენაა, რომელიც არ გაუგია ჩვენს მთხრობელს, მან არ იცის რა შუაშია მის უფროსთან ის, რომ მარშალმა ბეტანკურმაც კარგად დაიწყო, ან ვინ არის და რატომ აგონებს ვასიკო კეჟერაძეს აურელიანო სქელს, სანამ იგი გასუქდებოდა. ერთი სიტყვით, აზრზე არ არის ვინ არის აურელიანო, ვინ არის მარშალი ბეტანკური, იმიტომ, რომ არ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, არ წაუკითხავს ბეტანკურებიანი წიგნი.

ამ ნაწარმოებში ბევრი წიგნი და მოთხრობაა დასახელებული, შეიძლება ყველას ყველაფერი არ ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ ვასიკო კეჟერაძის დამოკიდებულება თავისთავად გასაგებია – ის თავის სამყაროში ცხოვრობს, სადაც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში და აბსოლუტურად არ აღელვებს ის ამბავი, რომ შესაძლოა ვინმე სულაც

არ იცნობდეს ამ სამყაროს, რადგან მას ყოველთვის ჰყავს დამხმარე, რომელიც გაუგებს, ვინმე – კლიმი, ან რომელიღაც კლიმი. კლიმი – ესეც განათლებული ადამიანის სტანდარტია.

ამასთანავე, ინტერვიუში, რომლის დროსაც უნდა გაირკვეს, როგორ ატარებს თავისუფალ დროს, რა ტიპის ტანსაცმელი მოსწონს ვასიკო კეჟერაძეს და ა. შ. აღმოჩნდება, რომ ის მთელ თავისუფალ დროს მხატვრული ლიტერატურის კითხვას უთმობს და მოსწონს დიდჯიბიანი სამოსი, რადგან მასში კარგად თავსდება წიგნები. ასევე, მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ტრანსპორტში ფეხზე, ან რომელიმე რიგში დგომა, ასეთ სიტუაციაში ვასიკო კეჟერაძე წაკითხული წიგნების შინაარსზე ფიქრში ატარებს დროს. ერთი სიტყვით, ის გვარიანად შეაშფოთებს ამ ჩვენს ინტერვიუერს.

ამ ტექსტში კარგად ჩანს ირონია არა მხოლოდ ამ ინტერვიუერის, არამედ მისი ჩინოვნიკი უფროსისადმი. ვასიკო კეჟერაძე ისეთ დღეში აგდებს მას, რომ ზუსტად იცის, ისევ მოაკითხავს, ამჯერად უფროსთან ერთად. უფროსი ჩინოვნიკის ვიზიტისას, ვასიკო კეჟერაძე საუბრობს მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობაზე, მისი ფილოსოფია ისაა, რომ ყველა ადამიანი ვალდებულია იცნობდეს მხატვრულ ლიტერატურას, გამოგონილ სამყაროს, ბეტანკურებიან წიგნს.

ამ მოთხრობაში ვხვდებით ერთ, ლამის საყოველთაოდ ცნობილ ამბავსაც; ვასიკო კეჟერაძის თეორიის მიხედვით, უნდა შემოვიღოთ სასჯელის სპეციალური ფორმა, კარცერი-ლუქსი, სადაც დაპატიმრებულ ადამიანს წიგნის კითხვა უნდა მიუსაჯო. მართალია, კარცერი-ლუქსი ცოტა უცნაური კომბინაციაა, მაგრამ მერწმუნეთ, ნებისმიერი კარცერი შეიძლება იქცეს ლუქსად, თუკი იქ წარმოდგენილი იქნება ბიბლიოთეკა და წიგნები, რომელზეც ვასიკო კეჟერაძე საუბრობს.

მთლიანობაში, ეს ტექსტი არის ქებათა ქება ლიტერატურას, ლიტერატურულ პროცესს, მწერლებს, მწერლებისადმი, წიგნისადმი სიყვარულს და პატივისცემას. ვასიკო კეჟერაძეს აქვს რწმენა, რომ ლიტერატურა რაღაცას იძლევა. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე შეიძლება არაერთი მკითხველი შეეკამათოს მას, მაგრამ დოჩანაშვილი ტექსტშივე გვაძლევს შესანიშნავ პასუხს, რომ ამდენი წიგნის კითხვის შემდეგ, მივიღებთ რომელიმე კლიმს! კლიმი ვასიკო კეჟერაძის თანაშემწეა, რომელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთიც და მეორეც ლიტერატურის სამყაროში ცხოვრობენ.

ვასიკო კეჟერაძე არ არის მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი, ასეთი ადამიანები რეალურ ცხოვრებაშიც არსებობენ, შორს რომ არ წავიდეთ, თავად გურამ დოჩანაშვილია სამივე ძმა კეჟერაძე.

როგორც ჩანს, პიროვნული მომენტები არც ამ შესანიშნავ მოთხრობაშია გამოსარიცხი, რადგან უფროსი ჩინოვნიკის სახე იმდენად ნათლად არის დახატული, რომ შეუძლებელია იგი რეალურ პროტოტიპს არ ეფუძნებოდეს. ისე როგორც ვასიკო კეჟერაძეს პროტოტიპად თავად გურამ დოჩანაშვილი გამოდგება. იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატორებს შესანიშნავი იარაღი აქვთ ხელთ და ლიტერატურის მოყვარულებმა კარგად იციან, როგორ იქცევიან მწერლები, როდესაც შურისძიება სურთ – ლიტერატურაში ეს ადვილი საქმეა, გამოჰყავთ პერსონაჟის სახით და იქ ანადგურებენ. ასე მოიქცა, მაგალითად, ჯოისიც. ასევე, მე ვიცი ერთი მწერალი, რომელიც „სამოსელ პირველში“ პერსონაჟად ჰყავს გურამ დოჩანაშვილს გამოყვანილი. არც ის კაცია ძნელი საცნობი და არც ის, თუ რატომ აკეთებს ამას ჩვენი მწერალი.

რა თქმა უნდა, უფროსი ჩინოვნიკის უკან პროტოტიპი დგას, შეიძლება არა მხოლოდ ერთი, არამედ მთელი კასტა იმ ადამიანებისა, რომლებსაც განსაკუთრებით აშფოთებდნენ ვასიკო კეჟერაძის მსგავსი თავისუფლების, სულიერების კუნძულები საბჭოთა უდაბნოში, რადაც, ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, დღესაც რჩება. მართალია, აქ აღარაა პირდაპირი კავშირი ისტორიასთან და საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ყველა ადგილი, სადაც არ უყვართ ლიტერატურა, მისალოცი ხალხით დასახლებული უდაბნოა.

არასდროს დამავიწყდება, რომ ჩემმა დიდმა მეგობარმა, შესანიშნავმა ქართველმა მოაზროვნემ, მოამაგემ, რომელმაც კლასი არ დატოვა, რომ სახელმძღვანელო არ დაეწერა – ვახტანგ როდონაიამ ერთხელ ძალიან მწარედ იხუმრა ჩვენს ქვეყანაზე, რომ საქართველო ეს არის უძველესი კულტურის მქონე, მთაგორიანი ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ძველი კულტურის მქონე – უკულტურო ხალხი.

ეს საშინელი ფენომენი, უძველესი კულტურის მქონე – უკულტურო ხალხი ზუსტად გამოხატავს ქვეყანას, სადაც წიგნის მრავალი გამომცემელი და უწიგნური ხალხი თანაცხოვრობს. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ვასიკო კეჟერაძე და არაერთი სხვაც აღშფოთებულია იმით, რომ წიგნიერებად და განათლებად პროფესიული ცოდნა მიიჩნევა და არა მხატვრული ლიტერატურა.

სწორედ ასეთ ადამიანებს, რომლებიც წიგნიერებად პროფესიულ ცოდნას მიიჩნევენ და არ იცნობენ კლასიკასაც კი, ამხელს და ბოროტად ებრძვის ვასიკო კეჟერაძე. ის არ ჰგავს ევროპელ განმანათლებელს. კი, ამბობს, რომ მისალოცები არიან და ვითომ უყვარს საზოგადოება, მაგრამ აშკარად ეზიზღება ის ხალხი, ვისაც კითხვა არ უყვარს. ამ თვალსა-

ზრისით იგი მებრძოლი წიგნმოყვარეა, რადიკალური ნაბიჯების გადამდგმელი კაცი. და არც ის არის სახუმარო, რაც მან კარცერ-ლუქსთან დაკავშირებით მოიფიქრა, რადგან მისი ნება რომ იყოს, ქალაქ თბილისს კარცერ-ლუქსებით გაავსებდა და სამწუხაროდ, არც პატიმრები დაელეოდა...

„ცა მიწიდან იწყება“

ოთარ ჭილაძე გამორჩეული პოეტი და მწერალია, რომელსაც ერთი განსაკუთრებით უცნაური ჟანრის წიგნი აქვს. „ცა მიწიდან იწყება“, მწერლის ჩანაწერების კრებული, ახლოსაა როგორც მის პოეზიასთან, ისე პროზასთან და მნიშვნელოვანი ტექსტია ზოგადად, ამ ჩვენი კაცის, მისი სულიერების გასაგებად.

ამ კრებულში თავმოყრილი მასალები მწერლის ძმამ, თამაზ ჭილაძემ, ოთარის რვეულებიდან ამოკრიბა და, როგორც თავად აღნიშნავს წიგნის შესავალში, იმ ზღვა მასალის მცირე ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უამრავ რვეულშია გაბნეული.

ჩანაწერები 1955 წლიდან, იმ პერიოდიდან იწყება, როდესაც ოთარ ჭილაძე ყალიბდება, როგორც პოეტი და სრულდება 2009 წლით, იმ მომენტისთვის, როდესაც ოთარ ჭილაძე მსოფლიოში სახელგანთქმული ავტორია, კაცი, რომელიც ყველაზე ახლოს მივიდა ჩვენთვის, ქართველების ჯერჯერობით სანუკვარ ოცნებამდე – ნობელის პრემიამდე!

ზოგადად, ასეთი ტიპის მასალა რამდენიმე მინახავს, თუმცა ფაქტია, ყველა ერთნაირად გულწრფელი არ არის. მათი ნაწილი იმაზეა გათვლილი, რომ ამ ჩანაწერებს მილიონობით ადამიანი წაიკითხავს, ამიტომაც, ხშირად ვხვდებით ტყუილს, ისეთს, როგორიც ნამდვილ მწერალს ეკადრება – ეს ტყუილი არ არის უსინდისობა, ის შემოქმედებაა, რადგან არ არსებობს ობიექტურად დაწერილი მხატვრული ლიტერატურა, როგორც კი მხატვრულ ლიტერატურას წერ, უკვე ტყუი... აი, ოთარ ჭილაძის წიგნი, ყველაფერთან ერთად, ამბობს ისეთ სიმართლეს, რომელიც ახლა შესაძლოა ბევრისთვის უხერხული იყოს.

სიმართლესთან ერთად, აქ ვხვდებით გამორჩეულ, განსაცვიფრებელ ფაქტებს, მაგალითად იმ საოცრების შესახებ, რომელზედაც არაფერი ვიცოდი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1986 წელს ციხეში ვიჯექი. თქვენ წარმოიდგინეთ და ზუსტად ამ წელს ქართველმა მწერლებმა საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობა, კრემლის კოლონებიანი დარბაზი, პროტესტის ნიშნად დატოვეს!

ეს ფანტასტიკური რამ არის, წარმოუდგენელი ვაჟკაცობა მწერლების, მათ შორის იმ მწერლების მხრიდან, რომლებიც, ნურავის ეწყინება, მაგრამ წლების განმავლობაში ყველაფერზე აწერდნენ ხელს. ჩვენ ვიცით, როგორი იყო მათი დამოკიდებულება სახაროვთან, სოლჟენიცინთან, ზვიად გამსახურდიასთან, 1978 წლისა და არაერთ სხვა მოვლენასთან დაკავშირებით. ბევრი რამის გახსენება შეიძლება, კარგისა და ცუდის, მაგრამ 1986 წლის პროტესტი, მართლაც საოცარი რამაა.

ბუნებრივია, ეს პროტესტი ნაციონალური საკითხის გარშემო ტრიალებს. საუბარია რუსი მწერლის – ვიქტორ ასტაფიევის მიერ ჩვენ შესახებ დაწერილ მოთხრობაზე – „ცი-

მორების ჭერა საქართველოში“, რომელიც სრულიად სხვაგვარ, არაჩვენებურ საქართველოს აღწერდა. ამან, ბუნებრივია, საშინელი გაღიზიანება გამოიწვია სრულიად ქართულ საზოგადოებაში და მათ შორის მეც, რომელიც მაგ დროს ციხეში ვიჯექი, თანასაკნელ რუსებს დავესხი თავს და ვაღიარებინე, რომ ასტაფიევი შეცდა! (ამ დროს ეს კაცი გაცილებით უარესებს თავის ხალხზე, რუსებზე, წერდა და ამის გამო, გარდაცვალების შემდეგ, ლამის დაუმარხავი დატოვეს).

ჩვენ გვეწყინა და ჩვენი გაგებით სამართლიანადაც, რადგან შენიშვნის უფლება მხოლოდ ჩვენიანს აქვს და არა მტერს!

მიუხედავად ამ ყველაფრისა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა იყო ამის მიზეზი, ქართველი მწერლების მიერ გამოხატული პროტესტი და საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობის დატოვება წარმოუდგენელი რამ იყო! ეს მით უფრო გასაკვირია იმ ფონზე, რომ იშვიათად რამე არსებობდეს იმაზე უფრო კომუნისტური, ვიდრე საქართველოს მწერალთა კავშირი იყო, სადაც ორი-სამი ნამდვილი მწერლის გარდა, ოთარ ჭილაძის ჩათვლით, ძირითადად „კგბ“-ს აგენტები და მწერლობასთან სრულიად შეუთავსებელი ხალხი იყო გაერთიანებული.

„ეს იყო ალბათ მთელს იმპერიაში პირველი აშკარა პროტესტი, უკიდურესობამდე მისული უმწეობის გამომხატველი! პირადად მე, არ მეგონა, მშვიდობიანად თუ გამოვიდოდით იმ დღეს კრემლიდან. სამაგიეროდ, ღრმად ვიყავი დარწმუნებული (თუკი გადავრჩებოდით), აეროპორტში მთელი საქართველო დაგვხვდებოდა, თუნდაც, როგორც რომელიმე საზღვარგარეთულ ტურნეში გამარჯვებულ საფეხბურთო გუნდს. მაგრამ (საბედნიეროდ) არც პირველი ვარიანტი გამართლდა და (სამწუხაროდ) არც მეორე, რადგან რაც მოხდა, თავისთავად, გაუთვალისწინებლად მოხდა და ეს არ განეკუთვნებოდა

იმ „სითამამეთა“ რიცხვს, რომლებსაც საბჭოელის ფსიქიკა უნდა შეერყიათ, თანდათანობით, ნება-ნება გამოეყვანათ ის მარადიული მორჩილების, ნებაყოფლობითი სიბრმავისა და სიცრუის ბუნაგიდან“, – ვკითხულობთ ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში და ეს ტექსტი თუნდაც 1986 წელს რომ ეპოვა „ვინმეს“, გარწმუნებთ, ამ სიტყვების ავტორს „პერესტროიკა“ ვერ უშველიდა...

ამ ყველაფრითაც კარგად ჩანს მისი ვაჟკაცობა და ზოგადად, მის შემოქმედებასაც თუ გადავხედავთ, ყველა მარტივად დარწმუნდება, რომ ოთარ ჭილაძე არასდროს ყოფილა საბჭოთა!

ცალკე აღნიშვნის ღირსია ძალიან საინტერესო პასაჟები, რომელიც ამ წიგნში ძეგლებთან დაკავშირებით გვხვდება. როგორც ჩანს, ოთარ ჭილაძე ამ თემას სულ სხვა კუთხიდან უყურებდა:

„ძეგლის დაცვა თოფით არ შეიძლება – ძეგლი თავისი ერთადერთობით, განუმეორებლობით იცავს თავს“, „ძეგლის დაცვა ყარაულობა კი არ არის!“, „ძეგლს საერთო-სახალხო კულტურა იცავს, რომელიც გვახსენებს, თუ რა არის ძეგლი“, „ძეგლის დამხობა იდეას არ კლავს, პირიქით, უძეგლოდ დარჩენილი ანუ ნიღაბჩამოხსნილი იდეა, კიდევ უფრო მიზანდასახული ხდება!“

ოთარ ჭილაძე ამბობდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ყარაულობით, თოფით ვერ დაიცავ ძეგლს და მთავარია, ეს ძეგლები ჩვენში იყოს, ამგვარად დავიცვათ; ხოლო თუ მაინც დამარცხდი მისი დაცვისას, სამომავლო ბრძოლისთვის შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანო და დამნაშავის დასჯა სცადო; ამასთანავე, არსებობს ძეგლები, მაგალითად სტალინის, რომლის აღება-დადგმის შესახებ კამათი მუდმივად მიმ-

დინარეობს. ამ შემთხვევაში ჩვენი მწერალი იმას გვიხსნის, რომ ასეთი ძეგლები, ზოგადად, სტალინი, არ უნდა შემოვუშვათ ჩვენში, მთავარი ესაა. ოთარ ჭილაძის ეს იდეები, რომლებიც ამ კონკრეტულ წიგნში გვხვდება, არ არის მარტივი იდეები.

სხვა მწერლებისგან განსხვავებით, ოთარ ჭილაძე უაღრესად დაინტერესებული იყო საქართველოს ბედით. მით უმეტეს, საინტერესოა მისი მოსაზრება გალაკტიონთან დაკავშირებით, იმ გალაკტიონთან, რომელიც უამრავჯერაა ამ წიგნში ნახსენები და რომელიც მაშინვე თავისუფლებაზე ალაპარაკდა, როგორც კი ტირანი მოკვდა – „ამ 1954-ს როგორმე თავი თუ დავაღწიეთ, როგორმე გზაზე თუ გავეტიეთ“. ჭილაძე გალაკტიონს გვიხატავს ერთდროულად, როგორც ლომსა და როგორც გოშიას:

„ლომი გალიის სიღრმეში წევს, უკანა კედელთან. ის კი, თეთრი, ყურდაცქვეტილი, თვალებაწყლიანებული გოშია, წინ დგას, გალიის გისოსებთან, მნახველებისკენ შემობრუნებული, შეწკეპილი, დასაყეფად გამზადებული; თანაგრძნობის კი არა, გაკვირვების აღმძვრელი მნახველთა გულებში თავისი სიპატარავითა და სითამამით. „ჩემს უკან ლომია, მე ლომის ძილსა ვდარაჯობ“ – ამბობს მთელი მისი არსება – თეთრი, მოუსვენარი ლაქა გალიის ბინდ-ბუნდში, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე არ არის გარკვეული, რა შეიძლება ემუქრებოდეს თვითონ, ლომის გალიაში გამომწყვდეულს, ვითომ ლომის ძილის დამფრთხობთა დასაფრთხობად.

ერთ გალიაში გამომწყვდეულ ლომსა და გოშიას ჰგავს ყველა დიადი ადამიანი. ლომსაც და გოშიასაც – ერთდროულად. „ლომი“ მისი ბუნება, სული, ტალანტი, რაც „არ ჩანს“, რასაც მის არსებაში, „გალიაში“ სძინავს და რაც საბოლოოდ

რჩება მისგან; „გოშია" კი – მხოლოდ და მხოლოდ, ცხოველური ალღოა, რომელსაც დიადი ადამიანის უყაირათო, მოუწყობელი და მოუხერხებელი ცხოვრების დაცვა და წარმართვა უკისრია.

ასეთი იყო გალაკტიონიც. ყოველ შემთხვევაში, ასეთად წარმომიდგენია, თუმცა, უკვე რუსთაველთან, პოეტების დიდ პაპასთან უზის სუფრას იქ, სულეთში, კი არა, მარადიულ საქართველოში, სადაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულნი ხვდებიან სიკვდილის შემდეგ და სადაც მზე არასოდეს არ ჩადის".

შენ შეიძლება დაინახო მისი ერთი თვისება და გასაგებია, რომ გალაკტიონს ბევრი რამის შეშინებია, მაგრამ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ის ხედავს სიზმრებს არაშენებურს, ანუ ლომია. რა თქმა უნდა, ეს მინიშნებაა თავად ოთარ ჭილაძეზედაც, მის სისუსტეებზე.

საინტერესოა, რომ დროის სვლასთან ერთად, ოთარ ჭილაძის მხატვრული აზროვნება სულ უფრო და უფრო დახვეწილი ხდებოდა, პოლიტიკური კი მარჯვნივ იხრებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდში საკმაოდ კონსერვატული მოსაზრებები გამოთქვა, თუმცა, ესეც მწერლობის საიდუმლოა, არც დოსტოევსკია ისეთი, როგორიც მისი რომანებიდან ჩანს, მწერლების ბიოგრაფია ხომ სულ სხვა რამეს გვიყვება.

ამ თვალსაზრისითაც, „ცა მიწიდან იწყება" სერიოზული წიგნია როგორც ოთარ ჭილაძის, ისე საქართველოს გასაგებად, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა ბედნიერებად აქვს აღქმული და როგორც ოთარ ჭილაძე წერს, „ბედნიერება უნდა მოითმინო!"

ეს სიტყვები, თავისთავად, მრავლის მთქმელია... ამ ბედნიერებას მოვლა უნდა, რადგან თავისუფლება, დამოუკიდებ-

ლობა ბედნიერებაა, ძეგლია, რომელიც შენში უნდა იყოს, რადგან მხოლოდ თოფით ვერ დაიცავ მას!

მანვე თქვა, რომ დამოუკიდებლობის გრანდიოზული იდეა მწერლობას ეყრდნობა:

„ქართული მწერლობაც ისეთივე ეროვნული და, თუ გნებავთ, ისეთივე სახელმწიფოებრივი ფენომენია, როგორიც, მაგალითად, სამეფო დინასტია, ანდა მართლმადიდებელი ეკლესია და ამიტომ, ვინც ქართულ მწერლობას უპირისპირდება, ის ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ეროვნულ შეგნებას უპირისპირდება ფარულად".

მართალია, შეიძლება ერთმორწმუნე ხალხთან ერთად იყო და რელიგიის საკითხი, ვითომდა, მოწესრიგებული გქონდეს; შეიძლება სახელმწიფოს ძლიერი პატრონი ჰყავდეს, როგორც აღმაშენებელი და მშვიდად დაიგულო თავი, მაგრამ ეს ყველაფერი – არაფერია, თუკი რუსთაველი არ გყავს! არაფერია, იმიტომ, რომ ხალხი, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ლიტერატურით იზრდება!

ხოლო სიამოვნება, რომელსაც გაზრდა, ცხოვრება, დიდი შემოქმედების შედეგი იძლევა, ჭილაძესთან მოკლედ და მარტივადაა განმარტებული:

მე ვგრძნობ, მე ვიცი, ვხედავ და მესმის,
როგორ იხრწნება მიწაში გვამი,
როგორ იზრდება მიწაში ფესვი...

შენ შეგიძლია ყველაფერი დაინახო, დაინახო ხრწნაცა და დაინახო და სიცოცხლეც, ანუ ფესვი. უფესვოდ ამოსულ ქვეყანას არ აღიარებს ოთარ ჭილაძე, ამბობს, რომ სინამდვილეს ლეგენდა გვირჩევნიაო და მუდმივად სინამდვილეში გვაბრუნებს, მაშინ, როცა თავად ლეგენდებს მიუძღვნა თავი.

ეს უკანასკნელი ჩანაწერია ამ წიგნში...

კაპიტანი ამერიკა

უოლტ უიტმენი და მისი შედევრი – „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსია კაცობრიობის ისტორიაში.

ამერიკელი პოეტი, პუბლიცისტი, გენიოსი, ამერიკული კულტურის სიამაყე – უოლტ უიტმენი 1819 წელს დაიბადა, 1892 წლამდე იცოცხლა და იქცა ამერიკული ლიტერატურისა და პოეზიის რეფორმატორად, ამ ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ფუძემდებლად.

აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ამერიკულ პოეზიაში დიდი, გრანდიოზული პოეტები იყვნენ, მაგრამ, რეალურად, ისინი ინგლისელი პოეტები იყვნენ, რომლებიც წერდნენ ინგლისურად ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ არა ამერიკის შეერთებულ შტატებზე! ამ ფონზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ უიტმენი აბსოლუტურად ამერიკული მოვლენაა, არაევროპული ტიპის პოეტი, რომელმაც სრულად შეცვალა ამერიკელთა დამოკიდებულება ბევრი საკითხის მიმართ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ აშშ-ში დღეს თითქმის არ

იღებენ სერიალს, სადაც, რამე ფორმით, უიტმენი არ ფიგურირებდეს!

უოლტ უტმენის მთავარი პოეტური კრებული „ბალახის ყვავილები", პოეტის 1855-1891 წლების შემოქმედებას აერთიანებს, რომელიც კოსმიური იდეებით ადამიანის განწმენდის თემით არის გაჯერებული; ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი საგანი, აღქმულია დაუსრულებელი დროისა და სამყაროს ევოლუციის კონტექსტში. ასეთი რამ მსოფლიო ლიტერატურას არ ახსოვს, ასეთი ამბები უიტმენის შემდეგ ჩნდება, მაგალითად, გალაკტიონის „მსოფლიო ორკესტრი", სამყაროული ფიქრები ელიოტის შემოქმედებაში და ა. შ. უიტმენამდე, ამ მასშტაბის გაქანება მხოლოდ ჩვენს გენიოსთან, რუსთაველთან მახსენდება, როცა შოთა ამბობს – „ცამცა გაიდარბაზესა", ანუ დედამიწა არ ეყოთ და ცაც ასპარეზად აქციეს. ეს ფრაზა უიტმენის შემოქმედების მშვენიერი ილუსტრაცია იქნებოდა.

უიტმენი მსოფლიო წესრიგის, ძმობის, მეცნიერების, სიყვარულის, გაერთიანების, მსოფლიო დემოკრატიის მომღერალია, იგი არ ცნობს სოციალურ, მით უმეტეს ეროვნულ საზღვრებს. მისი კრებული – „ბალახის ყვავილები" დემოკრატიის იდეით არის განმსჭვალული და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, პოეზია და დემოკრატია სხვადასხვა სფეროაო, უიტმენის შემთხვევაში ასე არ არის.

ის მიიჩნევა არა მხოლოდ უზარმაზარ ლიტერატურულ მოვლენად, რომელსაც რევოლუცია ახლავს პოეზიაში, არამედ, ამავე დროს, ეს არის კაცი, რომლის ხელშიც დაიბადა ვერლიბრი, თავისუფალი ლექსი, ნოვატორული სალექსო სისტემა. და როდესაც ჩვენ, მაგალითად, ვეცნობით XX საუკუნის უდიდეს პოეტებს: აპოლინერს, პოლ ელუარს, ანრე ბრეტონს,

ფრანგული პოეზიის პრესიურრეალისტური, სიურრეალისტური, პოსტსიურრეალისტური, პოსტრეალისტური და ა. შ. ლიტერატურის შემოქმედებს, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველას ჰყავდა ერთი დიდი წინაპარი, ერთი მამა, რომელსაც ერქვა უოლტ უიტმენი!

უიტმენს შრომა პატარა ასაკიდანვე მოუწია. მუშაობდა შიკრიკად, ასოთამწყობად, მასწავლებლად, ჟურნალისტად; სხვადასხვა დროს იყო პროვინციული გაზეთის რედაქტორი და სხვა. უყვარდა მოგზაურობა და როგორ წარმოუდგენლადაც უნდა ჟღერდეს, ფეხით მოიარა 17 ამერიკული შტატი! ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს თხზავდა ლექსებს და უნიკალური, ე. წ. ზეპირი რედაქტირების უნარის წყალობით, ქაღალდზე პრაქტიკულად დასრულებული ტექსტი გადმოჰქონდა, ტექსტი, რომლის დაბადებასაც, პირდაპირი მნიშვნელობით, ათასობით ნაბიჯი უძღოდა წინ!

უიტმენის პირველი ლექსები ამერიკულ ჟურნალებში 30-იანი წლებიდან გამოჩნდა და იმწუთასვე მიიპყრო ყურადღება, რადგან ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი და დღევანდელი ერთ-ერთი მთავარი ღირებულების – დოლარის კულტის წინააღმდეგ გამოდიოდა. პოეზიაში მისი პირველივე სიტყვები იყო სიტყვები იმის შესახებ, რომ ფულს მორალურ გადაგვარებამდე, სულიერ დაცარიელებამდე მივყავართ და მან თქვა, თავად მე წარმოვადგენ სახეს ყველა ტანჯულისა და უარყოფილისაო.

და აი, ამერიკის ლიტერატურულ ცხოვრებაში გაჩნდა ახალი, სრულიად წარმოუდგენელი ხმა, რადგან მანამდე არავის ესმოდა, როგორ შეიძლება არსებობდეს პრობლემა დოლართან მიმართებით; მათ ხომ შესანიშნავი პურიტანული იდეა ჰქონდათ – იმუშავე და გამდიდრდი და თანაც, დოლარს დაუ-

პირისპირდა კაცი, რომელიც თავადაც ცნობილი იყო შრომისმოყვარეობით.

1850 წელს დაიბეჭდა უიტმენის რამდენიმე ლექსი, რომელთაგან ერთ-ერთი ცენტრალური ტექსტი – „ევროპა" იყო. ამ ლექსით ავტორი ლიტერატურის იმ მოყვარულთათვისაც ცნობილი გახდა, რომლებსაც არ აინტერესებდათ მისი დოლართან დაპირისპირების თემა და უბრალოდ უყვარდა პოეზია. ამ ლექსში ავტორმა აღიქვა ყველაფერი, რაც ევროპაში 1848 წლის რევოლუციის შემდეგ მოხდა და უმღერა თავისუფლებას. ამის შემდეგ, ის იქცა კიდეც თავისუფლების მთავარ მომღერლად საკუთარ ქვეყანაში. უიტმენის ადრეული ლექსები უკვე იქცა იმ წყაროდ, რომელიც მომავალში გააჩენს შესანიშნავ კრებულს, „ბალახის ყვავილებს". კრებული პირველად 1855 წელს გამოიცა და ეს წიგნი მუდმივად ივსებოდა. ბოლო, გაზრდილი და შევსებული კრებული 1891 წელს გამოვიდა.

ამასობაში, ამერიკაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც ჩვენი პოეტი ჩრდილოეთის არმიაში, ნებაყოფლობით მსახურობდა სანიტრად. ომის მოვლენებს მან მიუძღვნა შესანიშნავი კრებული: „დოლის სიმღერა" და „როდესაც უკანასკნელად აყვავდა ყვავილი/კუნელი". ორივე მათგანი 1865 წელს დაიწერა.

სამწუხაროდ, უოლტ უიტმენს ავადმყოფობა სდევდა თან და 1873 წელს, ინსულტის გადატანის შემდეგ, დამბლა დაეცა, რის გამოც, პრაქტიკულად, ჩამოსცილდა ცხოვრებას. ამის პარალელურად, ყველა ფიქრობდა, რომ უიტმენის შემოქმედება არ არის პოეზია, ვერლიბრი მოკვდება მასთან ერთად და დაბრუნდება კონვენციური ლექსი, რითმები, პატიოსნება, როგორც ადრე... მის სიტყვას, რწმენასა და თავდაჯერებას ვერაფერი დააკლო იმან, რომ მისი მიდრეკილებების გამო საზოგადოებას არ უყვარდა. უიტმენი უაღრესად ოპტიმის-

ტურად იყო განწყობილი, რაც მთავარია, წერა შეეძლო და წერდა კიდეც!

როგორც ადამიანმა, როგორც პოეტმა მან ძალიან დიდი გზა გაიარა და ამ გზაზე იყო ერთი ამერიკელი, რომელსაც უიტმენი აღმერთებდა. ჩვენ, ქართველებს, იმის წარმოდგენა არ გაგვიჭირდება, რა ცუდი რეზონანსი შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის გაღმერთებას, მით უმეტეს პოეტის მიერ და თანაც ისეთი კაცისას, რომელიც სავსე იყო უამრავი ადამიანური სისუსტით.

იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, რა კაცია აბრაამ ლინკოლნი და საიდან მოდის უიტმენის ამგვარი დამოკიდებულება მის მიმართ, სწორედ უიტმენის პოეზია დაგვჭირდება. მანამდე კი ვთქვათ ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ფიგურა ჯორჯ ვაშინგტონი ან თომას ჯეფერსონი კი არ არიან, ან თუნდაც დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმომწერები, არამედ სამოქალაქო ომის წამომწყები ლინკოლნი, რადგან თუკი დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ერთიანი ქვეყანაა, ეს სწორედ ლინკოლნის დამსახურებაა! რაც მთავარია, ამერიკელები გამარჯვებულები არიან, რადგან, საბოლოოდ, სამოქალაქო ომი ჩრდილოეთის მიერ სამხრეთის დამარცხებად კი არა, თავისუფლების გამარჯვებად აღიქვეს!

ამ გამარჯვების საფასური ლინკოლნმა ყველაზე ფასეულით – სიცოცხლით გადაიხადა! მისმა სიკვდილმა მთელ ამერიკას თავზარი დასცა. ერთმა გასროლამ თეატრში საბოლოოდ გადაწყვიტა მათი ისტორია, ერთი გასროლით ითქვა, ვინ არის მთავარი ამერიკელი! ლინკოლნი განსაკუთრებულად პატივსაცემი კაცია და ამის გასაგებად უნდა მივიდეთ უოლტ უიტმენის შედევრამდე – „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“,

რომელიც საოცრად თარგმნა კიდევ ერთმა პრეზიდენტმა – ზვიად გამსახურდიამ!

„ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა ჩვენი მძიმე მგზავრობა", – ამ სიტყვებით იწყება მსოფლიო ლიტერატურის ეს შედევრი. გასაგებია, რომ მოკლული კაპიტანი – აბრაამ ლინკოლნია და წევს გემბანზე, რომელიც არის კიდეც ამერიკის შეერთებული შტატები.

სხვათა შორის, ეს წმინდად ინგლისური იდეაა, რადგან თითოეული ინგლისელი აღიქმება, როგორც გემის კაპიტანი, ინგლისი კი – გემად.

ეს იდეა არც მომავალში მიეცა დავიწყებას, რადგან კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში ლორენს ფერლინგეტი იტყვის, რომ თვითმფრინავი – ამერიკის შეერთებული შტატები აიწევა ჰაერში, როდესაც კენედის კუბო უნდა წაიღოს. რა თქმა უნდა, ფერლინგეტის ეს იდეა უიტმენის შედევრით არის ნასაზრდოები.

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა ჩვენი მძიმე
მგზავრობა,
გვეღირსა ცის გასხივოსნება; ხომალდმა გაუძლო
ღელვებს და გრიგალებს, ჩვენი სანუკვარი
ასრულდა ოცნება; ახლოა ნაპირი, მოისმის ზარები, ისმის
მოზეიმე ხალხის
ჟრიამული,
თვალები მისდევენ ხომალდის მტკიცე ქიმს,
ფრიალებს ალამი
სისხლით დანამული.
მაგრამ გული! გული! გული! სისხლის გუბე შესაზარი!
გემბანზე ხომ კაპიტანი, ასვენია, ცივი, მკვდარი.

ეს ლექსი, ეს თარგმანი, ეს სიტყვები გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას იმისადმი, რომ ამოდენა ქვეყანა კაპიტნის გარეშე დარჩა, თუმცა, ტრაგედია მხოლოდ ამით არ სრულდება. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ კაპიტნისგან, ამ ხომალდისგან მსოფლიო რაღაცას მოელის, მაშინ, როდესაც არ იციან, რომ ამ ხომალდის გული მკვდარია! ლინკოლნი არ არის ამ ხომალდის საჭე, ხელები, გონება; ამერიკის გონება – თომას ჯეფერსონია; ამერიკის ხელები – პირველი პრეზიდენტი, მაღალი და აქტიური კაცია; ლინკოლნი ამერიკის გულია!

უიტმენის მიერ წარმოდგენილი ფორმულა განსაკუთრებით პატივსაცემია, რადგან კაპიტანს არ ირჩევენ, კაპიტანი ხომ მოვლენაა! ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრი პრეზიდენტი ჰყოლია, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ამერიკის კაპიტანი, მსოფლიო არავის უყურებს ისეთი იმედის თვალით, როგორც მაგ პერიოდში ლიბერალური ევროპა განმათავისუფლებელ ლინკოლნს უცქეროდა; ის არ არის ამერიკის პრეზიდენტად არჩეული კაცი, ის ამერიკის, ხომალდის მეთაურია!

ამის შემდეგ უიტმენი მიმართავს მიცვალებულს:

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! აღსდექ და ყური მიაპყარ ზარებს; აღსდექ – დღეს შენთვის ფრიალებს დროშა, შენთვის ვაქუხებთ
ძლევის ნაღარებს;
ეს გვირგვინები, ბაფთიანი ყვავილწნულები შენია, შენი!
შენ გიხმობს ხალხი, ეს ზღვა ხალხი, შენა ხარ მისთვის შვების
მომვლენი!
ჩვენო კაპიტანო, მამავ საყვარელო! ჩვენთვის აღარ დარობს დარი,

ეგებ სიზმარია, რომ შენ ამ გემბანზე გართხმულხარ ცივი და
მკვდარი?
მაგრამ კაპიტანი აღარ მპასუხობს, დადუმებულან
უსისხლო ბაგენი, მამა საყვარელი ვერ გრძნობს ჩემს
შეხებას, მის მაჯისცემასაც
ვეღარ მივაგენი,
იზეიმეთ, ნაპირებო, მე კი მმართებს ჩუმი ზარი, გემბანზე
ხომ კაპიტანი ასვენია ცივი, მკვდარი.

უნდა ვთქვათ, რომ ერთი შედევრის, ერთი პატარა ლექსის კვალობაზე, „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!" სრულიად გამორჩეული ნაწარმოებია. მისი მთარგმნელებისგან სრულიად თავისუფლად შეგვიძლიათ შევქმნათ მსოფლიო ელიტა: ბორხესი, ოთხი ფრანგული თარგმანი – დაწყებული სრულიად მოულოდნელი კაცისგან, ლაფორგისგან, გაგრძელებული ბოდლერით; ეს არის ლექსი, რომელიც განმარტა სანტაიანამ და თარგმნა ბრეხტმაც.

საუკეთესო ამბავი კი ის არის, რომ ამ ლექსის ბრწყინვალე თარგმანი ეკუთვნის ქართველ კაცს, რომელიც, ზუსტად ვიცით, რომ სულ სხვა იდეოლოგიის მატარებელი იყო. ამ ლექსით ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავი ძეგლი დაუდგა უოლტ უიტმენსაც და საკუთარ თავსაც.

დასასრულ, აღვნიშნოთ ისიც, რომ უოლტ უიტმენის – „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!" ძალიან ჰგავს ლინკოლნის მემორიალს და ისევე იცავს ამერიკას, როგორც მისი უზარმაზარი სამხედრო ძალა, რადგან უიტმენის ლექსში ნათქვამია, რომ ამერიკას აქვს გული და ეს გული დოლარი კი არა, აბრაამ ლინკოლნია!

ნობელიანტები იოკნაპატოფადან

ამერიკული ლიტერატურის წარმატება, რა თქმა უნდა, არავისთვისაა გასაკვირი, თუმცა, 2016 წელს, როდესაც ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში არა ლიტერატორს, არამედ სულ სხვა სფეროს ლეგენდას მიენიჭა, ამ ფაქტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

რაც მართალია, მართალია – რობერტ ციმერმანს, რომელსაც მსოფლიო ბობ დილანის სახელით იცნობს, მართლაც ბრწყინვალე ტექსტები აქვს. თავად მისი სახელიც პოეტურია, ფსევდონიმი კარგი პოეტის, დილან თომასის პატივსაცემად აიღო. ბობ დილანს პროზაული ნაწარმოებებიც აქვს, თუმცა ნობელის კომიტეტმა გულწრფელად თქვა, რომ პრემია მას – „ამერიკული სასიმღერო ტრადიციების ფარგლებში ახალი პოეტური გამომსახველობის შექმნისთვის“ მიენიჭა.

ამ უჩვეულო მოვლენამდე ნობელის პრემიის ლაურეატთა სიაში არაერთი ამერიკელი მწერალი მოხვდა, უფრო მეტი, არანაკლებ ღირსეული ხალხი კი დაიჩაგრა. დავიწყოთ თავიდან – ამერიკული ლიტერატურა ნობელის კომიტეტმა პირ-

ველად პრემიის დაარსებიდან 30 წლის შემდეგ, 1930 წელს შეამჩნია, როდესაც პირველი ამერიკელი ნობელიატი არცთუ განსაკუთრებული მწერალი, სინკლერ ლუისი გახდა – „რომანისტის მძლავრი და მეტყველი ნიჭის, მახვილგონივრულობის, იუმორის, ორიგინალური ხასიათებისა და ტიპების შექმნისათვის".

სინკლერ ლუისი არაერთი რომანის ავტორია, თუმცა მისი მთავარი ნაწარმოები „მთავარი ქუჩაა", რომელშიც თავი მოიყარა ამერიკული ცხოვრების თავისებურებებმა, მათმა კრიტიკამ და უარყოფამ. ანუ, პირველი ამერიკული ნობელის პრემია, აშკარად ანტიამერიკულად განწყობილ ადამიანს მიენიჭა, რომელმაც გაბედა და პრემიის გადაცემის ცერემონიაზე იმაზე ისაუბრა, თუ როგორ არ უყვართ ამერიკაში ლიტერატურა.

ეს არ ყოფილა ყველაზე დიდი ამერიკელი მწერლის გამოსვლა, მაგრამ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ სინკლერ ლუისმა, პრაქტიკულად, ყველა მომავალი ამერიკელი ნობელიატი და უსამართლოდ დაჩაგრული ამერიკელი მწერლები დაასახელა, მათ შორის: ფოლკნერი, ჰემინგუეი, შერვუდ ანდერსონი, რომლისთვისაც ნობელის პრემიის მიუნიჭებლობა ფოლკნერისა და ჰემინგუეის ერთობლივი ტკივილი იყო; სინკლერ ლუისმა ახსენა თომას ვულფიც, წარმოუდგენელი ძალის მწერალი, რომელიც ასევე დაიჩაგრა ამ თვალსაზრისით; მან ახსენა პერლ ბაკი, იუჯინ ო'ნილი და თეოდორ დრაიზერიც, რომელიც, როგორც ჩანს, გარკვეულწილად, მისი მასწავლებელიც იყო.

სინკლერ ლუისის შემდეგ, 1936 წელს, ნობელის პრემია დაიმსახურა დიდმა ამერიკელმა დრამატურგმა, ზემოხსენებულმა იუჯინ ო'ნილმა. ის თანამედროვე ტრაგედიის ერთ-

ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო, რადგან იმ ავტორთაგანია, რომლებსაც მედეას თემაზედაც უმუშავიათ.

ო'ნილი თავად ვერ ჩავიდა პრემიის მისაღებად, თუმცა შვედეთში წერილი გაგზავნა, რომლითაც აშკარად მოიგო შვედების გული, რადგან თქვა, რომ მთელი მისი შემოქმედება შვედ გენიოსს – ავგუსტ სტრინდბერგს ეყრდნობა. ეს სიმართლეა, მისი დრამატურგია მთლიანად ამ შემოქმედზეა დაფუძნებული და არც ის არის საიდუმლო, რომ ამერიკული თეატრალური სკოლის ჩამოყალიბების საქმეში სკანდინავიური, იბსენ-სტრინდბერგის სკოლა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

იუჯინ ო'ნილის შემდეგ, დადგა პირველი ამერიკელი – ქალი ნობელიატის დროც. პერლ ბაკს, რომელსაც ევროპისგან განსხვავებით, პრაქტიკულად არავინ იცნობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრემია 1938 წელს მიანიჭეს, ე. წ. ჩინური რომანისთვის – „ჩინელი გლეხების ცხოვრების მრავალწახნაგოვანი, ჭეშმარიტად ეპიკური ასახვისა და ბიოგრაფიული შედევრებისათვის".

მოგეხსენებათ, პერლ ბაკი ჩინეთში აღიზარდა და მათს ცხოვრებას საკმაოდ საფუძვლიანად იცნობდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, ამით პერლ ბაკი დამთავრდა, ღირებული მეტი ვერაფერი შექმნა...

ამის შემდეგ დადგა პერიოდი, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს, ნობელის პრემია არ გაიცემოდა, თუმცა, 30-40-იან წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ქვეყანა, იმდენად პოპულარული იყო, რომ მოხდა საოცრება და ნობელის კომიტეტმა ზედიზედ ორი წელი, ამერიკელებზე გასცა მთავარი ლიტერატურული პრიზი.

1948 წელს გამოირჩა კაცი, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი იყო. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ნობელის კომიტეტმა დაინახა ტომას სტერნზ ელიოტი, თანამედროვეობის უდიდესი პოეტი. მისთვის პრემიის მინიჭება ღირსებას არა ჩვენს პოეტს, არამედ თავად ნობელის კომიტეტს მატებდა და ამ გადაწყვეტილებით პრემიამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

ზოგადად, მიიჩნევა, რომ პოეზია უთარგმნელია, ნაციონალური ამბავია და მისი ინტერნაციონალიზაცია ვერ ხერხდება, მაგრამ გირჩევთ წაიკითხოთ ის უმოკლესი გამოსვლა, რომლითაც შვედეთის საზოგადოების წინაშე წარსდგა ტომას სტერნზ ელიოტი, პოეტი, კრიტიკოსი, მოაზროვნე, კაცი – საუკუნე, რომელმაც პირიქით, პოეზიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, საერთაშორისო და ადამიანთა დამაახლოებელ ფუნქციაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას კი არ მიენიჭა ნობელის პრემია, არამედ ზოგადად, პოეზიას. მან მსოფლიო პოეზიის სახელით გადაიხადა მადლობა და ეს იყო აბსოლუტურად გულწრფელი სიტყვები გენიოსისა, რომელსაც მშვენივრად ესმოდა საკუთარი თავის ფასი.

ამ ამბიდან არ გასულა ერთი წელი და ნობელის კომიტეტმა კიდევ ერთხელ მიაგნო მწერალს, რომელმაც თავად პრემიას მოუტანა სახელი. როდესაც ყველა ფიქრობდა, რომ ამერიკელების დრო წავიდა, 1949 წელს, ნობელის პრემიის ისტორიამ კულმინაციას მიაღწია, რადგან არ მგონია ვინმეს ოდესმე ისე დამსახურებულად მიეღო ეს ჯილდო, როგორც უილიამ ფოლკნერს.

ფოლკნერის ნობელის პრემია დიდი უცნაურობა იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, სადაც თქვეს, რომ ნობელის პრემია მიუნიჭებიათ ვიღაც ფოლკნერისთვის, რომელიც ამერიკელი მწერალი ყოფილაო. სამშობლოში ფოლკნერი იმ

უბრალო მიზეზის გამო არ იყო პოპულარული, რომ ძალიან რთული ავტორია.

ეს არის მწერალი, რომელიც გენიოსია ყველა სიტყვაში, რომელსაც არასდროს ჰქონია არც აღმა და არც დაღმასვლა; მისი თითოეული სიტყვა ხარისხის ნიშანია და რა ნაწარმოებიც უნდა შექმნას ამ სიტყვებით, ყველა შემთხვევაში უმაღლესი დონისა იქნება!

ამერიკის მასშტაბების მიუხედავად, ფოლკნერი ამავე ქვეყანაში ქმნის საკუთარ გამოგონილ სამყაროს, იოკნაპატოფას, მის გეოგრაფიას, ხალხს, რომელთა წინაშე სერიოზულ პრობლემებს სვამს. ეს არა მხოლოდ იოკნაპატოფელების, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ, ზოგადად, ადამიანების, ადამიანობის პრობლემებია.

დღეს ფოლკნერი ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკელი მწერალია მსოფლიო ისტორიაში და, რა თქმა უნდა, ნობელის კომიტეტი ძალიან ამაყია, რომ ამერიკელებს ამ კაცის აღიარება დაასწრო. პრემიის მიღების მომენტში მას უკვე დაწერილი აქვს ორი მთავარი რომანი „ხმაური და მძვინვარება“ და „აბესალომ, აბესალომ“.

წარმოუდგენელი ძალის, ბიოგრაფიისა და სიმაღლის მწერალია უილიამ ფოლკნერი, რომლის მიერ პრემიით დაჯილდოებისას ნათქვამი სიტყვა, საუკეთესოდ აღწერს არა მხოლოდ მის, არამედ ზოგადად ლიტერატურის არსს:

„მჯერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, გაიმარჯვებს კიდეც. ადამიანი უკვდავია, განა იმიტომ, რომ სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით მხოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი შესწევს. პოეტის, მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი

დანიშნულებაა შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, თავგანწირვას – დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს".

ფოლკნერის შემდეგ, 1954 წელს პრემია თხრობის დიდოსტატს – ერნესტ ჰემინგუეის მიანიჭეს. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღინიშნა მისი შედევრი – „მოხუცი და ზღვა": „თხრობის დიდოსტატობისათვის, რომელიც კიდევ ერთხელ დემონსტრირებულ იქნა მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა"; გავლენისათვის, რაც მან მოახდინა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაზე ახალი სტილის აღმოჩენითა და დამკვიდრებით".

ჰემინგუეი შესანიშნავი მწერალია, რომელიც ძალიან პოპულარული იყო ჩემს ახალგაზრდობაში და იმ იშვიათ უცხოელ მწერლებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ღიად იბეჭდებოდნენ საბჭოთა კავშირში. იგი იბრძოდა ესპანეთის სამოქალაქო ომში, რესპუბლიკის მხარეს, იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე, დაკარგული თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პარიზის ამერიკელების გამოკვეთილი ლიდერი.

პრემიის მისაღებად ვერც ჰემინგუეი ჩავიდა შვედეთში, თუმცა მანაც გაგზავნა წერილი, სადაც მკაფიოდ ჩანდა თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების ნიშნები. ამ წერილში ის მწერლის მარტოობაზე საუბრობდა, რაშიც პირადად მისი მარტოობის ტრაგიკული ნოტები ჟღერდა.

სხვათა შორის, ძალიან ზუსტად დაიჭირა ქართველმა პოეტმა ჰემინგუეის ეს მიდრეკილება, საკუთარ ლექსში თქვა

– ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალესო. დიახ, გარკვეული გაგებით, ჰემინგუეი იყო კიდეც დიდი ბავშვი მსოფლიო ლიტერატურისა.

ჰემინგუეის აღიარებიდან 8 წლის შემდეგ, მოხდა ერთი სკანდალური ფაქტი, მაშინ, როცა ნობელის კომიტეტის ჩანაწერები გასაჯაროვდა. კომიტეტის წევრებმა მიიჩნიეს, რომ 1962 წელს, ნობელის პრემია ერთ რიგით მწერალს, ჯონ სტაინბეკს მიანიჭეს და იფიქრეს, რომ ამით პრემიის დონე დაეცა.

რეალურად, ჯონ სტაინბეკი განსაკუთრებული მწერალია. ფოლკნერი ადამიანებზე, მსოფლიო ტრაგედიაზე, შექსპირულ თემებზე წერდა, სტაინბეკმა კი შეძლო, დაინახა და მკითხველსაც აჩვენა ამერიკა ყველაზე უფრო რთულ მოსახვევებში: „მრისხანების მტევნები“, „თაგვებსა და ადამიანებზე“, „ტორტილა ფლეტი“, შესანიშნავი ნაწარმოებებია, მაგრამ „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ მისი მთავარი წიგნია, წიგნი იმაზე, თუ რაზე უნდა ღელავდეს ამერიკა.

ამის შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა, ამერიკელებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ნობელის კომიტეტი ევროპაცენტრულია, რომ ვეღარ ხედავს ამერიკელებს და ა. შ. თუმცა, 1976 წელს ნობელის კომიტეტმა მიიღო გამაოგნებელი გადაწყვეტილება, რამაც გაკვირვებული დატოვა არა მხოლოდ ამერიკა, არამედ უამრავი ადამიანი, იმით, რომ პრემია კარგ მწერალს, სოლ ბელოუს მისცეს, ისეთ კარგს, რომლის მსგავსიც მაგ პერიოდში კიდევ 500 ჰყავდათ ამერიკელებს...

ამ ამბით თავად ბელოუც გაოცებული იყო, რადგან არც პრემიის მინიჭებამდე და არც მისი მინიჭების შემდეგ განსაკუთრებული არაფერი შეუქმნია.

გამაოგნებელი იყო ნობელის პრემიის მინიჭება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქისთვის, რომელსაც, ჯილდო, რასაკვირველია, მისი რუსული პოეზიისთვის მიანიჭეს.

იოსებ ბროდსკი კიდევ ერთი ბრწყინვალე წერტილია ნობელის პრემიის ისტორიაში, როდესაც კომიტეტმა შეძლო და საოცარი პოეტი დაინახა. რა თქმა უნდა, ბროდსკი არ არის ამერიკული მოვლენა, უბრალოდ, მან ამ ქვეყანაში იპოვა თავშესაფარი, როდესაც საბჭოთა კავშირში პოეტი კაცი – უმუშევრობისთვის გაასამართლეს.

ბროდსკის შემდეგ ნობელის პრემია ახალ, მათთვის არასტანდარტულ სიმაღლეზე ავიდა, როდესაც 1993 წელს ის ამერიკელ ფერადკანიან ქალს, ტონი მორისონს მიენიჭა.

ტონი მორისონი შესანიშნავი მწერალია, მას საოცარი გამოსვლა ჰქონდა სტოქჰოლმში, როდესაც ისაუბრა დედაბერზე, რომელთანაც ბიჭები მივიდნენ „ასაგდებად", აბა გვანახვე, როგორი ნათელმხილველი ხარო და ჰკითხეს, რა გვიჭირავს ხელში, ცოცხალია თუ მკვდარიო.

დედაბრის საუბარი ჩიტზე, რომელსაც ბიჭები მალავდნენ ხელში, აღმოჩნდა ლაპარაკი სამყაროსა და ლიტერატურაზე, რომელიც ან ცოცხალია, ან მკვდარი, იმის მიხედვით, თუ როგორ დაინახავენ მას ადამიანები. ეს უკვდავი სიტყვებია...

ამ ამბებიდან დიდი დრო გავიდა, თითქმის ოცი წელი, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ამერიკელები ვერაფრით იღებდნენ ნობელის პრემიას, სანამ, 2016 წლის 13 ოქტომბერს არ მოხდა ის უცნაურობა, რაც ნობელის პრემიის ბობ დილანისთვის მინიჭებას უკავშირდება.

ბობ დილანმა დასვა მთავარი რიტორიკული შეკითხვა – რამდენი რამ უნდა ჩაიდინო, რომ კაცზე ითქვას, კაციაო; რამდენჯერ უნდა ჩაიაროს მდინარემ, რომ მთა საბოლოოდ

ჩაიტანოს ზღვაში. ამაზე პასუხი კი იცის ქარმა, ქარში ხმიანებს ეს პასუხი. ასეთი დიდი პოეზიისთვის ნობელის პრემია ნამდვილად ღირსეული პასუხია.

ჯერჯერობით ასე სრულდება ამერიკელების მოგზაურობა სტოქჰოლმში, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს წყლებში, ერთ-ერთი მაინც იმ დიდი მწერლებიდან, ამერიკელებს რომ ჰყავთ, აუცილებლად წაიღებს მთავარ ლიტერატურულ პრემიას ოკეანის გადაღმა მხარეში.

უცხოელი მწერლების მისია საქართველოში

ბუნებრივია, არ ვიტყვი, მწერალი არ არის მსოფლიოში, საქართველოში რომ არ იყოს ნამყოფი-მეთქი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ დედამიწის ზურგზე, პრაქტიკულად არ არსებობს მწერალი, რომელმაც, ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქისგან განსხვავებით, არ იცოდეს არგონავტების მითი, მედეა, აიეტი, პასიფაე, კირკე, კოლხეთი და საქართველო.

ამის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ არის, რომ პირველი მწერალი, რომელიც საქართველოს ახსენებს, ბერძენია, ისტორიკოსი და გეოგრაფოსი – სტრაბონი, რომელმაც ჩვენ შესახებ შექმნა მითი და ის დღემდე ცოცხალია. თავის დროზე სტრაბონმა თქვა, რომ არსებობს ადგილები, სადაც სილამაზე არ არის უპირატესობა, რადგან ყველა ლამაზია. სტრაბონი ამ შემთხვევაში ქართველურ ტომებს გულისხმობდა.

ეს მითი განავითარა ბალზაკმა, შემდეგ ისეთმა ჭკვიანმა კაცმა, როგორიც იყო კანტი და ასევე აქ, ჩვენთან ჩამოსულმა ჟან შარდენმა, რომელმაც თქვა, რომ წარმოუდგენელია მსოფლიოში სადმე ისეთი სილამაზის ქალები ნახოთ, როგორიც

საქართველოში. მან მოიწონა ქართველი ქალების როგორც სახე, ისე მათი აღნაგობა.

ერთი სიტყვით, მწერლების პირველი შეხედულება საქართველოზე სილამაზესთან ასოცირდებოდა. მეორე შეხედულება, მათ შორის იმ მწერლებისაც, რომლებიც არ ყოფილან საქართველოში, გრძნეულებას, გრძნეულ ქალებს უკავშირდება: კირკეს, პასიფაეს, დაუოკებელი ენერგიის მედეას. ევრიპიდედან მოყოლებული, ალბათ, არ არსებობს დრამატურგი, მედეას თემაზე რომ არ ემუშავა.

თუ მიაქციეთ ყურადღება, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, საქართველო ძირითადად ლამაზი, გრძნეული ქალებით არის წარმოდგენილი, ამ შემჩნევებში კაცები არ ფიგურირებენ.

უკვე XIX საუკუნიდან ვხვდებით საქართველოს სერიოზულ შეფასებებს, ამჯერად, აქ ჩამოსული მწერლების მხრიდან. უპირველს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ კაცი, რომელიც ქართველებისგან უფრო მეტ პატივისცემასაც იმსახურებდა. არტურ ლაისტი, გერმანელი მწერალი, გერმანულ ლიტერატურასა და სამყაროში საქართველოს ხელახლა დამბრუნებელია. ეს იყო კაცი, რომელიც დაინტერესდა საქართველოთი, მიმოწერა ჰქონდა აკაკისთან და, ბოლოს და ბოლოს, ილია ჭავჭავაძის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა, იცხოვრა, დაეხმარა ყველას და ყველაფერს! მან, ფაქტობრივად, შექმნა საქართველო ევროპისთვის და მას შემდეგ, რაც დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1927 წლამდე, იქ გერმანულ ენას ასწავლიდა.

არტურ ლაისტი თბილისში გარდაიცვალა 1927 წელს და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. შეიძლება ვთქვათ, ეს, ერთი მხრივ, პატივია უცხოელისთვის, რომ დაკრძალულია

იქ, სადაც თავის დროზე დაიკრძალა ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი; მეორე მხრივ კი, თავად განსაჯეთ, საქართველოს უანგარო ქომაგი დაკრძალულია პანთეონში, სადაც ასევე განისვენებს ჯაბა იოსელიანი...

არტურ ლაისტი არ არის ერთადერთი დიდი გერმანელი მწერალი, რომელიც საქართველოს უკავშირდება. ჩვენი ქვეყანა უცნაურად აისახა კიდევ ერთი გერმანელი, თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში. დიანა კესნერი ჩვენებური, თბილისელი, გერმანელი ქალია, თბილისის საპატიო მოქალაქე, რომელიც კანადაში ცხოვრობს. მან დაწერა უზარმაზარი საგა, თბილისის ტრილოგია, რომელშიც მოქმედება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სტალინის კულტის მხილებამდე, ანუ 1950-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობას.

გარდა ამისა, საქართველოსთან ხანგრძლივად და სერიოზულადაა არის დაკავშირებული კიდევ ერთი დიდი გერმანელი მწერალი ქალი – ბერტა ფონ ზუტნერი, მსოფლიო ისტორიის უზარმაზარი ფიგურა, პირველი ნობელიატი მშვიდობის დარგში, რომელიც 9 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში და ეს პერიოდი, ძირითადად, გაჭირვებაში გაატარა.

მიუხედავად იმისა, რომ ბერტა ფონ ზუტნერიცა და მისი მეუღლეც არისტოკრატული წარმომავლობისანი იყვნენ, რატომღაც, მათი კავშირი არ მოიწონა მეუღლის ოჯახმა და ფინანსურად გვერდში არ დაუდგნენ. ქალბატონი ფონ ზუტნერი თავისუფალი ქალი იყო, თავისი ეპოქის სრულიად გამორჩეული ფიგურა, პაციფისტი, დიდი მწერალი. 1899 წელს დაწერილი მისი რომანი – „ძირს იარაღი“, წლების განმავლობაში ანტისაომარი ლიტერატურის პიედესტალს იკავებდა; შემდგომში ის ერიხ მარია რემარკის – „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და ჰემინგუეის შემოქმედებით ჩანაცვლდა.

ამავე დროს, ბერტა ფონ ზუტნერი რამდენიმე წლის განმავლობაში ალფრედ ნობელის პირადი მდივანი იყო; როგორც ამბობენ, ნობელს ის უიმედოდ უყვარდა. ცალკე ამბავია, რამდენად უიმედო იყო ეს სიყვარული, მაგრამ ფაქტია, ამ ურთიერთობას ოჯახების დანგრევა არ მოჰყოლია.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი არქიტექტორი საქართველოში: ზუგდიდსა და თბილისში ცხოვრობდა და თავს გერმანულისა თუ ფრანგულის გაკვეთილებით ირჩენდა. მნიშნელოვანი ამბავია, რომ თავის დროზე, იონა მეუნარგიამ ბერტა ფონ ზუტნერი სამეგრელოს უღრმეს სოფელში – ცაიშში წაიყვანა, სადაც „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ თარგმანზე მუშაობდნენ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი თარგმანი, რომელიც დღეს დაკარგულად მიიჩნევა, თუმცა თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა – მიხაი ზიჩმა სწორედ ამ თარგმანის მიხედვით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები.

ბერტა ფონ ზუტნერი ხსნის როგორც საქართველოსთან დაკავშირებული ნობელიატების საკმაოდ ვრცელ სიას, ასევე იმ ადამიანების სიას, რომელთაც სრულიად უსამართლოდ არ მიენიჭათ ნობელის პრემია.

უპირველს ყოვლისა, შევჩერდეთ ადამიანზე, რომლისთვისაც თბილისი მწერლად დაბადების ადგილია. მოგეხსენებათ, ლევ ტოლსტოის სამხედრო კარიერა იტაცებდა და თბილისში ძმას ჩამოჰყვა, რათა სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყო.

თბილისმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, სწორედ აქ დაიწერა მისი რომანი „ბავშვობა", რომელიც მალევე გამოქვეყნდა ფსევდონიმით და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მათ შორის ისეთი მწერლებისგან, როგორებიც იყვნენ ტურგენევი და დოსტოევსკი. შეიძლება ითქვას, დოს-

ტოევსკის მხრიდან ეს ტოლსტოის ერთადერთი აღიარებაა, თუმცა, ის ჯერ არ იყო ლევ ტოლსტოი, მაშინ ხომ ფსევდონიმით წერდა.

ლევ ტოლსტოი თბილისში, დღევანდელი აღმაშენებლის გამზირზე, 152 ნომერში ცხოვრობდა. დღეს ეს სახლი აღარ არსებობს. მაშინ ეს არ იყო ქალაქის ცენტრი, არამედ გერმანული გარეუბანი, სადაც ბინა საკმაოდ იაფი ღირდა. ამაზე თავად ტოლსტოი წერდა. ეს წმინდა ადგილია იმ თვალსაზრისით, რომ აქ მსოფლიო მწერალი დაიბადა!

რაც შეეხება ტოლსტოის დროინდელ თბილისს, რამაც ხელი შეუწყო მის მწერლად ჩამოყალიბებას; ამ ავტორს თუ დავესესხებით, მაშინდელი თბილისი ჰბაძავდა პეტერბურგს და „არცთუ უიმედოდ". ქალაქს ჰქონდა ბრწყინვალე იტალიური ოპერა, რუსული თეატრი და იბადებოდა ქართულიც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი იყო, საკუთარი პრინციპების გამო, ფინანსურად უჭირდა და თეატრში ხშირად ვერ დადიოდა. ამიტომაც, დეიდამისის რჩევა გაითვალისწინა და წერა დაიწყო.

(მასვე აქვს ნათქვამი, ქართველებს არ სიამოვნებთ, როდესაც მათ კავკასიელებად მოიხსენიებენ, ქართველებს უყვართ, როდესაც ქართველებს ეძახიანო. როგორც ჩანს, საკმაოდ საფუძვლიანად გვიცნობდა კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ჩვენი ქვეყნის სიყვარული).

სხვათა შორის, ლევ ტოლსტოის თბილისშივე სურდა მუშაობის დაწყება, სამხედრო თუ არა, საჯარო სამსახურში მაინც, მაგრამ ასე არ მოხდა, წავიდა და დატოვა თბილისი, მისი ცხოვრების მთავარი სასწაული, საითაც ყოველთვის მოუწევდა გული. ერთი სიტყვით, თბილისში ჩამოვიდა სამხე-

დრო კადეტობაზე მეოცნებე კაცი და თბილისიდან წავიდა მსოფლიო სახელის მქონე მწერალი – ლევ ტოლსტოი.

ფაქტია, ჩვენი ქალაქი ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშანს ატარებს უცხოელი მწერლებისათვის – ეს არის ადგილი, სადაც იყავი და სადაც კიდევ უნდა მოხვდე. ზოგიერთმა მოახერხა კიდეც, ზოგისთვის კი თბილისში დაბრუნება აუსრულებელ ოცნებად დარჩა.

საინტერესო ამბავია, რომ ლევ ტოლსტოის ჰყავდა ანტიპოდი მსოფლიო ლიტერატურაში, ასევე დიდი და მსოფლიო სახელის მქონე – კნუტ ჰამსუნი, რომელიც ტოლსტოის ვერ იტანდა, მაგრამ მის მსგავსად, აღფრთოვანებული იყო საქართველოთი; თანაც იმდენად, რომ ღრმად მოხუცებული, შინაპატიმრობიდან სწორედ საქართველოში აპირებდა გამოპარვას. მან ამითაც ტოლსტოის ხვედრი გაიმეორა, როგორც ამბობენ, გარდაცვალებამდე, ლევ ნიკოლოზის ძეც იასნაია-პოლიანადან საქართველოში მოიპარებოდა. უცნაური განმეორებებია; ტოლსტოის არ მოსწონდა შექსპირი, განსაკუთრებით მისი „მეფე ლირი" და პრაქტიკულად, ერთი-ერთში გაიმეორა ლირის ბედი; კნუტ ჰამსუნი ვერ იტანდა ტოლსტოის, მაგრამ საქართველო მისთვისაც სამოთხე იყო დედამიწაზე.

რუს მწერლებზე საუბრისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ის ფაქტი, რომ სერგეი პუშკინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შედევრი – „На холмах Грузии" არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საქართველოზეა დაწერილი! სწორედ ამ ლექსში ვკითხულობთ გენიალურ სიტყვებს – გული ტირის და განიცდის მხოლოდ იმას, რომ არ შეუძლია არ უყვარდეს! ეს ფანტასტიკური სიტყვებია.

საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ დიდი რუსული მწერლობა საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია. ერთ-

ერთმა მათგანმა, კერძოდ ბორის პასტერნაკმა, პრაქტიკულად, შეაჯამა საქართველო. მის ლექსში „ტალღები“ X-სა და Y-ის ბრწყინვალე ფორმულით გენიალურადაა დაჭერილი საქართველო – გაამრავლე გასაჭირი სინაზეზე, გაამრავლე ჯოჯოხეთი სამოთხეზე, ყინულოვანი მთებს ძირში სათბური წარმოიდგინე და შენ მიიღებ ამ ქვეყანას, სადაც გაზრდილი ადამიანი იქნება მაგარი, როგორც მარილი! ეს საქართველოს მოყვარული კაცის დაწერილი ლექსია.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი დიდი რუსი მწერალია ჩვენთან ნამყოფი, ისინი ან რუსეთის იმპერიის, ან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში ჩამოდიოდნენ და არ აღიქმებოდნენ მაინცდამაინც უცხოელებად, თუმცა კი ყველა მათგანმა იცოდა, რომ უცხო ქვეყანაში ჩადიოდა.

რაც შეეხება „ნამდვილ უცხოელებს“, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვამაყობთ და გადარეული ვართ იმ ამბით, რომ ალექსანდრე დიუმამ, მწერალმა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, დაწერა წიგნი „კავკასია“, რომლის მოკლე შინაარსიც დაახლოებით ასეთია – კავკასიაში არაფერი ვარგა, საქართველოს გარდა! დაივიწყეთ ყველა ქართველების გარდა! ეს სად ვიყავი, ეს რა ვნახე! დაახლოებით ასეთი განწყობის წიგნია დიუმას „კავკასია“, რომელიც უზარმაზარი სიყვარულით სარგებლობს.

წარმოიდგინეთ, ამ კაცმა მოახერხა და თბილისში, ამ უჭრელეს ქალაქში, იპოვა მხოლოდ ქართველები და აღმოაჩინა მაინცდამაინც ქართული სამზარეულო!

სწორედ დიუმამ ჩაუყარა საფუძველი ორი მითოსის შეერთებას – მან დაადასტურა, რომ ქართველები უმშვენიერესი, ამავდროულად კი თავისუფლების მოყვარე ხალხია. მან პრაქ-

ტიკულად შეაერთა ძველი და ახალი წარმოდგენები საქართველოზე და დაწერა პროგრამა მინიმუმი – საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს!

კიდევ ერთი დიდი ფიგურა, რომელიც საქართველოშია ნამყოფი, ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული კნუტ ჰამსუნია, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ინკოგნიტოდ, ნამდვილი გვარით – პედერსენით იმოგზაურა და არ შეხვედრია არც ერთ მწერალს, მისთვის არ გაუშლიათ არც ერთი სუფრა, თან იმ ფონზე, რომ ამ დროს უკვე მსოფლიო სახელის მქონე მწერალია, დაწერილი აქვს საყოველთაოდ ცნობილი რომანები. ჰამსუნს, გნებავთ – პედერსენს, უბრალოდ, თავისთავად აინტერესებდა ეს ქვეყანა. თბილისში ყოფნის დროს, ყოფილ სასტუმრო „ლონდონში", მშრალი ხიდის ტერიტორიაზე ცხოვრობდა (დღევანდელი ათონელის ქუჩა, 31).

თბილისში მისი ცხოვრების ამბები პოსტმოდერნისტულად აისახა აკა მორჩილაძის ბრწყინვალე ქართულ ტრილოგიაში – „გადაფრენა მადათოვზე და უკან", სადაც პედერსენი, ანუ კნუტ ჰამსუნი ერთ-ერთი პერსონაჟია.

საქართველოში მოგზაურობის შედეგად, კნუტ ჰამსუნმა დაწერა ორი ნაწარმოები: „ზღაპრული ქვეყანა" და პიესა – „დედოფალი თამარი", რომელიც მსოფლიოს უამრავ თეატრშია დადგმული.

ჩვენს ქვეყნაში ორჯერ არის ნამყოფი ნობელიატი ჯონ სტაინბეკიც; თავდაპირველად ის საბჭოთა კავშირში ვიზიტის ფარგლებში, 1947 წელს ლეგენდარულ ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. საბჭოელებს რატომღაც მიაჩნდათ, რომ სტაინბეკი მათი მხარდამჭერი იყო, რეალურად კი ის ნამდვილი მწერალი, ე. წ. გაბრაზებული ლიტერატურის წარმომადგენელი იყო, რომელსაც ერთნაირად

ეზიზღებოდა კომუნიზმიც, ფაშიზმიცა და კაპიტალიზმიც. კაპას მიერ გადაღებული ფოტოები კი ბრწყინვალედ აღწერს მათს მოგზაურობას საქართველოში.

სტაინბეკის პირველი ვიზიტის ამბებიდან ყოველთვის ერთი მშვენიერი ეპიზოდი მახსენდება, როდესაც თბილისის ერთ-ერთ დუქანში კლარნეტზე, ან შესაძლოა დუდუკზე, უკრავდა ცალთვალა მოხუცი კაცი, რომლისთვისაც სტაინბეკს მიუმართავს – რა კარგი კაცი ხარ, ცალი თვალი არ გაქვს, მაგრამ ცხოვრებას მაინც საღი თვალით უყურებო. სტაინბეკი, კაცი, რომლის რომანებში უსასტიკესი სცენები გვხვდება, რომელსაც სინაზე არასდროს არაფერში გამოუვლენია, პრაქტიკულად, დაგვიდნა საქართველოში და ოცი წლის შემდეგ, უკვე მეორედ, იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში. მან თქვა მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც წლების განმავლობაში განსაზღვრავდა კიდეც რუსების დამოკიდებულებას საქართველოსადმი – რუსებს სჯერათ, უნდა დაიმსახურონ, რომ როცა მოხუცდებიან ან გარდაიცვლებიან, საქართველოში მოხვდნენო. ფაქტობრივად, საქართველო იყო საბჭოთა კავშირის სამოთხე, რომელიც სტაინბეკმა შესანიშნავად აღწერა.

სტაინბეკის მსგავსად, საქართველოში ორჯერ – 1966 და 1972 წელს იმოგზაურა ჰაინრიხ ბიოლმა, კაცი, რომელიც განსაკუთრებული, მახვილი მზერით გამოირჩეოდა და დღესაც სერიოზული სამუშაოა იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რისკენაც ბიოლმა მიგვანიშნა.

საქართველოში ნამყოფი ნობელიატების სიას აგრძელებენ მიხეილ შოლოხოვი და ბორის პასტერნაკი. როგორც უკვე გითხარით, პასტერნაკი ჩვენი დიდი გულშემატკივარი იყო და არც ჩვენ დაგვიტოვებია უპატივცემულოდ – როდესაც საბჭოთა კავშირის უშიშროებამ მოსკოვის მთელი ახალგაზრ-

დობა დარაზმა და ნობელის პრემიის მიღების გამო მის სახლთან აქციას მართავდნენ, მოღალატეს ეძახდნენ, სწორედ მაგ დროს თბილისში გამოიცა პასტერნაკის უკანასკნელი წიგნი – „ლექსები საქართველოზე, ქართველი პოეტები".

რაც შეეხება თანამედროვე ეპოქას, ერთ-ერთი ბოლო ნობელიატი, რომელიც საქართველოს ეწვია, კარგი თურქი მწერალი, ორჰან ფამუქი იყო, თუმცა მისი 2014 წლის ვიზიტი, ერთი რიგითი სტუმრობა იყო... სულ ბოლოს კი გვეწვია 2015 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, სვეტლანა ალექსიევიჩი. ეს განსაკუთრებული სტუმარი გახლდათ, ვინაიდან იგი იმ სამყაროდანაა, საიდანაც საქართველოც ისევე გამოვიდა და გამოდის, როგორც მწერლის მშობლიური ბელარუსი გამოვიდა და გამოდის და მაინც ვერ გამოსულა. ეს „ჩვენი" მწერალია, მისი პრემია თითქმის ჩვენც მივიღეთ. ამ შესანიშნავმა ავტორმა გვიწინასწარმეტყველა, მალე თქვენს ქუჩაზეც იქნება გაზაფხულიო.

და, რაც ყველაზე მთავარია, განა რა გვიხრეს ასეთი უცხოელმა მწერლებმა, გარდა იმ აღფრთოვანებისა, რომლის გამოხატვაც ერთგვარ ტრადიციადაც იქცა?! მათ გვითხრეს მთავარი სათქმელი – საქართველო გაურბის აზიას, ცდილობს უარი თქვას აზიურ ელემენტებზე და მაქსიმალურად ებღაუჭება ევროპას, მაგრამ ამ ყველაფერში ავიწყდება მთავარი – თვითმყოფადობა! ეს იყო მათი მთავარი საყვედური!

ყველა უცხოელმა მწერალმა, ფარულად თუ პირდაპირ, გვითხრა, გახსოვდეთ ვისი გორისანი ხართ, თქვენი თავი თქვენადვე უნდა გეყუდნოდეთო, რადგან ჩვენში იპოვეს რაღაც ისეთი, რაც სხვაგან არ იყო! ფაქტობრივად, გვითხრეს, საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოსო და ჩვენ მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, წარმატებით დასრულდა უცხოელი მწერლების პირველი ტალღის მისია საქართველოში!

„დაავადება“, სახელად საქართველო

ორი ინგლისელის, და-ძმის, ოლივერ და მარჯორი უორდროპების ღვაწლი საქართველოს წინაშე განუზომელია. ერთი მხრივ მარჯორი უორდროპი, ბრწყინვალე მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნისა“, მეორე მხრივ კი ოლივერი, რომელმაც სულ სხვა სფეროში, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი შედეგები მოუტანა საქართველოს – ის ხომ ფაქტობრივად საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი იყო მსოფლიოში, ჩვენი ელჩი იმჟამინდელ სამყაროში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ათასჯერ უკეთ იცავდა, ვიდრე ეს მაშინ შეგვეძლო ან, თუნდაც, დღეს შეგვიძლია.

როგორ აღმოჩნდა ეს ხალხი საქართველოში – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ამბავი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ერთ სერიოზულ რომანს. მოგეხსენებათ, ზოგადად, მოგზაურობა ინგლისელის ბუნებას ახასიათებს. ინგლისელი ინდივიდია, რომელიც თავს გრძნობს ოკეანეში, იმ უზარმაზარი ხომალდის წინამძღოლად, რომელიც არის მისი

სახელმწიფო. ამიტომაც, ისინი ბევრს მოგზაურობდნენ და გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მთელი მსოფლიოს გამო.

აი, ოლივერ უორდროპიც, განსწავლული კაცი, რომელმაც ლამის მთელი მსოფლიო მოიარა, ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს საქართველოში აღმოჩნდა. 1887 წლის აპრილში მან პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე, თითქმის ყველა ჩვენს კუთხეს ეწვია და მათმა განსხვავებულობამ გააოგნა, ვერაფრით დაიჯერა, რომ ეს ერთი ქვეყანაა.

ჩვენ, ქართველებს, არ გვაკვირვებს, მიჩვეული ვართ, მაგრამ ოლივერმა საქართველოში ნახა ის, რაც სხვაგან არსად უნახავთ – უცხოელების სიყვარული! სტუმარი ღვთისაა – არაა უბრალო სიტყვები და ჩვენ, ქართველებს, მოგვეხსენება, რომ განსაკუთრებით უცხოელი სტუმარია ღვთის! ბუნებრივია, ამან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელზე, თანაც წარმოიდგინეთ, როგორ გაუმართლა, რომ კნუტ ჰამსუნისგან განსხვავებით, რომელმაც სრულიად ინკოგნიტოდ იმოგზაურა საქართველოში და ქართველებთან ერთად – „ჩვენს ჭკუაზე" არ გაიარა, ოლივერ უორდროპს ორმა გამორჩეულმა კაცმა, მაშინ ჯერ კიდევ ახლო მეგობრებმა – ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა უმასპინძლეს.

წარმომიდგენია, რას შეიძლება ნიშნავდეს ამ ორი კაცის მასპინძლობა, როდესაც ერთი მათგანი ენამოსწრებულობის, საღი აზრის, საერთოდ, ქართველობის, ამ ნაციის მთავარი და საუკეთესო წარმომადგენელია ყველა დროსა და სივრცეში, მეორე კი ამავე ნაციის უბრწყინვალესი წარმომადგენელი, ისეთი კაცი, როგორიც უნდა იყოს კიდეც ქართველი, ამავდროულად კი, ინგლისურის ბრწყინვალე მცოდნე, რაც იმ პერიოდის საქართველოში ფრიად იშვიათი ამბავი უნდა ყოფილიყო.

იმდენად დიდი იყო კომუნიკაციის სურვილი, რომ ოლივერ უორდროპმა საუცხოოდ შეისწავლა ქართული! მან გააკეთა ჩანახატები, როგორც მხატვარმა, როგორც მწერალმა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მომავალმა დიდმა პოლიტიკოსმა, რადგან საქართველოში მან დაინახა პოტენციალი!

ოლივერ უორდროპმა ისე აღწერა საქართველო, თითქოს ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა გვქონდა და სულაც არ ვიყავით რუსეთის იმპერიის ერთი პატარა ნაწილი, მკვეთრად რომ ჩამორჩებოდა მეტროპოლიას. მან დაინახა არა მითოსური საქართველო, ისეთი, როგორიც „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ ქვეყნიდან ჩამოსულმა ალექსანდრე დიუმამ, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა. მან იგრძნო, რომ საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ არსებობს, დაინახა ის, რასაც ჩვენ ვერ ვხედავდით!

არ დაგავიწყდეთ, ეს ის პერიოდია, როდესაც რამდენიმე ქართველი მეცნიერი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ქართულად ლაპარაკი უნდა შევწყვიტოთ და რუსულზე გადავიდეთ, რუსეთის იმპერიას უნდა ვემსახუროთ, რადგან სხვა შანსი არ გვაქვს. უმეტესობა ამ გზას დაადგა კიდეც და სწორედ ამიტომ, მადლობა უნდა ვუთხრათ პირველი გიმნაზიის კიბის იმ საფეხურს, სადაც ბარათაშვილმა ფეხი მოიტეხა, რადგან ჩვენი გენიოსი არ გადააგვარა და რუსეთის არმიამ არ შეიძინა გურიის აჯანყების ჩამხშობი კიდევ ერთი ქართველი გენერალი-პოეტი...

სხვათა შორის, ოლივერ უორდროპი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც – დიდი ალბათობით, ილია ჭავჭავაძის გავლენით, ნიკოლოზ ბარათაშვილი დაინახა და თქვა გენიალური სიტყვები, რომლებიც შემდგომში მარჯორი უორდროპმაც

გაიმეორა – ქართველებმა შუა საუკუნეებში შვეს უზარმაზარი რუსთაველი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ფირდოუსს, დღეს კი ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი ჰყავთ, რასაც სპარსელები ვერ დაიკვეხნიანო.

ჩვენ, ქართველებს, ასეთი ტექსტები არასდროს მოგვისმენია, ან კი ვინ გვეტყოდა?! ვისაც ვუყვარდით, მაგალითად, წინააღმდეგობრივი ბუნების მარი ბროსეს, ის ისწრაფოდა, რომ ქართული ენა მსოფლიოსთვის ნაცნობად ექცია; ანრი გრეგუარი ცდილობდა, რომ საქართველო რამენაირად გაეცნო ვინმესთვის; ამ დროს კი არავინ გვეუბნებოდა, რომ ვინმეზე, რამეზე მაღლა ვდგავართ... ინგლისელისგან ასეთი რამ სრულიად მოულოდნელი იყო, მაგრამ ეს აღმოჩნდა დიდი აფეთქება, არაჩვეულებრივი ამბავი – ეს კაცი არა მხოლოდ ჩამოვიდა და იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, არამედ დააავადდა საქართველოთი! მას მოეწონა ზუსტად ის, რაც ჩვენ მოგვწონს ჩვენსავე თავში, ხოლო ის, რაც ცუდი გვქონდა, არ ან ვერ დაინახა! სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, დაბრუნებულმა მანამ არ მოისვენა, სანამ არ დაწერა და გამოსცა წიგნი, სახელად „საქართველოს სამეფო“.

საქართველოში, ღვთისა და ადამიანისგან მივიწყებულ ქვეყანაში, რომელიც სიკვდილს აპირებდა, შემთხვევით ილია ჭავჭავაძე რომ არ დაბადებულიყო, ხელახლა არ გამოეგონებინა და გაეცოცხლებინა ეს ნაცია საკუთარი სიცოცხლის ფასად, ოლივერ უორდროპმა დაინახა არა მარტო გამოღვიძების, არამედ დამოუკიდებლობის პოტენციალი! ამას საქართველოში ვერავინ ხედავდა, იმ პერიოდში ასე შორს ილია ჭავჭავაძეც კი არ წასულა! მიუხედავად ამისა, უორდროპი მიხვდა, რომ საკუთარი კულტურის გამო, შეუძლებელი იყო საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად დარჩენილიყო.

ქართული ვირუსით დაავადებულმა, სამშობლოში დაბრუნებულმა ოლივერ უორდროპმა ამ ქვეყნისადმი სიყვარული მთელ თავის ოჯახს გადასდო. არ დაგვავიწყდეს, ეს დიდი, არისტოკრატული ოჯახია! და აი, ჩვენი ქვეყნით წინასწარ აღფრთოვანებული მარჯორი უორდროპი დედასთან ერთად ჩამოდის საქართველოში! ბრწყინვალე პოლიგლოტი, ფანტასტიკურად განათლებული, ლამაზი ინგლისელი არისტოკრატი ქალი საქართველოში ქართული ენის ცოდნით მოდის!

როგორი ამბავია, არა?! ერთი კია, რომ მარჯორის ქართული ცოტა „უცნაური", სამეცნიერო ქართული იყო, მან ხომ ჩვენი ენა მარი ბროსეს ცნობილი თვითმასწავლებლისა და სახარების ქართული თარგმანების მიხედვით ისწავლა.

საკუთარ მოგონებებში არაერთი ქართველი, მათ შორის თედო სახოკიაც იხსენებდა, რომ მარჯორი უორდროპი სუფთა ქართულით საუბრობდა, უბრალოდ, თანამოსაუბრეებს ზოგჯერ არ ესმოდათ მისი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დავიწყებული ჰქონდათ თავანკარა ქართული. მარჯორი მალევე გაერკვა ყველაფერში და ძალიან სწრაფად აითვისა ე. წ. სალაპარაკო ქართული ენაც.

საქართველოში ყოფნის დროს მან დაინახა ჩვენი მთავარი მონაპოვარი, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი დღესაც ვერ ხედავს – სოციალურად და ადამიანურად, საქართველო ილია ჭავჭავაძის ქვეყანაა, ისაა მთავარი ფიგურა, უგვირგვინო მეფე; სულიერების თვალსაზრისით – საქართველო ნიკოლოზ ბარათაშვილის ქვეყანაა; რაც მთავარია, კულტურული თვალსაზრისით – ეს არის ხალხი, რომელიც შუა საუკუნეებში შექმნა შოთა რუსთაველმა!

მას გაუჩნდა ახალგაზრდა გოგოსთვის სრულიად წარმოუდგენელი ამბიცია და 24 წლისამ, იმ ენიდან, რომელზე-

დაც თავად ქართველებს უჭირთ ხოლმე რუსთაველის კითხვა, „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა გადაწყვიტა! მარჯორი უორდროპმა 14 წელი იმუშავა ამ პროზაულ თარგმანზე და თარგმნა ისე, რომ დღემდე, ნებისმიერი ინგლისელი, რომელიც „ვეფხისტყაოსნით" ინტერესდება, სწორედ მარჯორის თარგმანით ხელმძღვანელობს. „ვეფხისტყაოსნის" თარგმნით მარჯორი უორდროპმა ფაქტობრივად საფუძველი დაუდო საქართველოს მთელ მსოფლიოში!

სამწუხაროდ, ეს ბრწყინვალე ქალი ადრეულ ასაკში, 40 წლისა, ჭლექის დაავადებით გარდაიცვალა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, სიცოცხლის ბოლო დღეებში მარჯორი ველარ ლაპარაკობდა და გარდაცვალებამდე ჰაერში თითით მოუხაზავს სიტყვა – საქართველო! არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავია, მაგრამ ფაქტია, დიდ სიყვარულს სწორედ ასეთი გამოვლინებები აქვს...

მარჯორი უორდროპი 1909 წელს გარდაიცვალა და თითქოს ამით უნდა მთავრდებოდეს ჩვენი და უორდროპების ისტორია, მაგრამ, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ახალმა ენერგიამ იფეთქა, ენერგიამ, რომელიც გვეგონა, რომ 1907 წელს, ილია ჭავჭავაძესთან ერთად ჩაესვენა სამარეში.

საქართველომ დაიწყო მოძრაობა თავისუფლებისკენ და ილია ჭავჭავაძის დაუძინებელ მტრებს ისტორიამ აჩუქა სანუკველი შანსი – ისტორიამ უკარნახა და 1918 წლის 26 მაისს არჩევნებში გამარჯვებულმა სოციალ-დემოკრატებმა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს!

სწორედ ამ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდებოდა მეგობრები, ჩვენთან დაბრუნდა კაცი, რომელსაც სძულდა სოციალიზმიც, სოციალ-დემოკრატიაცა

და ამხანაგი სტალინიც! ოლივერ უორდროპი დაბრუნდა საქართველოში, რადგან ჩვენ მოვიპოვეთ ასე ნანატრი დამოუკიდებლობა და გვემსახურა ისე, როგორც ქართველი უნდა ემსახუროს თავის ქვეყანას!

საქართველოს წინაშე და-ძმა უორდროპების ღვაწლი შეუფასებელია და სასიხარულოა, რომ ჩვენს ხალხს არასდროს დავიწყნია მათი ამაგი! დღეს, საქართველოს პარლამენტის უკან, მათივე სახელობის სკვერში, ოლივერ და მარჯორი უორდროპების ბრწყინვალე ძეგლი დგას. ეს ხომ ის ადგილებია, სადაც ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი ჯერ ოლივერ, შემდეგ კი მარჯორი უორდროპს საქართველოს რაობას უხსნიდნენ...

და თუკი ისტორიაში ოდესმე რამე გვეღირსა და ჩვენი ქვეყანა თავის ნამდვილ წიაღში, ევროპაში, დაბრუნდა, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ თავის დროზე ჭაობში ჩაძირულ საქართველოს ბაგირით ექაჩებოდნენ ევროპისკენ, ამ ბაგირის ორ ძირითად ღვედს კი ოლივერ და მარჯორი უორდროპები ეწეოდნენ.

დოილი და კომპანია

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც დაიბადა, გაიზარდა, თუნდაც ერთი წიგნი მაინც წაიკითხა და შერლოკ ჰოლმსის შესახებ არ სმენოდეს. არტურ კონან დოილის უკვდავი ქმნილება ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული სახეა მსოფლიოში და არ მახსენდება დრო, როდესაც რომელიმე ახალი შერლოკ ჰოლმსით არ „დაგვსხმოდნენ თავს", იქნებოდა ეს ფილმები, სერიალები თუ სხვა. შერლოკ ჰოლმსის სახით გაჟღენთილია მსოფლიო და არა მარტო ლიტერატურა.

და რატომაა ეს პერსონაჟი დღემდე ასეთი მნიშვნელოვანი?!

დავიწყოთ იმით, რომ არტურ კონან დოილმა გამოიცნო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სახეობის – დეტექტივის მიმზიდველობა; აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ხშირად გვსმენია – „დეტექტივი რა ლიტერატურაა", რაც, ბუნებრივია, არასერიოზული აზრია.

გასაგებია, რომ ვილაცები დეტექტივებზე მაღლა აყენებენ საკუთარ თავს, თუმცა, სწორედ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი

შედევრი – „ოიდიპოს მეფე“, თანამედროვე ტერმინებით თუ ვიხელმძღვანელებთ – დეტექტივია, თანაც ისეთი რთული, რომელშიც გამომძიებელი თავად აღმოჩნდება მკვლელი. ასევე, თუკი ვინმეს სურს, „ძმები კარამაზოვებიც“ შეუძლია დეტექტივად წაიკითხოს. ამასთანავე, დეტექტივი უმაღლეს ლიტერატურულ დონეზე აიყვანა ედგარ ალან პომ და თუ ვინმეს პო დიდ მწერლად არ მიაჩნია, საერთოდ რაზეა ლაპარაკი?! რა თქმა უნდა, დეტექტივი ლიტერატურაა, თუმცა, არსებობს მაღალი მხატვრული ღირებულების დეტექტივი და არსებობს უაზროც. ბუნებრივია, ყველა ერთი დონისა ვერ იქნება.

რაც შეეხება არტურ კონან დოილს, არც მისი დეტექტივებია იდენტური ღირსების, თუმცა ზოგიერთი მართლაც საოცრად ძლიერი ტექსტია და არც ისაა შემთხვევითი, რომ „ოთხთა ნიშანი“, შერლოკის, უოტსონის და სხვა დამხმარე პერსონაჟების მონაწილეობით, „The Guardian“-ის ინგლისურად დაწერილი რომანების ასეულში მოხვდა, თანაც 91-ე ადგილზე კი არა, პირველ ათეულში!

საინტერესოა, რომ მთლიანობაში, გამოცემათა რაოდენობით, „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ აგატა კრისტის ნაწარმოებებს ჩამორჩება, თუმცა, გამოკითხვების მიხედვით, მსოფლიოში შერლოკ ჰოლმსს ბევრად მეტი ადამიანი იცნობს, ვიდრე დეტექტივ პუაროს.

სრულიად გასაგებია, რომ უამრავი მკითხველი აგატა კრისტის უფრო დიდ მწერლად მიიჩნევს, მაგრამ ლიტერატურულ სახეებში ვინმეს რამე არ შეეშალოს! სამყაროში არ არსებობს შერლოკ ჰოლმსზე სერიოზული სახე დეტექტივისა.

და რაც ყველაზე საინტერესოა, შერლოკ ჰოლმსის წინააღმდეგ არც ერთ დამნაშავეს იოტისოდენა შანსიც კი არ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით – ნამდვილი დეტექტივი დანაშაულზე იწერება, „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ – შერლოკ ჰოლმსზე იწერება! დანაშაული მეორეხარისხოვანია, რადგან თავად შერლოკის ფიგურაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ ხსნის ამ თუ იმ დანაშაულს. მთავარი ამბავი ისაა, როგორ დახატა ეს წარმოუდგენელი ტალანტი კონან დოილმა, მწერალმა, რომელმაც დეტექტივებში აგატასავით ვერ „ივარგა“, მაგრამ აღმოაჩნდა წარმოუდგენელი წარმოსახვა და შექმნა პერსონაჟი, რომელსაც 54 მოთხრობა და 4 რომანი მიუძღვნა.

ქიმიური ცდები, ვიოლინოზე დაკვრა, კუბოკრული ქუდი და განუყრელი ჩიბუხი – ეს არის კიდეც შერლოკ ჰოლმსის პროფილი, პერსონაჟის, რომელსაც ყოველთვის ყველას გაოგნება სურს, მუდმივად იყენებს ტერმინს „ეს ხომ ელემენტარულია“, რასაც მოჰყვება ლოგიკური ჯაჭვი იმის ასახსნელად, თუ როგორ მივიდა ჰოლმსი ამა თუ იმ დასკვნამდე. აქ ჩანს ავტორის მთელი ოსტატობა – მან არც ერთხელ დაიზარა და ყოველ ჯერზე აგვიხსნა, თუ როგორ მიდის შერლოკ ჰოლმსი კონკრეტულ დასკვნებამდე. ეს ახსნა ზოგჯერ დამაჯერებელია, ზოგჯერ – არა, მაგრამ შერლოკის თითოეულ დასკვნას წინ უძღვის გამაოგნებელი ეფექტი და ასეთ დროს მკითხველი უკვე დნება სიამოვნებისგან, ჩვენ ხომ ვიცით, ჰოლმსი მაგარია! მხოლოდ ამის მერე მოდის ამ „სიმაგრის“ განმარტება, რომელსაც ლუპით არ უნდა ჩაუჯდე და მისი რევიზია არ უნდა დაიწყო.

ყველაფერთან ერთად, შერლოკ ჰოლმსი დედუქციის მამაა! მას აქვს რაღაც იდეები, საიდანაც გამოჰყავს სხვადასხვა მოვლენა. სრულიად განსაკუთრებულია ავტორის, შესაბამისად, შერლოკ ჰოლმსის დაკვირვების გამორჩეული უნარი,

დედუქცია და ფაქტების, მოვლენებისა თუ კონკრეტული პირების წარმოუდგენელი ცოდნა, რომელიც სრულიად მოულოდნელად ვლინდება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, Google-ამდელ ეპოქაში.

რა თქმა უნდა, მოიძებნება ხალხი, რომელსაც შეუძლია შერლოკ ჰოლმსის მსჯელობაში იპოვოს ნაკლი; მიუხედავად ამისა, ფაქტია, არტურ კონან დოილს ჰქონდა ფანტასტიკური უნარი მიახლოებოდა საგანს. გასაგებია, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ფიზიკის, ქიმიის, ლოგიკის კანონებსაც კი, ავტორი ძალიან თავისებურია და სარგებლობს დემიურგის უფლებით – წეროს ის, რაც უნდა და ისე, როგორც უნდა, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ზოგიერთი დანაშაულის გახსნა ისე, როგორც ეს შერლოკმა შეძლო. მკითხველს ეს სულაც არ ადარდებს, ჩვენ ვტკბებით იმით, რომ მან ამ ამოცანებს შესანიშნავად გაართვა თავი.

შერლოკ ჰოლმსი იყო კაცი, რომელსაც ერთდროულად ჰქონდა როგორც გეშტალტ-, ისე ანალიტიკური აზროვნება; ანუ ერთდროულად – ერთადაც ხედავდა და ცალ-ცალკეც; მხატვარ-მარინისტიც იყო და გემის კაპიტანიც, რაც გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, პოლ ვალერის აზრით, სრულიად შეუძლებელი რამ იყო.

შერლოკ ჰოლმსი ასეთი გამონაკლისია, რომელსაც ხელჯოხის მიხედვით მის პატრონზე პრაქტიკულად ყველაფრის დადგენა შეუძლია! და როგორც კი დოქტორ უოტსონს შეატყობს გაოგნებას, მყისვე გაიუღერებს მისი საყვარელი ფრაზა – „ეს ხომ ელემენტარულია, უოტსონ?!"

მაპატიეთ ამ სიტყვებისთვის, მაგრამ მთელი მუღამი შერლოკ ჰოლმსით ტკბობისა, უოტსონთან მისი ღადაობაა. დოქტორი უოტსონი, კარგი კაცი, ომის ვეტერანი, შერლოკ

ჰოლმსის დაცინვის მუდმივი ობიექტია; უოტსონს ეს ფაქტი აღიზიანებს, ხანდახან გაქცევასაც კი აპირებს, თუმცა, შერლოკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. მართალია, იგი დაქორწინდება და მაინც დააღწევს „მწამებელს“ თავს, მაგრამ ჰოლმსის პირველივე დაძახებაზე მყისვე ბეიკერ სტრიტის 221-ბ-ში, მთელ მსოფლიოში თუ არა, მთელ ბრიტანეთში ყველაზე ცნობილ მისამართზე ჩნდება!

კიდევ ერთი საოცარი თვისება, რომელიც შერლოკ ჰოლმსს, ამ ენერგიულ კაცს ახასიათებს, მელანქოლიაა, რომელიც ეუფლება მაშინვე, როგორც კი კრიმინოგენური ვითარება იცვლება და დანაშაულის მაჩვენებელი იკლებს. ასეთ დროს ჰოლმსისთვის კაცობრიობა უინტერესოა, რადგან პატარა დანაშაულს სკოტლენდიარდელი მაძებარი, მისტერ ლესტრეიდი და ძმანი მისნიც გაუმკლავდებიან.

ამავე დროს, შერლოკ ჰოლმსს აქვს საკუთარი მორალი – ის არ არის პოლიციელი, ამ სიტყვის მორალური გაგებით, მისი აზრით, ყველა დანაშაული არ უნდა დაისაჯოს; ჰოლმსისთვის არსებობენ კეთილშობილი დამნაშავენი, რომელთა გაგება მას შეუძლია. პარალელურად, ქედმაღლობის მიუხედავად, არსებობს კოდური სიტყვები, რომლთა გაჟღერებაც საკმარისია იმისთვის, რომ შერლოკ ჰოლმსი მიწაზე დაეშვას და კვლავაც გააცნობიეროს, რომ ისიც ჩვეულებრივი მოკვდავია. ეს ამბავი იმიტომ ხდება, რომ მოიძებნა კაცი, რომელმაც შერლოკ ჰოლმსს აზროვნებასა და ცხოვრებაში აჯობა, რაც, ერთი შეხედვით, სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ასეთი ადამიანის გამოგონება თავად პერსონაჟმა დაავალა არტურ კონან დოილს, რათა ავტორს შეექმნა მონსტრი, რომლის საცეცები ყველასა და ყველაფერს სწვდება. ფაქტობრივად, შერლოკ ჰოლმსმა მოითხოვა პერსონაჟი, რომელიც

Capo di tutti capi, ანუ ბოსების ბოსი იქნებოდა, ისე როგორც მაფიაში.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს გაირკვა, რომ თითოეული დანაშაულის უკან ერთი კაცი დგას, რომელიც ყველა მარიონეტს მართავს. ეს კაცი ვერ იქნებოდა მაქსველი ან დიკინსონი, მისი ნამდვილი გვარია – მორიარტი! ბოლი ასო – ი ყველაფერია, რადგან პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის სამყაროს ნაპოლეონის რომანულ წარმოშობასა და იტალიურ ფესვებზე. ბოროტმოქმედების პროფესორი, აკადემიკოსი, ბოროტების იმპერიის იმპერატორი, მხოლოდ და მხოლოდ მორიარტი შეიძლება იყოს! და რა თქმა უნდა, შერლოკ ჰოლმსისა და მორიარტის დაპირისპირება ჰოლმსის თავგადასავლის განსაკუთრებული ნაწილია!

შერლოკ ჰოლმსთანაა დაკავშირებული ერთი ბრწყინვალე ისტორიაც – როდესაც ავტორი დაიღალა და შერლოკ ჰოლმსი მოკლა, ამ ამბავმა მკითხველი იმდენად ააღელვა, რომ კონან დოილს მისი გაცოცხლება მოუხდა, თუმცა ისე გააფორმა, თითქოს სპეციალურად ჰქონდა ასე ჩაფიქრებული, რათა შემდგომში ჰოლმსი მოულოდნელად დაბრუნებულიყო...

რა თქმა უნდა, „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალზე" დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა, თუკი ვინმეს ეს ნაწარმოებები წაკითხული არ აქვს, თუკი ვინმე ასეთი ბედნიერია, გულით ვულოცავ, რადგან წარმოუდგენელია სიხარული, რომელსაც ეს წიგნი გვანიჭებს მეორე, მეხუთე, მეჩვიდმეტე წაკითხვისას, მაგრამ ვერაფრით შეედრება „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლის" პირველად წაკითხვის ბედნიერებას.

მფარველი მწერალი

„აბესალომ, აბესალომ“ უილიამ ფოლკნერის ერთ-ერთი უკვდავი შედევრია. საერთოდ, ფოლკნერის ხსენებისას, ავტომატურად იგულისხმება, რომ ურთულეს მწერალზეა საუბარი, მწერალზე, რომელიც იშვიათად ხდება ხოლმე საყვარელი, მაგრამ თუ გახდა, შემდეგ პრაქტიკულად არ თმობს პოზიციებს და იოლად ამარცხებს სხვა „სიყვარულებს“.

ფოლკნერი თავადაა სიყვარულის ფორმულა და ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც მის ბიოგრაფიას იცნობს; ეს ხომ ის კაცია, რომელიც სიღარიბის გამო დაიწუნეს და „ქალი არ გაატანეს“, მაგრამ ერთადერთ სიყვარულს მთელი ცხოვრება უცდიდა და როდესაც ქალს ოჯახი დაენგრა, ფინანსურად ცოტათი მოძლიერებულმა ფოლკნერმა ცხოვრების მთავარი ქალი დაიბრუნა.

ახალგაზრდობაში ფოლკნერი, ძირითადად, ლექსებს წერდა და საბედნიეროდ, სწორედ მაშინ გადაეყარა ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას – შერვუდ ანდერსონს, რომელიც, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი დარჩა ნობე-

ლის კომიტეტს. ეს ის კაცია, რომლისგანაც ერთდროულად მომდინარეობს ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ისეთი მწერალი, როგორიცაა ფოლკნერი და ჰემინგუეი. სწორედ შერვუდ ანდერსონმა ურჩია ახალგაზრდა უილიამს, რომ ლექსების წერის ნაცვლად, პროზაული ნაწარმოებები შეექმნა. აი ასე, საკუთარი გავლენით, ანდერსონმა მსოფლიოს ერთერთი ყველაზე დიდი პროზაიკოსი აჩუქა.

იმ პერიოდში, როდესაც „აბესალომ, აბესალომ“ იწერება, ფოლკნერი უკვე ცნობილი მწერალია, 1929 წელს უკვე გამოქვეყნებული აქვს „ხმაური და მძვინვარება“, რომელმაც მთელ მსოფლიოში თუ არა, ამერიკელ კრიტიკოსებში მაინც მოუტანა სახელი და დიდება. ამერიკელი მკითხველისათვის დამახასიათებელი ამბავია, რომ ასეთი მასშტაბის, თანაც საოცრად ამერიკელ მწერალს ძალიან დიდხანს არ იცნობდნენ; ფოლკნერი ევროპაში უფრო ადრე გაიცნეს და მიანიჭეს კიდეც ნობელის პრემია, რის შემდეგაც უკვე ამერიკელები დაინტერესდნენ მისი შემოქმედებით, წაიკითხეს და გაოცდნენ, სად იყო ნობელის კომიტეტი აქამდე, ამდენ ხანს როგორ არ მიანიჭეს პრემიაო?!

როგორც მწერალმა, ფოლკნერმა რამდენიმე თავისებურებით დაგვამახსოვრა თავი. უპირველეს ყოვლისა, მან გაიმეორა ბალზაკის მიერ შემოტანილი ნოვაცია, რომანიდან რომანში მოხეტიალე, ე. წ. გამჭოლი პერსონაჟები. ფოლკნერთან მგონი არ არსებობს რომანი, სადაც პოლკოვნიკი სარტორისი არ შეგვხვდება; იშვიათია რომანი, სადაც კომპსონები არ ფიგურირებენ და შეუძლებელია რომანი, სადაც იოკნაპატოფა და ჯეფერსონის ოლქი არ იყოს მოხსენიებული.

იოკნაპატოფა ფოლკნერის მიერ გამოგონილი ადგილია, რომელიც მწერალმა მშობლიურ, მისისიპის შტატში მოათავ-

სა და მისცა საკუთარი გეოგრაფია. ეს გამოგონილი სამყარო დასახლებულია ხალხით – „ამდენი თეთრი ცხოვრობს, ამდენი – შავი“ და ამ ყველაფერის ერთადერთი ბატონ-პატრონი უილიამ ფოლკნერია!

იყო დრო, როდესაც ფინანსური გაჭირვების გამო, ეს ამოდენა მწერალი ჰოლივუდში, სცენარებისა და დიალოგების წერაზე იხარჯებოდა. ხოლო, ვინაიდან და რადგანაც არც ამ საქმეში მიღებული ჰონორარი ყოფნიდა, გადაწყვიტა დაეწერა რომანი, რომელიც 1936 წელს გამოაქვეყნა კიდეც.

ამ წიგნის ხელში აღებისას, პირველი, რასაკვირველია, სათაური იპყრობს ყურადღებას. „აბესალომ, აბესალომ“ ბიბლიურ სიუჟეტს ეყრდნობა, როდესაც ისრაელის მეფეს, ლეგენდარულ დავითს, საკუთარი ვაჟი – აბესალომი აუჯანყდა, მამა იერუსალიმიდან გააქცია, ქალაქი აიღო და ვიღაცების რჩევით, დავითის ხარჭებთანაც შევიდა, რაც, ფაქტობრივად, სამეფოს უზურპაციას ნიშნავდა. დევნილმა მეფემ გასცა ბრძანება, რომ დაამარცხონ მისი ჯარი, ოღონდ თავად აბესალომს ხელი არ ახლონ. მიუხედავად ამისა, უზურპატორს მაინც შეეხნენ, აბესალომი უცნაურად მოკვდა. და, აი, შვილმკვდარი მამა საშინლად განიცდის აბესალომის დაღუპვას და ამბობს ძალიან ცნობილ სიტყვებს:

„შვილო ჩემო აბესალომ, აბესალომ, შვილო ჩემო! ვინამცა მომაკუდინა მე სიკუდილისა შენისა წილ, შვილო ჩემო აბესალომ, შვილო ჩემო აბესალომ!“

„ვინამცა მომაკუდინა მე სიკუდილისა შენისა წილ“ – დღევანდელი ქართული იქნებოდა, ნეტავ მე მოვმკვდარიყავი და შენ ცოცხალი დარჩენილიყავი.

მოკლედ რომ ვთქვათ, აბესალომი ამბოხდა მამის წინააღმდეგ და დამარცხდა, ფოლკნერის რომანში კი გვხვდება

პერსონაჟი, ტომას სატპენი, რომელიც ამბოხდა გაჭირვების წინააღმდეგ, აღზევდა და დამარცხდა. ამ კაცს შვილიც აუმბოხდა და სახლიდან გაექცა. ფოლკნერის პერსონაჟი – ტომას სატპენი დასავლეთ ვირჯინიაში, ღარიბ ოჯახში დაიბადა და მთელი ცხოვრების მიზნად გამდიდრება, მისისიპის შტატში მინის ყიდვა და საკუთარი დინასტიის, პატრიარქალური ოჯახის ჩამოყალიბება დაისახა. მან დაიჯერა, რომ სწორედ სიმდიდრეა ცხოვრების ყველა გამოწვევის პასუხი, თუმცა კი დარწმუნდა, რომ „მდიდრებიც ტირიან".

„აბესალომ, აბესალომ", „ხმაური და მძვინვარება", „აგვისტოს ნათელი" – ფოლკნერის ყველაზე ძლიერი ნაწარმოებებია, თუმცა, ვფიქრობ, რომან „აბესალომ, აბესალომის" მთელი „ეშხი" ის კი არ არის, რას წერს, არამედ ის, თუ როგორ წერს ავტორი... ჩვენი მწერალი არ იწყებს საავტორო ტექსტით, ამ ამბავს ჯერ კვენტინ კომპსონი გვიყვება, პერსონაჟი, რომელიც „ხმაურსა და მძვინვარებაში" გამოვიტირეთ, შემდეგ კი თხრობას მამამისი, ბაბუა და სხვები აგრძელებენ... როზამ თქვა, ასე და ასე იყოო; მამამ, ანუ ჯეისონმა – ასეო, ბაბუამ – ამგვარადო, კვენტინი თავადაც სხვაგვარად უყვება – შრივს, ჰარვარდში, მის ოთახის მეგობარს, ხოლო შრივი კი ამბობს, ასე და ასე იყოო. ერთი სიტყვით, ირკვევა, რომ ტომას სატპენზე ზუსტად არავინ არაფერი იცის. ისე ვკითხულობთ ამ პერსონაჟს თავსგადამხდარ ამბებს, რომ წარმოდგენა არ გვაქვს, სად არის სიმართლე.

ჩვენ წინაშეა არა ქრონოლოგიური, არამედ მითოლოგიური ამბავი, ფოლკნერმა შეძლო მითის შექმნა და თუკი „ხმაურსა და მძვინვარებაში" ამას პოლიფონიით მიაღწია, აქ უფრო ცბიერი ხერხი გამოიყენა – მრავალი ავტორ/მთხრობელი გამოაჩინა. ეს ყველაფერი ერთგვარი ალუზიაა აკუტა-

გავას მოთხრობისა – „უსიერ ტყეში“, სადაც ყველა თავის სიმართლეს ჰყვება, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ „აბესალომ, აბესალომში“ არავინ იცის სიმართლე, ყველა თავის ვარაუდს გამოთქვამს.

ამ განსხვავებულ ტექსტებში ჩანს ტომას სატპენის, სამხრეთული მითის აღზევება და დაცემა. ფოლკნერი არ არის მარტივი კაცი; ამერიკის დიდ ქალაქებში ასწავლიან, რომ სამოქალაქო ომში ჩრდილოეთი იყო მართალი, სამხრეთი კი ტყუოდა. ფოლკნერისთვის სამხრეთი იდეალური მხარე იყო და ამიტომაც, სამოქალაქო ომის პერიპეტიებს არა ისტორიული, არამედ მითოლოგიური კუთხით უდგება.

ფაქტია, მონობა სამხრეთის შტატების ბედისწერა იყო და მიუხედავად ყველაფრისა, სამხრეთი მაინც უფრო სუფთა ჩანს, ვიდრე ჩრდილოეთი; სამხრეთი არ ყოფილა კომერციალიზებული, სამხრეთი არ იყო ამერიკა, რომელიც ნახატების ფასს დოლარებში თარგმნიდა. ფოლკნერმა აჩვენა ზნეობრივი სიმაღლე სამხრეთისა, მაგრამ, ამავე დროს, აჩვენა ისიც, რომ სამხრეთი განწირულია. ეს არის პარადიგმა. ტომას სატპენის აღზევება და დაცემა არის სამხრეთის აღზევებისა და დაცემის პარადიგმა.

„აბესალომ, აბესალომი“ პირქუში, გარკვეული გაგებით – შექსპირული რომანია, სადაც გვამი გვამს ეცემა; ამასთანავე, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სურათი სამხრეთის აღზევებისა და დაცემისა. აქ ნაჩვენებია, რომ სამხრეთის მორალთან ერთად, ეცემა სამხრეთის ძლიერება. ტომას სატპენის იდეა, რომ ჩახვალ, მიწას იყიდი, შექმნი და სხვა, განწირულია, რადგან სამხრეთის იდეას ეყრდნობა, რომელიც ყალბია, რადგან სამყარო, რომელიც მონობაზე დგას, ვერ გადარჩება. ამ შემთხვევაში, ფოლკნერის საყვარელი სამხრე-

თი, რომელიც ჩრდილოეთზე გაცილებით უკეთესია, ჰგავს მშობელს, რომელიც, რაღაცნაირად, აუცილებლად უნდა მოკვდეს, რადგან მონობას არ აქვს გამართლება.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეჯახებაში, ჩრდილოეთი მართალია აბოლიციონიზმისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ არ არის მართალი თავისი საშინელი პრაგმატიზმით, ყველაფერი რომ დოლარში გადაახურდავა; სამხრეთი მართალია თავის იდეალებით, მაგრამ აბსოლუტურად არ არის მართალი, რომ მონობის გამართლება შეუძლია და თანაც სურს. ამიტომაც აქვს ამ შეჯახებას ასეთი საშინელი შედეგი... სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მთავარი მომენტია. რა თქმა უნდა, ცდილობენ, რომ მთავარ ამერიკულ მოვლენად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონსტიტუცია და სხვა ამერიკული მიღწევები წარმოაჩინონ, მაგრამ ყველამ იცის, რომ მთავარი ამერიკელის გვარი არა ჯეფერსონი, არამედ ლინკოლნია! სამოქალაქო ომი, მასში უაღრესად საეჭვო ხასიათის გამარჯვება და შემდეგ ლინკოლნის მკვლელობა, – ესაა ამერიკის ტრაგიკული არსი, ამერიკის, რომლის დანახვა ბევრს არ შეუძლია. სამოქალაქო ომს არ შეიძლება ჰყავდეს გამარჯვებული. ერთადერთი, რაც ღირსეულად შეიძლება გააკეთო ამ ომში, დამარცხებაა.

ვისაც „აბესალომ, აბესალომის“ რეალური ფინალი აინტერესებს, ფოლკნერის კიდევ ერთი ნაწარმოები, პატარა მოთხრობა – „უოში“ უნდა წაიკითხოს, თუმცა, ნურავის ექნება ილუზია, რომ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცემა, რადგან ამომწურავი პასუხები არც ჩვენი მწერლის 1962 წელს გამოცემულ რომანში გვხვდება, რომელიც, თითქოსდა

ნათელს ჰფენს ადრეულ ნაწარმოებებში უპასუხოდ დარჩენილ ეპიზოდებს.

საგულისხმო ამბავია, რომ „აბესალომ, აბესალომის“ გამოქვეყნებიდან მალე, ფოლკნერთან ევროპული აღიარება და ნობელის პრემია მოვიდა. შვედეთის აკადემიის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, მან თქვა საოცარი რამ, რომლის მსგავსიც არასდროს არავის უთქვამს:

„მჯერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, გაიმარჯვებს კიდეც. ადამიანი უკვდავია, განა იმიტომ, რომ სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით მხოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი შესწევს. პოეტის, მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი დანიშნულებაა შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, თავგანწირვას – დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს“.

ასეთი იყო ფოლკნერი, კაცი, რომელიც სავსეა ადამიანების სიყვარულით და ასეთია მისი შემოქმედება – სავსე შინაარსიანი ხმაურითა და მძვინვარებით!

„გვეშველება ჩამე?!“

სემუელ ბეკეტის პიესა „გოდოს მოლოდინში“ სრულიად მოულოდნელი იყო იმ დროისათვის, როდესაც იქმნებოდა; იგი XX საუკუნის ლიტერატურის, ზოგადად, ჩვენი ცხოვრების ერთერთი მთავარი სიმბოლოა.

თავად ბეკეტიც უცნაური კაცია, რადგან მას, როგორც ავტორს იმდენად ეშინია, სიტყვებმა არ გაამხილონ მისი პირადი დამოკიდებულება, რომ ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავს ავტორის კვლის პროცესი, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში მანამდეც მიმდინარეობდა.

ბეკეტმა წერა სამწერლობო თვალსაზრისით მისთვის უცხო – ფრანგულ ენაზე დაიწყო. თავისთავად საინტერესო ამბავია, რადგან სულ რამდენიმე მწერალია მსოფლიოში ისეთი, რომელიც ორენოვანიცაა და თან ორივე ენაში – მაგარი! უიშვიათესი ამბავია, რომ არამშობლიურ ენაზე მწერალმა ისეთ სიმაღლეს მიაღწიოს, როგორც მშობლიურზე, მაგრამ, სულ ცოტა, სამი გამონაკლისი მაინც არსებობს: ჯოზეფ კონრადი, პოლონელი მწერალი, რომელიც ბრწყინვალედ წერდა ინგლი-

სურად; რამდენიმეენოვანი ფრანც კაფკა, რომლის ძირითადი ნაწარმოებები გერმანულ ენაზეა შესრულებული; და, რა თქმა უნდა, ვლადიმირ ნაბოკოვი, რომელიც დიდი მწერალია რუსულად, მაგრამ უდიდესია ინგლისურ ენაზე. მისი მთავარი წიგნი „ლოლიტა“ სწორედ ინგლისურადაა დაწერილი.

რაც შეეხება ბეკეტს, ამ კუთხით ბეკეტი ჩემ მიერ ჩამოთვლილ ავტორებზე მაგარი აღმოჩნდა, რადგან ფრანგულ ენაზე დაწერილი მისი პიესები თითქოს აღემატება კიდეც მშობლიურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებს. ბეკეტის ფრანგული გრამატიკულად აბსოლუტურად გამართული და თავანკარაა, რომელიც, როგორც უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ძალიან მოსწონთ ფრანგებს, საკუთარი ენის ფხიზელ დარაჯებს.

„გოდოს მოლოდინში“ 1950-იანი წლების პროდუქტია, სრულიად მოულოდნელი ნაწარმოები იმ თვალსაზრისით, რომ არა მხოლოდ შეუძლებელია მისი შედარება რამე სხვა პიესასთან, არამედ წარმოუდგენელია მისი შინაარსის გადმოცემა. ამ პიესაში გვხვდებიან შესანიშნავი პერსონაჟები: ესტრაგონი (გოგო), ვლადიმირი (დიდი), ლაკი, პოცო, ბიჭი და, რა თქმა უნდა, გოდო, რომელიც უნდა მოვიდეს, ალბათ ხვალ მრვა ან ზეგ, როგორც ქართველები ვიტყვით, რეალურად კი, ან მოვა და ან არა. რაც მთავარია, გოდო რომც მოვიდეს, შეიძლება ვერც ვერავინ იცნოს, რადგან არავის ჰყავს ნანახი...

ესტრაგონი და ვლადიმირი უნიკალური პერსონაჟები არიან, რომელთაც ღირსების საკითხებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ – ადამიანისთვის შეიძლება სხვისი ნამუსრევი ძვლების ჭამა, მაგრამ მონობის ყურება და ატანა არა! ეს თავისთავად საინტერესო შეხედულებაა.

კიდევ ერთი საოცრება – მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟებს კომუნიკაცია აქვთ, ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკე-

ბიან; ანუ, არის დიალოგები, მაგრამ არ არის კომუნიკაცია, დაახლოებით ისე, ერთი რომ ამბობს – დღეს კარგი ამინდია, მეორე უპასუხებს – პრაღა შორეული ქალაქიაო. ისინი ხშირად ამბობენ ზოგად ფრაზებს, რომლებიც რეალურად არაფერს გამოხატავს.

ფანტასტიკის სფეროდანაა ესტრაგონის ფეხსაცმელი, რომელიც „ორჯერ აქვს“ – ერთხელ აქვს ფეხსაცმელი, რომელიც პატარაა, მეორეჯერ კი დიდი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შეუძლებელია ცხოვრებაში ესტრაგონს თავისი ზომის ფეხსაცმელი ჰქონდეს, თუმცა, თუკი სქელ წინდებს იშოვის, შეიძლება დიდი ზომის ფეხსაცმლის პრობლემა გადაიჭრას. აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა ხალხია ისინი...

ეს პიესა იმდენად ქართული მოვლენაა, რომ რთულია ვიპოვოთ რამე ასეთი ორგანული ჩვენთვის. ჩვენც ხომ მისკომუნიკაცია გვახასიათებს, ოღონდ ჩახუტების თანხლებით – ერთმანეთს ვეხუტებით და ისე ყასიდად ვსაუბრობთ, როგორც ეს პერსონაჟები. ჩვენ მსგავსად, ეს პერსონაჟებიც გამოუსწორებელი იმედის მქონე ადამიანები არიან. „მოდის მეოცნებე გაუსწორებელი“, ამბობს პესიმისტი გალაკტიონი, რომელიც სრულიად გამოსწორებული მეოცნებე იყო და ყოველდღე იკლავდა თავს, ზუსტად ისე, როგორც ესტრაგონი და ვლადიმირი – გოდოს მოლოდინში! და, რაღა თქმა უნდა, ადგილიდან არ იძვრიან... არ იძვრიან იმიტომ, რომ ხვალაც ეს უნდა ითქვას – თავი ხომ არ მოგვეკლა, ზეგაც ეს უნდა ითქვას, იმიტომ, რომ ხვალაც გოდოს უნდა დაელოდონ, ზეგაც, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გოდო არ მოვა...

საინტერესო ფაქტია, რომ ერთხელ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი კალიფორნიის ციხეში, გადაწყვიტეს, პატიმრებისთვის „გოდოს მოლოდინში“ ეჩვე-

ნებინათ, მსჯავრდებულთა 400-500-კაციანმა კონტიგენტმა გადაწყვიტა, რომ წარმოდგენა ჩაეშალა. პატიმრები შეთანხმდნენ, რომ როგორც კი ქალი გამოჩნდება, სწორედ მაშინ აეტეხათ აურზაური და მწარედაც შეცდნენ – ჯერ ერთი, დიდი ხნის განმავლობაში გოდოსავით ელოდნენ ქალის გამოჩენას, რომელიც, ბუნებრივია, ვერ გამოჩნდებოდა, იმიტომ, რომ პიესაში ქალი პერსონაჟი საერთოდ არ არის და მეორე – ბეკეტი შექსპირი არ არის, მისი უპასუხისმგებლო ირლანდიური იუმორი დასცინის ყველაფერს, ყოფიერებას, ადამიანს, ღმერთს, რწმენას, მაღალ მატერიებს, რაც მოეწონათ კიდეც პატიმრებს და იფიქრეს, იქნებ საერთოდ აღარც კი ღირდა არევა.

ისეთი აბსურდული მშვენიერების მოფიქრებასა და დაწერას, როგორიც „გოდოს მოლოდინშია", დიდი ტალანტი სჭირდება და აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სემუელ ბეკეტი თავიდანვე ასეთი მწერალი არ ყოფილა! ბეკეტი ირლანდიელი მწერალი იყო იმ ეპოქაში, რომელსაც წინ უსწრებდა ჯეიმზ ჯოისი! ეს არ არის უბრალო ამბავი, ეს არ არის რიგითი მომენტი ბიოგრაფიაში.

რომ არა ჯეიმზ ჯოისი და მასთან კონფლიქტი, ბეკეტი ვერ იქნებოდა ის, რაც დღეს არის. როგორ სასაცილოდაც უნდა მოგვეჩვენოს, ამ ორი საოცარი ირლანდიელის კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე წარმოიშვა. ჩვენ ვიცით ფრანგული ფორმულა – Cherchez la femme და ამ შემთხვევაში, ქალი, რომელიც უნდა ვიპოვოთ, არის ჯოისის ქალიშვილი, რომელსაც სემუელ ბეკეტი შეუყვარდა.

თუკი ვინმეს ბეკეტის არც ერთი პორტრეტი არ უნახავს, მინდა ვუთხრა, რომ ეს იყო უდახვეწილესი მოძრაობის მქონე,

უაღრესად არტისტული, მთელი საზოგადოების ამგდები, მომხიბლავი ირლანდიელი კაცი.

ზოგადად, ირლანდიელები, განსაკუთრებით კი მწერლები, გამორჩეული ხალხია; მოგეხსენებათ, რას ამბობდა ბერნარდ შოუ შექსპირსა და ინგლისელებზე; მეორე მხრივ, როგორი პარადოქსისტი ავტორი იყო ოსკარ უაილდი; გვახსოვს ისიც, როგორ იხსენიებს შექსპირს ჯოისის პერსონაჟი – სტივენ დედალუსი, რომელიც თავადაა ჯოისი; ერთი სიტყვით, დიდი ალბათობით ჩვენი მწერალიც ასეთი დამოკიდებულებისა იქნებოდა, რომ არა ჯოისის ქალიშვილის სიყვარული, რომელიც მან უარყო.

ბუნებრივია, ეს უარი ჯოისისა და ბეკეტის ურთიერთობაზედაც აისახა. საერთოდ, ჯეიმზ ჯოისი მკაცრი კაცი იყო, როდესაც ვინმე აწყენინებდა, იმ ადამიანს საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟად გამოიყვანდა და ერთიანად მოთხრიდა. ასე რომ, ბაკ მალიგანსაც და „ულისეს“ სხვა ინგლისელებსაც რეალური პროტოტიპები ჰყავთ, ისე როგორც რეალურად არსებობს მარტელოს კოშკიც, საიდანაც მართლა გამოაგდეს ჯოისი, რაზედაც, როგორც მწერალმა, საშინელი პასუხი გასცა.

ასეთ სიტუაციებში, შურისძიებისას, ჯოისი დაახლოებით ისე იქცევა, როგორც დოსტოევსკი, რომელმაც ტურგენევი რომანს „ეშმაკნის“ ერთ-ერთ პერსონაჟად – კარმაზინოვის სახით გამოიყვანა. მე რომ ტურგენევი ვყოფილიყავი, ალბათ თავს მოვიკლავდი. კარგი მწერალია და იმან უშველა, რომ ხალხი მასზე დოსტოევსკის მიხედვით არ მსჯელობს, მაგრამ თუკი ვინმე მის შემოქმედებას არ იცნობს და კარმაზინოვზე ეტყვიან, ამის პროტოტიპი ტურგენევიაო, შემდეგ ის ამ ავტორის წამკითხავი არ არის...

ერთი სიტყვით, გადაეკიდა ჯოისი ბეკეტს და წერის მანერა დაუწუნა. ბეკეტმაც სწორი დასკვნა გამოიტანა და საფუძვლიანად შეიცვალა წერის მანერა. ჯოისის ქალიშვილს შესაძლოა გული დასწყდა, მაგრამ მისი უიღბლო სიყვარული წაადგა ლიტერატურის ისტორიის პროცესს – ბეკეტმა მკაცრად გადაწყვიტა, რომ არ უნდა ჰგავდეს ჯოისს! ირლანდიელის მხრიდან ეს დაახლოებით ისეთი თავხედობაა, ქართველს რომ გალაკტიონი არ მოგწონდეს.

სემუელ ბეკეტი აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც უნდა დაშორებოდა ჯოისს, ესე იგი მშობლიურ ენასაც; თან უნდა დარჩენილიყო ირლანდიელად, რაც იმას გულისხმობს, რომ არ უნდა ჰქონოდა სიმპათია ინგლისისადმი, ამ ქვეყნისთვის სახელისა და დიდების მოტანაზე ხომ ზედმეტია საუბარი. შექმნილი ვითარებიდან მან მიაგნო ალბათ ერთადერთ ქმედით გამოსავალს – რამენაირად უნდა გაუცხოებულიყო და გაუცხოვდა კიდეც – იმ ენაზე დაიწყო წერა, რომელიც მისთვის არ ყოფილა მშობლიური. ამიტომაცაა, რომ მისი ფრანგული არაბუნებრივად ჩანს და თანაც, მარტივად იკითხება.

ნობელის პრემიის კომიტეტის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ მოახერხეს, დაინახეს და პრემია მიანიჭეს ბეკეტს, რაც ამ კომიტეტის საქმიანობაში ერთ-ერთი დიდი და მოულოდნელი გამონათებაა. ცხადზე ცხადია, ბეკეტი არ ყოფილა „მათი“, ისე როგორც კამიუ, აბსურდის თეატრი და აბსურდული მწერლობა, სკანდინავიაში ხომ „სერიოზული, შინაარსიანი“ წიგნები აინტერესებდათ ყოველთვის...

დასასრულ, დავუბრუნდეთ ამ პიესის მთავარ პერსონაჟს, რომელიც არ გამოჩნდება – არსებობს თუ არა გოდო? ეს არარელევანტური კითხვაა, იმიტომ, რომ მოწმეები ადას-

ტურებენ მის არსებობას, მაგრამ მოვა თუ არა ის, ბუნებრივია, არავინ იცის.

ჩვენ ვართ მომსწრე თითქმის იუმორისტული ამბებისა, როგორც მაშინ, 2000 წელს, როდესაც არაერთი კონფესია მეორედ მოსვლას ელოდებოდა, რომელიც არ მოხდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხეს და გადადეს... ამიტომ და არა მხოლოდ ამიტომ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ „გოდოს მოლოდინში“ ყოველთვის ექნება პერსპექტივა, მიუხედავად იმისა, რომ გოდო არასდროს მოვა, თუმცა იმედი, რომ მოვა, ყოველთვის ცოცხალი იქნება.

„გოდოს მოლოდინში“, ლიტერატურული შედევრი, ბრწყინვალე აღმოჩნდა თეატრალური თვალსაზრისით და არაფერია იმაში უცნაური, რომ ლონდონის გარდა, ამ დადგმას ყველგან წარმატება ხვდა წილად.

P. S. მგონია, რომ ეს პიესა ლამის ყოველდღიურად უნდა იდგმებოდეს რომელიმე ქართული თეატრის სცენაზე, რადგან ბოლო რამდენიმე საუკუნის მთავარი ქართული კითხვა – „გვეშველება რამე?!“ თავის თავშივე გულისხმობს პასუხს, რომ, აი, მოვა გოდო და გვეშველება...

ამერიკელი დიონისე

თავიდანვე ვთქვათ, ჩარლზ ბუკოვსკის მსგავსი კაცი და პოეზია, თითქოს შეუთავსებელი უნდა იყოს, რადგან ბუკოვსკი ე. წ. ბინძური რეალიზმის წარმომადგენელია, რომელსაც ინგლისური ენის ყველაზე უფრო ღრმა სარდაფიდან ამოღებული სიტყვების გამოყენება და დამოკიდებულებები ახასიათებს. მიუხედავად ამისა, ის უაღრესად პოეტური ბუნების ადამიანი იყო.

ბუკოვსკის ხსენებისას, ერთდროულად, ბევრი რამ გვახსენდება. მისი ბიოგრაფიის და ცხოვრების გააზრება შეუძლებელია რამდენიმე ელემენტის აღუნიშნავად. პირველ ყოვლისა, ის, რომ გერმანელი ბუკოვსკი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეჭრილი უცხო სხეული იყო. ამასთანავე, იგი ეთიკურადაც სრულიად უცხო ელემენტი იყო ამერიკული ცხოვრებისთვის; ამერიკული ცხოვრების წესი, იდეალი, ამერიკული ოცნება მისთვის სრულიად უცხო და წარმოუდგენელ რამ არის. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მისი ბიტნიკებთან მიწებება სცადეს, ბუკოვსკი სრულიად

თავისუფალია ყველანაირი მიმდინარეობებისგან. რაც მთავარია, არაერთი სიტყვა დახარჯულა იმაზე, რომ როგორმე ბუკოვსკი მწერლობისთვის ჩამოეცილებინათ – „რანაირი მწერალია“, ამბობს მასზე ხალხი, რომელსაც მისი შემოქმედება არ წაუკითხავს.

საკმარისია წაიკითხოთ ბუკოვსკის თუნდაც ერთი მოთხრობა, მაგალითად „ყველაზე ლამაზი ქალი“ და უმალ დარწმუნდებით, რომ მისი ავტორი დიდი მწერალია; ამასთანავე, მიხვდებით იმასაც, რომ იგი პოეტია, დიდი პოეტი! ყველაფერი, რაც მან დაწერა, მათ შორის ნაწარმოებები, რომლებიც პროზის ფორმით გვაქვს, საოცრად პოეტურია, თანაც „სხვანაირად“ პოეტური, გაწმენდილი ყოველგვარი ზედმეტი მინარევებისგან.

აი, მისი ერთ-ერთი პატარა ლექსი, რომლითაც დიდი რამ არის ნათქვამი:

3 ბიჭუნა მორბის ჩემკენ
სასტვენებით პირში, და
უსტვენენ, და
მიყვირიან:
„შენ ხარ დაპატიმრებული!“
„შენ ხარ მთვრალი!“
და სათამაშო ხელკეტებს
მირტყამენ ფეხებში.
ერთ-ერთ მათგანს
მედალიონიც უმშვენებს პერანგს,
მეორე ცდილობს, წამომაცვას სათამაშო ბორკილები,
მაგრამ ჩემი ხელები მაღლაა...
როცა შევვარდი ღვინის ფარდულში,
ისინი შემეშვნენ,
გაბზუილდნენ

სკაში არშეშვებული ფუტკრების მსგავსად.
მე ავიღე 1/5 გალონი
ვისკი
და
3
ყინულის ფილა.

ვიცი, არსებობენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან – „ესაა ლექსი? ეს რა ლექსია!“ მაგრამ, მოდით შევხედოთ 3-ს, რომელიც ლექსის თავსა და ბოლოში გვხვდება.

სამი ბავშვი თამაშობს პოლიციელობანას და პოლიციელობის არსი ხომ ისაა, რომ კაცს უთხრა – შენ ხარ მთვრალი! კი არ ჰკითხო, ვინ ბრძანდებით, ნასვამი ხომ არ ხართ? არა, პირდაპირ – შენ ხარ მთვრალი! ბავშვებმა ზუსტად იციან, რას თამაშობენ.

და ამ დროს, ეს კაცი არ არის მთვრალი! ლექსის მთელი არსი ის არის, რომ ბავშვები, თავიანთი თამაშით, მას აბრუნებენ რეალურ, 1/5 გალონი ვისკის სამყაროში! თამაშით, სწორედ ბავშვები კარნახობენ მას, რომ ნამდვილი მხოლოდ მაშინაა, როცა ნასვამია, როცა მთვრალია! ამიტომაც ის შევარდება ღვინის ფარდულში და გახდება ის, ვინც ბავშვებს უნდათ.

ეს არ არის უბრალო რამ, ეს მოქმედებაში გამოხატული მეტაფორაა – შენ ხარ მთვრალი, ნიშნავს, რომ შეხვალ და დალევ. სათამაშო ხელკეტი კი იმაზე მიანიშნებს, რომ შენ არ ხარ ნამდვილი, სანამ გეუბნებიან, მთვრალი ხარო, მაგრამ ფხიზელი ხარ. შენ ნამდვილი ხდები მაშინ, როდესაც ხელკეტიც ნამდვილია, ანუ როდესაც მეხუთედ გალონ ვისკის დალევ!

ბუკოვსკის სმა სიგიჟემდე უყვარდა და ფხიზელი თითქმის არასდროს ყოფილა. სამი ცოლი ჰყავდა და სამივესთან, განსაკუთრებით კი ერთ-ერთთან, ძალიან უცნაური დამოკიდებულება ჰქონდა. ეს ქალი მასზე უფროსი და მდიდარი იყო; ბუკოვსკიმ მას საკუთარი ლექსები გაუგზავნა და ქალმაც აღიარა, რომ ის გენიოსია! ასე გაგრძელდა ეს ქორწინება, ბუკოვსკი წერდა ლექსებს, მისი მეუღლე აღიარებდა, რომ ის გენიოსია და ორივე სვამდა!

ბუკოვსკი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფხიზელი არასდროს წერდა ლექსებს. ეს ამბავი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, ჩვენ, ქართველები, ვცდილობთ, თრობის ამბავში „გავამართლოთ" გალაკტიონი, როცა ჟღერდება აზრები იმის დასამტკიცებლად, რომ გალაკტიონი ფხიზელი წერდა და მხოლოდ შემდეგ სვამდა; სიმთვრალესა და პოეზიას რა კავშირი აქვს ერთმანეთთან. რა თქმა უნდა, ეს სრული აბსურდია. რეალურად, ბუკოვსკისა და გალაკტიონისა არ იყოს, ვერლენიც მუდმივად არაფხიზელ მდგომარეობაში მუშაობდა; ბოლოს და ბოლოს, თუკი ამ საკითხში ვინმეს ეჭვი მაინც ეპარება, წაიკითხოს ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა", საკუთარი თვალით იხილოს ის ფანტაზია, რომელიც ამ ნაწარმოებშია და შემდეგ დაფიქრდეს, შესაძლებელია თუ არა ასეთი ტექსტი „ხუთოსანი" ადამიანის თავში დაიბადოს.

ბუკოვსკი ასოციალურ ელემენტია, თუმცა ჰუმანისტია და ყველაზე რთულიც სწორედ ეს არის, ჰუმანისტი დაინახო ადამიანში, რომლის მთავარი პერსონაჟები სულ ისვრიან, დებოშს ტეხენ, სვამენ, ქალები უყვართ. ესაა მისი სამყარო, ესაა ამე-

რიკა, კაცობრიობის ერთადერთი სრულქმნილი დემოკრატია, რომელსაც ბუკოვსკი ასე არ ხედავს.

ამერიკას აქვს ბედნიერება, ჰყავდეს ამერიკელი პოეტები და პროზაიკოსები, რომლებიც ხსნიან, თუ რა არის ამერიკა. ჩვენ ხომ ვიცით, მთელი ამერიკული ლიტერატურა მარკ ტვენის „ჰაკლბერი ფინის თავგადასავლიდან" დაიბადა; ვიცით ისიც, რომ ფოლკნერის შემოქმედება ნამდვილი, ამერიკული ლიტერატურაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მედლის მეორე მხარეს თოროს ამერიკაა, ლიტერატურა, რომელსაც არ მოსწონს ეს ქვეყანა.

აი, ბუკოვსკი, რომელიც ამ უდიდესი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაგარ ადგილას – ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა, წყნარი ოკეანის, სანაპიროების კაცი, ყველაზე მეტად ანტიამერიკულად განწყობილი აღმოჩნდა, ამ სიტყვის ღრმა ფილოსოფიური გაგებით; ანუ, მას არ აინტერესებდა ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკული მომენტი – წარმატება!

სხვათა შორის, ლოს-ანჯელესი შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს ის ადგილია, სადაც ყოველწლიურად, ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრიზს – ოსკარს – გადასცემენ იმ ადამიანებს, რომლებიც წარმატებას აღწევენ. ფილმის ფინალში მოკვდი? ოსკარს ვერ მიიღებ. გაიმარჯვე? მტრები დახოცე? არავინ მოგთხოვს პასუხს!

ამ ამერიკის გარდა, არსებობს სხვა ამერიკაც, უოლდენის ამერიკა, თოროს ამერიკა, ლონგფელოს ამერიკა, ბუკოვსკის ამერიკა, რომელიც ამბობს, რომ ლოთობა ცხოვრებისგან გაქცევა კი არა, ლოთობა თვითონ ცხოვრებაა. ეს არ არის წარუმატებელი კაცის ტრაგედია, ეს არის ადამიანის ცხოვრება ამ – სმისა და ლოთობის სამყაროში.

თუკი ამერიკა ბევრისთვის უდიდესი შესაძლებლობების ქვეყანაა, ბუკოვსკისთვის ბრწყინვალე ფორმულაა იმისა, თუ როგორ შეიძლება აშენდეს ჯოჯოხეთი. „თუ შეიძლება ვიტყვი“, როგორ აღწერა მან ამერიკული ცხოვრება:

ჯოჯოხეთი შენდება
ნაწილ ნაწილ
აგურ აგურ
შენს გარშემო
ეს ხდება თანდათან
და არა
უცებ
ჩვენ ვაშენებთ
ჩვენს საკუთარ
ჯოჯოხეთებს
ბრალს ვდებთ ყველას
ვინც ჩვენ არ ვართ
მაგრამ ყველა ჯოჯოხეთი
ჯოჯოხეთია
ამქვეყნიური ჯოჯოხეთი
ჯოჯოხეთია
ჩემი და თქვენი ჯოჯოხეთი
ჯოჯოხეთია
ჯოჯოხეთის ჯოჯოხეთი
ჯოჯოხეთია
ჯოჯოხეთი სიმღერა და ჯოჯოხეთია
ყოველ დილით
ბათინკებზე თასმების შეკვრა
ჯოჯოხეთია

(აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მთარგმნელს, ზვიად რატიანს „ბათინკებისთვის“, რადგან ამ

ლექსში იმაზედაცაა საუბარი, რომ სწორედ „ბათინკებზე“ თასმების შეკვრაა ჯოჯოხეთი).

ეს პატიოსანი კაცი, ჩარლზ ბუკოვსკი, რომელსაც მეგობრები ჰენკის ეძახდნენ, პათოლოგიურად უცნაურ ისტორიებს წერდა. მისი მონოტონურად ნაღვლიანი ფრაგმენტების უმეტესობა შავი იუმორისა და სიცოცხლის სასტიკი ჭიდილია; მის შემოქმედებაში, პირქუშობის გვერდით, შავი იუმორის ის სახეობაც გვხვდება, რომელიც სასაცილოც კი არ არის, რადგან ადამიანს შანსს არ უტოვებს, ღიმილით შეხედოს სამყაროს; ბუკოვსკი სამყაროს კი არ უცინის, დასცინის მას და თავად ხომ ამ დაცინვის სუბიექტიცაა და ობიექტიც. მის შემოქმედებაში სიკვდილიც სასაცილოა, არაფერს ტოვებს, რაზედაც გაცინება არ შეიძლება, რის გამოც დალევა არ ღირდეს. ასეთი მწერალია ბუკოვსკი.

მაგალითად, ავიღოთ კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი, დაბადების დღეზე:

როცა ვაგნერი
იყო მოხუცი,
დაბადების დღის
მისალოცად
დაუკრეს მისი
ახალგაზრდობის დროინდელი
რამდენიმე შემთხვევითი კომპოზიცია.
„ვისი იყო?“ – იკითხა
მოხუცმა.
„თქვენი“ –
უპასუხეს.
„ხოო“, თქვა
ვაგნერმა,
„მე ყოველთვის
მქონდა ეჭვი,

რომ სიკვდილსაც აქვს
გარკვეული ღირსებები".

ამ ლექსით ბევრი რამ არის ნათქვამი. ეს არ არის უბრალო, ანეკდოტური შემთხვევა, როცა მოხუცი ვაგნერი ახალგაზრდა ვაგნერის შემოქმედებას ვერ ცნობს. ვერც უნდა ეცნო! ახალგაზრდა ვაგნერი ბეთჰოვენის ხაზს აგრძელებდა, მოხუცი ვაგნერი კი სრულიად სხვა კომპოზიტორია, ახალგაზრდა ვაგნერზე გაცილებით უკეთესი, რომელსაც მისი ახალგაზრდობის შემოქმედება არ მოსწონს!

ბუკოვსკის აზრით, სატირალი ის კი არ არის, რომ ოდესღაც ახალგაზრდები ვიყავით, რაც ძალიან ცოტა ხანს გრძელდება და ადამიანების უმეტესობა სწორედ ამ ახალგაზრდობას მისტრის, არამედ ამბობს, თუ რა კარგია სიბერე, რა კარგია უძლურება, რა კარგია, ლოთი რომ ვეღარ ინძრევა. მასთან სულ ასეთი აზრები გვხვდება და ეს არ არის პოზა! ეს ბუკოვსკის აღმოჩენაა, სწორედ მან აღმოაჩინა სიბერის სიკეთე!

როდესაც ლევ ტოლსტოის ჰკითხეს, რა არის სიბერე, მან თქვა – სიბერე, ესაა მოულოდნელობა. თურმე სიბერესაც აქვს რაღაც დადებითი და სანამ ლევ ტოლსტოი, სანამ ბუკოვსკი არ დაიბადა, არც ერთმა მოხუცმა არ გვითხრა ეს! მანამდე ჩვენ ვერ ჩავწვდით სიბერის ესთეტიკას! დიახ, ბუკოვსკის პოეზია ბებერი, ლოთი სამყაროს პოეზიაა, რომელიც ამბობს, რომ ეს ერთადერთი შესაძლებელი კეთილი სამყაროა დედამიწაზე და როდესაც ხარ პატარა, ახალგაზრდა, როცა გაქვს ილუზიები, როცა ფიქრობ, რომ სამყარო ასე და ასე უნდა მოაწყო, მაშინ შენ ვერ ხედავ პერსპექტივას, ვერ ხედავ ამ სამყაროს.

ანუ, ამერიკელები სწავლობენ, ჰარვარდს ამთავრებენ, შემდეგ მუშაობენ, შოულობენ ფულს, ყოველი ახალი დაწინაურე-

ბის დროს იცვლიან მანქანას, სახლს, ცოლს... თითოეულ დონეზე ცვლილებები, ეს, პრაქტიკულად, ტრადიციაა და როდესაც ადამიანი და მის მიერ მიღწეული წარმატება არ შეესიტყვისებიან ერთმანეთს, ამერიკა მას გაოცებით უყურებს. რეალური, ცხოვრებისეული შესატყვისობების ავტორი კი ბუკოვსკია, რომელიც ნამდვილ ლექსებს წერდა ამერიკაზე. აი, კიდევ ერთერთი მათგანი – „მოქაჩე თოკი და თოჯინა ამოძრავდება“:

ყველას უნდა ესმოდეს,
რომ ყველაფერი შეიძლება გაქრეს,
კატა, ქალი, სამსახური,
წინა საბურავი,
საწოლი, კედელი, ოთახი.
ყველაფერი, რაც ასე აუცილებელია,
სიყვარულის ჩათვლით,
დგას ნაყარ მიწაზე
და ნებისმიერ მიზეზს –
სულერთია, რამდენად განუზოგადებელს –
ვთქვათ, ახალგაზრდა კაცის სიკვდილს
სადღაც, ჰონკონგში,
ან ქარიშხალს ომაჰამაში,
შეუძლია დააჩქაროს თქვენი დაღუპვა:
რაც მსხვრევადია თქვენს გარშემო,
ყველაფერი ჩამოილენა
და აფეთქდა სამზარეულოს იატაკზე –
მეგობარი გოგო შემორბის,
თქვენ კი დგახართ, მთვრალი, ნამსხვრევებში,
ის შემოგკივით: რა ხდება? რა ხდება?
თქვენ კი ჩურჩულებთ: არ ვიცი,
არ ვიცი...

ზღაპრული ძალის პოეზიაა, რომლის ზღაპრული ძალა ისაა, რომ გაურბის ტრადიციულ მხატვრულ სახეებს. მისი მეტაფორები ყოველთვის „მეგობარი გოგოების სირბილზეა" აგებული. ბუკოვსკი მეტაფორას აშენებს არა სიტყვებით, არამედ მოქმედებებით. ეს ძალიან იშვიათი და განსაკუთრებული, ურთულესი ხერხია.

ის, რომ მე ნამსხვრევებში ვდგავარ, მთვრალი და ჩუმად ვამბობ რაღაცას, უმნიშვნელოა, თუკი არ შემოვარდა მეგობარი გოგო, როგორც ცხოვრება, რომელიც გვკარნახობს, სადაა წესრიგი, როგორ უნდა მოვიქცეთ, სად ვიმუშავოთ, რა მანქანა ვიყიდოთ და ა. შ. ბუკოვსკიმ ვერსად იმუშავა, შვიდი ათასი სამსახური გამოიცვალა, ფოსტის მუშაკიც კი იყო, საიდანაც არაკეთილსინდისიერების გამო გამოაგდეს.

და აი, ბუკოვსკის ერთი მთავარი, საშინელი აღმოჩენა. ის მიხვდა, რომ წერა მხოლოდ ნასვამ მდგომარეობაში შეეძლო. ამ აღმოჩენის შემდეგ ფხიზელი არავის უნახავს. ეს ლოთი კაცი მძიმე, წმინდა ლიტერატურული შრომით შრომობდა და მუდმივად სვამდა, რადგან აღმოაჩინა, რომ საუკეთესო ნაწარმოებები მაშინ შექმნა, როცა ფხიზელი არ იყო. მიუხედავად ამისა, იგი იმდენად ერთგული იყო მწერლობის, რომ სცოდნოდა, მის მწერლობას სიფხიზლე სჭირდებოდა, დარწმუნებული ვარ, წვეთს არ დალევდა!

ბუკოვსკის საკუთარი აკვიატებების სრულიად წარმოუდგენელი კომბინაცია ჰქონდა: სმა, დოღი და კლასიკური მუსიკა. ამერიკელი, რომელსაც ჯაზი კი არა, კლასიკური მუსიკა უყვარს – იშვიათი ამბავია; ამერიკელების დოღით გატაცება – საყოველთაო ამბავია; ამერიკელი, რომელსაც სმა არ უყვარს – ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ბუკოვსკი

მგონი ერთადერთია, ვინც ამით ტრაბახობს და ამბობს, რომ ესაა ყველაფერი!

მთვრალი პოეტი, რომელიც ქმნის დედის გინებასთან შეზავებულ პროზას და გაცილებით მძიმე პოეზიას, რომელთანაც მეტაფორებს ქმნის არა სიტყვები, არამედ საგნები, მათ შორის, ზოგჯერ ქალის საცვლებიც კი... ამ ყველაფრის უკან დგას კაცი, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას რომ უსმენს და რამდენჯერმე ატრიალებს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი ძმა არის. ამ ფონზე, ბუკოვსკი წერს, თუ როგორ ეზიზღება ყველა, როგორ დახოცავდა ყველას დიდი სიამოვნებით, რეალურად კი გულწრფელად ფიქრობს, რომ ადამიანები ძმები არიან!

ამ თვალსაზრისითაც, ის წარმოუდგენელი ძალის ავტორია და ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ გვაქვს ბუკოვსკის მაღალი ხარისხის თარგმანები, განსაკუთრებით კი ზვიად რატიანის მიერ თარგმნილი მისი პოეზია.

ბუკოვსკის ცხოვრება და პოეზია ერთიანია და ბუკოვსკი, როგორც მოვლენა, მხოლოდ ასე იყო შესაძლებელი! მან ერთერთმა პირველმა დაამტკიცა, რომ ცხოვრების წესი მობოდიშება კი არა, სიხარულია და იცხოვრა კიდეც ისე, როგორც სურდა, დაწერა ის, რაც სურდა.

ნობელიანტები მაგიური რეალიზმის სამყაროდან

მოგეხსენებათ, ნობელის პრემიას ლიტერატურის დარგში 1901 წლიდან გასცემენ და წლებია, ნობელის კომიტეტის მიმართ კითხვები არსებობს, მაგალითად, ამ ადამიანებმა „შეძლეს“ და პრემია არ მისცეს მსოფლიო მწერალს, XX საუკუნის ლიდერს, ხორხე ლუის ბორხესს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იქნებოდა, რომ ნობელის პრემიის კომიტეტს არ გაეხედა სამხრეთ ამერიკის კონტინენტისკენ, იმ ლიტერატურისკენ, რომელმაც სამყაროს მაგიური რეალიზმი აჩუქა.

სამხრეთ ამერიკელი ავტორებისთვის ნობელის პრემიის მინიჭების ტრადიცია 1945 წელს დაიწყო, როდესაც პირველი პრემია მიენიჭა ჩილელ პოეტ ქალს, განმანათლებელს, დიპლომატს, ქალთა უფლებებისთვის მებრძოლ – ლუისა დე მარია დელ პერპეტუო სოკორო გოდოი ალკაიაგას, რომელიც უფრო მეტად ცნობილია ფსევდონიმით – გაბრიელა მისტრალი. ლუისა დე მარიამ ფსევდონიმი ცნობილი პოეტის, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის – ფრედერიკ მისტრალისგან აიღო.

გაბრიელა მისტრალი დიდი ბიოგრაფიის მქონე ადამიანია: 16 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა; 1924 წლიდან მოყოლებული, დიპლომატიური სამსახურით იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ბრაზილიაში, აშშ-ში იმყოფებოდა; მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში 1946 წელს.

ლექსების პირველი კრებული „სიკვდილის სონეტები" 1914 წელს გამოაქვეყნა; რამდენიმე წელიწადში ამ წიგნს მოჰყვა მეორე კრებული – „სასოწარკვეთა", რომელშიც ავტორმა უღრმესი გრძნობები გამოხატა. 1938 წელს გამოცემულ წიგნში კი („სხეულები") კარგად გამოჩნდა, თუ როგორ გაფართოვდა მისი პოეზიის დიაპაზონი და შეივსო მილიონობით ადამიანის, კერძოდ, ლათინური ამერიკის პრობლემატიკით.

გაბრიელა მისტრალი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პოეზიის საგნად ინდიელთა მიერ სამყაროს ხედვა წარმოაჩინა და ესპანური ლექსი მათს ანიმისტურ წარმოდგენებს შეურწყა.

„ჭეშმარიტი გრძნობიერი პოეზიისთვის, რომელმაც მისი სახელი აქცია მთელი ლათინური ამერიკის იდეალისტურ მისწრაფებათა სიმბოლოდ", – ამ სიტყვებით მიანიჭეს ნობელის პრემია გაბრიელა მისტრალს 1945 წელს, ქალს, რომელმაც სამხრეთამერიკული ლიტერატურა პირველად აქცია მსოფლიო ინტერესის საგნად და შეძლო, რომ სამხრეთ ამერიკა მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო, როგორც უზარმაზარი ლიტერატურული კონტინენტი.

მისტრალის შემდეგ, მეორე დიდი სამხრეთ ამერიკელი მწერალი, რომელიც ნობელის კომიტეტმა დააფასა, ასევე დიპლომატი, გვატემალელი, მიგელ ანხელ ასტურიასია.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, დიპლომატია სამხრეთ ამერიკის ლიტერატურის სერიოზული შემადგენელი ნაწილია, რადგან არაერთი მწერალი ამ კონტინენტიდან, სწორედ დიპლომატის პროფესიით მუშაობდა. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, მათ ხშირად უწევდათ მოგზაურობა და, ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურაში ხშირად ფიგურირებს ევროპული ქალაქები, განსაკუთრებით კი პარიზი.

ასტურიასმა ნობელის პრემია 1967 წელს მიიღო – „ბრწყინვალე ლიტერატურული შემოქმედებისათვის, რომლის ფესვები ლათინური ამერიკის ინდიელთა კულტურასა და ტრადიციებშია გადგმული“.

მართალია, ინდიელთა მსოფლაღქმა ლიტერატურაში გაბრიელა მისტრალმა შემოიტანა, მაგრამ ასტურიას შემოქმედებაში ეს მთავარი თემაა. ის აერთიანებს ფოლკლორისა და მაიას ტომის მითოლოგიის ელემენტებს.

მიგელ ანხელ ასტურიასიც, გაბრიელა მისტრალის მსგავსად, 1899 წელს დაიბადა. ბავშვობა ესტრადა კაბრერას 22-წლიანი, საშინელი დიქტატურის ეპოქაში გაატარა. 1923 წელს, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ინგლისში გაემგზავრა, სადაც პოლიტეკონომია შეისწავლა, ხოლო ლონდონიდან, რა თქმა უნდა, სამხრეთ ამერიკელებისთვის მთავარ ევროპულ ქალაქში – პარიზში გადაბარგდა. 1946 წლიდან დიპლომატიურ სამსახურში მუშაობდა; გვატემალაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ კი, დევნილობაში ცხოვრობდა და 1974 წელს მადრიდში გარდაიცვალა.

მიუხედავად ამისა, მიგელ ანხელ ასტურიასი საფრანგეთში, კერძოდ, პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული; ქალაქში, რომელთანაც აკავშირებდა ახალგაზრდობის

ნლები და ყველაფერთან ერთად, ქალაქში, რომელიც სამხრეთ ამერიკული ლიტერატურის დედაქალაქიცაა, მთავარი ევროპული ქალაქი, რომელიც არა მხოლოდ ამ კონტინენტის მწერლების ნაწარმოებებსა და ბიოგრაფიაში, მათს ოცნებებსა და სიზმრებშიც ფიგურირებს.

მიგელ ანხელ ასტურიასის შემდეგ, მალევე, ნობელის კომიტეტმა პრემია პაბლო ნერუდას მიანიჭა – „პოეზიისათვის, რომელიც სტიქიური ძალმოსილებით ასახავს მთელი კონტინენტის ბედსა და ოცნებას“.

რიკარდო ელიესერ ნეფტალი რეიეს ბასოალტო, მსოფლიოსთვის პაბლო ნერუდას ფსევდონიმით ცნობილი კაცი 1904 წელს დაიბადა ჩილეს პატარა ქალაქ პარალში. იგი იყო ჩილელი პოეტი, დიპლომატი, პოლიტიკური ფიგურა, ჩილეს რესპუბლიკის სენატორი, ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რომელსაც პრემია 1971 წელს მიენიჭა (ყველაფერთან ერთად, ეს იყო ნობელის კომიტეტის „ბალანსის პოლიტიკა“, რადგან წინა წელს ნობელი ანტიკომუნისტ ალექსანდრ სოლჟენიცინს მიენიჭა). გაბრიელა მისტრალთან, ვისენტე უიდობროსთან და პაბლო დე როკასთან ერთად, ნერუდა ქმნის „ჩილეს პოეზიის დიდ ოთხეულს“.

რიკარდო რეიესმა ლექსების წერა ათი წლისამ დაიწყო. თორმეტი წლისამ გაიცნო ჩილეს უდიდესი პოეტი და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის პირველი ნობელიატი გაბრიელა მისტრალი, რომელმაც დიდ პოეზიაში გზა დაულოცა. ფსევდონიმი ჩეხი მწერლისგან, იან ნერუდასაგან აიღო, რომ მამამისთან კონფლიქტისთვის აერიდებინა თავი, რადგან ის პოეზიით გატაცებას არ უწონებდა. ამგვარად, დიდხანს მამამ იცოდა, რომ არსებობს დიდი პოეტი ნერუდა, რომელიც, მისი შვილისგან განსხვავებით, ნამდვილ ლექსებს წერს.

1924 წელს გამოსცა გასაოცარი წიგნი, „ოცი ლექსი სიყვარულზე და ერთი განწირული სიმღერა“, რომელმაც ლათინურ ამერიკაში სახელი და დიდება მოუტანა. ახალ წიგნში, რომელსაც „უსასრულო კაცის ცდა“ ჰქვია, ნერუდა მოდერნიზმიდან ავანგარდიზმზე გადავიდა.

1927 წელს ჩილეს მთავრობამ ის ბირმაში კონსულად დანიშნა; დიპლომატიური სამსახურით იცხოვრა ცეილონზე, სინგაპურში, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთში. ამ დროს ბევრს წერდა და შექმნა წიგნი „საცხოვრებელი ადგილი – დედამიწა“.

1933 წელს კონსულად დაინიშნა ბუენოს-აირესში, აქ გაიცნო გაბრიელ ფედერიკო ლორკა; 1934 წელს დაინიშნა კონსულად ბარსელონაში და შემდეგ გადაიყვანეს მადრიდში. მალე ესპანეთის სამოქალაქო ომი დაიწყო. ნერუდა რესპუბლიკელებს უჭერდა მხარს. ომის საშინელებითა და ლორკას სიკვდილით თავზარდაცემულმა დაწერა გენიალური წიგნი „ესპანეთი გულში“; 1937 წელს განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რესპუბლიკელებს უჭერს მხარს და ჩილეს მთავრობამ სახლში დააბრუნა, თუმცა მალე პარიზში გაუშვა ხანმოკლე მისიით, რომ ჩილეში დახმარებოდა ემიგრაციაში მყოფ ესპანელ რესპუბლიკელ ლტოლვილებს.

იმუშავა საელჩოს მდივნად მექსიკაში, შემდეგ აირჩიეს სენატორად, მაგრამ როდესაც პრეზიდენტ ვიდელას აშშ-ს მარიონეტი უწოდა, დეპუტატის მანდატი ჩამოართვეს და ქვეყნიდან საიდუმლოდ გაქცევა მოუწია. და, რა თქმა უნდა, სამხრეთ ამერიკელების მთავარ ქალაქში, პარიზში ჩავიდა. ჩილეში 1953 წელს დაბრუნდა, ამავე წელს სტალინური პრემია მიიღო.

როდესაც 1969 წელს კომუნისტებმა თავის საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგინეს, კანდიდატურა მოხსნა სოციალისტ

სალვადორე ალიენდეს სასარგებლოდ. ალიენდეს გამარჯვების შემდეგ დიდი პოეტი ელჩად დაინიშნა საფრანგეთში.

მიუხედავად პოლიტიკური აქტივობისა და მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიისა, პაბლო ნერუდა, უპირველეს ყოვლისა, არის სიყვარულის უდახვეწილესი პოეტი, რომლის გამლმერთებლებს შორის მასთან მებრძოლი დიქტატორებიც კი იყვნენ.

პოეტი 1973 წელს გარდაიცვალა. 2013 წელს მოხდა მისი ცხედრის ექსჰუმაცია და 2017 წელს გამოცხადდა, რომ ნერუდა, შესაძლოა უცნობი საწამლავის ინექციით იყო მოკლული. ასე რომ, პინოჩეტის ცოდვებს ახალი მიემატა.

ამის შემდეგ მთელი თერთმეტი წელი გამოხდა და ნობელის პრემიის კომიტეტი სამხრეთ ამერიკისკენ აღარ იხედებოდა, მანამ, სანამ არ იფეთქა მოვლენამ, რომელსაც მაგიური რეალიზმი ჰქვია და არ გამოჩნდა ამ კონტინენტის ერთ-ერთი მთავარი მწერალი – გაბრიელ გარსია მარკესი.

გაბო, კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი, პოლიტიკური მოღვაწე, 1982 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, მაგიური რეალიზმის მთავარი წარმომადგენელი მთელ მსოფლიოში.

მოგეხსენებათ, გაბრიელ გარსია მარკესი მსოფლიო მნიშვნელობის უამრავი ნაწარმოების ავტორია. მხატვრული კუთხით, მისი სიდიადე აბსოლუტურად წარმოუდგენელია, მეტიც, მისი უბრალო ჟურნალისტური სტატიებიც კი განსაკუთრებული ტალანტითაა გაჯერებული.

და აი, როდესაც გაბრიელ გარსია მარკესს ნობელის პრემია მიანიჭეს – „რომანებისა და მოთხრობებისათვის, რომლებშიც ფანტაზია და რეალობა უჩვეულოდ და ფაქიზადაა გადახლართული კონფლიქტებით შეძრული მთელი სამხრე-

თამერიკული კონტინენტის ცხოვრებისა და სამყაროს წარმოსახვით სურათებში“, მთელმა მსოფლიომ ამოისუნთქა, რადგან, როგორც იქნა, კომიტეტმა დაინახა თამამი კაცი, რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა.

ამავდროულად, ეს იყო კაცი, რომელიც მეგობრობდა ფიდელ კასტროსთან. თავად მარკესი ამბობდა, რომ მათი მეგობრობა, ძირითადად, ლიტერატურაზე იყო დაფუძნებული და ფიდელს ძალიან უყვარდა ლიტერატურაზე საუბარი.

მარკესი 1958 წელს, მერსედეს ბარჩაზე დაქორწინდა და მასთან ურთიერთობა მთელი ცხოვრების განმავლობაში საიდუმლოდ შეინახა. როგორც ჩანს, ეს ქალი ყველაფერი იყო მისთვის, თუმცა, არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც, სწორედ მერსედესისთვის ღალატის გამო მოხვდა სილა კიდევ ერთი ნობელიატის, მარიო ვარგას ლიოსასგან.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ 1967 წელს, სწორედ მერსედესის გავლენით შეიქმნა მისი მთავარი რომანი, ბუენდიების, მაკონდოს ფანტასტიკურად მნიშვნელოვანი ამბებით გაჯერებული წიგნი, რომელიც სავსეა ნამდვილი მითოლოგიით და რეალისტური მაგიით, წიგნი, რომელმაც მსოფლიო გადაატრიალა! წარმოუდგენელი გაქანების კაცია, რომელსაც შეუძლია შექმნას ნაწარმოები, სადაც სხვადასხვა ქალისაგან შეძენილ, ერთი კაცის 17 შვილს ერთ დღეს დახოცავენ! მარკესი ბედავს ისეთ რამეებს, რასაც სხვა მწერალს არასდროს აპატიებდნენ, მაგრამ მას ყველაფერი ეპატია.

18 წლის იყო გაბო, როდესაც გადაწყვიტა, რომ რომანი დაეწერა ბებია-ბაბუას სახლის ამბებზე, სადაც თავადაც გაიზარდა. ამ აზრებს მთელი ცხოვრების განმავლობაში უყრიდა თავს და ერთხელ, როდესაც ოჯახით აკაპულკოსკენ მიემარ-

თებოდა, ავტომობილი გზიდან მოატრიალა, შინ დაბრუნდა და წერა დაიწყო. ასე უცნაურად დაიბადა წიგნი, რომელსაც ჰქვია „მარტოობის ასი წელიწადი“.

რომანზე მუშაობამ იმაზე მეტი დრო წაიღო, ვიდრე ვარაუდობდა. ოჯახს ვალები დაუგროვდა, მარკესმა მანქანაც კი გაყიდა, რომ საარსებო სახსრები ჰქონოდათ, თუმცა ეს დიდებული რომანი ნამდვილად ღირდა ამდენ წვალებად – 1967 წელს, როდესაც წიგნი დაიბეჭდა, მან ავტორს არნახული წარმატება მოუტანა.

ნაწარმოების სიუჟეტი, რომელიც ბუენდიების ოჯახს ეხებოდა და რამდენიმე თაობის ქრონიკას წარმოადგენდა, სინამდვილეში, სამხრეთ ამერიკული, გამოგონილი სოფლის – მაკონდოს – ამბებს, იქაურ ცხოვრებასა და სირთულეებს, ინცესტის მაგალითებს, სიცოცხლესა და სიკვდილს აღწერს, მარტოობის საუკუნოვან ციკლს...

ამერიკელი მწერალი, უილიამ კენედი ამ წიგნს უწოდებდა პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის – დაბადების შემდეგ, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა წაიკითხოს! მგონი, ეს ასეც მოხდა, „მარტოობის ასი წელიწადი“ ნამდვილად წაიკითხა მთელმა მსოფლიომ.

საინტერესო ამბავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებზე უარყოფით კონტექსტში საუბრის გამო, წლების განმავლობაში, აშშ-ს იმიგრაციის სამსახური მარკესს ვიზას არ აძლევდა. ეს აკრძალვა მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც პრეზიდენტად ბილ კლინტონი აირჩიეს, რომელმაც „მარტოობის ასი წელიწადი“ თავის საყვარელ რომანადაც დაასახელა. ამის შემდეგ, ეს ეპოქალური რომანი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც უზომოდ პოპულარული გახდა.

გარდა ამისა, მარკესსავე ეკუთვნის კიდევ ერთი მსოფლიო მნიშვნელობის რომანი – „პატრიარქის შემოდგომა“, ყველაზე საშინელი წიგნი დიქტატურასა და დიქტატორებზე. და მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ამერიკელი მწერლები სხედან და წერენ წიგნებს დიქტატორებზე, „პატრიარქის შემოდგომის“ სიმაღლეს მხოლოდ ლიოსა თუ მიუახლოვდა.

გაბრიელ გარსია მარკესი 2014 წელს გარდაიცვალა. კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა მას უწოდა ყველაზე დიდი კოლუმბიელი, ხოლო ყოფილმა პრეზიდენტმა, ალვარო ურიბემ კი განაცხადა – „ოსტატო გაბრიელ მარკეს, მადლობა სამუდამოდ. პლანეტის მილიონობით ადამიანს ჩვენი ქვეყანა შენ მიერ გაბმული მომაჯადოებელი ძაფების წყალობით შეუყვარდა“.

ეს მართლაც ასეა და გაბრიელ გარსია მარკესი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნობელიატი იყო ამ პრემიის ისტორიაში.

მარკესის შემდეგ, ნობელის პრემია კიდევ ორმა სამხრეთ ამერიკელმა მწერალმა დაიმსახურა. ერთ-ერთი მათგანი მექსიკელი ოქტავიო პასი გახლავთ, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, კულტუროლოგი, პოლიტიკური გამომცემელი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციის მკვლევარი, რაც მთავარია, ბრწყინვალე პოეტი.

ოჯახური ტრადიციების მიუხედავად, პასმა უარი თქვა საუნივერსიტეტო განათლებაზე. ლიტერატურული დებიუტი მის ახალგაზრდობაში შედგა, 1933 წელს გამოცემული წიგნით – „ველური მთვარე“. მასვე ეკუთვნის ლექსების კრებული – „ნო პასარან!“

ოქტავიო პასი მონაწილეობდა ანტიფაშისტურ სამწერლობო შეკრებაში ვალენსიაში, 1937 წელს და ჩართული იყო ესპანეთის სამოქალაქო ომში, რესპუბლიკის მხარეს.

1944-1945 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და სხვა, სამხრეთ ამერიკელი მწერლების მსგავსად, დიპლომატიური სამსახურით იმუშავა საფრანგეთში, ინდოეთში; ასწავლიდა ევროპასა და ამერიკაში. 40-იანი წლების ბოლოს მემარცხენე ძალებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და არგენტინაში, სტალინური რეპრესიების შესახებ სერიოზული მასალა გამოაქვეყნა. ამ ტექსტმა კომუნისტებისა და მემარცხენეების საშინელი პროტესტი გამოიწვია, რადგან სამხრეთ ამერიკაში სტალინი გაღმერთებული ჰყავდათ. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა ოქტავიო პასს ჟან-პოლ სარტრმა მიაყენა, რომელმაც მოღალატედ მოიხსენია იმ სიმართლისთვის, რაც სტალინური ბანაკების შესახებ თქვა.

ამის გამო, ოქტავიო პასი ჩემი ახალგაზრდობის დიდი სიყვარულია, ჩვენს ახალგაზრდობაში მას უზარმაზარ ფიგურად ვაღიარებდით სწორედ იმის გამო, რომ გაბედა და მთელ მსოფლიოს სილა გააწნა, როდესაც სტალინის შესახებ სიმართლე თქვა. ამიტომაც, როდესაც 1990 წელს მას ნობელის პრემია მიანიჭეს – „ვნებიანი თხრობისათვის, რომელიც გამოირჩევა ფართო თვალსაწიერით, გრძნობიერი გამჭრიახობითა და გულწრფელი ჰუმანიზმით“, ეს დიდი სიხარული იყო პირადად ჩემთვის, ყოფილი პოლიტპატიმრისთვის, რადგან ანტიკომუნისტ მწერალთა რიგში, ერთ-ერთი პირველი სწორედ ოქტავიო პასი იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ სიურრეალიზმისა და ექსპერიმენტის კვალი ყოველთვის თან სდევდა, მან მაინც შეძლო, რომ ლათინური ამერიკა ახალ ლიტერატურულ და კულტურულ

ტრადიციებზე გადაეყვანა. იყო უამრავი პრემიის ლაურეატი და საპატიო დოქტორი, წარმოუდგენელი კაცი, წარმოუდგენელი ბიოგრაფიით, უბრწყინვალესი პოეტი, უბრწყინვალესი ესეისტი და, რაც მთავარია, შესანიშნავი მებრძოლი სიმართლისთვის.

ამ ამბებიდან ოცი წელი გავიდა, სანამ ევროპაცენტრული ნობელის პრემიის კომიტეტი სამხრეთ ამერიკას მიუბრუნდა და ეს ჯილდო გადასცა ჭეშმარიტ მწერალს, შესანიშნავ ადამიანს და სრულიად გამორჩეულ კაცს – მარიო ვარგას ლიოსას, რომელიც, ბორხესის მსგავსად, სხვა სამხრეთ ამერიკელი მწერლებისგან განსხვავებით, კომუნიზმისკენ არ იხრებოდა.

თანამედროვეობის უდიდესი მწერალი, პერუელი პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე მარიო ვარგას ლიოსა ნობელის პრემიის ლაურეატი 2010 წელს გახდა – „ძალაუფლების სტრუქტურის დეტალური აღწერისა და ამბოხებული, მებრძოლი და დამარცხებული ადამიანის ხატოვანი ასახვისათვის".

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ მისი პირველი რომანი „ქალაქი და ძაღლები" განსაკუთრებით პოპულარული იყო ინტელექტუალებში ატლანტიკის ორივე მხარეს. ეს იშვიათი ამბავია, რადგან ბორხესის, ზოგადად, არგენტინელების გარდა, სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურაში იშვიათად გვხვდება ინტელექტუალური მწერლობა.

ჩვენთვის, გურამ დოჩანაშვილის მკითხველებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიოსასაც აქვს თავისი კანუდუსი – ბრაზილიის ბაიას შტატის ამ ოლქის სახალხო აჯანყება ლიოსამ აღწერა თავის შესანიშნავ რომანში „ბოლო ჟამის ომი", სადაც დაიხატა მენდეს მასიელის გასაოცარი პორტრეტი.

დიქტატურასთან დაკავშირებით ლათინურ-ამერიკული რომანების მთელ წყებას, რომელთა შორისაა მარკესის „პატრიარქია შემოდგომა“, ასტურიასის „სენიორ პრეზიდენტი“, ოტერო სილვას „ხუთი, რომელიც დუმდა“ და ბევრი სხვა, ფინალურ აკორდად „მოუხდა“ მარიო ვარგას ლიოსას გენიალური რომანი „ვაცის ნადიმი“, რომელმაც „უნივერსალური“ დიქტატორის საშინელი და, ამავე დროს, მეტად ადამიანური პორტრეტი მოგვაწოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დიქტატურასთან მებრძოლი კიდევ ერთი ბრძნული და მხატვრული თვალსაზრისით გენიალური წიგნი „საუბარი კათედრალში“, სადაც პერსონაჟთა საუბრებში კვეთება შორეული დიქტატორის პორტრეტი ისე, რომ დიქტატორი პერსონაჟადაც არ არის გამოყვანილი და ის ჩვენ არ გვესაუბრება.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ სწორედ მწერლებმა ამოზიდეს და მსოფლიოს ნაწილად აქციეს ჩაქცეული კონტინენტი – სამხრეთ ამერიკა. ამიტომაც, მადლობა უნდა ვუთხრათ თითოეულ მათგანს, რადგან გარდა იმისა, რომ საკუთარი შემოქმედებით მთელი კონტინენტის საქმე გააკეთეს, სრულიად უნიკალური მოვლენა – „მაგიური რეალიზმი“ გვაჩუქეს.

მთავარი პოლკოვნიკი

მსოფლიო ლიტერატურა სავსეა საინტერესო პერსონაჟებით, თუმცა არის ერთი, არცთუ სიმპათიური, მაგრამ გამორჩეული კაცი, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟი, რომელსაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ჰქვია და რამდენი ასოცაა მის სახელში, იმდენი უცნაურობაა მასში.

პოლკოვნიკი იმიტომ კი არ არის პოლკოვნიკი, რომ გენერლობას ვერ მიაღწია, არამედ იმიტომ, რომ გენერლობა არ ისურვა მანამ, სანამ ლიბერალები არ გაიმარჯვებენ!

დარწმუნებული ვარ, ასეთი კაცი, ჩვენს ქვეყანაში მაიორად ან კაპიტნად დარჩებოდა, როგორც ტომას სანკარა, კაცი, რომელმაც ზემო ვოლტაში, ახლანდელ – ბურკინა ფასოში გადატრიალება მოაწყო და მმართველიც გახდა, თუმცა, როდესაც გენერალისიმუსის ჩინს სთავაზობდნენ, თქვა, რომ იგი იყო, არის და დარჩება კაპიტან ტომას სანკარად! სანკარა იყო კაპიტანი, რომელიც მეთაურობდა გენერლებს, დაახლოებით ისეთი ფიგურა, როგორიცაა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია!

მეორე მხრივ, აურელიანო ბუენდია, ბუენდიების გვარის წარმომადგენელი, ხოსე არკადიოსა და ურსულას რიგით მეორე, მაგრამ პირველი ვაჟი, რომელიც დაიბადა მაკონდოში! ეს მნიშვნელოვანი ამბავია.

თავად ეს შესანიშნავი რომანი, XX საუკუნის მარგალიტი, მაგიური რეალიზმის მთავარი ნაწარმოები, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, სწორედ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ხსენებით იწყება, ანუ პირველი ბუენდია, რომელსაც მარკესი ახსენებს, ოჯახის მამამთავარი ხოსე არკადიო კი არა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაა.

„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად. მაკონდო მაშინ ერთი პატარა სოფელი იყო“.

ეს შესანიშნავი დასაწყისი წინ წამოწევს რამდენიმე მომენტს, მათ შორის, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დახვრეტას და თითქოს გვაფიქრებინებს, რომ ეს პერსონაჟი რომანის პირველივე წინადადებაში დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ადვილად დასახვრეტი კაცი; ამავე დროს, ეს არის პირველი ხსენება მაკონდოსი და ასევე, აქვე გვხვდება კიდევ ერთი უცნაური მინიშნება, რომ რაღაც მოვლენიდან გაივლის მრავალი წელი – პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დასაწყისი კი არა, რაღაცის შუაგულია.

რა თქმა უნდა, მარკესმა აქ გამოიყენა ბრწყინვალე ხერხი, რომანის პირველივე წინადადება მიუთითებს in medias res, ანუ საქმის შუაგულზე, ისე, როგორც სხვა დიდი ავტორები იწყებენ საკუთარ ნაწარმოებებს.

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია არის კაცი, რომლის ბიოგრაფიაშიც არის ძალიან საინტერესო მომენტები. უპირ-

ველეს ყოვლისა, ის არის ლიბერალიზმის მებრძოლი, რაც უჩვეულო ამბავია, რადგან ზოგადად, გენერლები, პოლკოვნიკები, როგორც წესი, ლიბერალები არ არიან. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ნაწარმოებზე მუშაობისას, მარკესს უკვე დაწერილი აქვს თავისი პირველი შედევრი – „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ და პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ამის შემდეგ იბადება.

და ვინ არის პოლკოვნიკი?! ეს არის კაცი, რომელმაც „ოცდათორმეტჯერ წამოიწყო შეიარაღებული აჯანყება და ოცდათორმეტჯერვე დამარცხდა. ჩვიდმეტი ქალისგან ჩვიდმეტი ვაჟიშვილი შეეძინა და ჩვიდმეტივე ერთ ღამეს მოუკლეს, უფროსი ოცდათხუთმეტი წლისა მოკვდა“.

ბუნებრივია, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ოცდათორმეტჯერვე დამარცხდა, რადგან ჩვენ წინაშე წარმოუდგენელი ძალის მითოსია და არა რეალობა.

„თვითონ აურელიანოს თოთხმეტჯერ დაესხნენ თავს მოსაკლავად და გადარჩა, სამოცდაცამეტჯერ ჩაუსაფრდნენ და კიდევ გადარჩა, დახვრეტაც აიცდინა და ერთხელაც იმდენი ქინაქინა ჩაუყარეს ყავაში, ცხენს რომ გააფრთხობინებდა სულს, მაგრამ აურელიანო გადარჩა, მან უარი თქვა რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაბოძებ ორდენზე. იგი გახდა რევოლუციური ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი და სამხედრო მსაჯული. ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა კაცი, რომელსაც ასე შინებოდა მთავრობას“, – წარმოიდგინეთ, რა გაქანების ადამიანია, რომელიც ამ ამბებში სრულიად შემთხვევით გაეხვა, მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ გააყალბა არჩევნები ლიბერალების საწინააღმდეგოდ მისივე სიმამრმა!

ეს არ მოეწონა ახალგაზრდა, გულანთებულ აურელიანოს და ასე დაიწყო მისი კარიერა, რომელიც სავსეა აღმასვლით, მაგრამ, ამავე დროს, სავსეა დამარცხებებით. აღმასვლა არის პერსონალური, დამარცხებები – საერთო-საქვეყნო, რადგან შეუძლებელია ამ ტიპის იდეოლოგიის გამარჯვება. არ დაგვავიწყდეს, რომ ლათინურ ამერიკაში ეს დიდი სამხედრო დიქტატორების შემოდგომის საწყისი პერიოდია.

საინტერესო ამბავია, მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია არ არის ყველაზე სიმპათიური პერსონაჟი ამ გასაოცარ რომანში, მას მარკესმა საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილი აჩუქა. მეტიც, ჩვენ ვიცით, რომ მარკესის ოჯახში ყველაზე მთავარი ფიგურა ბაბუამისი იყო, კაცი, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია მასზე და რომელიც იყო კიდეც პოლკოვნიკი. აურელიანო ბუენდიაში სწორედ გაბრიელის, მამამისისა და ბაბუამისის ბიოგრაფიის ყველაზე ნათელი მხარეა გადაწნული ერთმანეთს.

ფაქტია, მარკესის ცხოვრებისა და ბიოგრაფიის ელემენტები უცნაურად ემთხვევა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ცხოვრების ამბებს. მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს, გაბრიელ გარსია მარკესი, სერიოზული მწერალი, 13 წლის გოგოს მიეჭრა და ცოლობა სთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. „მარტოობის ას წელიწადში“ იგივე გაიმეორა აურელიანო ბუენდიამ, თუმცა სასიმამროსგან თანხმობა მიიღო და მოიყვანა კიდეც ცოლად რემედიოსი, ჯერ კიდევ ბავშვი.

გამოხდა ხანი და მარკესმაც შეირთო ცოლად მერსედეს ბარჩა, ქალი, რომელშიც საოცრად გაუმართლა! სულ ორი-სამი შემთხვევა ვიცი, როდესაც მწერალი ოჯახის შექმნისას ასეთი იღბლიანი აღმოჩნდა; ასე იყო დოსტოევსკის შემთხვევაში, როდესაც მესამე ჯერზე ისეთი ქალი შეხვდა, რომელ-

მაც მის მთავარ დაავადებას – ლუდომანიას (აზარტული თამაშით ავადმყოფურ გატაცებას) უწამლა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი ფინანსური მდგომარეობა; ასევე, მახსენდება ფოლკნერის შემთხვევა, რომელიც იმდენად ერთგული იყო თავისი სიყვარულის, რომ ამ ქალის განქორწინებას დაელოდა და მაინც იქორწინა მასზე (თუმცა ამ ქორწინებამ „არ გაამართლა"); და, რაღა თქმა უნდა, მარკესის შემთხვევა, რომელმაც თავისი მთავარი სიყვარული – მერსედესი, ადრე თუ გვიან, მაინც შეირთო ცოლად.

ეს არ არის უბრალო ამბავი, არ შეიძლება პერსონაჟს ასე უბრალოდ აჩუქო შენი ცხოვრების ნაწილი და შემდეგ, გულთან ძალიან ახლოს არ მიიტანო მისი სიკვდილი. როგორც ვიცით, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილის გამო მარკესი რამდენიმე საათის განმავლობაში ტიროდა!

აი, თითქოს არაფერი იყო სატირალი მის სიკვდილში, მაგრამ ეს არც პირველი შემთხვევაა და არც ბოლო მსოფლიო ლიტერატურაში, როდესაც მწერლებს იმდენად უჭირთ საკუთარ პერსონაჟებთან განშორება, რომ ამას ახლობელი ადამიანის სიკვდილივით განიცდიან. მაგალითად, როგორც ცნობილია, როდესაც ლევ ტოლსტოიმ მესამე მცდელობაზე, „როგორც იქნა", მოკლა ანდრეი ბალკონსკი, ამის შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერავინ ეკარებოდა მსოფლიოზე განრისხებულ გენიოსს. ასევე, ცნობილი ამბავია, რომ ვაჟა-ფშაველამ ორი კვირის განმავლობაში ვეღარ შეძლო „სტუმარ-მასპინძლის" გაგრძელება, რადგან ვაჟამ, როგორც ადამიანმა, ანუ ლუკა რაზიკაშვილმა ვერ გადაიტანა ზვიადაურის სიკვდილი და აღაზას რეაქცია მის დაღუპვაზე.

ამიტომაც, არაფერია გასაკვირი, რომ ასე მწარედ გამოიტირა მარკესმა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, ოქროს

თევზების ოსტატი, ერთადერთი პერსონაჟი ამოდენა რომანში, რომელიც არასდროს არის მარტო და აღესრულება წაბლის ხესთან, ხე ცნობიერთან, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა და საკუთარი მარტოობა დაასრულა ხოსე არკადიო ბუენდიამ, ამ გვარის მამამთავარმა, კაცმა, რომელმაც წლების წინ ყინულის სანახავად წაიყვანა, პირველად...

ყველაფერთან ერთად, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია შესანიშნავი პასუხია კითხვაზე, თუ ვინ ებრძვის ტირანიას, რადგან ტირანიას გულანთებული პატრიოტები არ ებრძვიან! როცა ამ წიგნს კითხულობ, ხვდები, რა საშინელებაა ტირანია, მაგრამ იმასაც ხვდები, რაოდენ ყურადღებით უნდა იყო მასთან ბრძოლაში, რადგან ის, ვინც ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლად გვევლინება, არის კიდეც მთავარი ტირანი!

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მეშვეობით, მარკესმა გვითხრა მთავარი სიბრძნე – მე ვცხოვრობ სამყაროში, რომელსაც მართავენ ტირანები. მე ვცხოვრობ ტირანიასთან ბრძოლაში. შენ გინდა, რომ ტირანიასთან მებრძოლი იყოს სიმპათიური, მაგრამ ეს ასე არ არის. ამის გამო, შენ, მკითხველო, ავტორს მისაყვედურებ, მე კი გარწმუნებ, რომ ტირანიასთან მებრძოლი ვერ იქნება გულანთებული, მაღალი მორალური ღირებულებების ადამიანი, ვერ იქნება იდეებით შეპყრობილი. ტირანიასთან მებრძოლ კაცს ჰქვია პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია და ის ამბობს, რომ „ცუდია, როცა სულ არ იცი, რისთვის იბრძვი ან როცა ისეთი რაღაცისთვის იბრძვი, რაც არავის არაფრად სჭირდება".

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ წარმოუდგენლად რთულია თავის გამოჩენა რომანში, სადაც არის ხოსე არკადიო, სადაც არის მელკიადესი, ურსულა, სადაც მთელი

სამყაროებია, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველის სიმპათიები სხვა პერსონაჟებისკენ უფრო იხრება, ამ რომანის მთავარი გმირი სწორედ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაა!

და რაც მთავარია, რამდენმა წელმაც უნდა გაიაროს, მაკონდოზე საუბარისას, პირველ ყოვლისა, ყოველთვის გაგვახსენდება კაცი, დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი იმ შორეულ საღამოს რომ იგონებდა, როცა მამამ ყინულის სანახავად წაიყვანა პირველად...

სხვა პატრიარქის შემოდგომა

1936 წელს დაბადებული, პერუელი მარიო ვარგას ლიოსა, XX და XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და ესეისტია. ამ კაცმა ერთხელ პერუს საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა, ამომრჩეველთა ხმების 33% მიიღო, თუმცა მეორე ტურში პერუს მომავალ დიქტატორთან, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გულისამრევ ფიგურასთან – ალბერტო ფუხიმორისთან დამარცხდა. ასე რომ, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მისი მწერლობა და თავად პერუელების ბედი, ფუხიმორის ნაცვლად ნათელი და ჰუმანისტი ადამიანი რომ აერჩიათ პრეზიდენტად.

ამის შემდეგ, ლიოსა ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მწერლად ჩამოყალიბდა. ამავდროულად, სკანდალური კაცია, ალბათ ნობელის პრემიის ერთადერთი ლაურეატი, რომელმაც მეორე ნობელიატს სილა უთავაზა.

ვარგას ლიოსა პერუს, ლათინური ამერიკის სიამაყეა, მაგრამ, ამავე დროს, ის ჩვენი კაცია, რადგან მწერლობის, კი-

თხვის კულტურის დიდი გულშემატკივარია! მგონი, არც ერთ მწერალს არ უსაუბრია და დაუწერია ლიტერატურის მნიშვნელობაზე იმდენი, რამდენიც მას.

ნობელის პრემიის ლაურეატი 2010 წელს გახდა – „ძალაუფლების სტრუქტურის დეტალური აღწერისა და ამბოხებული, მებრძოლი და დამარცხებული ადამიანის ხატოვანი ასახვისათვის".

ასეთი სიტყვების მოსმენისას, რა თქმა უნდა, პირველი ნაწარმოები, რაც ყველას გვახსენდება, გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომაა", ალბათ მთავარი ნაწარმოები დიქტატორსა და ზოგადად, დიქტატურაზე, თუმცა სრულიად სხვა ამბავია ის, რაც ამ მიმართულებით ლიოსამ მოახერხა. მან, პრაქტიკულად, შეუძლებელი შეძლო და დიქტატურის, ამ არამაგიური მოვლენის აღწერისას, მაგიური რეალიზმი არ გამოიყენა! მაგიური რეალიზმის ელემენტები საერთოდ არ სჭირდება ლიოსას, როდესაც აღწერს დიქტატურას და აღწერს ძალიან ხშირად და ოსტატურად.

რაც შეეხება მის ერთ-ერთ ბოლო, უზარმაზარი მოცულობის რომანს, რომელიც ჩვენს საუკუნეშია დაწერილი; ამ თემაზე ზოგიერთები ხუმრობენ, ნობელის პრემია ჯერ არ ჰქონდა მიღებული, ფინანსურად უჭირდა და ბევრ სიტყვას წერდა, მეტი ფული რომ მიეღოო.

„ვაცის ნადიმი" აბსოლუტურად ჩამოყალიბებულმა, მწერლური თვალსაზრისით დაღვინებულმა კაცმა შექმნა; ლიოსამ დაწერა სამი რომანი, გააერთიანა ერთში და თქვა, რომ ეს არის ერთი რომანი. სინამდვილეში, ამ რომანში სამი სიუჟეტური ხაზია და რეალურად, არის კიდეც სამი რომანი.

თავის დროზე, გუსტავ ფლობერმა მოახერხა და დაწერა წიგნი, რომლის კითხვის დროსაც ხვდები, თუ რომელი პერ-

სონაჟი საუბრობს. მან შეძლო და განასხვავა პერსონაჟების მეტყველება, რაც არასდროს განმეორებულა სხვა მწერალთან. „ვაცის ნადიმის“ შემთხვევაში, მარიო ვარგას ლიოსამ დაწერა სამი რომანი, სამი სხვადასხვა ენითა და რიტმით: ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი – გაწელილი რიტმისაა, მეორე – ტელეგრამული ხასიათის, ხოლო მესამე – პოეტური.

იშვიათად მინახავს ასეთი რთული წიგნი, ასე გამართულად, ასე ხალისიანად დაწერილი და რაც ქართველი მკითხველებისთვისაა მთავარი – ასე ბედნიერად თარგმნილი! მადლობა უნდა ვუთხრათ მთარგმნელს, ლანა კალანდიას, რომელმაც მოახერხა, რომ ეს სამი სხვადასხვა სტილი – სამი სხვადასხვა რიტმით გადმოსცა.

რომანში მოქმედება ვითარდება დომინიკის რესპუბლიკაში, კუნძულზე, რომელსაც დიქტატორი ტრუხილიო მართავდა და თანაც იმდენი წლის განმავლობაში, რომ ხალხი დაიღალა... ადამიანები იბადებოდნენ, კვდებოდნენ, ტრუხილიო კი იყო, იყო და იყო, მუდმივად.

ერთი მხრივ, დიქტატორი ტრუხილიო და მეორე მხრივ, გოგონა, რომელსაც ჰქვია აფროდიტეს სახელი – ურანია, რომელიც დიქტატურას გაექცა, დაივიწყა საკუთარი ქვეყანა, სახლი, მამა, რომელიც დიქტატურას ემსახურებოდა და დაიფიცა, რომ სამშობლოში აღარასოდეს დაბრუნდებოდა – უკან ბრუნდება.

მეორე სიუჟეტი თავად დიქტატორ ტრუხილიოს ცხოვრებას აღწერს, ოღონდ არა ცხოვრება-ცხოვრებას, არამედ ტელეგრამული სტილით აღწერილ – დიქტატორის ცხოვრების უკანასკნელი დღეს, თუ როგორ მიდის ის თავის სიკვდილთან. ეს ნაწილი მოკლე წინადადებებით, ძალიან ზუსტი

ტერმინებით არის გადმოცემული, უემოციოდ, ყოველგვარი გაკიცხვის გარეშე – „შეხედეთ დიქტატორს, რას ჰგავს!"

ბუნებრივია, დიქტატორისადმი ასეთ მიდგომას ახსნა აქვს – როდესაც ამხელა ჰუმანისტი მწერალი არჩევნებში წერა-კითხვის უცოდინარმა, უსასტიკესმა და ყველანაირად მიუღებელმა დიქტატორმა – ფუხიმორიმ დაგამარცხა, არსებობს ცდუნება, რომ როგორც კი შანსი მოგეცემა, იმწუთას იძიო შური დიქტატურაზე, თუმცა ლიოსა დიდი მწერალია და მისი შურისძიება ტრუხილიოს ცხოვრების უკანასკნელი დღის დეტალურ რეპორტაჟშია ასახული და თანაც როგორ – ტრუხილიოს უნებლიე შარდვა აწუხებს! ანუ, მთელ კუნძულს მართავს და ყველას ატერორებს მშიშარა ადამიანი, რომელსაც საკუთარი სხეულის მართვა აღარ შეუძლია, ტრუხილიო ქვეშაფსია დიქტატორია!

მესამე სიუჟეტური ხაზი – მკვლელობის ისტორიაა, აღწერილი განსაკუთრებული ოსტატობით. ეს არის შესანიშნავი რომანი ამ სამი ძირითადი სიუჟეტური ხაზით, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით მიმდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ ლათინური ამერიკის ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ლათინური ამერიკის ქვეყნების დიქტატორებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს. იმ პერიოდში, როდესაც ეს ლიტერატურა იფურჩქნებოდა, თითქმის ყველა ქვეყანაში რეჟიმი იყო, შესაბამისად, თითქმის ყველგან არსებობდა მასალა დიდი რომანისთვის. დიქტატორი არ არის ადამიანი, ეს არის მასალა, იმიტომ, რომ როგორც სარკეში, დიქტატორში ვლინდება ადამიანური უსუსურობა, ქლესაობა, ადამიანის ყველაზე ბნელი შიდა ბუნება; დიქტატურა ხომ საზოგადოების სწორედ ამ თვისებებს ახალისებს. ამიტომაც, მარკესმა, ლიოსამ, კარპენტიერიმ, ასტურიასმა

და მათმა უამრავმა კოლეგამ შეძლეს და აღწერეს ეს ხალხი, დიქტატორები, რომლებსაც ერთმანეთის მიყოლებით დაუდგათ შემოდგომა.

ერთი ცნობილი ლიტერატურული ტექსტის დასაწყისი ლათინური ამერიკის დიქტატორებთან დაკავშირებით რომ გადავამღეროთ – ყველა კეთილი მეფე ერთმანეთს ჰგავს, ყველა ბოროტი მეფე – განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფიდელ კასტრო არ ჰგავს – დიუვალიეს; დიუვალიე არ ჰგავს – ფუხიმორის, ფუხიმორი არ ჰგავს... და ა. შ. რა თქმა უნდა, სტრესნერს არავინ ჰგავდა და ამ თემებზე მუდმივად იყო კამათი. საერთოდაც, ლათინურ ამერიკაში მუდმივად ორ საკითხზე კამათობენ: არგენტინა უფრო მაგარია თუ ბრაზილია ფეხბურთში (ხანდახან ურუგვაიც წამოწევს ხოლმე თავს, მეც არ დაგავიწყდეთო) და მეორე საკამათო საკითხი – კომუნიზმი ჯობია თუ ფაშიზმი; ახლა, ძირითადად, წითლების ეპოქაა, თუმცა ძალიან ყავისფერი წარსული კი აქვთ; ერთი „საცოდავი" კასტროსგან განსხვავებით, რომელიც წითელი დიქტატორი იყო, ამ კონტინენტზე უამრავი ყავისფერი დიქტატორი ჰყავდათ. სამაგიეროდ, ეს წითელი დიქტატორი სიგიჟემდე უყვარდათ ადამიანებს, რომლებითაც კაცობრიობა ამაყობს: მარკესსა და მარადონას; გამაოგნებელია, მაგრამ ფაქტია.

ამავე დროს, არ უნდა დავუშვათ შეცდომა და არ უნდა მივიჩნიოთ, რომ „პატრიარქის შემოდგომას" თუ წავიკითხავთ, შემდეგ ლიოსა აღარ უნდა წავიკითხოთ; მართალია, საკუთარ წიგნში მარკესმა პრაქტიკულად სრულად აღწერა დიქტატურა, მაგრამ ფაქტია, რომ „ვაცის ნადიმში" სრულიად სხვა დიქტატორია აღწერილი.

ბუნებრივია, ლიოსას ფუხიმორიც ჰყავს აღწერილი, მაგრამ არც ერთი დიქტატორი არ გამოსვლია ისეთი „კარ-

გი", როგორც ტრუხილიო. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ტრუხილიოს ჰქონდა რაღაც, რაღაც ადამიანური, რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ, სხვა დიქტატორებს.

სიკვდილის შემდეგ, ტრუხილიომ დატოვა გარკვეული გულისტკივილი. ჯერ ერთი, სხვებზე ადრე წავიდა, 1961 წელს გარდაიცვალა; მეორეც, როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ტრუხილიო – მსხვერპლია, ტრუხილიო მოკლეს. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვარგას ლიოსა სიმპათიით ხატავს მას, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ მწერალმა დიქტატორის გვამზე იძია შური, როგორც ეს „პატრიარქის შემოდგომაში" ხდება. აქ ასეთი ზიზღი არ ჩანს. ჩვენ წინაშე დიდი მწერალია, ოსტატი, რომელიც გაგვეთამაშა და ტრუხილიო იქ, მის სიუჟეტურ ხაზში კი არ მოკლა, სადაც ჩვენ ველოდით და ლოგიკურიცაა, არამედ რომანის სამი სიუჟეტური ხაზის ერთ-ერთ, სხვა გადაკვეთაზე.

რომანის სათაურიც ხომ ამდენ რამეს მეტყველებს; „ვაცის ნადიმი" – ვაცის დაკვლას ნიშნავს, ეს არის ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი სიმღერა, თხის სიმღერა, ხოლო ბერძნულად, თხას – ტრაგოსი ეწოდება, სიმღერას – ოდე, ანუ „ვაცის ნადიმი" ტრაგედიაა. და რატომაა ტრაგედია დიქტატორის სიკვდილი?

დიქტატორის მოკვლა ტრაგედია კი არა, გათავისუფლებაა და ზეიმია, მაგრამ, მოდით, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა 1953 წლის 5 მარტს, ნითელ მოედანზე, სადაც სისხლის ცრემლებით დაიტირეს სტალინი. როგორ გინდა ამ ხალხს აუხსნა, კი არ უნდა იტიროთ, უნდა იზეიმოთ, რადგან დიქტატორი მკვდარია! ამ დროს ისინი ფიქრობენ, სტალინი წავიდა და ხვალ მზე ამოვა? საერთოდ, იქნება კი ხვალ? დადგება მომავალი? თუკი სტალინი მოკვდა, რა აზრი აქვს

ცხოვრებას და ა. შ. ზუსტად ეს დაიჭირა ლიოსამ, მან აჩვენა, რომ ტრუხილიოს მკვლელობის შემდეგ ხალხი საზეიმოდ კი არ გამოვარდა ქუჩაში, სიხარულის კი არა, დაბნეულობის გრძნობა გაჩნდა! ასე იყო ფუხიმორის შემთხვევაშიც და ზოგადად, ასეთია „ვაცის ნადიმი“, ანუ ტრაგოსის ოდე!

ვფიქრობ, ეს წიგნი XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი რომანია და მან შეიძლება დახურა კიდეც ეს გვერდი, რადგან არ მგონია, რომ ლათინურ ამერიკაში ვინმემ შეძლოს და უკეთესად აღწეროს დიქტატორის ამბავი. მიუხედავად ამისა, დიქტატურის მიმართულებით სამუშაო კვლავაც ბევრია, თუმცა, ეს უკვე სამეცნიერო საქმეა, რადგან ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორ აღმოჩნდა დიუვალიესნაირი იდიოტი ისეთი ქვეყნის ხელისუფლებაში, რომელსაც ჰაიტი ჰქვია?! როგორ გაიმარჯვა მან ამ თავისუფალ ხალხზე?!

ამის ახსნა რთულია, როგორც იმის გაგება, რომ პერუში, ძალიან მაღალი კულტურის ქვეყანაში, ხალხი ფუხიმორის დაემორჩილა მაშინ, როდესაც მარიო ვარგას ლიოსა ჰყავდათ! მიუხედავად ყველაფრისა, ფაქტია, ასეთი რამ მოხდა, რაც იმის ნიშანია, რომ ამ ქვეყნებს ეს უნდა გამოევლოთ და პერუელებს უნდა გაეშვათ ხელიდან შანსი, დიქტატორის ნაცვლად ჰყოლოდათ პრეზიდენტი, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი, რომელმაც სწორედ კრებითი ფუხიმორის, დიქტატურის, ძალაუფლების სტრუქტურის დეტალური აღწერის გამო მიიღო მსოფლიოს მთავარი ლიტერატურული ჯილდო.

მწერლობა, რომელიც სულში აღწევს, როგორც რადიაცია

2015 წელს, როდესაც ნობელის კომიტეტმა ლიტერატურის დარგში ყველაზე პრესტიჟული პრემიის ლაურეატი გამოავლინა, ბევრი დარჩა გაოგნებული. ადამიანებმა ვერ გაიგეს, როგორ შეიძლება ავტორს გადასცე ასეთი პრიზი, თუკი ის მხატვრულ ლიტერატურას არ წერს, რომლის შემოქმედებაშიც არა გამოგონილი სამყარო, არამედ დოკუმენტური პროზა გვხვდება.

ჯერ ერთი, თუკი კიდევ დარჩნენ ასეთები, მინდა დავამშვიდო, სვეტლანა ალექსიევიჩის რომანები დოკუმენტური პროზის ფორმით გადმოცემული მხატვრული ნაწარმოებებია; ესეც რომ არა, ნობელის პრემია დოკუმენტურ პროზასა და მემუარებშიც გაუციათ; შეგახსენებთ, რომ სერ უინსტონ ჩერჩილმა ეს პრემია ლიტერატურულად ბრწყინვალედ გამართულ, მაგრამ მაინც – მემუარებში მიიღო; ხოლო თუკი ვინმეს ეჭვი მაინც ეპარება, გაიხსენონ ამ პრემიის კიდევ ერთი ლაუ-

რეატი – ალექსანდრ სოლჟენიცინი, რომლის აბსოლუტურად ყველა ნაწარმოები – დოკუმენტური პროზაა.

რაც შეეხება თავად სვეტლანა ალექსიევიჩს, ერთდროულად ის სამი სლავური სახელმწიფოსა და ნაციის შვილია: მას ჰყავს ბელარუსი მამა და უკრაინელი დედა, დაბადებულია უკრაინაში და არის რუსულენოვანი მწერალი. თამამად შეიძლება ვთქვათ, ეს ქალი განსაკუთრებული მოვლენაა და ჩემთვის რომ ეკითხა ვინმეს, თუნდაც მხოლოდ მისი პირველი წიგნისთვის („ომს არა აქვს ქალის სახე") იმსახურებდა ნობელის პრემიას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფიქრობს, თითქოსდა სვეტლანა ალექსიევიჩი ანტისაბჭოთა, ანტირუსი მწერალია და ამის გამოა პატივსაცემი, სინამდვილეში, ის არა ანტი, არამედ პირიქით, პროქალია, ადამიანი, რომელმაც დაინახა ომის, კატასტროფისა და, რაც მთავარია – იმ ქვეყნის საშინელება, სადაც ბავშვებს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ, რომ მათი მთავარი მოვალეობა სიკვდილი იყო, კომუნისტური იდეალებისთვის თავის გაწირვა. დიახ, ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ადამიანი, რომელსაც ხელში იარაღი უჭირავს, კარგი ადამიანია...

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, საბჭოთა კავშირის ნაცვლად, სვეტლანა ალექსიევიჩი სადმე სხვაგან რომ დაბადებულიყო, დიდი ალბათობით, ნობელის პრემიას ვერ მიიღებდა, რადგან ნორმალური ქვეყანა სვეტლანა ალექსიევიჩის, როგორც მწერლის გენერირებას ვერ შეძლებდა! უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ნობელის პრემია მიიღო ადამიანმა, რომელიც ამავდროულად, ვართ ჩვენ, ყველანი, ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით. ნობელის კომიტეტმა, ფაქტობრივად, ძეგლი დაგვიდგა და გვითხრა, რომ

ჩვენ გვაძლევს პრემიას, რადგან სვეტლანა ალექსიევიჩი ჩვენი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენელია, როგორც თავად ჩვენი ავტორი ამბობს სიყვარულით – წითელი ადამიანების.

ერთხელ, ერთმა დიდმა ფრანგმა მწერალმა, გუსტავ ფლობერმა, რომელმაც შეძლო და პერსონაჟების ენა განასხვავა, თავის თავზე თქვა, რომ მე ვარ ადამიანი კალამიო. ასეც იყო, ყველაფერს იწერდა... ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე ფლობერის მსგავსი ტექსტი თქვა ალექსიევიჩმა – მე ვარ ადამიანი ხმა, იმიტომ, რომ მე მესმის ხმები... მართლაც, ალექსიევიჩის ნაწარმოებები სავსეა რეალური, ნამდვილი ადამიანების ხმებით. ოღონდ ეს არ გეგონოთ მარტივი, ჟურნალისტური სამუშაო, მისი პერსონაჟები ლაპარაკობენ ისე, როგორც ავტორს სურს. მათ აქვთ სათქმელი, მაგრამ ეს სათქმელი მხატვრულ ქურაშია გატარებული და დამატებული აქვს აქცენტები, რაც მაღალი ხელოვნებაა.

სვეტლანა ალექსიევიჩს არავის ადვოკატობა არ სჭირდება, სულ უბრალო რამაა საჭირო იმაში დასარწმუნებლად, თუ რა მოვლენას წარმოადგენს – მისი რომანები უნდა წავიკითხოთ. წავიკითხავთ თუ არა, იმწუთას ყველაფერს მივხვდებით – მისი შემოქმედება არ არის იმის გამოძახილი, რაც ჩვენ გაგვიგია, ალექსიევიჩი წერს იმ რეალობაზე, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის, მხოლოდ მის ყურს ესმის და სხვისას – არა.

მოვიყვან ერთ მაგალითს მისი რომანიდან – „ომს არა აქვს ქალის სახე“, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქალების ისტორიებს გვაცნობს. ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც რეალური, ცოცხალი ადამიანია, ჰყვება, თუ როგორ გაიღო 15 წლისამ სისხლი ფრონტზე გასაგზავნად; ამ

დროს მას უთხრეს, რომ ჭურჭელზე, რომელშიც მისი სისხლი იყო, მიეწერა სახელი, გვარი და მისამართი, რათა ადამიანს, რომელსაც მის სისხლს გადაუსხამდნენ, დონორის შესახებ გარკვეული წარმოდგენა მაინც ჰქონოდა. და აი, ერთ დღეს, 1943 წელს, ამ ახალგაზრდა გოგონას, რომელიც უკვე ჰოსპიტალში მუშაობდა, გადასცეს, რომ ძმამ მიაკითხა. რა თქმა უნდა, სტუმარი მისი ძმა არ ყოფილა, ის იყო ახალგაზრდა, სიმპათიური ლეიტენანტი, რომელსაც მისი სისხლი გადაუსხეს. როგორც ჩანს, შეუყვარდა ეს ბიჭი და მას შემდეგ, რაც ფრონტიდან მისი დაღუპვის ამბავი მოუვიდა, გოგონა მიხვდა, რომ ბრძოლის ველზე მისი სისხლი დაიღვარა, ამიტომაც, ადგა და ფრონტზე წავიდა!

ახლა, როგორი გასაოცარი ფანტაზიის მწერალიც უნდა იყო, ამას ვერ მოიფიქრებ, იმიტომ რომ ეს არის ერთადერთი, უნიკალური შემთხვევა, რომელიც მართლა მოხდა – ერთადერთ, უნიკალურ შემთხვევაში! მიუხედავად იმისა, რომ ალექსიევიჩის ფილტრით ეს ამბავი მხატვრული განზოგადების თემად იქცა, ასეთი შემთხვევები არ არის მასობრივი მოვლენა. მინდა გითხრათ, ეს ერთ-ერთი რიგითი ეპიზოდია მისი რომანიდან; ასეთი სხვაც უამრავია, რომელთა გამოგონებას ვერც ერთი მწერალი ვერასდროს შეძლებს...

გავიხსენოთ „ჩერნობილის ლოცვაც“, კიდევ ერთი რომანი ალექსიევიჩის „უტოპიის ხმების“ ციკლიდან, რომლის ნაკითხვასაც არ ვურჩევ არავის, ვისაც სუსტი ნერვები აქვს, რადგან მერწმუნეთ, ასეთი რამ არც წაგიკითხავთ, არც გინახავთ და არც გაგიგონიათ; ამ რომანთან შედარებით, დოსტოევსკის საშინელი, პირქუში წიგნი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ საბავშვო სათამაშოა.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს; ისტორიას ჰყვება ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი აფეთქების დროს ახალდაქორწინებული იყო; წყვილს იმდენად უყვარდა ერთმანეთი, რომ ქმარი ხელს არ უშვებდა! და ეს ბიჭი იყო მეხანძრე, რომელიც გამოიძახეს სასიკვდილოდ – ხანძრის ჩასაქრობად ატომურ სადგურზე, ისე, რომ არაფერი უთქვამთ აფეთქებისა და რადიაციის ძალიან ძალიან მაღალი დონის შესახებ.

ეს ბიჭები წავიდნენ, ხანძრის გარკვეული კერებიც ჩააქრეს, თუმცა იმწუთას დაავადდნენ. მათთან არავის უშვებენ, მაგრამ ახალგაზრდა, შეყვარებული, ორსული გოგონა მაინც გაუთავებლად მიიწევდა მეუღლისკენ. ის ვერ ხედავდა საფრთხეს, არ ესმოდა, რომ მისი საყვარელი მამაკაცი მისი ქმარი კი არა, რადიაციული ელემენტი იყო, რომელიც ასხივებდა. მოცემულია საშინელი სურათები, თუ რას მართებს რადიაცია ადამიანს, როგორ კლავს მას... და აი, უზომოდ შეყვარებული ორსული გოგონა შობს ბავშვს, რომელიც მალევე იღუპება, რადგან მთელი რადიაციული დარტყმა ჩვილმა მუცლად ყოფნის დროს თავის თავზე მიიღო. ამ ყველაფერს კი ის ემატება, რომ, ეულად დარჩენილ, დაქვრივებულ, შვილმკვდარ დედას ორი უახლოესი ადამიანის საფლავზე არ უშვებენ, იმიტომ, რომ, ყველაფერთან ერთად, ამ კატასტროფას მუდმივად თან სდევს საბჭოთა კავშირის ფაქტორი, მისი წესები, რომ ყველაფერი უნდა დაიმალოს, არაფერი უნდა ითქვას! მათ შორის, არ უნდა ითქვას, რომ ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი აფეთქების შემდეგ, პრაქტიკულად გაუქმდა ბელარუსი, როგორც სახელმწიფო, რადგან მისი ტერიტორიის ნახევარზე ცხოვრება დღესაც არ შეიძლება.

ყველაფერთან ერთად, „ჩერნობილის ლოცვაში" მოყოლილია იმის შესახებ, თუ როგორ გარბის ხალხი, როგორ ხო-

ცავენ მათ, ვინც უკან დაბრუნებას ბედავს, როგორ ყმუიან ძაღლები, რომლებიც პატრონს ითხოვენ და ა. შ. რაც მთავარია, ამ თხრობის მიზანი სულაც არ არის მკითხველის შეშინება, ამ თხრობის მიზანია დავინახოთ, რომ ადამიანი ადამიანად რჩება კატასტროფის დროსაც კი და მიუხედავად ყველაფრისა, ის აგრძელებს არსებობას!

ალექსიევიჩის გენია რომ დავინახოთ, საკმარისია HBO-ს სერიალის, „ჩერნობილის" ერთი სერია მაინც ვნახოთ. სერიალმა შეაძრწუნა მსოფლიო და აღაშფოთა, ლამის ისტერიკამდე მიიყვანა რუსეთი; მაგრამ „ჩერნობილის ლოცვის" მკითხველებზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა, იმდენად უსუსურად გამოიყურება ეს ხარისხიანი, მაგრამ „უხმო" ტელენამუშევარი. ცისფერი ეკრანი უძლური აღმოჩნდა, აეტანა ის ტკივილი, რომლითაც გაჟღენთილია ალექსიევიჩის წიგნის ყველა გვერდი, ყველა წინადადება, ყველა სიტყვა. რაც მთავარია, სერიალში არავინ არავისთვის ლოცულობს, უფრო ჰორორისა და გოთიკის მოძალების იმედზე არიან...

„უტოპიის ხმების" ციკლს მიეკუთვნება სვეტლანა ალექსიევიჩის კიდევ ერთი რომანი „ცინკის ბიჭები". ამ საშინელი ტერმინით იმ კუბოებს აღწერდნენ, რომელსაც ავღანეთიდან საბჭოთა კავშირში ეზიდებოდნენ. ეს იყო ომი, რომელშიც მოხალისედ, ძირითადად, ინტელიგენტური ოჯახების შვილები მიდიოდნენ, იმიტომ, რომ საბჭოთა პროპაგანდა ამტკიცებდა – ავღანეთში ინტერნაციონალური ვალის შესასრულებლად მივდივართ, ავღანელებს ცხოვრება უნდა ვასწავლოთო! თავისთვის რა იცოდნენ, სხვისთვის რომ ესწავლებინათ, მაგრამ...

ავღანეთში ომი არასდროს არავის მოუგია! ამ მიწაზე იბრძვის ყველა ბუჩქი, ყველა ქალი, ყველა ბავშვი, ყველა კბი-

ლი მზადაა, დაუნდობლად დაგფლითოს და ამ დროს საბჭოთა ბიჭები წავიდნენ რომანტიკულ ომში. საბჭოთა კავშირისთვის ეს აღმოჩნდა საშინელი განსაცდელი, ხოლო ავღანეთში ჩასული ალექსიევიჩისთვის კი ეს იყო შეხვედრა ადამიანებთან, რომლებიც მიხვდნენ, რომ ომი დაუშვებელია!

ის, რაზედაც თავის წიგნებში სვეტლანა ალექსიევიჩი წერს, მხატვრულ ნაწარმოებში, ავტორისგან რომ იყოს მოთხრობილი, ძალიან არადამაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ ამ ქალს შესწევს საოცარი უნარი, ადამიანების ხმებით აჩვენოს მთელი სამყარო, სამყარო, რომელიც აღელვებულია კატასტროფების, ომების, ან თუნდაც, იმის გამო, რომ მისი დრო ნამდვილი კი არა, მეორეული მოხმარების, „სექენდ ჰენდის დროა“.

ამ რამდენიმე ხნის წინ სვეტლანა ალექსიევიჩი თბილისს ესტუმრა, თავის ლიტერატურულ აგენტ გალინა დურჰსტოფთან ერთად. შედგა ძალიან საინტერესო შეხვედრები მასთან, მათ შორის, რუსთაველის თეატრშიც. მწერალმა ბევრ კითხვას გასცა პასუხი. ჟურნალ „ინდიგოს“ კი ინტერვიუ მისცა, ეს ინტერვიუ მე ჩავწერე. იმით დავიწყე, რომ ვუთხარი, თქვენი პრემია ჩვენი პრემიაა-მეთქი და გავიგონე ჩვენთვის სანუკვარი სიტყვები: თქვენ თქვენსას მალე მიიღებთო.

ჩვენი წიგნის სათაურიდან გამომდინარე, ალექსიევიჩი უფრო ლიტერატურის უხილავ, „ბნელ“ მხარეს უნდა ვიგულისხმოთ, რომ არა მისი „ლოცვა“. სწორედ ამ ლოცვით შეძლო მწერალმა სიყვარულის ხიდი გაედო ბნელ და ნათელ ლიტერატურას, უსასოობასა და სასოებას, აფეთქებასა და ერთგულებას შორის. ამ მწერალმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რა ძალა აქვს, რა შეუძლია და რატომ ვერ ვანებებთ თავს ლიტერატურას...

საძიებლები

პირთა სახელები

აბესალომი (დავით წინასწარმეტყველის ძე) 221
აგათონი 128
აინშტაინი ალბერტ 10
აკა მორჩილაძე 202
აკუტაგავა რიუნოსკე 222
ალექსიევიჩი სვეტლანა 204, 275-278, 280, 281
ალექსის ლეჟე *იხ.* სენ-ჟონ პერსი
ალიგიერი დანტე 6, 117, 118, 120, 122, 124, 146
ალიენდე სალვადორე 252
ამაშუკელი ნელი 139
ამირეჯიბი კოხტა 152
ანატოლ ფრანსი 74, 75, 153
ანდერსონი შერვუდ 186, 219, 220
აპოლინერი გიიომ 178
არისტოტელე 67, 81, 83, 122
ასტაფიევი ვიქტორ 170, 171
ასტურიასი მიგელ ანხელ 248-250, 258, 270

ბაგრატიონი პეტრე 66
ბაზილევსკაია ნატალია 24, 25
ბაირონი ჯორჯ 32
ბაკი პერლ 186, 187
ბალზაკი ონორე დე 53, 71, 195, 220
ბარათაშვილი ნიკოლოზ 18, 19, 20, 22, 23, 33, 41, 49, 50, 197, 207-209
ბარჩა მერსედეს 253, 262, 263
ბასოალტო რიკარდო ელიესერ ნეფტალი რეიეს *იხ.* პაბლო ნერუდა
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 74, 242, 245
ბეკეტი სემუელ 6, 227, 228, 230-232
ბელოუ სოლ 191
ბერგსონი ანრი 75
ბერია ლავრენტი 45
ბიოლი ჰაინრიხ 138-140, 203
ბისმარკი ოტო 92
ბობ დილანი (რობერტ ციმერმანი) 185, 192
ბოდლერი შარლ 99, 184
ბოკაჩო ჯოვანი 117, 118
ბონაპარტე ნაპოლეონ 66, 67, 69, 70, 111, 156, 218
ბორხესი ხორხე ლუის 151, 184, 247, 257

ბრანდესი გეორგ 99
ბრეტონი ანრე 178
ბრეხტი ბერტოლტ 184
ბროდსკი იოსებ 192
ბროსე მარი 208, 209
ბუკოვსკი ჩარლზ 6, 235, 236, 238, 239, 241-245
ბუნინი ივან 54

გაბაშვილი ბესიკი 23
გაბრიელა მისტრალი (ლუისა დე მარია დელ პერპეტუო სოკორო გოდოი ალკაიაგა) 247-250
გამსახურდია ზვიად 170, 182, 184
გამსახურდია კონსტანტინე 4, 6, 143-150
გოეთე იოჰან ვოლფგანგ ფონ 4, 28, 32, 64, 99, 131
გრასი გიუნტერ 140
გრეგუარი ანრი 208
გურამიშვილი ოლღა 15
გუტენბერგი იოჰან 129

დ'ანუნციო გაბრიელე 103
დავით აღმაშენებელი 148, 155, 175
დავით წინასწარმეტყველი 221
დე როკა პაბლო 250
დიუ გარი როჟე მარტინ 75
დიუვალიე ჟან-კლოდ 271
დიუმა ალექსანდრე 201, 207
დოსტოევსკი ფიოდორ 5, 6, 51, 53-59, 61, 64, 70, 95, 150, 151, 174, 198, 231, 262, 278
დოჩანაშვილი გურამ 4, 6, 159-161, 165, 257
დრაიზერი თეოდორ 186
დურჰსტოფი გალინა 281

ევრიპიდე 131, 196
ეიკენი ქრისტოფ 136, 141
ეკატერინე დიდი 68
ეკო უმბერტო 55
ელიოტი ტომას სტერნზ 178, 188
ელუარი პოლ 178
ერეკლე II 31, 32, 155
ესქილე 52, 53, 131

ვაგნერი რიხარდ 95, 99, 100, 242
ვალერი პოლ 7, 131, 216
ვალზერი მარტინ 140
ვაჟა-ფშაველა 6, 18-20, 22, 26-29, 43-50, 197, 263
ვაშინგტონი ჯორჯ 181
ვერგილიუსი 5, 52, 65, 119, 120
ვერლენი პოლ 238
ვიდელა ხორხე რაფაელ 251
ვულფი თომას 186

ზიჩი მიხაი 198
ზოლა ემილ 36
ზუტნერი ბერტა ფონ 197, 198

თაბუკაშვილი რეზო 132
თომა მოციქული 66
თორო ჰენრი დევიდ 239

იბსენი ჰენრიკ 128
იმედაშვილი იოსებ 152
იოსელიანი ჯაბა 197
იუტმენი უოლტ 177-184

კალანდია ლანა 269
კამიუ ალბერ 77, 79, 151, 153, 234
კანტი იმანუელ 195
კაპა რობერტ 202
კარპენტიერი ალეხო 270
კასტრო ფიდელ 253, 271
კაფკა ფრანც 65, 228
კენედი უილიამ 254
კენედი ჯონ ფიცჯერალდ 182
კესნერი დიანა 197
კლინტონი ბილ 254
კნუტ ჰამსუნი (კნუტ პედერსენი) 200, 202, 206
კონან დოილი არტურ 6, 213-218
კონდელი ჰენრი 128
კონრადი ჯოზეფ 227
კორტასარი ხულიო 151
კრისტი აგატა 214, 215
კუტუზოვი მიხეილ 66

ლაისტი არტურ 196, 197
ლაფორგი ჟიულ 184
ლე კლეზიო ჟან-მარი გუსტავ 78
ლენინი ვლადიმირ 109, 110, 112
ლინკოლნი აბრაამ 181-184, 224
ლიოსა მარიო ვარგას 6, 253, 255, 257, 258, 267-273
ლონგფელო ჰენრი უოდსოურთ 239
ლორკა ფედერიკო გარსია 251
ლუისა დე მარია დელ პერპეტუო სოკორო გოდოი ალკაიაგა *იხ.* გაბრიელა მისტრალი
ლუისი სინკლერ 186
ლუკა რაზიკაშვილი *იხ.* ვაჟა-ფშაველა

მალარმე სტეფან 73
მამარდაშვილი მერაბ 82, 104
მანები 149
მანი თომას 4, 61, 64, 75, 92, 104, 137, 138, 141, 142, 147
მანი ჰაინრიხ 147
მარადონა დიეგო არმანდო 271
მარკ ტვენი 239
მარკესი გაბრიელ გარსია 6, 252-255, 258, 260-264, 268, 270, 271
მარლოუ ქრისტოფერ 129
მაჩაბელი ივანე 12, 25, 26, 29, 31-41, 206, 211
მაჩაბელი ტასო 25, 26, 41
მეუნარგია იონა 198
მისტრალი ფრედერიკ 74, 247
მიულერი ჰერტა 140, 141
მოდიანო პატრიკ 78, 79
მოემი სომერსეტ 54
მომზენი თეოდორ 135, 136, 141
მორიაკი ფრანსუა 76
მორისონი ტონი 192

ნაბოკოვი ვლადიმირ 54, 228
ნერუდა იან 250
ნიკოლაძე ნიკო 29, 34
ნიცშე ფრიდრიხ 5, 6, 91-100
ნობელი ალფრედ 198

ო'ნილი იუჯინ 186, 187
ორბელიანი გრიგოლ 14
ორბელიანი სულხან-საბა 31
ორტეგა-ი-გასეტი ხოსე 101-107, 109
ორუელი ჯორჯ 109-111, 113-116

პაბლო ნერუდა (რიკარდო ელიესერ ნეფტალი რეიეს ბასოალტო) 250-252
პასი ოქტავიო 255, 256
პასტერნაკი ბორის 77, 201, 203, 204
პაუნდი ეზრა 103
პედერსენი კნუტ *იხ.* კნუტ ჰამსუნი
პლატონი 81-89, 105, 128
პლატონოვი ანდრეი 89
პო ედგარ ალან 99, 214
პრიუდომი სიული 73, 74
პუშკინი სერგეი 200

ჟიდი ანდრე პოლ გიიომ 76

რატიანი ზვიად 240, 245
რემარკი ერიხ მარია 147, 197
როდონაია ვახტანგ 166
როლანი რომენ 74, 75
როსტომაშვილი ივანე 152

სააკაძე გიორგი 154, 155
სალიერი ანტონიო 126
სანკარა ტომას 259
სანტაიანა ჯორჯ 184
სანტოსი ხუან მანუელ 255
სარტრი ჟან-პოლ 77, 256
საქსონ გრამატიკოსი 130
სახაროვი ანდრეი 170
სახოკია თედო 209
სენ-ჟონ პერსი (ალექსის ლეჟე) 77
სერვანტესი მიგელ დე 101, 125
სილვა მიგელ ოტერო დე 258
სიმონი კლოდ 78
სოკრატე 82-84, 128
სოლენიცინი ალექსანდრ 139, 170, 250, 276
სოფოკლე 67, 128, 131
სტაინბეკი ჯონ 191, 202, 203
სტალინი იოსებ 43-48, 50, 107, 109-112, 114, 147, 148, 154-156, 172, 173, 197, 211, 256, 272
სტრაბონი 195
სტრესნერი ალფრედო 271
სტრინდბერგი ავგუსტ 187

ტაბიძე გალაკტიონ 17, 21, 23, 25, 33, 41, 74, 124, 149, 152, 173, 174, 178, 229, 232, 238
ტერტულიანუსი 4
ტოლსტოი ლევ 5, 6, 53, 60, 61, 63-71, 130, 198-200, 242, 263
თომასი დილან 185
ტროცკი ლევ 109, 112
ტრუხილიო რაფაელ ლეონიდას 272, 273
ტურგენევი ივან 151, 198, 231

უაილდი ოსკარ 231
უიდობრო ვისენტე 250
უიტმენი უოლტ 177-181, 183, 184
უმიკაშვილი პეტრე 34
უნამუნო მიგელ დე 106
უორდროპი მარჯორი 205, 207, 209-211
უორდროპი ოლივერ 205-209, 211
ურიბე ალვარო 255

ფამუქი ორჰან 204
ფერლინგეტი ლორენს 182
ფირდოუსი 208
ფიროსმანი ნიკო 49, 50
ფლობერი გუსტავ 268, 277
ფოლკნერი უილიამ 3, 6, 52, 55, 186, 188-191, 219-225, 239, 263
ფროიდი ზიგმუნდ 154
ფუხიმორი ალბერტო 267, 270, 271, 273

ქიქოძე გერონტი 43-48

შარდენი ჟან 195
შექსპირი იულიამ 6, 36-39, 41, 99, 125-133, 200, 230, 231
შექსპირი სუსანა 127
შექსპირი ჯუდით 127
შექსპირი ჰამნეტ 127
შილერი ფრიდრიხ 99
შოთა რუსთაველი 4, 19, 26, 33, 49, 70, 126, 127, 144, 148, 174, 175, 178, 208-210
შოლოხოვი მიხეილ 203
შოუ ბერნარდ 231

ჩარკვიანი გელა 43
ჩარკვიანი კანდიდ 43-46, 48
ჩაუშესკუ ნიკოლაე 140, 141
ჩერჩილი უინსტონ 275

ციმერმანი რობერტ იხ. ბობ დილანი

წერეთელი აკაკი 6, 19-29, 34, 40, 41, 45-47, 49, 50, 152, 196
წინამძღვრიშვილი ილია 152

ჭავჭავაძე გრიგოლ 9
ჭავჭავაძე ილია 6, 9, 10-19, 22, 26, 27, 29, 33, 34, 36-40, 45-47, 50, 148, 152, 156, 196, 206-211
ჭავჭავაძე მაკრინე 9
ჭილაძე თამაზ 169
ჭილაძე ოთარ 124, 169-175
ჭიჭინაძე ზაქარია 152

ჯავახიშვილი მიხეილ 6, 151-157
ჯეფერსონი თომას 181, 183, 224
ჯოისი ჯეიმზ 70, 71, 165, 230-232

ჰაიზე პაულ ფონ 136, 141
ჰაუპტმანი გერჰარტ 137, 141
ჰეგელი ფრიდრიხ 99
ჰემინგსი ჯონ 128
ჰემინგუეი ერნესტ 110, 186, 190, 191, 197, 220
ჰიტლერი ადოლფ 96, 114
ჰიუგო ვიქტორ 126
ჰომეროსი 5, 52, 69, 86, 98, 119, 120

ნაწარმოებთა სახელები

1984 109, 114

აბესალომ, აბესალომ 189, 219-225
აგვისტოს ნათელი 222
ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება 5, 138
აი ადამიანი 92
ანა კარენინა 63, 65
ანაბასისი 77
ასე იტყოდა ზარატუსტრა 91, 93, 95, 98
ასპიტთა ბუდე 76

ბავშვობა 198
ბალახის ყვავილები 178, 180
ბედნიერი ერი 16
ბიბლია 129, 154
ბილიარდი ათის ნახევარზე 139
ბოლო ჟამის ომი 257
ბუდენბროკები 5, 75, 137

გადაფრენა მადათოვზე და უკან 202
გამზრდელი 28-41
განსჯანი დონ კიხოტეს შესახებ 101
გარგანტუა და პანტაგრუელი 207
გატეხილი ვაზა 73
გილგამეშიანი 106
გოდოს მოლოდინში 227-230, 233
გოეტეს ცხოვრების რომანი 146

დანაშაული და სასჯელი 71, 95
დანიელთა საქმეები 130
დასავლეთის ფრონტი უცვლელია 197
დედოფალი თამარი 202
დიალექტიკური მატერიალიზმი 162
დიდოსტატის მარჯვენა 148, 150
დიონისოს ღიმილი 145
დოლის სიმღერა 180
დონ კიხოტე 61, 101
დოქტორი ფაუსტუსი 5, 138

ევროპა 180
ეთიკა 122
ენეიდა 52, 65, 119
ესპანეთი გულში 251
ეშმაკნი 55, 231

ვაცის ნადიმი 258, 268, 269, 271-273
ველური მთვარე 255
ვეფხისტყაოსანი 26, 27, 198, 205, 207, 210

ზამთარი ჩვენი მღელვარებისა 191
ზღაპრული ქვეყანა 202

თაგვებსა და ადამიანებზე 191
თუნუქის დოლი 140
იდიოტი 61
ილიადა 98
ინტერვიუ მამასთან 43
იოსები და ძმანი მისნი 5, 138

კავკასია 201
კატარინა ბლუმის შელახული ღირსება 139
კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა 159, 160
კაცია-ადამიანი?! 14, 15
კლასობანა 151
კლოუნის თვალთახედვა 139
კორიოლანუსი 37
კრენკებილი 74

ლანდებთან ლაციცი 147, 149
ლექსები საქართველოზე, ქართველი პოეტები 204
ლოლიტა 228

მაკბეტი 126
მარიენბადის ელეგია 28
მარტოობის ასი წელიწადი 254, 262
მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლები 162
მასების ამბოხი 102, 104, 108
მეფე ლირი 37, 130, 131, 201
მეცნიერული კომუნიზმი 162
მეცხრე სიმფონია 245
მზის ამოსვლის წინ 137
მთავარი ქუჩა 186
მთვარის მოტაცება 143, 145, 146, 150
მკვდარი სახლის ჩანაწერები 278
მოქაჩე თოკი და თოჯინა ამოძრავდება 243
მოხუცი და ზღვა 190
მრისხანების მტევნები 191
მსოფლიო ორკესტრი 178

ნადიმი 128
ნო პასარან! 255

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო 177, 181, 184
ოთხთა ნიშანი 214
ოიდოპოს მეფე 130, 214
ომი და მშვიდობა 63-65, 71
ომს არ აქვს ქალის სახე 276, 277
ორესტეა 52
ოსტატი და მარგალიტა 238
ოტელო 126
ოცი ლექსი სიყვარულზე და ერთი განწირული სიმღერა 251

პატარა მაიმუნი 76
პატრიარქის შემოდგომა 255, 258, 268, 271, 272
პინგვინთა კუნძული 74
პირველი ფოლიო 129
პოლიტიკური ეკონომიკა 162
პოლკოვნიკს არავინ სწერს 261
პრაღის სასაფლაო 55

რიჩარდ მესამე 126
რკინის საწოლი 124
როდესაც უკანასკნელად აყვავდა ყვავილი/კუნელი 180

საიდუმლო ბარათი 21
სამოსელი პირველი 165
სასონარკვეთა 248
საუბარი კათედრალში 258
საქართველოს სამეფო 208
საცხოვრებელი ადგილი – დედამიწა 251

სახარება 209
სახელმწიფო 84, 89
სენიორ პრეზიდენტი 258
სექენდ ჰენდის დრო 281
სიკვდილი ვენეციაში 137
სიკვდილის სონეტები 248
სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები 44
სტუმარ-მასპინძელი 263
სხეულები 248

ტალღები 201
ტიბოს ოჯახი 75
ტონიო კრიოგერი 137
ტორტილა ფლეტი 191
ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან 93, 94

ულისე 231
უოში 224
უსასრულო კაცის ცდა 251
უსიერ ტყეში 223
უტოპიის ხმები 278, 280

ქალაქი და ძაღლები 257

ღვთაებრივი კომედია 118, 119, 146
ღმერთებს სწყურიათ 74

ყალბი ფულის მჭრელები 76
ყველაზე ლამაზი ქალი 236

შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი 214, 215, 218

ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან 151, 153, 154, 156
ჩერნობილის ლოცვა 278-280

ცა მიწიდან იწყება 169, 174
ციმორების ჭერა საქართველოში 170/171
ცინკის ბიჭები 6, 280
ცხოველების ფერმა 109, 110, 112, 113

ძირს იარაღი! 197
ძმები კარამაზოვები 51-54, 57, 60, 61, 214

წიგნი დაბადებისა 254

ხმაური და მძვინვარება 3, 189, 220, 222
ხუთი, რომელიც დუმდა 258

ჯადოსნური მთა 5, 137
ჯაყოს ხიზნები 6, 152-154
ჯგუფური პორტრეტი ქალთან 139

ჰამლეტი 37-39, 126, 130, 131
ჰაკლბერი ფინის თავგადასავალი 239

სარჩევი

ჰო და არა	3
კაცი, რომელიც საქართველო იყო	9
დიდი დილემების კაცი	19
ლირი გულგრილად მიტოვებული	31
„ამხანაგები“ ქართული გენიის წინააღმდეგ	43
მთავარი კარამაზოვი – ფიოდორ დოსტოევსკი	51
ომი და მშვიდობა – სამყარო მის ორ მთავარ ჰიპოსტასში	63
თავისუფლებამისჯილ ნობელიანტთა არმია	73
ფილოსოფიის მამა	81
კაცი, რომელმაც ცა დააცარიელა	91
მოქალაქე გასეტი	101
ღორების დიქტატურა	109
დანტეს დანტე	117
სამყაროს მთავარი ჯენტლმენი	125
ნობელი და პირქუში გერმანული გენია	135
ევროპა ჩოხაში	143

მეფე შიშველია 151
„მისალოცების“ ბიბლია 159
„ცა მიწიდან იწყება“ 169
კაპიტანი ამერიკა 177
ნობელიანტები იოკნაპატოფადან 185
უცხოელი მწერლების მისია საქართველოში 195
„დაავადება“, სახელად საქართველო 205
დოილი და კომპანია 213
მფარველი მწერალი 219
„გვეშველება რამე?!“ 227
ამერიკელი დიონისე 235
ნობელიანტები მაგიური რეალიზმის სამყაროდან 247
მთავარი პოლკოვნიკი 259
სხვა პატრიარქის შემოდგომა 267
მწერლობა, რომელიც სულში აღწევს, როგორც რადიაცია 275

საძიებლები 282